

614  
1958/3

УДК 62-72  
62-72:62-72

# Самозащита

2

## შინა კ რ ს ი

მ. მახარაძე — ლექსები . . . . .	6
ნ. ნარსია — სიცოცხლე ჩემს მამულში (ლექსი)	11
შ. აგისულაშვილი — ქართული მიწა (ლექსი)	12
ა. მირცხულავა — ზობის პირად (ლექსი)	14
ბ. გოგიჩაიშვილი — პირველი დღეები (რომა- ნი. გაგრძელება)	17
ბ. მუჯირიშვილი — ერიკ ლახენის ბედი (ნა- წყვეტი მოთხრობიდან)	37
ბ. რჩულიშვილი — სიკვდილი მთებში (მოთხ- რობა)	42
ო. ჩხეიძე — მიწა (ეტიუდი)	58
ს. მსენინი — წერილი ქალს (ლექსი. თარგმან გ. ხუნაშვილიძე)	63
ს. სელვონი — ნადრევი ყვავილობა (ვესტ-ინ- დური მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმან ა. გახოციძემ)	67
ჯ. სტიინბეკი — მარგალიტი (მოთხრობა. ინგ- ლისურიდან თარგმან ა. რატინაძე)	73

### მწერლის არქივიდან

მ. გელოვანი — ლექსები . . . . .	106
ბ. უბილაძე — ლექსები . . . . .	101

### ხელოვნება

ი. ანდრონიკაშვილი — რამდენიმე სიტყვა ევ- გენი მიქელანჯელოზე	102
✓ ჯ. ნადირაძე — მატერიალური კულტურის ძეგ- ლები ყვირილის ხეობაში	105
მ. შიშინი, ჯ. ჩარკვიანი — ქართული კულ- ტურის დღესასწაულზე	108

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ა. კაპანაძე — გლეხთა შეიარაღებული აჯანყება საჩხერის რაიონში 1918 წელს	116
ბ. გვერდწითელი — „კოლხეთის ცისკრის“ გმი- რები	121
რ. ჯაფარიძე — სასაცილო და სატირული	127
ბ. შატბერაშვილი — ლექსი და სახლი	137

7752

2

1958

თეატრული

სახელმწიფო  
გამომცემლობა

„საბჭოთა  
საპარტვილო“





ნ. უბასაშვილი — შექსპირის ავტორობის შესახებ . . . . .	140
კ. ჯავრიშვილი — უიარაღო მებრძოლი . . . . .	145
ჯ. ჯუშუაშვილი — გიორგი ერისთავი ა. ბესტუევე-მარლინსკის შესახებ . . . . .	149

**უოველი მხრიდან**

ზ. ზარსლაშვილი — „ველტბიუნე“ „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანის შესახებ	151
ძრონიკა . . . . .	152
ახალი წიგნები . . . . .	160



**რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე**

**სარედაქციო კოლეგია:**

- თ. ზადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,**
- ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.**

## მუხიან მაჭავარიანი

ჯერ პარტიზმე არ მქონია არც ერთი ლექსი.  
დღეს ვწერ პირველად.  
არა ვჩქარობ.  
ვწერ დაკვირვებით.  
მინდა უბრალოდ,  
ყოველგვარი ფრაზის გარეშე,  
გითხრათ:  
რა იყო პარტია ჩემთვის,  
რა არის ახლა...

არგვეთი.  
მზეა...  
შუადღეა...  
იზვარის პირას  
ვაგროვებ კენჭებს  
ფეხშიშველა პატარა ბიჭი...  
უცებ ძახილი:  
— მიტინგია!  
— მიტინგზე მოდიტ!..  
აღმასკომის წინ  
ეკრიბება  
ხმაურით  
ხალხი...

ხელების ქნევით ლაპარაკობს ჭაბუკი ქერა;  
ჭაბუკის ირგვლივ  
ყურადღებად ქცეულა ყველა:

— ხალხო, შემოდით კოლექტივში! —  
დაძლიეთ შიში...  
პარტია გიხმობთ! —  
გაიძახის ჭაბუკი იგი.



მე არ ვიცოდი,  
 რას ნიშნავდა  
 „მიტინგი“ მაშინ,  
 ყმაწვილს „მიტინგი“  
 იმ ჭაბუკის მეგონა გვარი.

ჭაბუკი იყო პირდაპირი,  
 ჯიქური,  
 სხარტი...

ხმა ჰქონდა —  
 თითქოს დიდი ქვევრი აძლევდა ეხოს...  
 — მომზადებული კაციაო! —  
 ამბობდა ხალხი.

შულამისას —  
 კანტიკუნტი ხმაური ატყდა;  
 ფარნე თა ხელში  
 გამორბოდა შარაზე ხალხი;  
 კაცთა ფეხისხმას  
 თქარათქური ფარავდა ცხენთა...  
 გავრბოდი სადღაც მეც სხვებთან ერთად...  
 ზედ ხრამის პირას  
 ემზო პირქვე  
 სწორედ ის კაცი.  
 ის იყო მკვდარი.

ვიდექი უხმოდ.  
 შიგ სახეში მირტყამდა ქარი.  
 მცვიოდა ცრემლი...  
 ქუხდა მალლით პირქვეში ზეცა.  
 ის იყო მკვდარი.  
 დიან, მკვდარი.  
 განგმირეს იგი;  
 ის მოჰკლეს, მაგრამ...  
 კოლექტივი გაივსო ხალხით...  
 ის მოჰკლეს, მაგრამ...  
 სიტყვას მისას  
 შეესხა ხორცი.

ვიგონებ ამას,  
 ვიგონებ იმ წლებს...  
 წინ როდი მისწრებს საერთოდ ენა.  
 უკმაყოფილო რატომ გაქვთ სახე?  
 რაშია საქმე?  
 ცოტა ვთქვი განა?!  
 არ გადავაბი ახალთან ძველი?!  
 მე ჩემს ბავშვობას გავყურებ შორით.



იმაზე შენობს  
 ლექსები ჩემი.

ჯერ პარტიაზე არ მქონია არც ერთი ლექსი.  
 დღეს ვწერ პირველად.  
 არა ვჩქარობ.  
 ვწერ დაკვირვებით.

\*  
 \* \*

დილაა...  
 სველია ბალახი.  
 ველია ბელტები ნედლი.  
 დილაა...  
 სველი დილა...

შემომდის თვალებიდან სხეულში ყოველივე, —  
 ვივსები დედამიწით, წყლიანი ფოთლებით...

მწყურია მკერდიდან იშხუვლოს სიტყვამ  
 და თბილი, თბილი, მსუნთქავი სიტყვა  
 სოველ ბელტებში ვნებიანად მიმოიღვაროს...  
 ო... ეს იქნება უაღრესი სიამოვნება,  
 ეს ნაკადულის ნეტარებას აღემატება...  
 ნედლი ბელტები თბილი სიტყვით გაიჟღინთება,  
 აღერსით სიტყვა მოიღლებს, მოიღვენთება...  
 ო... ეს იქნება უაღრესი სიამოვნება,  
 ეს ნაკადულის ნეტარებას აღემატება.

\*  
 \* \*

რომ არ ამელო ხელში წიგნი, —  
 თოხი მჭეროდა.  
 რომ არ გამედგა ფეხი  
 ჩვენი კაკლის ჩეროდან.  
 რომ მეთოხნა და შემესარა  
 მხოლოდ ვენახი.  
 დიდი ქალაქი  
 რომ არ მენახს! —

მეყოლებოდა ახლა ხარები.  
 შემოდგომაზე მთიდან შეშას ჩამოვიტანდი.  
 არ ვიქნებოდი  
 აღარც ღარიბი,  
 აღარც მდიდარი.



ცოლი ყოველდღე თიხის კეცებს გაახურებდა,  
 ცივ სოხანეზე გადმოდგამდა ლობიოს ქოთნით.  
 მეყვარებოდა, როგორც მიყვარს მინდვრის ყურება —  
 აიზლაზნება მინდვრებიდან როდესაც ორთქლი.

პარასკეობით საჩხერეში გავყილდი სიმინდს;  
 მეუღლეს ჩემსას ჩითის კაბას ვუყილდი იმით.  
 სოფლის სკოლაში ორი ბავშვი — ჩემიც ივლიდა;  
 ბიჭს ალბათ ვანო ერქმეოდა,  
 გოგოს ივლიტა...

რომ არ ამელო ხელში წიგნი, —  
 თოხი ქჭეროდა.  
 რომ არ გამედგა ფეხი  
 ჩვენი კაკლის ჩეროდან.

\*  
 \*  
 \*

მე სრულიადაც არ მინდა ვინმე  
 რომ გავაკვირვო ამით.

მე არაერთგზის და არაერთხელ  
 საათის სამზე ღამით

მივლია...

ღიახ...

დიღხანს მივლია...

ღავდიჯარ კედლების გასწვრივ...

და რა კარგია! —

ირგვლივ ძილია...

ყველაფერშია კაცი.

ოთახი დიდი.

ცისფერი შუქი.

ინტელიგენტის ძილი.

საყვარელია,

საყვარელია,

საყვარელია ყველა...

ქუჩა, ტრამვაი, ადამიანი,

კოკისპირული წვიმა...

ადამიანი...

ადამიანი...

მჯერა, მჯერა და მჯერა.

მე სრულიადაც არ მინდა ვინმე

რომ გავაკვირვო ამით.

— ფანჯარა ერთხელ გააღე მაინც

— საათის სამზე ღამით.

## ფიქრი

ვეწევი პრიმას, —  
 უხმაო კვამლი...  
 ხმას არ იღებენ კედლები სახლის.  
 ტახტი,  
 მაგიდა,  
 კარადა,  
 სკამი,—  
 აი ოთახის შიგნით რაც არის.  
 — ქალაქებია,  
 სოფლებია...  
 არიან ხალხნი, —  
 ფიქრი ფანჯრიდან გავიდა გარეთ  
 და  
 გადაემხო ხმელეთს ცასავით.

ზღვა.  
 ცისარტყელა.  
 ნაკადული.  
 ბალახი.  
 წვიმა.  
 ქუჩა.  
 ჰაერი.  
 გაზაფხული.  
 ღიმილი.  
 ღელვა,—  
 ყოველი,  
 ყველა,  
 ყველაფერი, — რაც იყო წინათ, —  
 კვლავაა ყველა.

შენ კი, —  
 სამეფო, ვისაც გეპყრა უსაზღვროდ ვრცელი,  
 შენც, —  
 ოფლი ვისაც გაღვრევიანა მონის უღელმა, —  
 აღარ ხარ, —  
 რადგან  
 მზის ხელთაა სიკვდილის ცელი!  
 აღარ ხარ, —  
 რადგან  
 სულერთია მზისთვის სუყველა!

ვეწევი პრიმას, —  
 მეყურება ჭიკჭიკი ჩიტის...  
 გადის დუმილი ოთახიდან ნაბიჯით ზანტიო...



შემოდის მამა,  
 და შემოდის,  
 მყარდება ბინდი...  
 ფიქრიც გარედან ფეხათრევით  
 შემოდის შიგნით  
 და  
 ჩვენ  
 ყველანი  
 დიდი ამბით მივირთმევთ სადილს.

\*  
\* \*

სრულიად ჯანსაღი,  
 განხორციელებულ ნეტარებად,  
 შევყურებ აყვავებულ ტყემალს  
 და... ისე, ისე ვეტრფი,  
 თითქოს საავადმყოფოს ფანჯრიდან  
 ავადმყოფის თვალებით ვხედავდე.  
 დილაა...

დერეფანში აგურისფერ ძროხას  
 ხორციით სავსე დედაკაცი წველის...  
 ძროხის ვარდისფერ ცურიდან  
 რძის თეთრი ჩხირები  
 წამდაუწუმ გამოსხივდებიან ხოლმე  
 და შავი ქოთნიდან  
 ხამუშ-ხამუშ ისმის ჩხრიალი მათი.  
 დილაა...

\*  
\* \*

ვიცი:  
 შენ ალბათ... ახლა მჭადის ცხობაში ხარ და...  
 გესმის წყვეტილი ყმული მგლის... ზუზუნი ქართა.  
 ძვლებამდე ჰყინავს...  
 არის ზამთრის ღამე ქათქათა.  
 კრუტუნებს ცეცხლთან წამომჯდარი მცივანა კატა.  
 და...  
 ოხრავს... ოხრავს შეჭირხლული ვერხვი ჭიშკართან.  
 ნედლი საკეციტ უტრიალებ მხურვალე კეცებს.  
 საკეცე ხელში გიჭირავს და საკეცეს ეძებ.  
 ღონღები, რადგან თქვა ვიღაცა დროულმა გლეხმა:  
 — მოსალოდნელი არიო ლედმა!  
 მთელი ქალაქი მისცემია აქ ჩემს ძაგებას.  
 გამაბოროტეს, როგორც სოფლის მთვარე ძაღლებმა.  
 შენც ყოველ თვეში გიზიდავენ მარლნი ცხელ ჭორებს,  
 თითქოს მე, — შენი ვაჟიშვილი, უზომოდ ვლოთობ...



არ დამიღონდე,  
ყოველივეს გამოვასწორებ,  
ვინც ვეტრფი ქვეყნად მზეს წითელსა და მწვანე ფოთოლს.

\*  
\*  
\*

გასწვრივ ზოოლოგიური პარკის ზღუდის,  
მაიაკოვსკის ლექსივით დამტვრეულ ლელესთან...  
დაახლოებით იყო ნახევარი ხუთის —  
ნაცნობი სალამო ვნახე.

სალამომ, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო  
(სოფლად არ მცმია კოსტუმი)

ვერ მიცნო...

ვერც მიცნობს — ათასი ვუმტკიცო —  
მე ახლა ამ სალამოს — ლაშურისპირელს, —

რომ მე ვარ ის ბიჭი —

ლაშურის ქვებქვეშ რომ პერანგისამარა ეძებდა ღორჯოს;

რომ მე ვარ ის ბიჭი —

გადახურჯინებულ ტომრით რომ საფქვავე გაჰქონდა ხიდზე;

რომ მე ვარ ის ბიჭი —

ღელის წისქვილიდან მჯიდს რომ უღერებდა ჭინკა...

გასწვრივ ზოოლოგიური პარკის ზღუდის,  
მაიაკოვსკის ლექსივით დამტვრეულ ლელესთან...  
დაახლოებით იყო ნახევარი ხუთის —  
ნაცნობი სალამო ვნახე.

\*  
\*  
\*

ღვიძავს ლაშურას...

მიდის ლაშურა...

ფიქრობს ლაშურა...

უკვირს ლაშურას:

— მზე რა ხმაურით ამოდის ხოლმე,

— მთვარე ამოდის ხოლმე რა ჩუმად...

უკვირს ლაშურას...

მიდის ლაშურა.

### ქველი სურათი

ორი ცრემლიდან საქართველოს გაჰყურებს საბა,  
ვერ დაუნახავს დღეს უცრემლოდ ქართველსა ქართლი...

— ორბელიანმა თვალისჩინი დაჰკარგა ალბათ!

— პირიქით,

ერთობ კარგად ხედავს და მიტომ სტირის.

მამული  
 სისხლით გააჯერეს იმდენად მტრებმა—  
 წვიმას ვერ იტანს...  
 დრო და დრო  
     ცრემლი  
         ისე  
             წვეთავს  
                 საბას წვერიდან,  
 თითქოს  
 თოვლივით თეთრი წვერი, —  
                             თოვლივით ღნება.

•  
 \* \*  
 •

მე... დღეს ყველაფერი უნდა განვიცადო!  
 და ეს ყველაფერი ვაქციო სიტყვებად!..  
 აროდეს ყოფილა ურაგანი სანდო!  
 დღეს სანდო ურაგანის მოვარდნა იწყება!..

მე ვხედავ ამ სახლებს!  
 მე ვხედავ ამ ხალხებს!  
 მინდა ყველაფერი ვიგრძნო და გავსიტყვო!..  
 თუ ვერ შევიძელი, —  
 მომელის დამყაყება...  
 მომელის დამყაყება!..  
 მომელს!!  
 და თითქოს  
 მე სწორედ ამიტომ მოვდივარ ურაგანად!..  
 (ახალს შედარება ყოველთვის ძველი აქვს!)  
 სადაც უნდა ვიყო,  
 სადაც!..  
 სულ აქა ვარ!  
 ამოდ უნდოდა მოვესრისე ნიავს.

მე... დღეს ყველაფერი უნდა განვიცადო!..  
 და ეს ყველაფერი ვაქციო სიტყვებად!..  
 აროდეს ყოფილა ურაგანი სანდო!..  
 დღეს სანდო ურაგანის მოვარდნა იწყება!



## მორა ნასია

### სიცოცხლე ჩემს მამულში

იყო ბრძოლა...  
ფარაჯებზე ვერ დათვლიდი ნატყვიარებს;  
ქართველ გმირთა სახელები ჩაიწერა მატთანემ.  
იბრძოდნენ და... იმ გმირების გახსენებაც მადლი არი,  
მათ ტყვიების ქარტეხილში — ბრძოლის ველი გადიარეს.  
ვაჟკაცურად გადიტანეს ჭრილობაც და გაჭირვებაც,  
მათ იცოდნენ სიყვარულიც, მტერთან ვეფხურ დაჭიდებაც.  
თუმც სტკიოდათ ჭრილობები — არ სჩვეოდათ დაკვნესება,  
იმ ცეცხლის ქვეშ მათ ისწავლეს თვალით ცეცხლის დაკვნესება.  
იყო ბრძოლა...  
მტრებს ხალხისას ხვდათ ხალხისვე განაჩენი,  
იმ ბრძოლიდან ჭრილობებით ჩამოვიდა მამაჩემიც.  
ჩამოვიდა...  
ამ მიწაზე ფეხის დადგმა რად უღირდა,  
გაუღიმა ენძელამაც, ყაყაჩომაც გაუღიმა...  
ახლა ხარობს დედამიწა ყვავილოვან-ბაღიანი,  
აი, შეხეთ იმ ბიჭუნას, რა ფუნჩულა ბალღი არი,  
ახლა ხარობს დედამიწა ყვავილოვან-ვაზიანი,  
აი, შეხეთ იმ გოგონას, დედავ, რა ლამაზი არი!  
...კაცი ვარ და... ამ სიცოცხლით ალტაცება შემძლია,  
კაცი ვარ და... მიხარია, რომ იცინის ჩემი მზია...  
— სიცოცხლეა ჩემს მამულში, ვარდი ჰყვავის, ია მაყრობს,  
ამ სიცოცხლით, უკვდავებით უნდა ყველამ ვიამაყოთ!



## შალვა ახისუღაშვილი

### ქართული მიწა

მადლიანია ქართული მიწა,  
მის გულში

რძე დულს  
დასაბამიდან,

თებერვლიდანვე ფარჩეულს იცვამს, —  
და დატკბილება იცის ამინდმა...

საქართველოში გაზრდილი მუხა  
უმკვრივესია ყველა ლითონზე,

ზოგი ისეთი ჯმუხაა, ჯმუხა,  
შვიდ მწყემსურ ნაბადს

შემოიტოლებს.

არ ეკარება სიკვდილის ქარი

ქართული მიწის თვითთულ მისხალს,

ბაღ-ვენახებით ამყოფს ბარი,

მადნეულობით —

წიალი მთისა,

მაგრამ სიმდიდრის ნამდვილი დედა

თვითონ ხალხია

ამ ნათელ ცის ქვეშ,

ქამთა წინაშე

დავას რომ ბედავს, —

და მკერდგაშლილი მიილტვის მზისკენ.

რა არის მისთვის

ოქრო და ვერცხლი,

გმირთა მოდგმაა სიმდიდრე მისი!..

მას უმღერია „მოყმე და ვეფხვი“ —

ლექსი მსოფლიო ყაბახის ღირსი...

მას უმღერია „მუმლი მუხასა“,

„მრავალჯამიერ“

და სხვა მრავალი...

ქართველს ოცნება

ვინ დაუხახესა?! —

ყოფილა მუდამ წინ მიმავალი!..  
აქ ისეთ ფოლადს აღნობდნენ წინათ,  
რომ გაოცება იპყრობდა ყველას,  
თვით ხალიბელთა სააბჯრე რკინას  
ძველ საბერძნეთში გააქონდა ჟღერა.  
ჩვენს ცხენებს ადრეც ეკრათ ნალები,  
არ დაჰხეთქიათ ქვებზე ფლოქვები,  
მტერი ოხერი, ფერნამკრთალები  
გამხდარა ბედის უარმყოფელი!..  
და, როცა ბევრგან

ხეს თუ ხის ტოტებს  
ჩეხდნენ ჯერ კიდევ ქვის ნაჯახებით,  
აქ მაშინ

ღაშნის წრთობა იცოდნენ, —  
ქუხდა და ქუხდა გმირთა სახელი...  
აქ ძველად, ძმებო, ხეთების მოდგმა  
რკინის ტაბიკებს უყრიდა უღელს,  
რკინისვე სალტე

ეკეთა ბორბალს,

ღრმა ნაკვალევი რჩებოდათ ურმებს.  
ყანებს გააქონდათ ბარში ღაღანი  
და გუგუნებდნენ მთანი მაღალნი:  
— ფოლადიაო თვით საქართველო,  
ვინ დაღეწოსო,

ვინ გადათელოს...

და დღეს, როდესაც „რუსთავის ფოლადს  
რუსთველის ლექსი მიჰყვება მაყრად“,  
მე მსურს

მთელი ხმით შევძახო მყობადს:

— რა დაერქმევა სამშობლოს ახლა?!

მადლიანია ქართული მიწა,

ბის გულში

რძე დუღს

დასაბამიდან,

თებერვლიდანვე ფარჩეულს იცვამს,

თან დატკბილება იცის ამინდმა...

და ის ამინდი, რამაც ცხოვრებას

არგაგონილი არგუნა ეშხი,

ალბათ დარიალს ემანსოვრება,

როგორ ჩამოდგა თებერვლის თვეში!..



## აღიო მიკსხუღავა

### ხოზის პირად

მოსდევს ტირიფის ტყეს და შამბნარებს,  
თითქოს ტალღებიც მოიმღერიან,  
მთვარე კოლხური ეშხით ნარნარებს,  
წყალში ჩასულა, როგორც ფერია.

ჩამოუქროლებს ნაპირს ნიავი,  
და მიმოფანტავს ნისლის ნაპირებს,  
დაეწაფება წყალს და სიამით  
დაუბერავს და ლერწამს ამღერებს.

ტალღებს დუმილი ერთვის მღელვარე,  
და შიგ ვარსკვლავიც ღელავს, ენთება,  
მარად მღელვარე და მოელვარე  
ჩემი წარსული გამახსენდება.

გამახსენდება წყარო ცინცხალი,  
ჩემი ენგურიც, ჩემი რიონი,  
არ სძინავს ხორგას... და ხობის წყალიც  
ზღვას მიჰყიჟინებს, ვით მაყრიონი.

გასძახის გურფულს და ქარიატას,  
მის ხმაზე ალბად ფხიზლობს ყულევიც,  
ზვირთები — თითქოს ლაშქარია და  
წყალთა ძღვევის ხმა გამოუღვეი.

ჰოი, მდინარეე! რა დიდებული  
მახსოვს ეს ღელვა, ეს თამაშობა,  
ამ ტალღასავით აზვირთებული  
სად წარიტაცე ჩემი ბავშვობა!?

იქნებ, შავი ზღვის ტალღებს ჩაკრული,  
ითხოვდა ხსნას და... შენ აქ არ იყავ,  
იქნებ დასძლია ყრმა დაჩაგრული  
და კლდის ნაპირზე ღელვამ გარიყა!?

არა! ფრთებგაშლით გაღმა გასტოპა,  
 და გამოვიდა გზაზე პირველი,  
 გზაში ფრთებს ისხამს ახალგაზრდობა,  
 გაფრენას განა სწავლობს ფრინველი?

დღეთა ნათელთა შორი ტრფიალით  
 რამდენი ღამე მხნედ გაათია?  
 შემდეგ — ოქტომბრის დროშის ფრიალით  
 შეხვდა თებერვლის წითელ განთიადს.

გულს უხარებდა მზე გამჟვირვალე,  
 წყალთა ელვა და ღელვა მთებისა,  
 მარად ბრწყინვალე მოვლო მწვერვალი,  
 სჰეჰა სიმღერა გამარჯვებისა.

ახლა დაგყურებს თავზე მდუმარი,  
 და განა გული ეწვის იარით?  
 შენი მკვიდრია, განა სტუმარი,  
 შენი მიწა-წყლის თანაზიარი.

მას ახსოვს ზამთრის ჭმუნვა, ვალალი,  
 ხალხს გაზაფხულის მოსვლაც ახარა,  
 შერჩა ბავშვივით გული ალალი,  
 მხოლოდ მას ახლა მოსავს ჭაღარა.







„პირველი დღეები“

ნახატი ჯემალ ლოლუაძის

მედი ბოზიჩაიშვილი

მანანა

7452

მანანამ ფანჯარა გამოაღო. ჩამავალ მზის სხივები შემოიჭრა ოთახში და თან გაზაფხულის სუნთქვა შემოიტანა. მართალია, მისი სურნელი კარგა ხანია ჰაერში იდგა, მაგრამ ნამდვილი გაზაფხული მხოლოდ დღეს იგრძნეს. გუშინ ჯერ კიდევ ციოდა, ერთხანს სუსხიანი ქარიც კი ჰქროდა, ალბათ ზამთარი უკანასკნელად ოხრავდა თავისი ბედისწერის გარდუვალობას.

ფანჯრის ხმაურზე ბელურა ჩიტები აიენის მოაჯირიდან ყივილ-ხივილით აფრინდნენ.

ოთახში მანანა და ათანასე იყვნენ. სამი დღეა მანანა და დავით ხიზანიშვილი ვახტანგ არაბულსა და ათანასე ბეჟაურს შორის ამტყდარ ჩხუბის მიზეზებს ეცნობოდნენ. საქმე იმდენად სერიოზული იყო, რომ გადაწყვიტეს ეს საკითხი კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გაეტანათ. კრება დღეისათვის დაენიშნათ. რაიონიდან ირაკლი გიგაურს ელოდნენ...

მანანამ თვალეზი დახუჭა და სახე მზეს მიუშვირა. მზის სხივები მთელს ტანში შეიჭრა, მცხუნვარე და ალერსიანი.

— გარეთ გავიდეთ. — თქვა მანანამ და მობრუნდა.

ათანასემ დაბალ სკამებს წამოაგლო ხელი. ეზოში გავიდნენ და მზის ქვეშ მოეწყვენენ.

ის იყო საუბარი დაიწყეს, რომ საიდანღაც ჭიამაია მოფრინდა და მანანას ხელის ზურგზე დააჯდა. მანანამ სიხარულისაგან შეჰყვირა. ათანასემ ვერ გაიგო მანანას ყვირილის მიზეზი და გოაცებული შეაჩერდა, სიტყვატ შეუზე გაუწყდა.

მანანამ ჭიამაიაზე მიუთითა, რომელიც მის ხელის ზურგზე ბატონ-პატრონივით დაცოცავდა. დიდხანს შესცქეროდნენ მის მოძრაობას. უცბათ ჭიამაიამ პაწაწინა ფრთები გაშალა და გაფრინდა, გაუჩინარდა.

მანანამ ქეშად გახედა ათანასეს და როდესაც მის ელვარე თვალებს წააწყდა, თვალი მოარიდა.





გაზაფხულის სიო ელამუნებოდა სხეულს, აფორიაქებდა გონებას. ირგვლივ ყველაფერი ხარობდა, ცოცხლებოდა და თვითონაც უნდოდა რაღაც თბილი, ტკბილი სიტყვა ეთქვა ათანასესათვის, რომელიც აგერ, მის გვერდით დამჯდარიყო და ისეთი მოწინააღმდეგეობით შესცქეროდა, თვალბსაც კი არ ახამხამებდა. მაგრამ, რატომღაც, ალერსიანი სიტყვის ნაცვლად, თავისდა უნებურად, მკაცრი გამოუვიდა, სუსხიანი:

— იცი თუ არა, რომ მე შენი საქმიანობა არ მომეწონა.

ყველაფერს ელოდა ათანასე, ასეთ საყვედურს კი არა. ამიტომ თვალები გაოცებისაგან უფრო გაუფართოვდა.

— რას ბრძანებთ!..

მანანას შეეცოდა ვაჟი. არა, სრულიად არ უნდოდა ასე დაეწყო. მაგრამ ათანასემ რომ ოფიციალური კილოთი გასცა პასუხი, გაბრაზდა:

— ტყუილბრალოდ გაქე პარტიის რაიკომის ახალ მდივანთან. შენს თავმჯდომარეს რომ აკრიტიკებ, ერთი შენს თავზე იგემე კრიტიკის სუსხი.

ათანასემ თავი დახარა, მიწას დააკეჭერდა, ჯოხით რაღაც წრე შემოხაზა და ნაღვლიანად ჩაიბუტბუტა:

— ალბათ, ნამდვილად ცუდად ვმუშაობ, რაკი კომკავშირის რაიკომის მდივანი ამას მეუბნება... მასწავლეთ, მიმითითეთ... რა ვიცი, ძალღონეს არ ვიშურებ და...

მანანა ცოტათი შეცბუნდა, კილო გამოიცვალა:

— ვიცი, ძალღონეს არ იშურებ... თავსაც უნდა მოუარო.

ათანასე ისე იყო შეწუხებული, მანანას საუბრის კილოს შეცვლა არ უბრძანებია.

— არაფერი მესმის, პატივცემულო მანანა. ჯერ თქვით, შენი საქმიანობით კმაყოფილი არ ვარო, ახლა კი ჩემზე ზრუნავ?

— ვითომ?... — მკაცრად უპასუხა. — თუმცა რა არის აქ გასაკვირი. ჩვენი ვალია ახალგაზრდებზე ზრუნვა.

ახლა ათანასემ ახედა მანანას, ეს რა ოფიციალურად მელაპარაკებო. ერთ ხანს დუმდა, შემდეგ მტკიცედ მიმართა:

— მაშინ პირდაპირ მითხარით, რა არ მოგწონთ ჩემი?

— შენი?... — გაიმეორა შეკითხვა მანანამ და თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა ათანასე, თითქოს ახლა პირველად ხედავსო. — შენ რა გიჭირს... აი, შენი მუშაობა კი...

— ბრალს მაინც რაში მდებთ?

— ახლავე ავიხსნი... ახლავე ავიხსნი... — ყოყმანობდა მანანა, ჩანდა სიტყვებს ეძებდა. — აი რა... ლექციები კომკავშირელთა შორის ცოტა ჩაგიტარებია.

— თვეში ორი ლექცია განა ცოტაა?

— თვეში ორი ლექცია ცოტა როდია. — უცბად დაეთანხმა მანანა. — მე შინდოდა მეთქვა, ლექციები ბევრი ჩაგიტარებია-მეთქი.

— ხან ცოტა, ხან ბევრი... — თავისთვის ჩაიბუტბუტა ათანასემ. შემდეგ გამბედაობა მოიკრიბა, მანანას პირდაპირ შეხედა და მტკიცედ უთხრა:

— პატივცემულო მანანა, თუ აქ წინასწარი განზრახვით ჩამოხვედით, რათა პირადად მე გამაშავოთ, პირდაპირ მითხარით. თუ ასეა, გეფიცებით, თავის დასაცავად ერთ სიტყვასაც არ დავძრავ.

— კარგი მიხვედრა გცოდნია, — იფეთქა მანანამ. — სწორედ შენს გასა-

შავებლად ჩამოვედი... სწორედ შენი ჯინი მჭირს... იმიტომ რომ... იმიტომ რომ... მძულხარ, მეზიზღები!.. ხომ გაიგე? ერთი ამას დამიხედეთ!.. ჰმ, წინასწარი განზრახვით!.. დამაცადე!..

რამდენადაც მანანა ჯავრობდა, იმდენად ათანასე მშვიდდებოდა. მანანას გაბრაზებაში მან ისეთი რამ დაიჭირა, რომელიც ალერსთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე წყენასთან. მანანამ ლაპარაკი რომ მოათავა, ათანასემ ჩაილულულა:

— ასე იყოს... მე ისედაც ბევრი დარდი მაქვს. დაე, დარდს დარდი მოემატოს.

— დარდი?... — გაინაბა მანანა. — რის გამო?

ახლა ათანასემ შეხედა მანანას. მის თვალებში სხვაგვარი სიტბო შენიშნა. ეს ვაზაფხულის მხეც ისე იღვენთებოდა, ისე ედებოდა სხეულს... მანანას თვალების სიტბომ გააოცა ათანასე, მაგრამ არც ახლა ეყო გამბედაობა. შორეულ, მიუწვდომელ მწვერვალად ეჩვენებოდა ეს გოგონა, ისეთ მწვერვალად, რომლის შესახებ ოცნებასაც ვერ ბედავდა.

— ისე, სხვა რამეა... — აიცილა შეკითხვა. — მეც აღამიანი ვარ!

მანანა მიხვდა, ათანასემ ვერც ახლა გაბედა გულის გადაშლა, ამიტომ თვალებში ცეცხლი ჩაუქრა და სახეზე კვლავ დიმილმა გადაურბინა.

— დამიხედეთ აღამიანს!.. რომელიმე გოგონამ ხომ არ მიგატოვა, ამხანაგო აღამიანო! ის ხომ არ არის, პარტიის რაიკომის მდიენის მისაღებ ოთახში შთაბეჭდილებებს რომ გიზიარებდა? არა?... მაშინ, თუ კომკავშირელია, მისი ვინაობა მითხარი, მას ჩვენც იოლად გავუსწორდებით, ხოლო, თუ პარტიულია, ბოდიში, პარტიულთა საქმიანობაში კომკავშირი ვერ ჩაერევა!..

გზიდან ხმაური შემოესმათ. კოლმეურნეობის საერთო კრების დაწყებამდე დიდი დრო არ იყო დარჩენილი. კოლმეურნეები თავს იყრიდნენ. შორს, შარაგზაზე, რაიკომის პირველი მდიენის ვილისიც გამოჩნდა.

ვახტანგი ეზოში რომ შევიდა, ფეხებზე მურიამ მოუალერსა. სხვა დროს აუცილებლად თავზე ხელს გადაუსვამდა, მოეფერებოდა, ახლა კი არ დაინდო.

— წადი, შე მამაძაღლო!.. — შეუკუთხა და წიხლი ჰკრა. მურიამ აწყვეწყავდა, ტანი აითრია და პატრონს გაშორდა.

ვახტანგმა სულმოუთქმელად კბეები აირბინა, ოთახში ფეხი შედგა თუ არა, მაგიდაზე თუნგს ხელი წაავლო, მიიყუდა, მაგრამ იმ წამსვე პირიდან მოიშორა. თუნგი ისე დაახეთქა მაგიდას, კინაღამ გატეხა და გაბრაზებულმა კბილებში გასცრა:

— ამ თუნგში, ალბათ, შარშანდელს აქეთ წყალი არ ჩასხმულა!

ოთახში ვახტანგის ცოლი ლენა ხელსაქმობდა. არაფერი უთხრა, იცოდა მისი ხასიათი, როდესაც გაბრაზებული იყო, უბრალო შეპასუხებასაც ვერ იტანდა.

ვახტანგი ერთ ხანს ქშენით წინ და უკან დადიოდა ოთახში. ხან სკამს წამოსდო ფეხი, კინაღამ მაგიდაც კი გადააყიარავა.

ლენამ ვერ მოითმინა, გააფრთხილა:

— ჩუმად, ბავშვებს სძინავთ...

— რა აძინებთ!.. — იქუხა ვახტანგმა, მაგრამ ჩქარა მიხვდა, რომ გადაეჭარბა. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და ცოლს შეუტია:



— დედაცო, მწყურია, ხახა გამიშრა!..

ლენა უხმოდ წამოდგა, თუნგს ხელი დაავლო და გარეთ გავიდა.

ვახტანგმა კვლავ განაგრძო ოთახში სიარული, შემდეგ ტახტზე ჩამოჯდა, მუხლებზე მუთაქა დაიდო, იდაყვებით დაებჯინა. მზერა ერთ ადგილს მიაქლო. გონებაში დღევანდელი დღის განცდილმა ამბავმა გაუელვა და ამოი-  
ოხრა:

— ჰაი, დედასა!..

არა, არ ეგონა, ვერ წარმოიდგენდა, თუ ასე მოექცეოდნენ.

ჯერ იყო და ორი დღე მის საქმეებს ქეჭვდნენ, ათანასე ბეჭაურთან დამოკიდებულების მიზეზებს არკვევდნენ. შემდეგ მისი საკითხი კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გაიტანეს და იქიდან დაიწყო...

კრებას ირაკლი გიგაურიც დაესწრო.

არასოდეს მოუსმენია ვახტანგს ასეთი რამ. წინათაც ყოფილა მის წინააღმდეგ შეტევები, მაგრამ მაშინვე აულაგმავს მოკამათენი, ნება არ მიუცია ბოლომდე ეთქვათ სათქმელი. როგორც კი მასზე დაიწყებდნენ ლაპარაკს, რეპლიკებით დააბნევდა, შეაჩერებდა, არ აცლიდა სიტყვის დამთავრებას... დღესაც ერთი-ორჯერ ჩააჩუმა, მაგრამ მეტის უფლება ირაკლიმ არ მისცა. რა ექნა, სახალხოდ მოერიდა რაიკომის მდივნისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

ასეა, მოხსნეს გუდას თავი... ირაკლიმ კი ერთი სიტყვაც არ დასძრა ვახტანგის დასაცავად. იმ დღეს ლილი და ირაკლი ერთმანეთს რომ დააშორა, იმის გამო ხომ არ იყო გულმოსული? გულმოსასვლელი ვახტანგს ჰქონდა. ახლაც, მათთან შეხვედრა რომ გაახსენდებოდა, ბოღმა ყელში ებჯინებოდა. არ უნდა ეკადრებინა ლილის დამართოხელება. ქალი სუსტი ნებისყოფისაა, ვაჟკაცმა თავად უნდა შესძლოს სურვილის დაოკება... ირაკლი კი შუა გზაზე, ვახტანგის დასთან, ალექსანდრეს ცოლთან...

მეგობარიც ამას ჰქვია!..

თითქოს ნემსებზე ზისო, ისე იჯდა კრებაზე.

ბოლოს ველარ გაუძლო, კრება მიატოვა. ერთ ხანს ცხენს დააქენებდა აღმა-დაღმა. შემდეგ შინისაკენ გამოეშურა. ერთი სული ჰქონდა კრების ამბავი გაეგო, რა უქნეს, მოხსნეს თუ საყვედური აკმარეს, მაგრამ თავმოყვარობამ ნება არ მისცა დაბრუნებულიყო.

წარმოუდგენია, რა იქნებოდა მის შემდეგ. პირში ყველაფრის თქმას ასე თუ ისე ერიდებოდნენ და წასულს რომ დაიგულებდნენ, ტყუილსა და მართალს, ალბათ, ერთმანეთში აურევდნენ.

— ჰაი, დედასა!..

ცოლმა თუნგით წყალი შემოიტანა. ვახტანგმა მიიყუდა. წყალი ნიკაპზე ჩამოეწვეთა და გულზე დაელეარა. ესიამოვნა, გააგრილა.

ლენამ მალულად გადახედა. ბოლოს მაინც გაბედა და შეეკითხა:

— კრება გათავდა?

ვახტანგმა არაფერი უპასუხა. წყალს კიდევ მიეძალა.

უცბათ ეზოში ძალლი აყვდდა და ჭიშკარს ეცა. ვახტანგმა მიაყურადა. ძალლი არ ცხრებოდა.

— მასპინძლო! — გაისმა სიბნელეში.

— დედაცო, — მიმართა ვახტანგმა ლენას. — მიხედ!

ლენა გავიდა. ძალლის გაშმაგებული ყეფა შეწყდა. ცოტა ხნის შემდეგ კიბეზე ფეხის ხმა გაისმა.

ოთახში ირაკლი შემოვიდა. მზერა ვახტანგს დაადგა და ხუმრობით მიმართა:

— სტუმარს თუ მიიღებ?

ვახტანგი დაიბნა, ისე დაიბნა, არ იცოდა, როგორ მიგებებოდა. ჩანდა, ირაკლის მოსვლას გაეხარებინა. უნდოდა ეს სიხარული დაეფარა და გულგრილი ყოფილიყო, მაგრამ ვერ შეძლო. თვალემა გასცეს, ისე ციმციმებდნენ. ცოლს უსიტყვოდ რაღაც ანიშნა, ლენა მიუხვდა სათქმელს.

ირაკლი შუა ოთახში იდგა.

— დალოცვილო, — მიმართა ვახტანგს, — ჩემზე თუ გაბრაზებული ხარ, იყავი, მაგრამ შენი მეუღლე მაინც გამაცანი.

— გაიცანი, — წაილულულა ვახტანგმა.

ირაკლის გაეღიმა. ქალს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა:

— ირაკლი გიგაური ვარ, აი ამ დათვის სიყრმის ერთგული მეგობარი.

— ერთგულიც! — ჩაიღუღუნა ვახტანგმა.

ლენამ ახლა კი მწყრალად შეხვდა ვახტანგს. შემდეგ ღიმილით ირაკლი-ხთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და სკამი მიაწოდა.

— ძალიან, ძალიან სასიამოვნოა. ვახტანგისაგან თქვენზე ზევით რამ მსმენია. დაბრძანდით.

ირაკლი სკამზე ჩამოჯდა. ლენა შეუმჩნევლად გავიდა ოთახიდან. ვახტანგმა ოთახში ბოლთას ცემა დაიწყო. ერთი კითხვა არ ასვენებდა, უნდოდა გავეგო კრების ამბავი, მაგრამ ჩუმად იყო. პირველი ხმას ვერ ამოიღებდა. ირაკლიც ჩუმად იჯდა და ისე შესცქეროდა ვახტანგის შფოთვის. ცოტა ხანს ასე იყვნენ. უცბათ ირაკლიმ გამომწვევად მიმართა:

— არ გეტყვი... ხომ ძალიან გაინტერესებს... მაინც არ გეტყვი! ღირსი არა ხარ ამისა.

— მეგობარი! — ღვარძლიანად წამოიძახა ვახტანგმა.

— ჰო, მეგობარი. — მშვიდად უპასუხა ირაკლიმ.

— მერე, იქაც მეგობრულად ათქმეინე ხალხს ჩემზე ძვირი?

— ეს უკვე ჩემი ბრალი არ არის. ხალხმა ისა თქვა, რაც გულში აქვს.

— ჩვენს, როგორც ჩანს, სხვადასხვაგვარად გვესმის მეგობრობა.

— საქმეც ესაა, — შეეკამათა ირაკლი. — ყური დამიგდე, მე შინდა ყველაფერი სწორად გამიგო. ხომ იცი, ძმაზე ნაკლებ არ მიყვარხარ...

— მომხსნეს? — აღმოხდა ვახტანგს.

— მაინც არ გეტყვი. ჯერ ბოლომდე მომისმინე.

ირაკლი წამოდგა. ისინი შუა ოთახში იდგნენ. ვახტანგს თავი ჩაექინდრა, ხელი სკამის ზურგისათვის ჩაეჭიდა და აწვალებდა, თითქოს მოზღვავებულ ბოლმას მასზე ანთხევსო.

— შენ პატიოსანი კაცი ხარ, — დაიწყო კვლავ ირაკლიმ. — საქმეც გიყვარს, ენერგიაც ბევრი გაქვს, მოქარბებული...

— მაგრამ... — ჩაუბრუნა ვახტანგმა სიტყვა.

— დამაცადე! — შეაჩერა ირაკლიმ. — ჩემზე უკეთ ვინ გიცნობს, ერთად ვართ გაზრდილები. ათი ფუთი მარილი ერთად გვიკამია, მაგრამ...

— საქმეც ესაა.

— საქმეც ესაა, — გაიმეორა ირაკლიმ, — რომ აქ, შენს წინააღმდეგ ხალხი აგიმხედრებია. ათანასე ბეჭურთან მართალი არა ხარ. ეს რა დამოკიდებულებაა... მერე კიდევ, ვინ მოგცა იმის უფლება, კოლმეურნეებს არაფერი დაუჯერო და ყველაფერი მხოლოდ შენი ჭკუით აკეთო?



ვახტანგი აენტო.

— ვინ მომცა? — დაიქუხა. — ვინ მომცა?.. შემომხედე! — შემდეგ ერთი ხელის მოქნევით გულმკერდი გადაიღელა და ირაკლის ყუმბარის ნამსხვრევებისაგან დაჩეხილი ტანი აჩვენა. — შეხედე, ამას შეხედე! ეს ომის ნაკვალევია... მე მათ გამარჯვება მოვუტანე... ახლაც მოვუტან...

ირაკლიმ სცადა შეეჩერებინა.

— ნუ ჰყვირი, მშვიდად ილაპარაკე.

მაგრამ ვახტანგს რა გააჩერებდა.

— და შენ, შენ, ირაკლი, მათ ემხრობი?.. ჩვენს მეგობრობას არარად აგდებ?.. ჰაი, დედასა!..

ირაკლი მიუახლოვდა. ორივე ხელი მხრებზე ძლიერად ჩასჭიდა და პირდაპირ თვალებში ჩახედა.

— გაჩუმდი, ვახტანგ!.. ხომ იცი, ერთმანეთისთვის რანი ვართ?.. მაშასადამე, ორმაგად მოგთხოვ პასუხს. ამის უფლებას ჩვენი წარსული მაძლევს. მე აქ პარტიამ გამომგზავნა, ჩვენს რაიონში ყველაფერი რიგზე როდია. რაიონის წესრიგში მოყვანა კი შენგან უნდა დაეიწყოს.

ვახტანგმა ირაკლის ხელიდან თავი განითავისუფლა და გამომწვევად მიმართა:

— ხომ დაიწყე... ხომ მომხსენი, ახლა, ალბათ, მთელს რაიონში დამამუშავებთ.

— ჩემი სათქმელი გითხარი. ახლა კრების ამბავსაც გეტყვი. არც ისე ცუდადაა საქმე. მართალი გითხრა, უარესს მოველოდი.

ვახტანგი გაინაბა.

— დაგტოვეს თავმჯდომარედ.

ვახტანგმა სიხარულისაგან კინალამ შეჰყვირა, მაგრამ შესძლო დროზე თავის შეკავება.

— მაგრამ მოადგილედ ათანასე ბექაური დაგიყენეს. ამით გამოსაცდელი ვადა დაგინიშნეს. ალბათ იციან შენი ხასიათი. მიხვდები შენს დანაშაულს, აიტან შენს გვერდით ბექაურს, შესძლებ მასთან მუშაობას, კარგი, თუ არა და...

— თუ არა და?..

— რა გითხრა, ეს მომავლის საქმეა. ახლა კი ეს გაღელვებული მკერდი შეიკერი და შენი შეილები მაჩვენე. ალბათ სძინავთ. შორიდან მაინც...

ვახტანგი ფიქრებში იყო წასული. განთავისუფლებას მოელოდა, მოხსნას მოელოდა, მაგრამ ასეთ რამეს კი არა. როგორ, ის ღლაპი დაუნიშნეს მოადგილედ, მის მარჯვენა ხელად!?! ჯერ გამგეობის წევრი არ იყო და ასე აამტუტა ყველაფერი, ახლა კი რას იზამს, თითქმის თავმჯდომარე რომ გახდებ! და ყველაფერი ეს უნდა ითმინოს ვახტანგ არაბულმა!

— მოთმინება ცოტაა, აქედან დასკვნებიც უნდა გამოიტანო! — მოესმა ირაკლის ხმა.

შეკრთა. ნუთუ გულში ნაფიქრი ხმამალა თქვა? დიდხანს უყურა ირაკლის. უტბად გაახსენდა, რომ მასპინძელი იყო, თავს ძალა დაატანა, გაიღიმა. მაგრამ ღიმილიც ნაძალადევი გამოუვიდა.

— მოვრჩეთ, — მტკიცედ თქვა. — წამოდი, ჩემს ბარტყებს გიჩვენებ.

— დედა სად არის?

— მეზობელ სოფელშია. მაგრამ არა უშავს რა, ჩვენც დავხვდებით.

ვახტანგმა სანათური გამოიტანა.

ბავშვებს გვერდით ოთახში ეძინათ. ბიჭები ერთად იწვნენ. პატარა გოგონას საბანი ჩამოცურებოდა, პერანგი აწეოდა. ვახტანგმა სანათური მაგიდაზე დასდო და გოგონას საბანი დაახურა.

კვლავ წინა ოთახში გამოვიდნენ. მხოლოდ ახლა ეოცა ვახტანგს ირაკლის მარტო მოსვლა.

— როგორ მომაგენი?

— ბექაურმა მომიყვანა. კრების შემდეგ დაგვანაწილეს. დავითი თქვენმა პარტორგანიზაციის მდივანმა წაიყვანა.

— კაიშაურმა?

— ჰო, კაიშაურმა. ბექაურმა — ჩვენი მანანა. ბეერს მეზვეწნენ, მაგრამ მე აქეთ გამოვწიე. ვიცოდი, შეგაწუხებდი, თუმცა შენს უნახავად არ მინდოდა წამოსვლა.

— ეხ, — ჩაიღუღუნა ვახტანგმა. — შენი მოსვლის გამო აქ ჭერი უნდა ახდილიყო.

— შენ ჭკვიანად იყავი და ჭერის ახდასაც მოვასწრებთ. ახლა კი გამოგემშვიდობები.

ამ დროს ლენა შემოვიდა სანოვავით ხელში. ვახტანგი ირაკლის წინ გადაუდგა.

— შენ რაო. დღეს მეორედ გინდა მაწყენინო? ერთი ღმერთმა შეგარჩინოს, მეორეს კი არ გააბტიებ. როგორ, ჩემგან ისე გინდა წახვიდე, ოჯახი არ უნდა დამილოცო?!

ირაკლის გაეღიმა. მეტი რა გზა იყო, უნდა დარჩენილიყო.

ცოტათი შეზარხოშებულნი იყვნენ, როცა წამოდგნენ. სუფრაზე ვახტანგს ისე ეჭირა თავი, როგორც მასპინძელს შეშვენის. ჭიშკართან კი, დაემშვიდობა თუ არა ირაკლის, ერთ ხანს მისი ხელი ხელში შეაჩერა და ჩუმად უთხრა:

— უფლება ხომ მაქვს არც კრებისა და არც რაიკომის მდივნის აზრი არ გავიზიარო? ესეც იცოდე, მე ლილისთან დამოკიდებულებების გამოც გადანაშაულებს!..

უთხრა და სასწრაფოდ გაბრუნდა. ირაკლის მოესმა, ვახტანგმა ზურგს უკან რომ ამოიგმინა:

— ჰაი, დედასა!

მანანა და ათანასე ნელა მიჰყვებოდნენ შარაგზას. ირგვლივ ბნელოდა. ცაზე არც ერთი ვარსკვლავი არ ჩანდა, ნისლი ეხვია სოფელს, სქელი ნისლი. ათანასე კრებაზე განცდილ მღელვარებისაგან ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო. როგორ, სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი აგროტექნიკოსი მათი კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს! შესძლებს კი დაკისრებული საქმის გაძლოას? არ გაუჭირდება, არ შეუშინდება, არ წაიფორხილებს?

ფიქრებს გაჰყვა და ნელა ჩაილაპარაკა, თითქოს თავის თავს ესაუბრებო:

— ასეთ რამეს არ მოველოდი!

— ხომ იცი, — უპასუხა მანანამ, — მოულოდნელი სიხარული ათჯერ უკეთესია ჩვეულებრივზე.

— არა, მანანა, — სერიოზულად განაგრძო ათანასემ. — დღევანდელი





დღის ამბავი უფრო სხვაა, ვიდრე უბრალო სიხარული. მართალი გითხვით, ერთი მხრივ საამაყო ასეთი ნდობა, მაგრამ... — არ დამთავრა ათანასემ სათქმელი.

— მაგრამ რა? — შეეკითხა მანანა.

— მეშინია, — გულწრფელად თქვა ათანასემ.

მანანამ ჩაიცინა:

— მე მეგონა, აქაური გოგონების გმირი იყავი, შენ კი კურდღლის გული გქონია.

— არა, მე კი არ ვხუმრობ. შიში იმისა მაქვს, თუ როგორ შევძლებთ არაბული და მე ერთად მუშაობას, თორემ, სხვა მხრივ, შიშისა რა მცოდნია!

— არც დათვისა გეშინია?

— დათვისა? — დაიბნა ათანასე.

— ჰო, ბაჯბაჯა, ბანჯგვლიანი დათვისა.

სიბნელეში მანანას სიცილი გაისმა. ეს გულიანი სიცილი იყო, დაცივნებას ულაც არ გავდა.

ათანასე გონს მოვიდა. მანანასკენ გაიხედა, მაგრამ მისი ლანდის გარდა ვერაფერი დაინახა. ქალიშვილის გამკილავ თვალებს რომ არ წააწყდა, წათამამდა, თუმცა აღეღვება მაინც ვერ დაიოცა:

— დათვი ვერ შემაშინებს ისე, როგორც ერთმა ქალიშვილმა შემაშინა...

ათანასე პასუხს ელოდა. მანანა სდუმდა, რადგან იგრძნო, რომ სწორედ ახლა, ამ წუთს უნდა გადაწყვეტილიყო მათ შორის ყველაფერი.

მოულოდნელად მათი ხელები ერთმანეთს შეეხო. შეიძლება ათანასე ეძებდა მათ სიბნელეში, ეგებ მანანაც ელოდა. ამ შეხებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ წამით ორივე გაინახა.

ბოლოს მაინც მანანამ ამოიღო ხმა ჩურჩულით, მაგრამ ამ ჩურჩულმაც კი გააოცა ორივე. არც ხმა ჰგავდა მანანას ხმას და არც ჩურჩული ჰგავდა ჩურჩულს:

— ვინ ქალიშვილია?

ათანასეს გადააეიწყა ადრე თქმული. შეკითხვას ვერ მიუხედა, მაგრამ ასეთ ღროს არც ღუმილი შეიძლებოდა. მისი სიტყვები გულის სიღრმიდან წამოვიდა.

— შაბატიე, მანანა... უკვე აღარ... ძალა აღარ მყოფნის... რა გქნა, შენი ჭირიმე... დღეა, შენზე ვფიქრობ, ღამეა, შენ მეღანდები... ნუ გამიწყრები... დაე, ამ ღამემ ან უბედურება მომიტანოს...

ათანასეს ხმა ჩაუწყდა, ვეღარ შეძლო დაწყებული აღსარების დამთავრება. მანანა მიეშველა:

— რატომ უბედურება!

— მანანა!

ამ ერთ სიტყვაში ყველაფერი თქვა ათანასემ. თქვა თუ როგორ უყვარდა თავდავიწყებამდე ეს გოგონა, რომლის ხელიც ასე თრთის მის ხელში, თუ როგორ ოცნებად მიაჩნდა იგი, მიუღწეველ და შორეულ ოცნებად, მაგრამ ყველაზე ახლობელ და ძვირფას არსებად.

რა ქნას, ერთი ტლუ ბიჭია, ღამაში სიტყვის თქმა არ ეხერხება, არც გოგონას დალაპარაკებია ასე მარტოკას და ახლა თვითონაც უკვირდა, სად ჰქონ-



და ის პატარა გამბედაობაც კი, რომელიც გამოამყვანა... უცებ მანანამ ქვა  
ფეხი წამოჰკრა, წაბარბაცდა, ინსტინქტურად გადაიხარა ვაჟისკენ, ათანასეს ქა-  
ლიშვილის სხეულის სითბომ ერთუანტელივით დაურბინა ტანში, გაუბედავად  
შემოხვია მკლავი.

პირველად მანანა მოვიდა გონს და რატომღაც ატირდა, ჩუმად აქვითინდა.  
ამან სულ დააბნია ათანასე.

— სტირი? — ხმის კანკალით უთხრა. — რატომ?.. ნუთუ!..

— არაფერია, — ტირილით უპასუხა მანანამ. — ეს ისე... კი არ მეტირე-  
ბა... მაინც ვტირი... ალბათ ბედნიერებისაგან... წავიდეთ.

რატომღაც ფეხი აუჩქარეს, თითქოს ვილაცას გაურბოდნენ. დიდი ბედნი-  
ერებისა თუ შეეშინდათ.

— შინ... — ალაპარაკდა ათანასე. — ჩემებს გავაცნობ შენს თავს, რო-  
გორც... ა, რას იტყვი, მანანა?

— არა, ჯერ არა, — უპასუხა. — დამაცადე, მოვინელო ყველაფერი. მო-  
ულოდნელი იყო... თურმე არც ისეთი გაუბედავი და შშიშარა ყოფილხარ...

— დაცინვას კი უნდა გადაგჩვიო, — უკვე თამამად უთხრა ათანასემ. —  
შენმა ორაზროვანმა ლაპარაკმა ბოლო მომიღო.

— საწყალი!

— აი, ჩემი სახლიც!

ათანასემ ჭიშკარი გამოაღო.

— დამაცადე, — დაფაცურდა მანანა. თმები შეისწორა, თვალზე ცრემლი  
შეიმშრალა. ერთ ხანს კიდევ იდგა ჭიშკართან. შემდეგ ჩუმად ჩაილაპა-  
რაკა:

— ვაიშე, დედა, რა ძნელია!..

## 21

მზიანი დარები დაიჭირა. მართალია, სიმინდის თესვა გვეგმით რაიონს გვიან  
უნდა დაეწყო, მაგრამ განა შეიძლებოდა ასეთი ხელსაყრელი ამინდების ხელი-  
დან გაშვება?

ირაკლიმ კოლმეურნეთა ხელმძღვანელების თათბირი მოიწვია. ცენტრა-  
ლური გაზეთი ჯერ არც ერთ მთიანი რაიონიდან არ ბეჭდავდა ცნობებს თესვის  
მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ კოლმეურნეთა თავმჯდომარეების წინაშე  
ირაკლიმ სწორედ მასიურად სიმინდის თესვის აუცილებლობის საკითხი დასვა.

ამ წინადადებას ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ალექსანდრე გომართელმა  
გაუწვია. ირაკლის შემჩნეული ჰქონდა, მათი გულახდილი საუბრის შემდეგ ალექ-  
სანდრე მუდამ მის მიერ წამოყენებულ წინადადებას დაუპირისპირდებოდა  
ხოლომე, ან არადა განზე გადგებოდა. ზოგჯერ სხვების საშუალებით ცდი-  
ლობდა ირაკლის რაიმე ახალი მოსაზრების გაბათილებას.

საგაზაფხულო თესვის დაწყების საწინააღმდეგოდ ალექსანდრემ თქვა,  
ცენტრიდან ჯერ დირექტივა არ მიგვიღიაო. რა ვიციო, ჯერ კიდევ რა  
ამინდები დადგება, დაველოდოთ, ნუ ვიჩქარებთ, დროს ნულარ გადავხ-  
ტებით, შემდეგ სანანებელი არ შეგვექნეს ასეთი სულწასულობაო.



გომართელს ვახტანგ არაბულიც მიემხრო. ვახტანგიც ჩამოშორდა ირაკლის მასთან შეხვედრას გაურბოდა. რაიონში თუ გამოუძახებდნენ, თავის შვილებს ათანასე ბექაურს აგზავნიდა. დღეს პირველად ჩამოვიდა და მაშინვე ირაკლის წინადადების წინააღმდეგი წავიდა.

მაგრამ უმრავლესობამ ირაკლის დაუჭირა მხარი. თათბირმა, მცირე მოწინააღმდეგეთა გამოკლებით, მიიღო გადაწყვეტილება — მეორე დღესვე შედგომოდნენ სიმინდის თესვას.

თათბირის დამთავრებისთანავე გაემართნენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეები თავიანთ სოფლებში. ირაკლიმ ვახტანგის წერილი მისწერა: „ღამიცადე, შენთან საქმე მაქვსო“, მაგრამ ვახტანგმა შეუთვალა: „შენი დავალების შესასრულებლად მივდივარ. ხვალდან თესვა თუ არ დაიწყე, იტყვი, წინააღმდეგი იყო და ამიტომ დადგენილებას არ ასრულებსო...“

სამი დღე დარი არ შეცვლილა. თბილისიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური მოწერილობა მოვიდა, იუწყებოდნენ, მთიან რაიონში აღრეა სიმინდის თესვის დაწყება და თუ თქვენსას არ იშლით, პასუხიც თქვენ აგეთო. მიწერილობას სამინისტროს განყოფილების გამგეც დაადევნეს. განყოფილების გამგე გომართელის ნაცნობი აღმოჩნდა. ისიც ან გომართელის მანქანით დადიოდა კოლმეურნეობიდან კოლმეურნეობაში, ან გომართელის ბინაზე ისვენებდა.

მეოთხე დღეს დილით-ირაკლიმ ცენტრში პირველი ცნობა გაავრცენა სიმინდის თესვის პროცენტული მაჩვენებლებით, შუაღლით კი დასავლეთიდან შავი ღრუბელი შეუმჩნევლად შეეპარა ზეცას.

სალამო ხანს უცბად ისეთი კოკისპირული წვიმა დაუშვა, ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლისას მთლიანად გაილუმპებოდა კაცი.

და აი, მესამე დღეა ისევე კოკისპირულად წვიმს, როგორც პირველ დამეს. მესამე დღეა ერთი საათითაც არ გაფანტულა მიწამდე ჩამოწოლილი ღრუბელი, ერთი საათითაც არ შეწყვეტილა ღვართქაფი.

ირაკლი ჩუმად შემოვიდოდა რაიკომში. თვალს ვერავის უსწორებდა. კაბინეტში ჩაიკეტებოდა. საქმისათვის იმ დღეებში არავინ აწუხებდა, ვის ჰქონდა ამ თავსხმაში სიარულის თავი.

პირველი სამი დღის თესვის მიმდინარეობის ცნობა დაბეჭდა ცენტრალურმა გაზეთმა, მაგრამ შემდეგ იმ პირველი ცნობის პროცენტები გაიყინა, წინ არ წასულა.

საოცარია, რაღა ახლა გადაირია ეს ამინდი! ასეთ დროს ღრმა მოხუცებსაც კი არ ახსოვთ განუწყვეტელი წვიმა.

დღესვე დილიდანვე კარგს არაფერს უქაღდა წვიმა გარემოს. წუხელის მდინარეები კალაპოტიდან ამოვარდნილიყვნენ. ზოგან შარავნები წაელეკათ, ზოგან სახლებსა და კარ-მიდამოს ემუქრებოდნენ...

ირაკლი უხმოდ შევიდა თავის კაბინეტში. საღაც გაივლიდა, იატაკზე მისი რეზინის ჩექმებიდან გამონაყონი წყლის გუბეები დგებოდა. საწვიმარი მოიხადა. კუთხეში მდგარ სკამზე გადაკიდა და თვითონ ფანჯარასთან მივიდა:

— ო, როგორ წვიმს!..

ცა სულ არ ჩანდა. საერთოდ არაფერი ჩანდა. ციოდა, ყველაფერი ნესტი იყო გაელენთილი. ნესტი ყოველი ჭუჭრუტანიდან მოიპარებოდა.

— ნუთუ მართალი იყო ალექსანდრე გომართელი?! ან ის განყოფილების გამგე?! ან სამინისტრო?! ნუთუ ირაკლიმ იჩქარა და შეცდომა დაუშვა?!  
 26

ამ ფიქრში რომ იყო, მაყვალა შემოვიდა და უთხრა:

— თქვენთან მერი ბიბილურია, გომართელის სიდედრი.

სწორედ ლილის დედა აკლდა ამ გულშემაწუხებელ სურათს. ამ თავსხმაში ნეტავი რამ მოიყვანა!

— მობრძანდეს!.. — უთხრა მაყვალას, ფანჯარას მოშორდა და ბიბილურის ქალს შუა ოთახში დაელოდა.

მერის ქოლგა და საწვიმარი მისაღებ ოთახში დაეტოვებინა. ბოტებიც იქვე გაეხადა, ისე, რომ ოთახში სრულიად მშრალი შემოვიდა.

ერთმანეთს მიესალმნენ.

მერი წინათ ორჯერ იყო მასთან, ვიღაცეების საპროტექციოდ მოვიდა. ორივეჯერ ცივად გაისტუმრა, თან აგრძნობინა, რომ მისი ნახვა არ სიამოვნებდა. ეგონა თავი დამანებაო. ის კი არა, ამ თავსხმასაც არ მორიდებია, ნეტავი რა უნდა?

ირაკლიმ მერი მაგიდასთან მიიპატიჟა. ორივენი დასხდნენ.

ერთ ხანს ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. შხაპუნა წვიმის შხუილი არღვევდა მყურდობას. წვიმის ხმაურმა კედლის საათის მონოტონური წიქწიკიც კი დაფარა.

მერის ლაპარაკის დაწყება უჭირდა, ბექლებით მორთულ თითებს მაგიდაზე ნერვიულად ათამაშებდა. ირაკლი ხმას არ იღებდა, იჯდა და ელოდა. არც ცდილობდა ქალი უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა. თვითონ მოვიდა, თვითონვე შეძლოს დახლართული ძაფის გახსნა.

მერიმ ერთ ხანს იცადა, შემდეგ თითების მოძრაობა შეაჩერა, ჩაახველა და დაიწყო:

— აი, რა, ირაკლი... ალბათ ძალიან გიკვირთ, თქვენთან რომ მხედავთ... უკანასკნელად ისე გამისტუმრეთ, თავმოყვარე ქალი მეორედ არ მოვიდოდა... ნუ უარობთ...

ირაკლი არც აპირებდა უარის თქმას, არც იმის დამალვას ცდილობდა, რომ მისი მოსვლით მართლაც გაკვირვებული იყო. თვალი ოდნავ მოექუჭტა და ისე უსმენდა. შეიძლება ისე ვერ უსმენდა, როგორც საჭირო იყო, რადგან მისი გულისხური სულ სხვა რამისკენ იყო მიმართული და მისთვის ამჟამად თვითეული წვეთი წვიმა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ამ დედაკაცთან საუბარი.

— დიახ, იმას ვამბობდი, ძნელი იყო ჩემთვის აქ მოსვლა... რაკი ამოდენა ქალი მოვედი და ისიც ასეთ ამინდში, მაშასადამე, საქმე მეტად სერიოზულია... ირაკლიმ არც ახლა გასცა ხმა. მერიმ გაკვირვებით შეხედა, ეს კაცი რამ დაამუნჯაო. შეხედა, მაგრამ ირაკლის თვალები ფანჯარაში იცქირებოდნენ.

— მე დღეს მივდივარ აქედან, სამუდამოდ მივდივარ და სანამ წავიდოდე, არ შეიძლებოდა არ მენახეთ...

— გარეთ კი როგორ წვიმს!.. — უპასუხა ირაკლიმ.

„რა შუაშია აქ წვიმა?“ — გაიფიქრა მერიმ და საყვედურით მიმართა:

— თქვენ მე არ მისმენთ...

ირაკლი მიხედა, რომ რაღაც არასწორად უპასუხა, ამიტომ, თითქოს ბოდიშობსო, ისე ჩილაპარაკა:

— დიახ, დიახ, გისმენთ... რითი შემიძლია გემსახუროთ...

მერიმ ისიც შეამჩნია, რომ ირაკლი ცუდად შეხედა, მაგრამ რადგან მოვიდა და დაიწყო, ბარემ დაამთავრებს და ისე წავა. თავის სათქმელს ეტყვის ამ ყმაწვილ კაცს და შემდეგ დატოვებს ამ დაწყევლილ რაიონს.



— მე ამ თავსხმაში სერიოზული საქმის გარდა არაფერი მომიყვანდა, — დაიწყო მტკიცედ მერიმ. — მე მინდა გავბედო და ერთი შეკითხვა მოგცეთ, გულწრფელად, დედაშვილურად.

— ბრძანეთ...

— ერთი რამ მაინტერესებს. არ გეგონოთ, აქ ვინმეს დავალებითა ვარ მოსული. შინ რომ გამიგონ, კარგ დღეს არ დამაყრიან. თუმცა ახლა ჩემთვის სულერთია ყველაფერი. დღეს ჩემი ქალიშვილის ოჯახს სამუდამოდ ვტოვებ.

მერი შეჩერდა. სანუგეშო სიტყვას ელოდა. ირაკლი კვლავინდებურად დუმდა. მერი ასეთი უყურადღებობის გამო გაბრაზდა, ამიტომ ნათქვამიც დეარძლიანი გამოუვიდა:

— მითხარით, რას ერჩით, რად ებრძვით და მოსვენებას არ აძლევთ ჩემს სიძეს, რაიკომის მეორე მდივანს ალექსანდრე გომართელს?

ირაკლიმ ყურადღება დაძაბა. აი, თურმე რისთვის მოსულა. მაგრამ თავის გულისწკრომის შეკავება შესძლო და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— მე არ მესმის თქვენი შეკითხვა, — გულში კი გაიფიქრა, ვახტანგმა ხომ არაფერი უთხრა თავის დეიდასო.

— არ გესმით! — გესლიანად განაგრძო მერიმ. — მაშინ მე გეტყვით. თქვენ, ყმაწვილო, შურს ხომ არ იძიებთ? დამერწმუნეთ, ამ შემთხვევაში ჩემი სიძე სრულიად უდანაშაულოა.

ირაკლი წამოდგა. მერის ლაპარაკი არ შეუწყვეტია:

— გირჩევთ ჭკუით მოიქცეთ, ნუ გადააქარბებთ თქვენს უფლებებს, თორემ, მე მგონია, არ გამიჭირდება სადაც ჯერ არს ყველაფერი გავაგებინო და პირადი ინტერესით ადამიანის დაჩაგვრას არ ვაპატიებენ, ყმაწვილო!..

ირაკლი სიბრაზისგან გაფითრდა. ბოღმა ყელში მოაწვა და ლაპარაკის საშუალება წაერთვა. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ირაკლი ტელეფონს მივარდა, თითქოს მისგან შველას ელისო.

ტელეფონთან მტს-ის დირექტორი გელა გოგოჭური იყო. პირველად ვერც კი გაიგო, რას ელაპარაკებოდა. სიბრაზისაგან ყურთასმენაც დახშოდა. ორჯერ გაამეორებინა ნათქვამი. სახე თანდათან გაუნათდა. გარეთ გაიხედა. წვიმა შენელებულიყო. მაღლა, ერთ ადგილას, ღრუბელი გარღვეულიყო და ლურჯი, კრიალა ცა მოჩანდა.

— აქაც წყდება! — მხიარულად შესძახა ირაკლიმ. ტელეფონის მილი თავის ადგილას დადო, ოთახი ისე გაირბინა, მერისათვის ყურადღება არ მიუქცევია. კარი გამოაღო და ხმამაღლა დაიძახა:

— გოგის უთხარით ავტო გამოიყვანოს, სასწრაფოდ!..

კარი ღიად დასტოვა. კაბინეტში მობრუნდა. რეზინის ჩექმები ჩაიცივა, ქუდი დაიხურა, მერის არც ახლა შეხედა. მაყვალას გვერდით რომ ჩაუარა, გაბრაზებით ჩაულაპარაკა:

— მანდ ერთი ქალია... ეცადე, რაც შეიძლება ჩქარა გაისტუმრო... — შემდეგ გაიღიმა. ხედავ, მაყვალა, წვიმა შეწყდა... მაშასადამე, გამოდის რომ ვცოცხლობთ!.. ა, ვიმარჯვებთ!..

თხუთმეტი დღის შემდეგ ირაკლიმ აღმასკომის თავმჯდომარესთან ერთად ხელმოწერილი პატაკი გაუგზავნა ცენტრალურ კომიტეტს, სადაც იტყობინებოდა, რომ რაიონმა დროზე ადრე შეასრულა სიმინდის თესვის გეგმა. თესვის მიმდინარეობის შესახებ ცენტრალურ განუთებში გამოქვეყნებულ ცნობებში მითანი რაიონებს შორის პირველ ადგილზე მათი რაიონი მიდიოდა.

მაყვალამ დილით თავისი ოთახის კარი რომ გააღო, გოცემული იქვე შედგა — ვილატას იების პატარა თაიგული დაედო მაგიდაზე. სასწრაფოდ მაგიდას მიუახლოვდა. თაიგულის ქვეშ საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი წერილი იდო. ეწერა: „გილოცავთ დაბადების დღეს!“ მზერა მაგიდის კალენდრისაკენ გადაიტანა. გადაფურცლა. მაყვალას ცხრამეტი წელი შესრულებოდა. თვალი გიგაურის კაბინეტის კარს მიაპყრო და სიხარულისაგან ლოყაზე ცრემლი აუციმციმდა. კაბინეტის კარში გასაღები იყო გაჩხერილი. ეს იმას ნიშნავდა, რომ რაიკომის მდივანი უკვე მოსულიყო.

საოცარია, საიდან იცოდა გიგაურმა, თუ როდის იყო მისი დაბადების დღე. თვითონ არ ახსოვდა, არც შინ ახსოვდათ და აი, ახლახან ჩამოსულმა კაცმა მაყვალას დაბადების დღის აღსანიშნავად იების თაიგულიც კი მიუძღვნა გოგონას.

სიხარულისაგან გული აუჩქროლდა. ხელში იების კონა ეჭირა და სახეზე ბედნიერების ღიმილი დათამაშებდა, რადგან ამ პატარა ამბავში, გიგაურის მიერ იების მიძღვნაში, მან ახალი შინაარსი ჩააქსოვა, ის, რასაც დღემდე თავის თავსაც არ უმხელდა, ის, რამაც, გიგაურის პირველად მოსვლის დღეს ასე ააცეკვა გოგონა, ის, რაც ზოგჯერ მხოლოდ სიზმარში იყო შესაძლებელი და იოლად მისაღწევი.

და უცბად მაყვალას ერთმა ფიქრმა გაუელვა და გულმაც თავისთავად გაიმეორა:

— მიყვარს!..

მაგრამ თავისთვის ჩუმად ნათქვამ ამ სიტყვასაც კი შეუშინდა, თუმცა ამ შინის უკან დიდი სიხარული იდგა, ენით გამოუთქმელი და მიულწეველი.

გოგონას გულში პირველად შეიჭრა ეს გამოურკვეველი გრძნობა. დღემდე მისი გრძნობის სიმს არავინ შეხებია და აი, წლოვანებით მასზე დიდად უფროსმა მამაკაცმა, თავისდა უნებურად ისე ძლიერად ჩამოჰკრა ამ სიმს, რომ პირველ დღესვე გაწყვიტა ეს სიმი და მხოლოდ მასვე შეუძლია მისი გამართლება.

აქამდე ამ გრძნობისა მაყვალას ერცხვინებოდა. თუ ვინმე აღტაცებული შეხედავდა, ბრაზით წარბებს ამშვილდავდა. თუმცა ერთ რამესაც ამჩნევდა გოგონა: დღემდე ვაყები აცეცხლებული თვალებით მხოლოდ მის მკერდს აჩერდებოდნენ და გაივლიდა თუ არა, მათი მზერა ზურგს უწვავდა და ფეხს აშლევინებდა. ეს იმდენად ცუდი და გულისამრევი იყო რომ იმ წუთას თავისი თავიც ეჯავრებოდა.

მართალია, სამიოდე ვაყი მისი დანახვისას წითლდება და ყვითლდება, ორმა სიყვარულის წერილიც კი მისწერა, მაგრამ ისინი იმდენად შეუმჩნეველნი იყვნენ, რომ მათზე ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა.

ახლა მაყვალა იმ ვაყების მდგომარეობაშია. თუმცა ჯერ კიდევ მისთვის უცნობი ქალური ინსტინქტი ქვეცნობიერად აიძულებს თავი არ გამოამჟღავნოს. დღეს კი ამ პატარა იების კონამ გულის სიღრმეში ჩამარხული ფიქრები მალა ამოატივტივა და ერთ სიტყვაში გამოხატა:

— მიყვარს!..

გამოხატა და სუნთქვა შეეკრა, იმდენად შორეულ და მიუწვდომელ რამედ ეჩვენებოდა ეს სიტყვა...

ეჭირა იების კონა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, შესულიყო გიგაურთან და მადლობა ეთქვა თუ აქვე დაეცადა.

გული იქით მიუწევდა, დაკეტილ კარს იქით, მაგრამ ახლა, როდესაც მან დასკვნა გამოიტანა და ქალწულის სიმორცხვემაც არ დაუშალა თამამად ეფიქრა გულის სიღრმეში ჩამალულ სიყვარულზე, ძნელ ამბად ეჩვენებოდა კარის ზღურბლს იქით ნაბიჯის გადადგმა. ალბათ ვერც დაიძვრის, მუხლები მოეკეცება, გული წაუვა.

ამ დროს გიგაურმაც დარეკა. მაყვალას მოეჩვენა, თითქოს მისი გულის ძაფებს ჩამოჰკრეს. სასწრაფოდ წამოხტა, მაგრამ სანამ კარებამდე მივიდოდა, დიდხანს ყოყმანობდა. ბოლოს გაბედა, ძალღონე მოიკრიბა, კარის ხელურს ხელი წაავლო და... იქვე შედგა. ზღურბლს კი მიადწია, მაგრამ უკანასკნელი ძალა არ აღმოაჩნდა კაბინეტში შესულიყო. ზარი განმეორდა. დაცდა არ შეიძლებოდა. როგორც იქნა კარი გამოაღო და შევიდა.

ირაკლიმ გაოცებით შეხედა. სახე გაფითრებოდა გოგონას, ტუჩები უკანკალბდა, ფეხს ძლივს ადგამდა, ყოველ ნაბიჯზე ეშლებოდა...

ირაკლი წამოდგა, გოგონას მიუახლოვდა და მზრუნველი კილოთი შეეკითხა:

— ავად ხომ არა ხარ?

მაყვალამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მაშ რა მოგივიდა, ფერი არ გაქვეს...

დანაშაულში დაქერილი ადამიანივით შეკრთა მაყვალა, თვალი დახარა და სახეზე უტბად სიწითლემ გადაჰკრა. შემდეგ გულში თავის თავს გაუჯავრდა, მაგრამ რა ექნა, არც ხელი ემორჩილებოდა, არც ფეხი, არც გული...

— დაჯექი, — უთხრა ირაკლიმ. თვითონაც დაჯდა. — მე შენთან სერიოზული საქმე მაქვს.

ახლა სულ მოეკეცა მუხლები მაყვალას და იმავე წუთს სკამზე რომ არ დამჯდარიყო, ალბათ დაეცემოდა.

— აი, რა მაყვალა, — ჩვეულებრივი კილოთი დაიწყო ირაკლიმ. — შენს საქმიანობას ჩემზე უკეთ ვინ იცნობს. დიდი ხანია თვალყურს გადევნებ, სხვებიც კარგი თვალით გიყურებენ და, აი, გადავწყვიტეთ დაგაწინაუროთ. მართალია, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ, მე ვფიქრობ, თამამად შეიძლება შენთვის ერთი უბნის ჩაბარება. შენ, ვგონებ, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადები. არც ამამში შეგიშლით ხელს. ეგებ მოინდომო დაუსწრებლად სწავლა... მოკლედ რომ ვთქვათ, ასეთი აზრია: კომკავშირის რაიკომში გადაგიყვანოთ.

— მიშორებთ! — წამოცდა მაყვალას. ეს იყო ერთადერთი სიტყვა, რომელიც მას წამოსცდა, იმას კი ვერ მიხვდა, თუ სად აგზავნიდნენ, სად წვინაურებდნენ, რისთვის?... მხოლოდ ერთი რამ გაიგო, გაიგო, რომ ირაკლის გვერდით არ იქნება, რომ მას ვერ ნახავს... და ახლა, როდესაც იგი თავის თავს გამოუტყდა სიმართლეში, როდესაც გაბედულად დაასკვნა ყველაფერი, ამ დროს მას ირაკლისაგან ამორებენ...

— არა, რატომ... — გაეღიმა ირაკლის. — კარგი მუშაკი რომ ხარ, ყოჩაღი გოგონა, იმიტომაც გაწინაურებთ. მოშორებით კი არ გიშორებ, პირიქით, ყოველთვის, როდესაც დაგკირდება, მუდამ შეგიძლია თამამად მოხვიდე. რაც არ უნდა იყოს, — ხუმრობით დაუმატა, — შენისთანა ნაცნობებს მუდამ ურიგოდ შემოვუშვებ. ხვალღიდან კი, — სერიოზულად მიმართა, — გაეცნობი კომკავშირის რაიკომში საქმეებს. ერთ კვირაში შენს შემცვლელსაც ვიშოვნით და სულ გადახვალ. რასაკვირველია, თუ შენი სურვილიც ექნება... ჰა, რას იტყვი?..

მაყვალას ხმა არ ამოუღია. ან რა უნდა ეთქვა.

— დუმილი თანხმობის ნიშანიაო, ამბობენ, — თქვა ირაკლიმ. — ახლა ჩვენს საქმეებს მივხედოთ.

მაყვალა კაბინეტიდან ლასლასით გამოვიდა. იების კონა მოხუც თედოს ეჭირა და სხვა ყვავილებით რთავდა. მაყვალა რომ დაინახა, გაუღიმა.

— დილით ეს პატარა კონა მოგიტანე, მცირედისათვის ნუ გამიწყურები. ახლა უფრო დიდს მოგართმევ... მახსოვდა, შენი დაბადების დღე რომ იყო... ეხ, ნეტავი ის ბიჭი ჯარიდან ჩქარა დაბრუნდებოდეს, ორი წელი კიდევ უკლია და შენ კიდევ ჩემ რძალად მეგულებოდე...

მაყვალას თვალზე ცრემლი აუციმციმდა, მწარედ გაეღიმა, თედოს მიუახლოვდა და ტირილით ვაღებვია.

— მოდი, შევილო, მოდი, — გულში ჩაიკრა თედომ მაყვალა, — ჩაეკარი ბაბუას. რას გაიგებ, ქალიშვილი რატომ ტირის და რატომ იცინის... მაგრამ თქვენი ცრემლებიც კი ზოგჯერ უფრო ტკბილია ვიდრე ჩემისთანა მოხუცის სიცილი...

## 23

კვირა დღე იყო. მზე გადაწვერილიყო.

სადილის შემდეგ ირაკლიმ ჩვეულებრივად დაისვენა. ნახევარი საათით თვალი მოატყუა კიდევ. საღამოთი საქმე არაფერი ჰქონდა, ფანჯრიდანაც გახაფხულის მზიანი დარი იცქირებოდა.

წიგნი აიღო ხელში, შემდეგ სასთუმალზე დადო, საღამოს წაეკითხავო. წამოდგა, ჩაიცვა და გარეთ გავიდა. გადაწყვიტა სუფთა ჰაერზე გასეირნება. ნელი ნაბიჯით დაადგა ბალისაკენ მიმავალ გზას.

მოუვლელ და თავის ნებაზე მიშვებულ ბაღში ბევრი ცვლილება მოხდა იმის შემდეგ, რაც პირველად ჩამოსვლისას ნახა. ჯერ ისა, რომ რაიკომის შიკრიკი და დამლაგებელი თედო რაიკომიდან მებაღედ გადაიყვანეს (მისცეს მებაღის შტატი). თედომაც მთელი გულით დაიწყო მუშაობა. მაინც ბურტყუნებდა მოხუცი, მარტოდმარტოს უხდებოდა ბაღის მოვლა-პატრონობა. მაღა ქამაში მოდისო, — აღრე თედო იმის ოცნებაში იყო, მებაღეობის მეტი არაფერი გაეკეთებინა, ახლა ამასაც არ ჯერდებოდა. ბაღის მთლიანი რეკონსტრუქცია მოისურვა. რაღაც გეგმის მაგვარი წარუდგინა კიდევ რაიკომს. ასეთ ამბავს დიდი თანხები სჭირდებოდა. ცენტრში გააგზავნეს მოთხოვნა. იქიდან ჯერჯერობით არაფერი ჩანდა. დაპირდნენ კია თანხების გამოყოფას.

რაც ადგილობრივი ძალებით შეეძლოთ, გააკეთეს. ორჯერ რაიონის კომკავშირელთა შმაბათობა მოაწყეს. ბაღს ირგვლივ ღობე შემოავლეს, რათა საქონლის თარეშისათვის ბოლო მოეღოთ...

ირაკლი მდინარისკენ მიმავალ ხეივანს გაჰყვა. მდინარის შხუილთან ერთად ლაპარაკი შემოესმა. საოცარი ის იყო, მხოლოდ ერთი ხმა ისმოდა. იგივე ხმა ეკითხებოდა, თვითონვე უპასუხებდა, ეკამათებოდა, ვილაცას ეფერებოდა და უჯავრდებოდა. ირაკლი ის-ის იყო უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ შედგა. თედოს ხმა იცნო. ფრთხილად გადაადგა რამდენიმე ნაბიჯი. ახლა კარგად დაინახა. თედო მარტოდ მუშაობდა და ხეებს ესაუბრებოდა.

ირაკლი მიუახლოვდა. თედომ ვერ შენიშნა, ზურგით იდგა. პატარა ხესთან მისულიყო და ალერსით ენას უჩლექდა:

— შენ როგორ-ღა ხარ, პატარავ? უყურე ამას, რამოდენა გაზრდილა!.. ასე, გენაცვალე, იზარდე, გაიხარე!.. აჰ, აჰ... — შეჰყვირა. — ამას დამიხედეთ!.. ამ სარეველამ უნდა დაგჯაბნოს. — სარეველა ხელით ამოგლიჯა და ახალამო-





სულ ხეს ფხვიერი მიწა მიყარა. — იზარღე, თავისუფლად და ლაღად იზარღე წამოდგა, მობრუნდა და მხოლოდ ახლა დაინახა მომღიმარი ირაკლი. და-  
იმორცხვა, თავისთვის ჩაიბუტბუტა, თითქოს ბოდიშობსო:

— უკაცრავად!..

— გამარჯობა, ჩემო თედო! — მიესალმა ირაკლი.

— სალამი, ჩემო ბატონო!.. ასეთ ღროს ამ კუთხეში არავის მოველოდი, ამიტომ გავაბი...

— საქმე როგორ მიდის?

— რა უჭირს... — ახლომახლო მდგარი ხეები თვალთ მოზომა. ირაკლი მიუახლოვდა პატარა ხეს. დაინახა და დიდხანს უყურა.

— რა პატარაა!..

— მომავალი ამასა აქვს. — უპასუხა თედომ. — აი, ვის ჭირდება მოვლა-პატრონობა, თორემ გულგამოხრული არასოდეს გამრთელდება. არც თავის თავს არგია და არც სხვას.

— როგორ აუწყევია პატარა ფოთლები!..

— მზის სხივებს ეძებს.

— სიცოცხლე სწყურია, არა?

— და მერე როგორ! — ალტაცებით ჩაილაპარაკა თედომ. — ჯერ არაფერი იცის მიწის შავ ჭურღმულიდან ახლახან ამოყო თავი და ეს მზე, ეს ჰაერი რომ დაინახა, ძალა მოემატა... გაივლიან წლები... ამყად გაიმართება, ტოტებს ზეცისაკენ აიშვერს.

ირაკლი ახლა კირწასმულ ხეს მიუახლოვდა.

— ამას რა მოსვლია?

— ნულარ მკითხავე, ჩემო ბატონო. — ხელი გაასავსავა თედომ. — ვილაცხადირს დანით თავისი სახელი ამოუჭრია.

— ხომ არ იცი, ვინ იყო?

— ეჭვი მაქვს.

— კარგად გაიგე და ხვალ ჩემთან ამოიყვანე. ასე უთხარი, რაიკომის მდივანი გიბარებსთქო. სიოსთანაც მიდი, ჩვენი გაზეთის რედაქტორთან. ყველაფერი უამბე... გაზეთშიც გამოკვირონ, მოუხდება, სხვები ჭკუას ისწავლიან...

თედომ მოწონების ნიშნად ჩაიციხა:

— კარგი იქნება.

ერთ ხანს დუმდნენ. ირაკლიმ პაპიროსი ამოიღო. თედოსაც მიაწოდა. თედომ გამოართვა, ასანთი თვითონ აანთო. ირაკლი რომ უყიდებდა, ცალი თვალთ შეხედა.

— რაო, კიდევ რაიმე გაქვს სათხოვარი?

— აბა, როგორ გითხრათ... — შეყოყმანდა თედო. — თქვენ თბილისიდან ხარჯთაღრიცხვას ელთ. მოდით, ერთი სამჯერ კიდევ მომიწყეთ შაბათობა და ამ ბალის მორთვა-მოწყობას სახელმწიფოს იაფად დავუჯერ.

— განა არ ვიცოდი, — თითქოს გაბრაზებით თქვა ირაკლიმ, მაგრამ თვლები ამკლავებდნენ, რომ ხუმრობდა. — ნეტავი გვერდით ჩამეველო და არ შეგხვედროდი. იქ, რაიკომში, კაბინეტში არ შემოვიშვებდი...

— აბა, სამი შაბათობა რაა, თქმადაც არ ღირს...

— თქმადაც არ ღირს!.. — შეუტია ირაკლიმ. — ჩვენ აქ შენი ბალის მეტი საქმე არა გვექონია!

— გზებზე ატურს დაყვრით, ხეივნებს წესრიგში მოკიყვანთ, გარდა მშენებლობებისა, ყველაფერს მოვრჩებით. სულ სამი შაბათობა...



— ჯანდაბას, — დაყაბულდა უცბათ ირაკლი. — მაგრამ, ბოდიში, სამსუქარო ვერ მოგართმევ, ორიც იქმარე.

თედომ სიხარულისაგან პაპიროსი უკუღმა ჩაიღო პირში და სანამ ენა არ დაწვა, არც უგრძენია. გადაფურთხა, ვედროსა და ბარს ხელი წამოავლო.

— ბაღის მეორე მხარეს უნდა მივხედო, არ წამოხვალთ?

— არა, მე აქ დავრჩები. აგერ, მდინარის პირად, ქვაზე ჩამოვჯდები.

თედო წასასვლელად გაემზადა, მაგრამ სანამ წავიდოდა, მობრუნდა და ირაკლის ეშმაკურად გაუღიმა:

— იცით, მე ერთი შაბათობის იმედი-ლა მქონდა.

ირაკლიმ თითი დაუქნია და გამომწვევად უპასუხა:

— მე კი მინდოდა ოთხჯერ მომეწყო შაბათობა... ორით რომ გადავრჩი, ესეც საქმეა...

## 24

თედო წავიდა. ირაკლი მარტო დარჩა. მდინარის პირად მოზრდილი ქვა მონახა და ჩამოჯდა. თვალი წყალს გაუმტერა. ლოდებს შორის მოქცეული მდინარე შხულით მოედინებოდა. ამასწინანდელი დიდი წვიმების დროს რომ აღიღდა, ჯერაც არ იყო სუფთა და კამკამა...

თედოს ნათქვამმა ფიქრები აუშალა. ნუთუ გამოხრული გულის გამთელე-ბა არ შეიძლება?.. ეგებ მცენარეთა სამეფოში ასეა, მაგრამ შეუძლებელია ადამიანთა შორისაც ასეთივე კანონი არსებობდეს!.. რამდენი ხანია აგერ ალექსანდრე გომართელს ელის. ამ ბოლო დროს ერთგვარი იმედიც კი ჩაესახა, რადღაც მიყუჩდა ალექსანდრე. მაგრამ ვაი თუ ეს სიწყნარე ქარიშხლის მომასწავებელია. ნამდვილად ასეა, რადგან პარტკონფერენციის გახსნამდე ათიოდე დღეა დარჩენილი და ალექსანდრეც ალბათ იმ დღეს უცდის. რა ქნას?.. ეგებ სპირთა მართლაც მოიშოროს, მოჭრას, ბრძოლა გამოუცხადოს, თორემ სხვა-საც დააჰიანებს. მაგრამ ასე სასტიკად როგორ მოექცეს!.. ჯერ კიდევ საკმაოდ ახალია, მისი მუშაობის მხოლოდ პირველი დღეებია. თუნდაც თვეები იყოს, ამას რა მნიშვნელობა აქვს...

ვიღაცის ფეხქვეშ კენჭები გაჩხრიალდა. ვინ უნდა იყოს? ირაკლიმ თავი ასწია და გოცებისაგან ხმაც ვერ ამოიღო. მასზე ნაკლებ არც ახალმოსული იყო გოცებული. ირაკლი ისეთ ადგილას იჯდა, ბუჩქებს მოფარებული, აქეთ წამოსული შორიდან ვერ დაინახავდა. ამიტომაც დაადგა თავზე ასე მოულოდნელად. ირაკლის წინ ლილი იდგა წიგნით ხელში, იდგა და არ იცოდა, ხელები სად წაეღო, წიგნი როგორ დაეჭირა, ან საერთოდ როგორ მოქცეულიყო, უკან გაბრუნებულიყო თუ გაჩერებულიყო.

ირაკლი გონს მოვიდა. დინჯად წამოდგა და უხერხული დუმილი პირველმა დაარღვია:

— მობრძანდი, ლილი!

თვითონვე გაეცინა. ამ უზარმაზარ ბაღში ეპატყებოდა ისე, თითქოს მისი ყოფილიყო.

ლილის აღმური მოსდებოდა. არც ფიქრობდა აღელვების დაფარვას. ისე უცბათ და მოულოდნელად შეხვდა, რომ უკან დახვევა აღარ შეიძლებოდა.

მიმოიხედა, ირაკლის პირდაპირ შეხვდა, თვალი გაუსწორა, შემდეგ მზერა სხვაგან გადაიტანა და ჩუმად ხმით ჩაილაპარაკა:

— მეგონა ეს მყუდრო ადგილი მხოლოდ მე მიყვარდა. ამ სიყვარულში თურმე რაიკომის მდივანიც მეცილება.



— ნუ გეშინია, არ შეგეცილები, — უპასუხა ირაკლიმ, — დღეს შემდეგ ვით მოგხვდები და თუ გასურს, არასოდეს ახლოსაც არ გავეკარები.

— რატომ, რატომ! — უთხრა ლილიმ. — განა მე ასე ვთქვი. არასოდეს ჩემი გულისათვის მსხვერპლი არავისგან მომიტხოვია. აქაურობა თუ ასე მოგწონს, მე გავეცლები.

— ორივეს გვეყოფა. — ხუმრობით უპასუხა ირაკლიმ. — დედა, არავისგან მსხვერპლი არ სჭირდება. — შემდეგ უფრო სერიოზულად მიმართა: — სკამი არ არის, შემოგთავაზო, აქ, ქვაზე კი, საუკეთესო ადგილს დაგიტოვებ. დაბრძანდი.

— წასვლას ხომ არ აპირებ? — შეეკითხა ლილი.

— რა ვიცი... — ირაკლიმ ხელები გაშალა და ირგვლივ მიმოიხედა. ახლო-მახლო არავინ იყო. არსაიდან არავითარი ხმაური არ აღწევდა. მხოლოდ მდინარის უხუილი და ჩიტების სტვენა ისმოდა. ერთ ხანს გადასწყვიტა წასულიყო, მაგრამ, ბოლოს, დარჩენა არჩია. ამ შეხვედრისათვის ეშვადებოდა და აი რა შემთხვევით შეხვდა, წინასწარი დათქმის გარეშე. მით უკეთესი!..

ლილი ქვაზე მოხერხებულად მოეწყო. მდინარიდან მონაბერ ნიავს კბარომ არ აეფრიალებინა, მუხლებშორის მოიქცია. წივნი აქვე დასდო და თვალი მდინარეს მიაპყრო.

ირაკლიც შორიასლო ჩამოჯდა. ერთ ხანს სდუმდნენ. სიჩუმე ლილიმ დაარღვია.

— რაზე ჩაფიქრებულხარ?

— საოცარია, — თქვა ირაკლიმ, — დღეს დილიდანვე წინათგრძნობა მეუბნებოდა, რომ შენ შეგხვდებოდი.

— მერე, გწყინდა თუ გიხაროდა?

— რა ვიცი...

— გულწრფელად მითხარი, ირაკლი; — შეეკითხა ლილი, — რამდენი ხანია მინდოდა შეკითხა. ნუთუ ჩემს შემდეგ ვერც ერთმა ქალმა ვერ დაგავიწყა წარსული?

— გულახდილად ვითხრა?

— ისე, როგორც შენ გჩვევია.

— თვითონ განსაჯე. ბევრი ქალი ვერ დამავიწყებდა. ერთი ჰო... როგორც მგზავრობისას. თუ შენს კუბეში ბევრი მგზავრია თავმოყრილი, ცოტა ხნის შემდეგ არც ერთი არ მოვაგონდება. თუ ერთია, იგი დიდხანს არ დაგავიწყდება.

— მაშინ ჩემთან რა გინდა? — აღმოხდა ლილის.

— განა ვიცი... — სიჩუმის შემდეგ უპასუხა ირაკლიმ. — არ ვიცი... .

— ვინ არის?

ირაკლიმ არ უპასუხა. ლილის ეწყინა.

— არ გინდა თქვა?

— რატომ, რატომ... — შეაგება სიტყვა ირაკლიმ. — არ იცნობ... სხვათა შორის, ისიც ექიმი. წელს იცავს დისერტაციას და...

სათქმელი არ დაამთავრა. ლილი მიუხვდა.

— ძალიან გიყვარს?

— რა დაგიმალო... მხოლოდ შენ იცი ჩემი სიყვარულის ძალა...

ლილის ერთ წუთს თვალები აუციმციმდა, შემდეგ ის თვალები ცრემლით აეცსო.

— ორპირი ყოფილხარ.



— არა, ლილი, — ტკბილად უთხრა. — ხომ ვითხარი, მე თვითონ არ ვუნდა ვიყავი, რა დამემართა. მართალი ხარ...

— ხომ ნამდვილად გიყვარს?

— ისე, როგორც მაშინ. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის პირველი იყო, ეს მეორეა... — დუმილის შემდეგ ახლა ირაკლი შეეკითხა. — განა ასე გაინტერესებს?

— ბედნიერი! — პასუხის ნაცვლად აღმოხდა ლილის.

— ვინ? — ვერ გაიგო ირაკლიმ.

— ისიც... შენც... — უთხრა ლილიმ და თავი დახარა.

ირაკლიმ ლილის კისრის ძარღვი შენიშნა, რომელიც ფეთქავდა, თითქოს ცოცხალი არსება კანქვეშ ვერ ჩერდება, გადმოხტომას და ჰაერზე გასვლას აპირებსო. ლილიმ თავი ასწია.

— ამჟამად ერთი რაიმეთი მაინც ვანუგეშებ თავს.

— რითი?

— იმ ქალს რომ მოიყვან, აქ არ ვიქნები.

— სხვაგან გადასვლას აპირებ? ჩვენ კარგ სპეციალისტებს რაიონიდან როდი ვუშვებთ.

— მაგრამ შენ რა იცი, მე როგორი სპეციალისტი ვარ, — გამომწვევად უთხრა ლილიმ. — არასოდეს ჩემი მუშაობა არ ვინახავს.

— მითხრეს... ავადმყოფები გემადლიერებიან, თანამშრომლებს უყვარხარ. სხვა რამ საავადმყოფოს მთავარ ექიმს არ მოეთხოვება.

— მისმინე, ირაკლი. — გამოცვლილი ხმით მტკიცედ მიმართა ლილიმ. ირაკლიმ ყურადღება დაძაბა. — შენი საცოლის ამბავიც რომ არ გამეგო, მაინც უნდა შეთქვა. დიდი ხანია მინდობდა შენთან რაიკომში მოსვლა, მაგრამ ვყოყმანობდი... ვინ იცის, ჩემს ამ ნაბიჯს როგორ შეხედავდი. არ დაგიმალავ; ჩვენმა აქ შეხვედრებმა ძველი იარები გამიხსნა. მე კი მეგონა, მომიშუშდამეთქი. იმ დღეს ვახტანგმა ისეთი სიტყვები მითხრა... იმდენი მატირა... სიმართლე კი მითხრა, მწარე სიმართლე. ორი კიდეც ასეთი შეხვედრა და... შენი არ იყოს, არ ვიცი... არ ვიცი... და მერე რისთვის... რას მოგვიტანს?.. უბედურებას... ჩვენს გარდა კიდეც ორი გაუბედურდება... რისთვის...

ლილი შეჩერდა. ყველაფერი ეს ერთი ამოსუნთქვით თქვა, თანაც ღელავდა, დაილალა.

— გისმენ, ლილი... — ჩურჩულით უთხრა ირაკლიმ.

— ახლა კიდეც ჩვენთან მტრები გაგიჩნდნენ. მე ხშირად მესმის შენი სახელი და მას სიყვარულით როდი ახსენებენ. ძლიერი მტრები გყავს. ისინი ყოველმხრივ ეცდებიან დაგამარცხონ. ესეც იცოდე, მათ საკმაო ძალა და ავტორიტეტი აქვთ, მხარის დამჭერსაც იბოვნიან. და თუ შენს საწინააღმდეგოდ ჩვენი დამოკიდებულებაც გამოიყენეს... თუ საბაბს მიეცემთ, ტყუილაუბროდ თავს წააგებ. ეს ისე მეწყინებოდა, ისე მეწყინებოდა...

— გმადლობ, ლილი, — უბრალოდ უთხრა ირაკლიმ. — ყველაფერი ვიცი. მაგრამ ერთსაც გეტყვი, საბრძოლველი სულ სხვა გვაქვს. ჩვენი რაიონი მოწინავეთა რიგებს უნდა გავუთანასწოროთ და თუ ამ ბრძოლაში დავმარცხდები, ესაა საწყენი, თორემ იმ ბრძოლაში დამარცხება, რასაც შენ გულისხმობ, სრულიადაც არ მადარდება.

— გული მეუბნება, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა უნდა იყოს.

— განა ასე ცუდად არის ჩემი საქმე?

— ეგებ შენი მოწინააღმდეგეების საქმეა ცუდად. ხომ ვითხარი, იმ ქალს

რომ მოიყვან, მე აქ არ ვიქნები-მეთქი. არ შეიძლება თქვენი ერთად მუშაობა იცი, ირაკლი, იმ ქალის ბედნიერება შემშურდებოდა, შენი ბედნიერებაც... თქვენი ბედნიერება... მე კი შენთვის მუდამ კარგი მინდა... — ლილი წამოდგა, ადგა ირაკლიც, — მშვიდობით.

— გაგაცილებ.

— არა, რა საჭიროა... დარჩი... მშვიდობით.

— ნახვამდის.

წასვლისას ლილი ერთხელ კიდევ მოუბრუნდა ირაკლის, დიდხანს დააქერდა და ჩუმად უთხრა:

— მე აქამდეც წარსულით ვცოცხლობდი, შენ მომავალი გქონია, მაშ რად ამაფორიაქე...

საყვედურით უთხრა და უცბათ გაშორდა. ირაკლმ თავი ჩალუნა და ნელი ნაბიჯით დაჰყვა ბალის ხეივანს.

(დასასრული იქნება)



## ბაგდაჩ მუჯირიშვილი

საბჭოთა არმიის უფროსი ლეიტენანტი

# ჩემი ღმერთი ბედი

### ნაწყვეტი

ნაძვანართ დაფარულ ზემლანდიის ნახევარკუნძულს ცეცხლი ეკიდა.

დამწვარი ქვემეხების და ტანკების, ჩამოგდებული ყუმბარმშენების ჩონჩხები არეულიყვნენ ადამიანის სისხლში. ჭურვის ნამსხვრევებით დაკემსილი ნაძვები, ცეცხლის შემმუსრავ ენებს რომ გადაეტრუსათ, კუშტად გადაჰყურებდნენ ნაღმებისა და ყუმბარებისაგან ამობრუნებულ ველებს... აქა-იქ „მესსერშმიტის“ დაფერფლილი ფრთები დაკიდებულიყვნენ ბორცვებზე.

საბჭოთა არმიის დამკვრელ ნაწილებს მარწუხებში მოექციათ კენიგსბერგის ბრძოლებს გადარჩენილი ფაშისტები. საბჭოთა მეზღვაურები გამეტებით უტევდნენ ხმელეთიდან, კონტრიერიშებზე გადმოდიოდნენ ზღვიდან, მტერს არ აძლევდნენ საშუალებას სანგრებში შეეფარებინათ თავი.

ცის კამარაში შეჭრილიყვნენ ჩვენი ყუმბარმშენები. მსროლელ თვითმფრინავებს დანცინგიდან ტილზიტამდე ჩაეკეტათ საჰაერო კორიდორი და მტერს ცეცხლის გრიალში უშენდნენ. ფაშისტი პირატები, ჰაერში თუ ზღვაში, მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, თავი დაეღწიათ. მტრის ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

როკოსოვსკისა და ბაგრაშიანის არმიები ნახევარი კუნძულის შუა წელზე შეხვდნენ.

ფაშისტებმა იარაღი დაჰყარეს.

მიწას ისევ ცეცხლი ეკიდა. დენტით გაჟღენთილ ჰაერს ლეშის სუნი შეერთებოდა. შავი ყორნები ყარყატებდნენ ბორცვებზე. ზღვიდან გუნდ-გუნდად მოფრინავდნენ ფრინველები, გალაღებულნი დასტრიალებდნენ იოლ საშოვარს...

აქ ჩაქრა ომის უკანასკნელი ნაპერწკალი.

იმ დღით ქალაქ ტილზიტის საევაკუაციო ჰოსპიტლის ეზოში მძიმედ შემოუხვია გერმანული მარკის სამედიცინო მანქანამ. იგი ყრუ დუღუნით მიმდებ პუნქტს მიუახლოვდა. ჯერ სელას მოუკლო, მერე კარებთან გაჩერდა. წინსაფრიაანმა ჯარისკაცებმა სასწრაფოდ გამოიტანეს მანქანიდან საკაცეები...

გამარჯვების პირველ დღეს უკვე გარდაექმნა იქაურობა. რუხ კედლებზე გადმოკიდებული წითელი ალმები ამაყად ფრიალებდნენ. შენობებს აცდენილი ქადრები თავისუფლად, გულიანად ისუნთქავდნენ ზღვიდან მობერილ სიოს, ირხეოდნენ. ახლად გაშლილ ფოთლებს ამომავალი მზის სხივები უღიმოდნენ. ყველას დროებით დაეწიყებოდა ცის ტატნობზე აელვებული ჰეჰა-ჰუხილი.



პალატებიდან დილიდანვე იფრქვეოდა აკორდეონის ტკბილი ჰანგები. როდნენ, მზიარულობდნენ გამარჯვებულნი. ქვემეხების გადავილ გუგუნს თან წაელო ტკივილები.

პოლკოვნიკი გრეკოვი უძილო ღამეების მიუხედავად ოხუნჯობის ხასიათზე იყო.

— აბა, ყოჩაღად, არცერთი ზედმეტი მოძრაობა, ყველას, უკლებლივ უნდა შევუნარჩუნოთ სიცოცხლე!

მედსანბატში ნაჩქარევად გაკეთებული ოპერაციები ხელმოორედ უნდა შემოწმებულიყო. რაც იქ ვერ შესძლეს სტაციონალური მდგომარეობის უქონლობის გამო, პირველ რიგში ის უნდა დაეწყო საოპერაციო კაბინეტს.

ოპერაცია მიმდინარეობდა ფართო, ნათელ დარბაზში. დარბაზი დაცული იყო თავდასხმისაგან. სუფთა, გაკრიალებულ ტალანში ერბო აიკრთებოდა. სარკესავით ბზინავდა საოპერაციო.

მეცხრე ოპერაცია დასასრულს უახლოვდებოდა.

მაკრატლების და სანინსტრუმენტების ყრუ ღრიჭინში ოფლით დახვითქული გრეკოვი ოსტატურად ამოძრავებდა გრძნეულ თითებს, რომელთაც უხილავი ძალით შეჰქონდათ სიცოცხლე დარღვეულ უჯრედებში. ნარკოზის წვეთებით გაბრუებული ჯარისკაცი ხესავით იდო საოპერაციო ტახტზე. სიცოცხლის ნიშანი ეტყობოდა მხოლოდ ცხვირის ნესტოებს, რომელთაც ოდნავ ბერავდა ფილტვებიდან ამოცრილი მღორე სუნთქვა. ჭრილობით გაწამებულს, დროგამოშვებით, მღუმარებაში გადასული კვნესა აღმოხდებოდა ხოლმე. ნაღმის ნამსხვრევი შეჩხირულიყო მარცხენა თეძოში. ჭრილობიდან თქარათქურით გამოდიოდა ვარდისფერი სისხლი.

ქირურგმა იქვე მდგარ მედღას ანიშნა, დაჭრილისათვის ოფლით დანამული სახე შეეწმინდა. როცა ოფლი მოსწმინდეს, გრეკოვი უკანასკნელად დაიხარა, ფრთხილად ჩაატარა ჭრილობის სიღრმეში გრძელბირიანი მაკრატლის წვერი, მეორე ხელი, რომელშიც პინცეტი მოემარჯვებინა, მიუახლოვა ჭრილს, გადასწია განზე და უფრო ღრმად შეიტანა მაკრატელი. წვერი ანაზღად შეეხო ფოლადის ნამსხვრევებს. დამუნჯებულ მედღებს სუნთქვა შეეკრათ. მათ წინასწარვე გაეშაადებინათ საჭირო ორგანოპარატები და მხოლოდ ნიშანს უცდიდნენ.

გრეკოვმა ფრთხილად ამოსწია ნამსხვრევი, ამოიღო, წელში გასწორდა. მაკრატლის პირში გაჩრილი ფოლადი იქვე მდგარ ლარნაკზე დააგდო... ლითონმა დაიწკრილა. მედღები ჯერ შეკრთნენ ამ უცნაურ ხმაზე, შემდეგ ნამსხვრევს დააშტერდნენ. გრეკოვმა მარჯვენა წარბი მაღლა ასწია, კოლეგებს გადახედა, ანიშნა, ჭრილობა ამოწმინდეთო. როცა ყველაფერი შეასრულეს, ქირურგი ჭრილობის გაკერვას შეუდგა.

- ნემსი!
- არის!
- იოდი!
- არის!
- მაკრატელი!
- არის!

გრეკოვმა ინსტინქტურად, სახელოთი მოიწმინდა ოფლი. დოინჯი შემოიყარა. დაჭრილს გადახედა: მას პირბადეს ხსნიდნენ. ქირურგის სახეზე ღიმილმა გადაირბინა. შეკრული წარბები გაეხსნა. მხრებში გაიშალა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა. ხელით ანიშნა, დაჭრილი გაიყვანეთო.



როცა პირბადე ახადეს, ჯარისკაცი მწარედ აკენესდა, ალბათ ნარკოზის დოზა ამოჰქარვდა. გორგოლაჭიანი სარეცელით გამოიყვანეს. ჯარისკაცი ბურანში წასულიყო, ბოდავდა.

— დე... და! — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქვა გაცრეცილი, მიწისფერი ტუჩებიდან. მოეჩვენა: სახლში იყო, დედა დასტრიალებდა თავს, ეფერებოდა, წყალს აწვდიდა. ხმას არ იღებდა. მძიმედ გადააბრუნა თავი. ტკივილმა ჰვეალივით დაუარა გულს... მორიგი ექიმმა ტკივილის გამაყუჩებელი ბანგი დააღვეინა, თბილად დახურა, ფეხები შეუფუთნა, მაგრამ ტკივილებმა სძლიეს წამლის ძალას... თვალეები გაახილა. მოფუსფუსე, თეთრხალათიანი, რბილფლოსტებიანი ქალები დაფარუბატებდნენ, წმენდდნენ, რალაცას ალაგებდნენ. ეუცნაურა, ძალა დაატანა გაბრუებულ თავს, ვერ გაეგო სად იყო.

სალამო ხანს, როცა საოპერაციოდან უქმელ-უსმელი ექიმები გამოვიდნენ, გრეკოვი, როგორც ყოველთვის, პალატების შემოსავლელად წავიდა.

თერაპევტი ველაშვილი და მედდა აბოლსკი გრეკოვს ფეხდაფეხ გაჰყვნენ.

— აბოლონ გიორგის-ძე! — საყვედურით მიმართა გზაზე თერაპევტმა, — დაისვენეთ, თუნდაც ნახევარი საათით... ომი დამთავრდა... ოპერაციები შეწყდა...

გრეკოვს მოსმენაც არ უნდოდა. მან ჩამქრალი ღიმილით შეხედა კოლეგას, მხარზე ხელი დაადო, საყვედურით უთხრა:

— ეხ, ბეჟან ალექსის-ძე, მე რატომ მისაყვედურებ. დაიფიქვე, რომ ორი ღამე არც შენ გეძინა? მაშინ შენი გაიტანე, არ მოგვისმინე, მეორე დღეს ფეხზე ძლივს იდექი — რა დროს ძილიაო... გახსოვს. ომი დამთავრდა, მაგრამ ჭრილობებს მოშუშება უნდა... ჩვენ მუდამ გვექნება საქმი. პაციენტის უნახველად ლუკმა ყელში მეჩხირება. აი, შემოვივლით პალატებს, შევიყრებით საღამოს, მაშინ ვიფიქროთ, რას გავაკეთებთ ხვალ!

ქირურგმა გვერდით მიმავალ თერაპევტს ქურდულად გადახედა. იგი გაფითრებულიყო. უძილობის ნაოჭებს დაეღარათ მისთვის სახე. თვალეები ამოშრობოდა, უბეები ოდნავ შესიებოდნენ. ქირურგს შეეცოდა, თანაგრძნობის ნიშნად წელზე ხელი მოხვია.

— ადამიანის სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს. ასეთი მსხვერპლის გაღება საამაყოა. სხვანაირად არც შეიძლება. სამშობლომ, პარტიამ ასე გვასწავლა!..

— დიახ, მართალია! — თავი დაუქნია ბეჟანმა და შედგა.

— მე ვფიქრობ, — წარმოსთქვა მან, — რაც თავს გადაგვხდა, შვილებს უნდა გადავცეთ, მომავალი მათ ეკუთვნით. ჩვენი ოფლი და სისხლი ალალი იყოს მათთვის, ჩვენ ხომ მათი მომავლისათვის ვიბრძოდით. — გრეკოვი ჩაფიქრდა. კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა. ტალანს გაჰყვა...

მეორე დღეს ცოტა დაჭრილები მოიყვანეს.

გრეკოვმა ჩვეულებრივზე ადრე შემოუარა პალატებს.

პირველს, რომელიც კარებთან ახლოს იწვა — როგორ გეძინაო, შეეკითხა. პულსი გაუსინჯა. ყური მიუგდო გულის ძგერას. ოპერაციის შემდეგ, ეტყობოდა, შემოტევენს გაველოთ. დაიძვინა:

— მალე გავიღო, მაისის ჰაერს მარწყვივით ჩაყლაპე...

მეორე ავადმყოფს, რომელიც თვლემდა, ფრთხილად შეეხო. ავადმყოფმა ვერ იგრძნო. გრეკოვმა გამყოლს ანიშნა, არ გაეღვიძებინათ, — ალბათ ღამე ტკივილებს ებრძოდაო, გაიფიქრა. ქირურგის ეჭვები გამართლდა. ერთი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული — ჯარისკაცს გამოედვიდა. რამდენადაც შეეძ-





ლო წამოიწია. გრეკოვს შეუნიშნავი არ დარჩა, დაიხარა, სათვალეები მოიხსნა, ცხვირსახოციტ გაწმინდა. მედდას სთხოვა, მოენახა ავადმყოფობის ფურცელი. აპოლსკიმ მაშინვე გადასცა გრძელი, ცისფერი ფურცელი, თან ყურში რალაც უჩურჩულა. გრეკოვმა არაფერი უპასუხა. გაკვირვებით შეხედა.

პულსი გაუსინჯა.

— სად დაიჭერით, მეგობარო, — შეეკითხა თავაზიანად. დაჭრილმა ხმა არ გასცა. ჯერ თავი ვერ დაეღწია ბურანისათვის. თვალში თვალი გაუყარა ექიმს.

სიცხე 39-ზე ასულიყო. გელაშვილმა თერმომეტრი დაბერტყა, ბუდეში ჩაღო, მედდას გაუწოდა. გრეკოვს სახეზე შიში აღებეჭდა, მაგრამ შეეცადა, არ გაემხილა.

— შეუშხაპუნეთ პენიცილინი, თუ უკეთესობა არ დაეტყო, მომახსენეთ! დარღვეულ უჯრედებში სისხლს ვერ გაეკვლია. ჭრილობის ირგვლივ მკვეთრი სიყვითლე მოწმობდა, რომ გართულება იყო მოსალოდნელი. ქირურგმა კიდევ ერთხელ გაუსინჯა ჯარისკაცს მარცხენა თეძოზე გაკერილი ჭრილობა. ძაფები შემხმარიყვნენ, ჭრილობის ნაპრალში ამოეთნა სისხლს...

ავადმყოფობის ფურცელი კვლავ ჩათვალვიერა, სათაურს შეაჩერდა. მერე ყურადღებით ამოიკითხა უცხოელის გვარი:

— ერიკ ფრიდრიხის-ძე ლასენი, 1929 წელს დაბადებული!

გრეკოვს გაეღიმა. გეგონებოდათ, ნათესავი ენახოსო, უცნაური გრძნობა აღიბეჭდა მის სახეზე.

— გაუფრთხილდით! — მტკიცე თხოვნისა და ბრძანების ტონით წარმოსთქვა, — უცხოელია, სტუმარი... ომი დამთავრდა, დაჭრილ უცხოელ მეომართან ლმობიერება გემართებს!

ერიკს ესმოდა რუსული. ის თბოლივით შეჭყურებდა გრეკოვს. უნდოდა იმ წუთის ეტირა, მაგრამ დაუამებელ ტკივილებს დაეწრიტა ცრემლები. გრეკოვი მიხვდა უმწუროს წადილს. თმაზე ხელი გადაუსვა, გერმანულად შეეკითხა:

— იცით, სად ხართ?

ალერსიანად დაიხარა მის თავთან, გაუღიმა.

ერიკმა პირი გააღო, რალაცა უნდოდა ეთქვა. ქირურგმა არ მოუცადა პასუხს. თითქოს მიხვდა, რაც უნდა ეთქვა უცხოელს.

— ნუ გეშინიათ, არ დაგანებებთ სიკვდილს. ახალი გერმანია საჭიროებს ახალგაზრდობას, რომელმაც ნახა ომის საშინელება. თქვენ უნდა იცოცხლოთ, რომ სამშობლო აღარ ჩაუგდოთ კაციჭამიებს. ჭრილობა არც ისე საშიშია, მაგრამ არც თუ იოლი. ორივე შემთხვევაში ერთადერთი წამალი გულმეგობრებაა, რწმენა, მომავლის იმედი!

გრეკოვმა ანაზღად შეხედა იქვე მდგარ მედდას და გელაშვილს, რომელნიც გულმოდგინეთ უგდებდნენ ყურს ამ საუბარს. გრეკოვის სიტყვები მათ მალამოსავით ეფინებოდათ... ქირურგმა ისევ უცხოელს მიაპყრო თვალი.

— გერმანელი ხალხი ნიჭიერი, შრომისმოყვარე და მუყაითი ხალხია, მაგრამ აი, შესამეჯღრ დაანება კაციჭამიებს ქვეყნის საჭე. სამჯერვე მდულარე ცრემლებით ატირდნენ ჩვენი დედებიც და გერმანელთა დედებიც. მილიონობით გერმანელმა ძვლები ჩაჰყარა უცხოეთის მიწაში. ეს აღარ უნდა განმეორდეს, გუშინდელი მტრები მეგობრებად უნდა ვიქცეთ.

ქირურგის სიტყვები გულზე მოხვდა ერიკს. ეამა, რომ უცხოელების სარეცელზე ჭრილობით დაგმანულს ლმობიერად შეხედეს, მოხუცი მამა გაახსენდა, იგი მუშა იყო და სწორედ ასეთი აზრი ჰქონდა ომზე, თითქმის ამასვე ეუბ-

ნებოდა ერიკს ფრონტზე წამოსვლის წინა დღეს. საბრალო მამა! ის ხომ შვილის ფრონტზე წასვლის მეორე თუ მესამე დღეს დაიღუპა ქალაქის დაბომბვის დროს... ერიკ ლასენმა თვალეზი დახუჭა. იმ წუთში, ძალა რომ ჰქონოდა, წამოიწეოდა, გრეკოვს კისერზე მოეხვეოდა, ყველაფერს, რაც აწუხებდა, ეტყოდა, ეტყოდა, რომ კმაყოფილია თავისი ბედისა, რომელმაც ამ უცნობ კეთილ და სამართლიან კაცს შეახვედრა საბედისწერო წუთებში. ეს რომ ვერ შეძლო, ყვითელი ძარღვებით დასერილ, ამოღამებულ თვალეზში ცრემლებმა გამოიჟონეს. გული აუძაგძაგდა, რაღაცა მამებელმა, უხილავმა ძალამ გაჰკრა, გრეკოვის ხელს მისწვდა, მიიზიდა და გულზე მიიკრა.

გრეკოვმა, რომელსაც მარილიანი ცრემლის თბილი წვეთი დაეცა ხელზე, იგრძნო ვაჟკაცის ჰემოზინი გულისთქმა, ტკბილმა გრძნობებმა ააღვლია.

— გამაგრდი! ახალგაზრდა ხარ. რაც ნახე და განიცადე, ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში უნდა გამოიყენო. დაღვრილი სისხლი არ დაივიწყო. მაშინ იქნები ღირსი სიცოცხლისა და ბედნიერებისა!





„სიკვდილი მთებში“.

ნახატი ზურაბ ლეუაფასი

გუგამ ჩხეიძის

სიყვარული მთებში

ალფრედ კურელა ყველაზე ადრე გამოძვრა კარვიდან. ცა მოწმენდილი იყო და ციოდა. ქვევით მოჩანდა არხოტის წყალი და დეკიანი ფერდა.

მან ნელა დაიწყო ფეხსაცმელების ჩაცმა, მერე პრიმუსი გამოათრია. პრიმუსი ახალი იყო, პატარა. სწრაფად მოღუღდა წინა ღამეს დარჩენილი წვნიანი.

— ალფრედ, ჩვენც უკვე ყველამ გავიღვიძეთ, — სიცილით გამოსძახა ცოლმა კარვიდან, მერე ისიც გამოძვრა და ფეხსაცმელების ჩაცმა დაიწყო.

— ეგ არის არხოტის წყალი, ხედავ, დეკიან ფერდას? — კურელა წამოდგა, აპარატი მოიმარჯვა, გადაიღო. შემდეგ კარვისაკენ მიბრუნდა.

— ახლა თქვენ! — თქვა მან.

კარავთან ხევისური გამყოლი და მისი შვილი იჯდა.

— მეც გადამიღე მაგათთან! — გაიცინა ქალმა და ბიჭებს ხელი გადახვია. — არა, გიგლა? — უთხრა გამყოლს. გიგლამ გაიცინა და აპარატს შეხედა.

— აქეთ ნუ იყურებით, მთას შეხედეთ, აგერ იქ, — კურელამ ხელი გაიშვირა, — იქით კლდიანი ფერდა და ნაოქებში ჩამჯდარი ზეგვები მოჩანდა.

— ასე! — თქვა მან.

— ახლა ვჭამოთ, ალფრედ, — ცოლმა ქვაბი გადმოდგა და ჭიქებში დაანაწილა წვნიანი: — დილით ბევრი ჭამა არ ვარგა, — დაუმატა მან. ისაუბრეს.

გიგლა და სტეფანე კარავს კეცავდნენ.

— ალფრედ, მიიხედ-მოიხედე, რამე დაგრჩება, როგორც ყოველთვის, — ისევე გაიცინა ცოლმა.

კურელა უყურებდა ცოლს და ფიქრობდა: „რა კარგია მთაში!“ საღლაც, მთის წვერზე, მზის სხივი დაეცა. მერე ქვევით ჩაიპარა და ხეობიდან ნისლეები აშოყარა. ნისლეები დიდ ან პატარა ნაფლეთებდალ მიდიოდნენ ზევით, მერე ერთდებოდნენ და ისევ იშლებოდნენ. ხეობა ახლა რძის ფერი გახდა.

— გზა ვიცით, არაფერია, — თქვა კურელამ. — ისეთები გვინახავს, ელბიდე, არა? — უთხრა ცოლს.

ნელა დაიძრნენ ქვევით; ერთ ცხენს ბარგი ეკიდა, მეორეზე სტეფანე იჯდა. ბარგიანი ცხენი წინ მიყავდა გამყოლს, მერე სტეფანეს ცხენი მიდიოდა, მერე ელბიდე და ბოლოს ალფრედ კურელა.

— აქ, თუ ამჩნევ, გაცილებით თანაბარია ღღე-ღამის ტემპერატურა, — თქვა კურელამ.



— ჰო, მეც მინდოდა მეთქვა. მაინც ვერ ვიტყვი, სად მირჩევნია: აქ თუ სვანეთში.

— სვანეთი უფრო დიდია, ჯერ უშბა აიღე!

— მე მაინც ახლა აქ მირჩევნია, თუნდაც იმიტომ, რომ აქა ვარ. და არა იქ. რა ჰაერია, ალფრედ! — ელბიდემ უკან მიიხედა, მერე ჯოხი შეურჭო პატარა ქვას და ამოატრიალა.

— კარგ დროს კი მოვდივართ, — თქვა ელბიდემ.

— ჰო, დღეობებს დავესწრებით.

— კარგია, სტეფანეც ბევრ რამეს ნახავს. ნეტავ ოტოც წამოსულიყო.

— ოტო? რაც ცოლი შეირთო, გამოიცვალა, ახალცოლშერთულები ახლა მთაში აღარ მიდიან, ხომ იცი: ზღვაზე გაშავება ურჩევნიათ.

— ჩვენ კი რამდენს დავდიოდით, არა, ალფრედ?

— ჩვენ, ჰო.

— გაისათ ისევ წამოვალთ, არა?

— უეჭველად.

— როგორი მარშრუტით? მე მგონი, უკანა ფშავიდან მთათუშეთისაკენ.

— მეც ასე მინდა.

— არა, კარგია აქ, ალბათ დოღებსაც ვნახავთ, როგორ მიჰქრიან ფერდობზე უბელო ცხენები.

— ჰო, ხევსურები დოღში მარტო უუნაგროზე ჯდებიან.

— ალფრედ, მე ვერ შევძლებ ქენებას?

ალფრედი კისერში უყურებდა ცოლს, მერე ქალი შეტრიალდა მისკენ; ახლა ისინი თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს.

— რაო, დაგბერდი? — ისევ იკითხა ელბიდემ.

— რა დროს ჩვენი სიბერეა, მე შენზე თორმეტი წლით დიდი ვარ, და აი! — კურელამ კუნთები დაჭიმა, — აი! აი რა შეუძლია მთაში სიარულს, თუმცა სამოცდაერთი წლისა გავხდი.

— მე მაინც შევჯდები ცხენზე, არა?

— შეკაზმულზე, თავისუფლად.

ახლა სტეფანე ფეხით მიდიოდა, ელბიდემ მის ცხენზე შეჯდა. ცხენმა ნაბიჯს აუჩქარა, მერე ისევ ნელა წავიდა.

— წარმომიდგენია, რა სიამოვნებაა ქენება მთაში, — თქვა ქალმა.

— კი, მაგრამ არ ვირჩევ.

— მე? არც შემიძლია. მართლა, ალფრედ აღარც ის ბავშვები ვარო.

— სამაგიეროდ ხუთი ბავშვი გყავს, ჩამოთვალე, კარგი?

— საიდან?

— პატარიდან.

— არა, შენ ჩამოთვალე, ოღონდ უფროსიდან, თუმცა სწორე ხარ, უმცროსიდან ჯობია.

ნისლები ახლა სულ აიკრიფნენ, ზევით, ჭიუხების თავისკენ; წვერებიდა მოჩანდა მზეზე. ნისლი თხელი იყო, მზე შიგ ადვილად ატანდა; კლდე შავი და ქანგიანი ჩანდა. ახლა ხეობიდან ახალი ქულა წამოვიდა. ახლოსვე დაიშალა და ფერდას შეეფინა. გზა ქვევით იწევდა. შედარებით დათბა, მერე მზემ მდინარეს დააცხუნა. დაცხასავით, მაგრამ ხეობის შემოსაბრუნდიდან ნიავმა დაჰქროლა.

— რა კარგია, მზეა, თან გრილა! — თქვა ელბიდემ.

ალფრედ კურელა ჩუმად მიდიოდა.

მერე ყველაფერი უცებ მოხდა.

ამლაში რკინაულის ბავშვის სამუქას ხარჯები იყო, იქიდან გადმომყვა სიმთვრალე ახიელშიც. საიდანღაც ოდნავ მოიღრუბლა. მზე დაიბურა და ჩაძოცხა. მხოლოდ ბანზე გრილოდა. მე ვიჯექი ბანის კიდეში და ლუღისაგან სიმთვრალეს არყით ვირჩენდი.

— ეს შენ გაგიმარჯოს, ანიკო! — გავუღიმე დიასახლისის ქალს.

— გაგიმარჯოს, კარგი ხარ! — დალოცა ვაჟამაც.

ჟიბიტაური მავარი იყო და მთელ ბანს თავისი სუნით ავსებდა. მე შევეჩვიე, უკვე მსიამოვნებდა მისი სმა, ვაჟასაც სიამოვნებდა. თბილისიდან გუშინ ექსპედიციად ჩამოსული ექიმები უნიათოდ იღიმებოდნენ.

— ნეტა როგორ სვამთ მაგას, ალბათ შეეჩვიეთ, არა? — დაინტერესდა ქერა, მსუქანი ექიმი.

— ჟიბიტაური კარგი სასმელია, — თქვა მეორემ.

მე დავუსხი და გავუწოდე.

— არა, გამაღობთ, დალილი ვარ, მერე კი, — არ ჩამომართვა მან.

დასხმული ყანწი მე თვითონ დაველიე, მერე ვაჟს შევეუხე. ვაჟამ რაღაც საღვებრძელო თქვა, რა — არ გამიგია. უაზროდ ვიყურებოდი ხევს გაღმა, იქ მასპინძლის ულაცი ება. რაც არხოტში ვიყავი, ვერსად ჩავივდი ცხენი ხელში. არც მიცდია ძალიან, ახლა კი მომინდა; ვგრძნობდი, როგორ მიპყრობდა ჭენების ჟინი, ალბათ ცოტა დროლა მრჩებოდა ხევსურეთში ყოფნის და იმიტომ უფრო მომინდა ჭენება. მერე ორლობეში ვიღაც მხედარი გავარჩიე. უჯრელა პერანგი ეცვა. ცხენი ღობეს მოეფარა და მხედრისა მხოლოდ სახელა ჩანდა.

— არავინ ცხოვრობს ამ სოფელში? — ქლოშინითა თქვა მან.

— აბა, აქეთ მოდი, — დავეშვი კიბეებზე და ცხენის დაბერილ ნესტოებს შევხედე. გახურებული ფაშატი ტორტმანით მოაწყდა ღობეს.

— გერმანელები მომყვდა და... — დალილობისაგან ძლივს იჯდა უნაგირზე: — ქალი გადმოვარდა აღმართის თავში, მგონი კვდება.

მე ჯერ ვერ მივხვდი, ვისზე იყო ლაპარაკი, მერე უცებ გამახსენდა, რომ აქ ამ დროს გერმანელი მწერალი უნდა შემხვედროდა თავისი ცოლით.

— კვდება? — ამოვიყვირე.

— აჰა, თუ ძმა ხარ, — ძლივს გადმოვიდა ცხენიდან და მე პირდაპირ გადავახტი უნაგირს.

გზა ხევზე მირობდა, სახეში წიავე მირტყამდა, მწვავდა. შუბლი გამიხურდა. ფაშატი მოკლე ოთხით გადადიოდა ქვებზე და მე გიჟივით ამიტაცა ჭენებამ.

გზა ფერდობზე ავარდა, უკან მოვიხედე, წერტილივით ვიღაც მოძრაობდა ხევში. „ვაჟაა, — გავიფიქრე. — ნეტა როგორ არის ქალი, მოკვდა? ასე უცებ? რა სისულელია“. ცხენიდან ჩამოვხტი, უნაგირი მოვადრე ზურგიდან და იქვე დავაგდე. ახლა უბელოზე გადავჯექი. ძალა მიეცა ფაშატს. გზა ხევის თავზე ეკიდა. ცხენივით აქლოშინებულს რაღაც უცნაური მეუფლებოდა. ეს არც ჭენების ჟინი იყო, არც სხვისი სიკვდილის შეგრძნებით გამოწვეული განცდა.

იქით, დიდი ლოდინის ძირში, შეკაზმული შავი ცხენი ჩანდა, რატომღაც მეუხერხულა იქ ასე ჭენებით მივარდნა, შემდეგ ცხენს გავაზე საბელი გადავუჭირე, მივაგდე ლოდინთან და ჩამოვხტი. შავი ცხენი ბეჭობზე იდგა, მის უკან ლოდინებს შუა მწვანე იყო ჩაღრმავებული. ბალახზე ქალი ეგდო, გადახეთქილი შუბლით, თავითი ქერათმინი ბავშვი უჯდა, წარბთან მიმხმარი სისხლიდან ბუჩებს უგერიებდა.



კაცი — ალფრედ კურელა — ფეხებგაშლილი ადგა თავზე ორივეს და სურათს იღებდა. სადღაც ბუნდოვნად მესიამოვნა, რომ მან იმ კლდეში გაქენებულ ცხენზე მჯდარი მნახა, შემდეგ ყველაფერი გაქრა... ახლა ჩემ წინ მხოლოდ მჯდარი ქალი იწვა.

— Was ist mit ihr? (რა მოუვიდა მას?) — ვკითხე.

— მორჩა. — თქვა მან რუსულად.

— Wie? Sie glauben das ist das Ende? (როგორ, თქვენ გგონიათ ეს ბოლოა?) — არ მოვეწვი გერმანულს.

— Ja, — თქვა კურელამ. — sind Sie Gurami, — განაგრძო მან. რაღაც ღიმილის მსგავსი შეგნიშნე მის სახეზე.

— დიახ, — ვუთხარი მე.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. შემდეგ ბიჭისკენ მიმახედა, რომელიც თავთან უჯდა ქალს.

— რა უნდა ვქნათ ჩვენ ახლა უდედოდ? — თქვა ბავშვმა და მშრალი თვალებით შემომხედა.



პირველი, რაც ალფრედ კურელამ შეიგრძნო, იყო საოცარი უმწეობა. დამფრთხალი ცხენი ლოდინებზე მიხტოდა, ელბიდე მარცხენა ფეხით ეკიდა უზანგზე და ქვებს გლეჯდა ხან მკერდით, ხან კეფით. გიგლა ადგილზე გაქვავდა, გამოდევნება უშედეგო იყო, შეუძლებელი. პირველად სანახაობა უფრო უცნაურს გავდა, ვიდრე შესაზარს. საზარელი მერე შეიგრძნეს, მაშინ, როდესაც ცხენი თავისით გაჩერდა. არა, უფრო გვიან, როცა ქალის ფეხი გამოაძრეს უზანგიდან.

ელბიდე ლოდინებს შუა ჩაღრმავებულ მწვანეზე დააწვინეს; ის ჯერ უმოძრაოდ იწვა, მერე მოკვდა. ის უფრო ადრე მოკვდა, — როდესაც გადმოვარდნისას კეფა დაარტყა; შემდეგ აღარაფერი შეუგრძენია, კეფის მერე ხელი გაეხლიჩა, ლოდინმა გადმოატრიალა სხეული, თვითონ ფოსოდან ამოვარდა და შავი მიწა გამოაჩინა. მერე ლოდს შუბლით დაეჯახა. შუბლი გადასკდა, მერე გადაეფხრიწა ფეხი, სპეცოვკის სამხრული გაწყდა და შიშველა, ოდნავ მიმკნარი ძუძუ გამოუჩნდა. თეთრ, ჩრდილოურ მკერდზე სისხლი წითელ ზოლებად დააჩნდა.

ჩაჩოქილი კურელა მაჯას უშინჯავდა. მაჯა არ სცემდა. მერე მკვდარმა სხეულმა ამოიქმინა და სისხლმა გამოჟონა ტუჩებზე, შემდეგ ყველაფერი შეწყდა.

მომხდარი ჯერ ისევ უცნაური და საშიში იყო. სტეფანე იჯდა დედის თავთან უხმოდ. ალფრედი იდგა. გარშემო მთები იყო აზიდული. კიდეგანიდან ღრუბელი მოდიოდა და ხეობაში უზარმაზარი ჩრდილები დაძრწოდნენ. კურელამ დიდი დრო გაატარა მთებში, — მაინც უცხო იყო აქ ყველაფერი, უცხო და უცნაური; ხალხი უცნობი, მდინარე ცივი, ხმაურიანი; ეს იყო უცხო მხარე. სადღაც ერთდებოდნენ შეგრძნებაში სიმწუხარე და შეუტნობელი, არამშობლიური. ყველაფერი ეს უფრო საოცარი იყო: ლოდინებს შუა იწვა მისი მეუღლე — უკვე მკვდარი. მეუღლე, რომელიც ერთი საათის წინ ცოცხალი იყო, მხიარულად ლაპარაკობდა, და რომელთანაც ხუთი შვილი ჰყავდა. ერთი მათგანი თავთან უჯდა ცხედარს: ის აბუზული იყო, საცოდავი, არც ტიროდა, არც ხმას იღებდა.

— Ja, so, — თქვა კურელამ.

ბიჭმა თავი მიაბრუნა იმ ადგილისაკენ, სადაც ცხენი წაიქცა და დაფრთხა.

— აი იქ იყო, — ხელი გაიშვირა ალფრედმა. — ღმერთო ჩემო, რა მანძილია აქამდე, თანაც ქვეები, აი, — გაიხედა ცხენისაკენ. შავი ცხენი ლოდინებს ზევით იდგა და უკანა ფეხი აწეული ჰქონდა.

— ცხენს ფეხი მოტეხილი აქვს, — თქვა სტეფანემ.

— დაცემის დროს მოიტეხა, — თავი გაიქინა კურელამ. — ალბათ ჩქარა მოვლენ სოფლიდან, გიგლა უკვე ოცი წუთია წავიდა.

შვილმა ყვავილი მოწყვიტა და ცხედარს შუბლიდან ბუზები გაუქშია.

— რა კარგია მინდვრის ყვავილები, ნახე ის ყვითელი? — მოწყვიტა რამდენიმე ყვავილი კურელამ და ხელში დაიჭირა. ბიჭმაც მოწყვიტა, მერე ლოდინზე დააწყო. ორივე გაუბრბოდა ცხედარზე ლაპარაკს. რაღაც იყო მათთვის სიკვდილში საოცარი და უკვე მომხდარი, რომელსაც არაფერი ეშველებოდა. გარშემო კი ყველაფერი უცნობი იყო, საშიში. ღრუბლის ჩრდილები ლოდინებზე გადადიოდნენ, ხეობის თავზე ნისლებში ძერა დაბოინობდა და წყალი ქაფოვით ეშვებოდა კლდეზე.

— შეიძლება წვიმა მოვიდეს, — თქვა ალფრედმა. ბიჭმა ზევით აიხედა, მერე ისევ გაუქშია ბუზებს. ბუზები კი მოდიოდნენ, მოფრინავდნენ. მთებს შუა სიკვდილი იწვა, ჯერ კიდევ სისხლიანი, ახალი.

გურამი თავზე ადგა ცხედარს და კურელას ხელს ართმევდა. ის უყურებდა მისთვის უცხო სიკვდილს, რომელიც მთებს შუა იწვა უმოძრაოდ. უკვირდა სიკვდილიც და მათი სიცოცხლაც, რომლებიც სიკვდილთან ერთად გაიცნო.

კურელა ექსპონომეტრს აყენებდა. მერე აპარატი მოიმარჯვა და იმ ადგილის სურათი გადაიღო, სადაც ელბიდე იწვა.

— რა უცნაურია, დილით იცინოდა, ერთად ვიყავით, ახლა? — შეუმჩნევლად გაუმრუდდა სახე, ახალი ადამიანის გამოჩენამ ოდნავ შეურბილა სიმტკიცე, უფრო შეაგრძნობინა სიკვდილი. ჰო, ჰო, — დააყოლა მან.

გურამი იდგა და ხმას არ იღებდა, მერე თქვა:

— მაინც რა შეიძლება?

— არაფერი, უშედეგოა ყველაფერი.

გურამმა ყვავილები მოწყვიტა და თავთან დაუწყო მიცვალებულს. ცხენის აღვირი ხელში ეჭირა. „რა დაღლილია ცხენი, ძლივსა ქშინავს“, გაიფიქრა, მერე შავ ცხენთან მივიდა, უნაგირი მოხადა.

— მაგაზე ნუ შეჯდები, ფეხი მოტეხილი აქვს, — თქვა კურელამ.

— უკანა ფეხი, — თქვა ბიჭმა.

— მე წავალ ხალხის მოსაყვანად, — თქვა გურამმა, მერე ბიჭს ხელი ჩამოართვა. ბიჭი წამოდგა.

— რა უნდა ვქნათ ჩვენ ახლა უღედოდ? — თქვა მან.

— რას იზამთ ახლა? — შეეკითხა გურამი კურელას.

— მარშრუტისას? არ, ვიცი, უმისოდ ალბათ ვერ შევძლებთ გზის გაგრძელებას.

— აქ დღეობებია, ათენგენობა.

— ჰო, ვიცი. როგორ ელოდა დღეობებს!

— რა ერქვა?

— ელბიდე.

„ელბიდე“, გაიმეორა გურამმა, მერე ორჯერ თქვა რატომღაც თავისთვის: „ელბიდე, ელბიდე“, ყვავილები დაკრიფა, თავთან დაუწყო და ცხენს გადააჯდა.





ცხენი ლოდინებს შუა მიხტოდა. „ხომ შეიძლება მეც გადავვარდნიყავი ფიქრობდა გურამი და უფრო მიაჭენებდა ცხენს.

ფერდობზე ქლოშინით მორბოდა ვაჟა.

გურამმა ხელები გადააჯვარდინა, მაგრამ ჯვარი დაბრეცილი გამოვიდა და გაჩერების ნიშანს დაემსგავსა. ლელავდა, კიდევ ანიშნა სიკვდილი, ვაჟამ მაინც ვერ გაიგო; რალაც იყო შეუცნობელი, სიმწუხარისა და ამბის ნახვის, ცნობის-მოყვარეობას შორის, რომ პირველმა მან ნახა სიკვდილი.

— მოკვდა, — თქვა, როცა ახლო მივიდა.

— ჰა? — პირი დააღო ვაჟამ.

— უკვე მოკვდა, არაფერი ეშველება.

— სად არის?

— აი იქ, ლოდინებში, ჯერ შავ ცხენს დაინახავ.

ვაჟა ზევით წავიდა, გურამმა ქვევით გააჭენა ცხენი. ხეობაში ხალხი გამოჩნდა. წინ ექიმები მოდიოდნენ. უკან მომავალ ხევსურებს საკაცე მოჰქონდათ.

— უკვე მოკვდა, — თქვა გურამმა.

— აუჰ! — თქვა ერთმა.

— რა უბედურებაა! — თქვა ბოხნიანმა.

— საწყალი... ალბათ კურელა თავს იკლავს, არა?

— არა! — ჩაილაპარაკა გურამმა და ცხენი ხევსურებისაკენ დასძრა. „მე ის კაცი მეცოდება აქ, ამ უცხოეთში“ — მოესმა უკნიდან.

— რა, მოკვდა? — დაიძახა ვილაც ხევსურმა, დანარჩენებმა ნაბიჯს აუჩქარეს.

— მოკვდა, მოკვდა, — გურამმა ისევ ზევით გააჭენა ცხენი.

კურელა ისევ თავს ადგა ცხედარს. ახალმისული ექიმები შინჯავდნენ მკვდარს.

— კეფა აქვს გატეხილი, იმითაა მკვდარი, — სხვა ექიმებს გადახედა ბოხნიანმა.

— ჰო, მაინც ვერ გადარჩებოდა.

— რა ყოჩაღი ხალხია, კაცო, ქართველი ალბათ თავს მოიკლავდა მის ადგილას.

— გიგლა გიჟდება ქვევით, ჩემ ბრალად ვთვლიო, ამბობს, — თქვა ხევსურმა.

კურელა დაიძრა.

— მართლა, — თქვა მან, — გიგლას უთხარით, რომ მისი ბრალი არაფერია, რომ მე, პირიქით, მისი მადლობელი ვარ, მოხდა, შემთხვევა, სამწუხაროდ, ვერაფერს იზამ.

— ცუდი შემთხვევაა, — მიეყუდა ლოდინს გურამი.

— ჰო, სამწუხაროდ, — განაგრძო ალფრედმა. — არ იყო ავად, არ იყო მოხუცი, იჯდა ცხენზე ბედნიერი, მხიარული, თავის საყვარელ ქმარ-შვილთან ახლოს, საუბრობდა და უცებ მოხდა ყველაფერი; ეს უკვე მოხდა. ამას ვთვლი მე ერთ-ერთ ბედნიერ სიკვდილად, თუ შეიძლება ასე დაერქვას სიკვდილს. საწყალი ელბიდე, რა უცებ... ყველაფერი, — თავი გააქნია მან, ცრემლების მსგავსი მოადგა თვალებზე, გრძობამ სძლია წამით გონებას, — აი იქ დაცვა პირველად, — ხელი გაიშვირა მან.

გურამი წამოდგა, წინ ალფრედი წავიდა. ზევით ლოდინი ამობრუნებული იყო და მიწა ჩანდა. აქ არა, უფრო ზევით, — ახლა ბიჭი წავიდა წინ.

იქ ძირიანად ამობრუნებული გორახები ეყარა, ჩაფხეკილი მიწა შავად ღრუბლებს და. ალფრედი ისევ ყვებოდა გადმოვარდნის ამბავს: ცხენს ჯერ უკანა ფეხი დაუცდა, ელპიდემ მარჯვენა გამოიღო უზანგიდან და ქვას დაადგა, ცხენი მოულოდნელად დაფრთხა, მარცხენა ფეხით დაითრია.

— როგორ მოხდა? — იკითხა ქვევიდან მოსულმა ექიმმა; კურელა ახლა მას მიუბრუნდა.

— რაო, რას ამბობს? — იკითხა ახალგაზრდა ხევისბერმა. გურამმა უთარგმნა.

კურელა კი ისევ ყვებოდა:

— ცხენი მირბოდა, ის ეკიდა ფეხით და ტანით ეხეთქებოდა ცხენს, შველა არ შეგვეძლო, ჰო...

ახლა მას ამ ამბის უნაგარიშო მოყოლა უქარვებდა დარდს; რამდენსაც მეტს ყვებოდა, უფრო მშვიდდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ სხვები ღელავდნენ და წამით მაინც სხვაზე გადადიოდა მისი დარდი. მერე ექსპონომეტრა ამოიღო.

— თუ უცებ არ გადაიღე, ღრუბელი ეფარება მზეს და ხელახლა უნდა დააყენო ექსპონომეტრი, — თქვა, მერე გურამს მისცა აპარატი: — მეც გადამიღე ამ ადგილზე, — ის ამოთხრილი გორახების ნაპირას დადგა.

— არ ვიცი, რა ეშველება თქვენს დარდს, — შუბლზე ხელი მიიღო ბოხშიანმა.

კურელამ თავი გაიქნია.

— კაცმა შეიძლება ამ დროს თავი მოიკლას, — ანუგეშა მსუქანმა ექიმმა.

ქვევით ქალები ყვავილებს კრეფდნენ.

— თუ ძნელი არ იქნება, ჩვენც დაგკრიფთ ყვავილები, — დაწვდა კურელა ყვითელთავას. — აი ასეთები უყვარდა ელპიდეს, აი მისი დანაც, როგორ უყვარდა საწყალს.

დანა ამობრუნებული ლოდიანის ქვეშ ეგდო, შავი ტარი ჰქონდა და ორი პირი. ალფრედმა ჯიბეში ჩაიღო, მერე ფანქარი აიღო.

— დღეს რალაც დაწერა მგონი ამ ფანქრით, — თქვა მან, მერე ისევ აპარატი მოიმარჯვა და ამოთხრილ ლოდს გადაუღო სურათი.

— ამლა სად არის? — მოულოდნელად იკითხა მან.

— ახლოა ახილთან, ორი კილომეტრია, — უპასუხა გურამმა.

— საქმე მაქვს იქ. მარშრუტს ალბათ ვეღარ გავაგრძელებთ უმისოდ, ჰო, ამლამი მაინც ჩავალ, ტიხონოვმა მთხოვა თავისი პოემისთვის რამდენიმე სურათის გადაღება; რომ გაიგებს, როგორ ეწყინება ელპიდეს ამბავი, ძალიან ახლო იყვნენ ერთმანეთთან.

გურამი უყურებდა და უკვირდა, როგორ ახერხებდა დარდისა და საქმის ასე საოცრად შეთავსებას. მერე კურელას უთხრა:

— ხევისურები ამბობენ, სოფელში წავასვენოთო ამილამ, ხვალ კი ბარისახოშიო.

— არა, არ მინდა: ჩვენ ასეთი პირობა გექონდა, პირობა კი არა საუბარი, რომ სადმე მყინვარზე დაგვესაფლავებინა ერთმანეთი. აქ საუცხოო ადგილია, მდინარე, კლდე, კლდის ძირში დავასაფლავებ, კლდეში მარმარილოს წარწერას გავუკეთებ შემდეგ. ასე ერჩივნა ელპიდეს.

— თქვენ?

— მეც ასე, რა თქმა უნდა. დარწმუნებული ვარ, ელპიდეც ასე მოიქცეოდა, მე რომ შემმთხვეოდა...



სტეფანე კლდის ქიმზე იჯდა და პირდაპირ მთას სურათს უღებდა. „თინათინა სულ არ დარდობს“, გაიფიქრა გურამმა.

— ჩვენ ასე გავზარდეთ შვილები: მოკვდა, ესე იგი მოკვდა, — ბოდინი მოხადა შვილს კურელამ. — ჰო, ისინი ასე გავზარდეთ მეც და ელბიდემაც, — დაამთავრა მან.

გურამმა თავი გაიქნია. ახლა სტეფანე მუცელზე იწვა და წყალსა სვამდა, მერე ადგა. წიწილას გავდა, თმები სველი და აბუხული ჰქონდა, საცოდავი იყო.

— ვინდა დაგენიძლავები: უცებ დაარტყამს დარდი მაგ ბიჭს, — თქვა ვაჟამ. ვაჟას შავი ჯემბრი ეცვა, წვერები მოშვებული ჰქონდა. გურამი მიხვდა, რომ ვაჟაც იმასვე ფიქრობდა.

— მეც ეგრე მგონია, — თქვა მან.

— არც მამა და არც შვილი ჯერ კიდევ აზრზე არ არიან, რა მოხდა, ჯერ ისევ უკვირთ, — ვაჟა ლოდიანზე ჩამოჯდა.

— მეც ეგრე მგონია, — გურამიც ჩამოჯდა ლოდიანზე, მერე რატომღაც მოეჩვენა, რომ თითქოს იმას არ ფიქრობდა, რასაც ვაჟა.

— მაინც ძალიან ცოტას დარდობენ, არა? — თქვა გურამმა.

— ეგრე უნდა, მა რა! აბა რა ქნან, მეც ეგრე ვიზამდი, — ვაჟამ კურელას ახელა, რომელიც ახლა შავ ცხენს უღებდა სურათს.

— შენ შეიძლება არ გეტირა, ეგრე კი ვერ გაერთობოდი.

— ეგ შეიძლება.

— ჰოდა, ეგ არის ნამდვილი დარდი.

— მე მგონი სისუსტეა.

— დარდმა სისუსტე იცის.

— მაგათმა დარდმა არ იცის; ძლიერი კაცია.

— მაინც დარდის უნარიც სიძლიერეა.

ვაჟამ თავი გააქნია.

— ვინც დარდი არ იცის, მან არც მხიარულება იცის, არც რაიმე ძლიერის გრძნობა; მან მხოლოდ გონებით იცის, რომ არის ძლიერი და სუსტი განცდები.

ვაჟამ ისევ გაიქნია თავი, მერე თქვა:

— ეგენი დარდობენ, ოღონდ ცოტას, მე მაინც მგონია, ჯერ გონს ვერ მოსულან.

— არც ეგეთი ბავშვია კურელა, — თქვა გურამმა.

მერე იფიქრა, რომ შეიძლება, მართლაც მათთვის ამ ამბავში საკვირველი უფრო მეტია, ვიდრე საზარელი; მერე კიდევ იფიქრა, რომ კურელამ მშვენივრად იცის, რომ სიკვდილი არის სიკვდილი; მერე ფიქრს თავი დაანება და ხეესურებისაყენ წავიდა.

— ხეთისო, — უთხრა ხევისბერს, — წერაქვებ მოიღეთ და საფლავი გაუთხარეთ, აქ ითხოვს თავად.

— ჩავიტანთ სოფელში, არ გვეზარება.

— აქ ითხოვს თავად.

— მაგისტეის ჩამოვიდა აქ? იქ წეს მაინც ვეტყვით.

— არა, აქ უნდა, ამბობს მთა უყვარდა, მდინარე უყვარდა, თვითონ მკვდარს ესიამოვნება აქ დასაფლავებთ.

— მაინც რა უნდოდათ აქ?

— ისე, მოგზაურობდნენ.

— მთავრობა ფულს აძლევდა ალბათ.

— არა, თვითონ.

— ქალს რაღა უნდოდა?

— აინტერესებდა.

— ვალიკო, — დაიძახა ხეთისომ, — ეგე ცხენი და სოფლიდან წერაქვებ შილ, ბარიც. აქ უნდა დაეასაფლაოთ.

— წაგველო ქვევით, ხეთისოვ.

— აქ უნდ თავად.

ვალიკო ცხენზე გადაჯდა, ხეთისომ წეკო მიაწოდა გურამს. წეკო ფილტვებს წვადა. გურამს სიამოვნებდა რატომღაც ეს მძიმე ხველება. „აღბათ ქლექიანებიც ასე ახველებენ“, გაიფიქრა. ახლა კიდევანი სულ ჩამოიბურა და სიცივე წამოვიდა.

— წვიმა იქნება, — თქვა ხეთისომ.

გურამმა ხეთისოს დანა გამოართვა, მერე ბუჩქს ტოტი ჩამოაქრა და გვირგვინის კეთება დაიწყო. ტოტი ადვილად მოიხარა და მართალ გვირგვინს დაემსგავსა. კურელამ კანაფი მოუტანა; ქალებმა გვირგვინზე მინდვრის ყვავილების დამაგრება დაიწყეს. მუშაობის დროს მათ ალფრედმა სურათი გადაუღო. გურამმა ახლა სხვა, უფრო მსხვილი ტოტი მოჭრა, უნდოდა თვითონ გაეკეთებინა ერთი გვირგვინი. ტოტი არ მოირკალა მთლიანად, ნახევარ რკალად დატოვა და ზედ ყვავილების დამაგრება დაიწყო, მერე ვაჟა მოვიდა, თან იღლია ყვავილები მოიტანა.

— ახლავე მოგეხმარებით მეც, — თქვა ალფრედმა და ამობრუნებული გორახებისაკენ გასწია, ზორბა სხეულით დაებჯინა ლოდინას. ერთ ხანს ასე იდგა. გურამი ქიმის ქვევიდან უყურებდა. მას ახლა მოსწონდა გერმანელი მწერალი, რომელიც ყოველნაირად იკავებდა თავს, რომ თავისი დარდით სხვა არ შეეწუხებინა. კურელა ამ ტრაგედიას უყურებდა მომავლის თვალთ, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც დაამშვიდებდა მას, ითვალისწინებდა დარდს პერსპექტივაში.

გურამი ზღაზენით წავიდა ზევით; იქ საფლავს თხრიდნენ.

საფლავის ერთ მხარეს ქვევით წყალი ჩადიოდა, ზევით დიდი ტინი იდგა, რომლის უკანაც იწყებოდა გველის მთა. აქედან მხოლოდ გველის მთის ძირში დაყრილი მთალოდები ჩანდა. ეინქლავდა. ახლაგაზრდა ხევისბერი უმოძრაო სახით ებრძოდა ტინს. მოქნეულ წერაქვს კლდეს ოდნავ დადებულ პირში ურტყამდა, არყევდა ტარით. ერთი პირი ამოამტვრია, მერე ლორღი დაიწყო. ახლა საფლავის ბოლოში ამოვიდა ტინი. ნელა ღრმავდებოდა სამარე. ხეთისომ წერაქვით შემოუარა და ძირი ვერ უპოვა ქვას. უფრო ღრმად შემოუარა, ქვა სიგანეში წავიდა. მეტი თხრა აღარ შეიძლებოდა.

ახლა კიდევანიდანაც დაეშვა ღრუბელი და გველის მთის ნისლს შეუერთდა. ამ დროს მზე გამოვიდა; ჰაერი დაიხუთა. ხეთისომ ცას ახედა. „წვიმა მოვა“, გაიფიქრა გურამმა.

— სხვა უნდა დავიწყოთ, აქ აღარ მიდის, — თქვა ხეთისომ.

ვალიკომ დინამიტი მოიტანა.

— თევზებისათვის მინდოდა, — თქვა მან.

დინამიტი კლდის ძირში შედეს. ექიმები ქვევით წავიდნენ, იქით ნისლი იყო და აღარა ჩანდნენ. ხევსურები კლდეს ეფარებოდნენ. ვალიკომ პატრუქს მოუკიდა.

კურელა მარტო იჯდა ქვევით ცხედართან და მეუღლის შუბლზე შემხმარ სისხლს უყურებდა.



— დინამიტი დაუდეს, — თქვა გურამმა და ჩამოჯდა.

— ოჰ, ჰო, — კურელამ გურამს შეხედა. — ახლა აფეთქდება, — თქვა მან.

ექო კლდეს შეეფერთხა, ლოდინის ნამტვრევები წულით ავარდნენ პაერში, მერე ექომ უფრო შორს დაიძახა, მერე უფრო შორს და სადღაც მოკვდა. ხეცსურები ამოთხრილ ადგილში მიწას ყრიდნენ, ღორღი არ იტკეპნებოდა კარგად.

— მზად არის, — თქვა ხვთისომ და გვერდებზე სიბების დაწყობა დაიწყო. ყველანი ცხედართან მოგროვდნენ. კურელა იდგა და ისევ მეუღლის შუბლზე შემხმარ სისხლს უყურებდა, მერე თქვა:

— კიდევ კარგი, დაღამებამდე მოვასწარი, მე ძალიან მადლობელი ვარ.

— იქნებ გამოთხოვება უნდა, — გურამი ზევით წავიდა.

ყველამ ზევით იბრუნა პირი.

— უკვე, — თქვა კურელამ: — გამოვეთხოვე.

ცხედარი საკაცეზე დაასვენეს. საკაცე ორი გრძელი ხისგან იყო გაკეთებული და შუაში თოკები ჰქონდა ჩახლართული. კურელას მიცვალებულისათვის სამთო ფეხსაცმელები გაეხადა. ახლა მას ჩუსტები ეცვა. ცხედარი საბანში გაახვიეს, მერე გამჭვირვალე საწვიმარი გადაახურეს. გურამი მიცვალებულის ფეხებს უყურებდა.

— ფეხსაცმელებს ვინმეს მივცემ, ზოგჯერ მაინც მიხედავენ საფლავს, — თქვა ალფრედმა.

არხოტის წყლის თავიდან ქარი უბერავდა. ნისლები გადაიყარა. ციოდა. მაგრამ მზე წვედა. გურამი საკაცეს დაწვდა. ქარმა ისევ მოუბერა და საწვიმარი ახადა ოდნავ, მერე პლაშში ისევ დააკვდა მკვდარს. გურამმა უკან დაიხია: ყველაფერი ეს მიცვალებულის განძრევას გავდა. ერთი წუთით ეჩვენა, რომ ის გაცოცხლდა. ახლა უფრო კარგად შეიგრძნო სიკვდილი.

— ხომ არ შეიძლება შეცდომა იყოს? — თქვა კურელამ და პლაშში დაამგრა.

ექიმმა მკვდარს მკლავი გაუშინჯა; ის ნახევრად მოხრილი იყო და გახევებული.

— სიკვდილიდან ორი საათის შემდეგ ხდება ხოლმე სახსრის გაძვალეობა, — თქვა მან.

ცხედარი მალა ასწიეს და საფლავისკენ წაიღეს. კურელა სურათს იღებდა, მერე საფლავში ჩავიდა და ვაჟას სთხოვა გადაელო. ვაჟამ გადაულო. ახლა ხვთისო პირდაპირ ჩაწყობილ სიბებს ფართო, ბრტყელ სიბებს აფარებდა გარდიგარუმო. აკლდამა უცებ ამოშენდა. მერე მიაყარეს მიწა, ზედ ქვები დააწყეს. კურელამ გლუვი სიბი იშოვა და დააწერა:

## ЭЛПИДЭ КУРЕЛЛА

1908 — 1957

წარწერა გულზე დაადეს, მერე დააყარეს ყვავილები. მათ უკვე მოესწროთ დაჰკნობა. საფლავის გარშემო უაზრო სახეებით იდგნენ ხეცსურები. ექიმები თავჩაქინდრული უყურებდნენ დამჰკნარ ყვითელთავებს. ბოხხმიან ექიმს თვალებზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი.

— ის ქვა იქ ჯობდა, — თქვა მან.

ხვთისომ აიღო და დადო ის ქვა იქ. საფლავი ისევ მოწყენილი ჩანდა. კურელამ ბოხხმიანს შეხედა.

— თუ შეიძლება, გადაუთარგმნეთ, მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა. — მან დაიწყო: — ოცი წელია, რაც ელპიტე კურელა ჩემი მეუღლეა, ის ხუთი შვილის დედაა, მწერლის ცოლია, ალფრედ კურელასი. ის თავისთავად ძალიან საინტერესო ადამიანი იყო, ექიმი. ბევრის სიცოცხლე უხსნია მას. ელპიტეს ძალიან უყვარდა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხი და განსაკუთრებით კავკასია, საქართველო. ის აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა და მუშაობდა ექიმად სამი წელი, ის ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობარი იყო.

ბოხხმიანი თარგმნიდა თავჩაქინდრული, მერე ხმაში ცრემლი შეერია.

— ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, — გაიმეორა კურელამ.

ბოხხმიანს თვალეზზე ცრემლი მოადგა, მერე ხელი აიღო მაღლა, ჩაიქნია, ვანზე გავიდა, იქვე დაჯდა და თავი მუხლებში ჩარგო.

— ეტყობა, დაიღალა დგომით, — მიჩურჩულა ვაჟამ.

თარგმნა ქალმა განაგრძო:

— მე უღრმესად მადლობელი ვარ, ხევსურებო, თქვენი, უღრმესად. არც მე და არც ჩემი ხალხი არ დაივიწყებთ თქვენს ამავს, კიდევ ერთხელ გმადლობთ ჩემი და ჩემი განსვენებული მეუღლის სახელით; მოერჩი, — თქვა მან.

ხევსურები აიშალნენ. ბოხხმიანი ნელა დაეშვა სოფლისაკენ. სხვა ექიმები უკან მიყვებოდნენ, კურელამ კიდევ ერთი სურათი გადაიღო.

— რა კარგად უჭირავს თავი კურელას, — თქვა გურამმა.

— ექიმსაც კი აუჩუყდა გული, — ჩაიცინა ვაჟამ.

— ჰო.

— ვითომ ყველაზე მეტს დარდობდა, არა?

— ჰო.

— წავიდეთ, — მოესმა გურამს კურელას ხმა. ბილიკი ისევ ქვიანი იყო, მერე ხევი დაიწყო. ახიელში სამხიმრით შეხედნენ ხევსურები კურელას და ათენგენში დაბატყეს, თან ეუბნებოდნენ, თქვენ მაგის თავი არ გექნებათ, ვიცით, მაინც ამოდითო.

— სიამოვნებით წავალ, — თქვა კურელამ. — საწყალი ელპიტე სულ მაგ დღეობების მოლოდინში იყო, მისი გულისათვის მაინც, ჰო.

— დილით ერთად ვიყავით. ახლა? — კურელამ ხელი ხელს მიადო. — ჰოო, — თქვა მან.

ბანზე ქვევიდან სიბნელე ამოვიდა. კიდევანას პატარა მთა ეფარებოდა და ის თვითონ გავდა კიდევანას. წამოწვიმა, მერე გადაიღო. კურელა მარტო იჯდა, შემდეგ სხვებს სთხოვა მასთან ახლო დამსხდარიყვნენ და საუბარში გაერთო. სტეფანე მოყუყულები უსმენდა მამას.

— ჯერ კიდევ აზრზე არ არის ბიჭი, — თქვა ვაჟამ.

გურამი და ვაჟა საფლავის ქვაზე ისხდნენ. საფლავზე ქვევი ბევრი იყო, ისინი გაფანტულნი ეყარნენ; ერთი ზევით იჯდა, მეორე ქვევით. აქედან ხეობა მოჩანდა ბილიკის ნაფლეთებივით.

— ცხენებზე სხედან და რა ნელა მოდიან, — გაეღიმა ვაჟას.

— აბა რა იქნება. საერთოდ რომ შესხდნენ გუმწინდელი ამბის შემდეგ, არ გიკვირს?

— ჰო, მართლა, მიკვირს, გინდა ვითხრა მართალი? ამ ადგილას ხევსურ-



რებიც კი ჩამოვლენ ცხენიდან, ყველას რალაც შიშით აიტანს, უფრო ძნელად გილას კი ატენებენ.

— უფრო ძნელად გილას კი...

— გახსოვს, გუშინწინ ხატში ყველა რა კმაყოფილი იყო, როგორ იგონებდნენ, რომ თვითონ ცხენით გამოიარეს ეს ადგილი და არ გადმოვარდნენ?

— ექიმები გახსოვს?

— აგერ გამოჩნდნენ.

გურამი წამოდგა, მერე თქვა:

— ხელად, რა მძიმედ მოდიან?

— ბიჭო, რაც მაგათ სამძიმარი უთხრეს გუშინ! — ვახუშტი ვაჟამ.

— კურელასი არ ვიცი, მე კი სამძიმრების თარგმნამ დამალა. — მართლა, როცა მოვლენ, ჩვენ იქით წავიდეთ, დაემშვიდობოს უკანასკნელად, მე მგონი ამის მეტად აღარც ჩამოვა.

— მეც ეგრე მგონია.

კურელა ცხენიდან ჩამოხტა და საფალავთან მივიდა. სტეფანე უკვე ლოდინზე იჯდა. ვაჟამ ცხენები ჩამოართვა ორივეს. კიდეგანას ფერდაში ნისლი მიიყუტა, ჰაერში ნესტი ტრიალებდა. კურელამ, სიძვე დაწერბილი გაასწორა; „მარმარილოს კლდეში გავაკეთებ“, თქვა თავისთვის, მერე დამჭკნარი გვირგვინი აიღო და საფლავზე ახალი ყვავილები დააწყო. „ესეზიც ჩქარა დაქკნება, მაგრამ მაინც“, თქვა მან თავისთვის, მერე სახე უცებ დაეძაბა, თვალები დაებერა, ნელა მივიდა შვილთან და მხარზე დაადო თავი; სტეფანე მოკუნტული იჯდა, დილით დასველებული თმები აეშალა, სახე გაფითრებული ჰქონდა სიცივისგან და მზეზე დამწვარი ცხვირი წითლად უბრიალებდა.

— საწყალი ალფრედი, ახლა დაარტყამს ალბათ ელდა, — თქვა ვაჟამ.

— ბიჭსაც, ხო იცი...

— ბიჭი წიწილას დაემსგავსა. ჯერ აზრზე არ არის.

— წავიდეთ — თქვა კურელამ და გაიღიმა. — აი იმ ბილიკით რომ წავსულიყავით, არაფერი მოხდებოდა, — მან გაღმა გაიშვირა ხელი.

ვაჟამ უზანგი დაუჭირა, ის მძიმედ შეჯდა ცხენზე.

— ქვევიდან რომ მოევლო იმავე ბილიკისათვის, არაფერი იქნებოდა, — თქვა ვაჟამ.

გზა მთაში წავიდა, მერე თოვლზე გადავიდა და უდელტეხილს შეუდგა. აქ ნისლი იდგა თეთრი ნისლი. ნისლი ცოტა ნათელიც იყო, სავალი გზა ხუთითდე ნაბიჯზე მოჩანდა. ქარი ფერდას ურტყამდა, — ყინავდა, მერე ყინვამ უფრო იმატა. გურამს მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა, ააძაძავა და ნაბიჯს აუჩქარა. ვაჟამაც აუჩქარა. ცოტა გახურდნენ, მაგრამ ზევით ქარმა იმატა. ისევ აცივდა ძალიან. უკან დარჩენილი კურელა ცხენიდან ჩამოვიდა, სტეფანეც ჩამოვიდა ცხენიდან.

„ნეტა არ ჩამისწროს ამბავმა თბილისში, — ფიქრობდა ალფრედი. — არ მინდა ჩემმა პატარა ვაჟომ გაიგოს უჩემოდ. ალბათ თვითმფრინავი იქნება, ხვალვე გადავფრინდები... საწყალი ელბიდე, ვეღარც მარშრუტი გავაგრძელეთ ორმა, უხერხულიც არის... სად უნდა გავატაროთ შვებულების დანარჩენი დრო? ვნახოთ, შევკრებ შვილებს და მთაში ამოვალთ, უკანა ფშავში მაინც. ამბობენ, იქ მშვენიერი ხედებიაო; იმ ადგილებთანაც ახლო ვიქნებით, სადაც ელბიდე დაიღუპა. საწყალი ელბიდე, მხიარული, გამრჯე დედა. საწყალი“.

გზამ ქვევით დაიწყო დაშვება, ნისლები უფრო დაინისლნენ და ჩაწვნენ. ვაჟა და გურამი უდელტეხილის ქვევით იცდიდნენ. აქ ქარი უბერავდა, ცი-

ოდა. როცა კურელა მოვიდა, ვაჟამ შტორმოვკა ამოიღო ცხენზე გადაკიდებულ ზურგჩანთიდან, გურამს გადაუგდო. შტორმოვკაში ქარი არ ატანდა და თბილოდა.

— აქ ცოტა დავისვენოთ, — თქვა ალფრედმა, მერე საველე ჩანთა გახსნა: — მოდით აქ, — დაიძახა მან.

— აი ჩვენი მარშრუტი შუა ფხომდე, გზაც ესე მაქვს აღნიშნული, აი ამ შავი ფანქრით ოჩიაურის შენიშვნებია, ხედავთ?

— ჰო — თქვა გურამმა. — ჯერ რომ შატილით წასულიყავით, ეგ ამბავი არ მოხდებოდა.

— მაგ „რომ“-ზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგ „რომ“-ების უზარმაზარი ჯაჭვი შეიძლება გაკეთდეს, ასე რომ ჩავეყვით, მივალთ იქამდე, „რომ“ საერთოდ არ დაბადებულიყო, არც მოკვდებოდა.

გურამი უსმენდა და ხედებოდა: ასეთი ანალიზი უმსუბუქებდა კურელას დარდს. „ამით იგებს ის“, ფიქრობდა თავისთვის: რომ არ დაბადებულიყო საერთოდ, არც მოკვდებოდა. რამხელა გაადვილებაა, მართალიც არის. ვერც ეტყვი ვერაფერს. მაინც არის კიდევ რაღაც სხვა ამ „რომ“-ში, რაც თვითონაც მოსდის. თუმცა ჯერ ისე მკვეთრად არ შეუშინეწვია. არა, ბოლოს, საფლავზე შევილს რომ აკოცა, რაღაც ცრემლივით მოადგა, მაშინ არ იყო მისთვის „რომ“ გასაკიცხი, თუმცა, ალბათ, მაშინაც ნაწილობრივ. ალბათ ეგ „რომ“-ის შეგრძნება ყველას აქვს, ოღონდ სხვებმა არ იციან, რომ აქვთ. დარდობენ, მერე ეგუებიან. თავისთავად გამოდის ის „რომ“, ოღონდ გვიან. მაგან კი იცის. ჰო, ჯობია ცოდნა, ნაკლებს დარდობ. დარდით რა თქმა უნდა, ვერ უშველი.

წამოჟინებლა, საღღაც ნისლი გაიხლიჩა და ისევ დაიბურა. ალფრედმა რუქა დაკეცა, ჩანთაში ჩაღო, მერე შოკოლადი ამოიღო, ხუთად გაჰყო, მეხუთედი ცხენის პატრონ ხევსურს მიაწოდა.

— უთარგმნეთ მას, — თქვა კურელამ: — ჩვენს ოჯახს ელზიდესთან ერთად სიარულის დროს ასეთი ჩვეულება გვქონდა — უღელტეხილს გადაცდოლით თუ არა, შოკოლადი თანაბრად უნდა გავგვეყო. ახლაც ვაგრძელებთ, ჰო. ვაჟამ ღიმილით უთარგმნა.

— თქვენც უთხარით, — ენის ბორძიკით თქვა ხევსურმა და გაიცინა: — თქვენც უთარგმნეთ: ხევსურებს სიარულის დროს ეგეთი ჩვეულება გვაქვს — დილიდან დაღამებამდე არაფერი არა ვჭამოთ-თქო.

ვაჟამ თარგმნა.

კურელას გაეღიმა.

— წავიდეთ, — წამოდგა ის.

გზა ქვევით ეშვებოდა, ნისლი ზევით დარჩა. ქვევით მზე იყო და ცხელოდა; გურამმა ისევ გაიხადა შტორმოვკა. აქ ბილიკი ფართოდ მიდიოდა. გურამს ალფრედის ცხენის ლაგამი ეჭირა და ისე მიყვებოდა გზას.

— მე მაინც მომხრე არა ვარ მდიდრული გასვენებისა, — დაიწყო ალფრედმა რატომღაც, — გურამი ჩუმად მიდიოდა. — ვის რა რგებს, — განაგრძობდა კურელა. — მკვდარს რას უშველი მაგითი? ვერაფერს. სიკვდილი ხომ სიცოცხლესთან ერთად იბადება, მე ასე მწამს, შევიღები უფრო მკაცრად აღვზარდეთ, მაგ პრინციპით.

— ჰო, ეგ სწორეა, — ხელი გაუშვა ლაგამს გურამმა. — მაინც არის რაღაც, ასე რომ არ იყოს, რატომ გინდათ ხელმეორედ ამოსვლა და მარმარილოს დაფის გაკეთება? ცოტა ხარჯია ან წვალება?

— შესაძლოა შენც მართალი ხარ, მაინც არის რაღაც... აი ერთ მაგალითს





მოგიყვანთ, ისე რომ იმას თავს დავანებებ, რაზეც ახლა ვსაუბრობდით. ამბავი ძალიან გვიანტერესებდა მაშინ ყველას; ამ ბოლო ომზე მინდა გითხრა. ბოლოს იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი თაობა როცა ომს ასხენებს, გულისხმობს პირველ მსოფლიო ომს, მეორე გაგრძელებასავით იყო. მე ისევ გადავუხვიე... მაშინ, ორმოცდახუთში, ზავის დადებამდე, ვიდაც დაეცა ბოლო ტყვიისაგან, ყველამ გაიგო მისი სახელი და ხალხს განსაკუთრებით ეცოდებოდა. მე მაშინ ვამბობდი: რაღა „ის“ არის საწყალი და არა ის, რომელიც ომის დასაწყისში მოკვდა ან შუაში, ვინზე ხომ უნდა ყოფილიყო ბოლო, არა?

— აჰი იყო, ყველაზე საწყალიც იმიტომ იყო, რომ ის ბოლო იყო და მისი სახელიც ყველამ გაიგო; ხალხს არ შეუძლია იდარდოს ყველა ერთად, ამიტომ დარდობს იმას, სწორედ იმას, ვინც რაღაცით გამოირჩევა, იმიტომ რომ „ის“ თავის სიკვდილით განსხვავდა სხვებისაგან. მთელი ომის უბედურებაც იმ ერთის სიკვდილში გადააქვთ. მართალია ხალხი. თქვენც ხომ ამსჯელეთ იმაზე? ალბათ თქვენც გულის სიღრმეში რაღაც იგრძენით.

ახლა გზამ სულ გაივარა და ბილიკზე გადმოგდებულ ფშანს შეუერთდა.

— გახსოვთ რემარკის წიგნი? — განაგრძობდა გურამი. — როგორ აღის ხოლმე გრძნობა გონებაზე მალა.

— ჰო, მაგრამ კარგად აღარ მახსოვს.

— გრებერი იჯდა ვაგონში და ჯარისკაცების ლაპარაკს უგდებდა ყურს. არავის არ უნდოდა ფრონტზე წასვლა, თან ყველა ბრაზობდა, რომ მატარებელი წასვლას იგვიანებდა. ლოდინი აგიყვებდა ხალხს, ვიდაც მსუქანი ფანჯარაში იყო გაჩრილი და ცოლს ელაპარაკებოდა, ქალს ორი ბავშვი ექირა ხელში. მატარებელი დაიძრა. გრებერი ფანჯრის ღიად დარჩენილი ნაწილიდან ხედავდა ბაქანს. უცებ სადღაც, კუთხეში, თვალი მოჰკრა ელიზაბეტს, რომელიც ცხვირსახოცს უქნევდა მატარებელს. გრებერი ეცა ფანჯარას. მატარებელმა სვლას უმატა. მსუქანი არ შორდებოდა თავის ადგილს. ატყდა ბრძოლა, მსუქანი არ თმობდა ადგილს, გრებერი ეწეოდა უკან, უნდოდა, უკანასკნელად დაენახა ის ელიზაბეტს, გაეგებინებინა, რომ თვითონაც დაინახა ის. უცებ ინანა, რომ გაიღებოდა აუკრძალა. რა სისულელე მოუვიდა! ახლა შორდებოდა და ვინ იცის... „ელიზაბეტ, ელიზაბეტ“ — ყვიროდა მთელი ხმით და ცდილობდა ფანჯარაში ხელი მაინც გაეყო, დაექნია. მისი ხელი ქანაობდა სხვა ხელებთან ერთად. ბაქანი სიბნელეში გაეხვია, ელიზაბეტმა ვერ დაინახა...

გურამი ლაპარაკით გაერთო, გრძნობდა, რომ ცივი გონებით იმდენივე იცოდა სიკვდილზე, რაც იმან, კურელამ, და მაინც განიცდიდა სიკვდილს. ცხადი, ცივი გონება ხელს არ უშლიდა განცდის უშუალობაში, ასე მოუვიდა გრებერსაც. ახლა ის წინ მიდიოდა, ცხენზე მჯდომი ალფრედი უკან მოიჭოვა. ქვევით რომჟა მოჩანდა. „არა ღირს გაჩერება“, გაიფიქრა მან და გზა განაგრძო, რომ-კა გვერდით დარჩა, ბილიკი პირდაპირ მიდიოდა და ეშვებოდა სამანქანო გზაზე. შარაზე ცხენოსნები დაწინაურდნენ, ხევისურიც წინ წავიდა; ვაჟა და გურამი ნელა მიყვებოდნენ უკან.

— ვერ ვიტან ფეხით სიარულს, სადაც მანქანით შეიძლება, — თქვა ვაჟამ.

— მეც. — თქვა გურამმა.

„კოლმეურნემ“ ასფალტზე ასი უჩვენა და ერთ საათში თბილისში იყო. გვერდები ღია ჰქონდა მანქანას, ცხელი ჰაერი ურტყამდა ალფრედს. სტეფანე ქვევით იჯდა.

— ესეც თბილისი, — თქვა ვაჟამ.

— ჩქარა მოვედით, საერთოდ აქ კარგი შოფრები არიან, — გუბნის მძღოლს გადახედა.

— მაგათ ვერ გააკვირვებ, — თქვა მძღოლმა ქართულად, მერე კურელს გაუღიმა: — ინტურისტთან, არა? — იკითხა.

— პაველიონში, ქვევიდან, — კურელამ სახე წინ წამოწია და ქუჩას მი-  
აშტერდა. პაველიონის კარები დიდი იყო და უჭრიალოდ გაიღო.

— თქვენ? — დაიძახა მომვლელმა ქალმა, თავი კარის რაფას მიადო და ატირდა. აღფრედი გაოცებული უყურებდა მას. გურამი და ვაჟა წინ წავიდნენ. უზარმაზარი სასტუმრო ოთახის შემდეგ საწოლი ოთახი იწყებოდა, იქ დააწყეს ბარგი. ოთახი მოხერხებული ჩანდა საწოლად. ლოჯინის თავზე ქალის კაბა და გრძელი, ყვავილემზანი ხალათი იყო გადაკიდებული.

— აი საწოლები — თქვა ვაჟამ. — აქ იწვნენ ისინი ბოლო დამეს.

გურამი და ვაჟა სასადილოში გამოვიდნენ. იქით კუთხეში დიდი სარკე-  
ბი იდგა. „რა ქუჩუიანი ვარ“, გაიფიქრა გურამმა. სარკეში საწოლი ოთახი ჩანდა თავის სარკიანად, იმ სარკეში კი სასადილო. სასადილოში ბიჭები ისხ-  
დნენ. კიბეებზე მსუბუქად ამოვიდა აღფრედი, სწრაფად მოათვალიერა სასა-  
დილო და საწოლში შევიდა. საწოლის კარები ღია იყო, სასადილოს სარკეში ჩანდა: აღფრედი იდგა გაშეშებული, მარტოკა, და იმ საწოლს უყურებდა. რომელზეც ქალის კაბა და ყვითელყვავილებიანი ხალათი იყო გადაკიდებული. გურამმა რაღაც იგრძნო ტკივილივით: იქით ოთახიდან ხმამაღალი ქვითინი მოისმა; სარკეში ჩანდა: აღფრედი დაეცა საწოლზე, აღრიალდა. ის ტიროდა, ხმამაღლა ქვითინებდა და ზორბა მხრები უძაგძაგებდა.

— ხომ გითხარი, დაარტყამს-მეთქი, — თქვა ვაჟამ.

გურამმა სარკეს ზურგი შეუბრუნა და პირდაპირ დაიწყო ოთახში ყურება. კურელამ თავი ასწია, მერე წამოდგა, აქეთ ოთახში გამოვიდა.

— ჰო, — თქვა მან. — ასე... აღარ არის ელპიდე, მისმა შვილებმა კი არ იციან ეს. სასწრაფოდ უნდა გაიგზავნოს დეპეშები გერმანიაში.



მოთარ ჩხეიძე

# პირობა

## ჩემი სოფლის მტიულებიდან

უკანასკნელი მუხლმოყრილიც წამოაყენეს, განზე გაიყვანეს, კუბოს თავი დააჭედეს და თოკები ამოუგდეს ძირიდანა, მერე ასწიეს ფრთხილად, თანაბრად, ციმციმ ჩაუშვეს სამარეში; ჰო, ჩაუშვეს, მაგრამ ვერ ჩაუშვეს, თითქოს პირი შეიკრა მიწამო, კუბოც ზედ დააჯდა და მოიკალათაო. ისევ ასწიეს კუბო და ჩაჭხედეს სამარესა, — არა, პირი არ შეეკრა სამარესა, ან რა შეუკრავდა პირსა, ვიდრე არ მიუბოძებდნენ ცხედარსა, ვიდრე თითო მუჭა მიწას არ მიაყრიდნენ და არ ჩასძახებდნენ ოხვრითა, სლუკუნითა, ცრემლთა ფრქვევითა: მიწა ხარ და მიწად იქეციო; ჰო, სამარე ისევ გადახსნილიყო, გადახსნილიყო და კუბოც დაუშვეს ისევ ციმციმა, ციმციმ დაუშვეს, ოღონდ რაც შეიძლება ზომიერად, თითქოს შეუმჩნევლად ჯერ ბოლო დაუხარეს, ბოლო ჩაუყვეს სამარეში, მერე თავი დააქანეს, გვერდებიც მიმოარხიეს. მაგრამ არ იქნა, მთლიანად ვერ ჩაიტანეს ძირამდისა, ბოლოც ისევ ამოვარდა, კუბო ისევ გადაიფოფრა სამარეზე, ისევ გაჯიქდა, ან ეგება სამარე გაუცნაურებულიყო; დაჭხედავდნენ — გადაიხსნებოდა, კუბოს დაუშვებდნენ და — შეიკვრებოდა...

ხალხმა წინ წაიწია, ყველამ ჩაჭხედა სამარესა.  
ვიწროაო, თქვეს.

ვიწროაო და რალს იზამდნენ, ისევ დაასვენეს ცხედარი, ბარსა და ნიჩაბს წამოავლეს ხელი.

ჭირსუფლებმა ისევ ჩაიმუხლეს ცხედართანა, ჰო, ჩაიმუხლეს, ცრემლიც მოუშვეს, ხმაც ამოიღეს, ოღონდ ტირილი როგორღაც აღარ გამოდიოდა, ეს უკვე გამეორება იყო და გამეორება მომღერლებსა თუ მოცეკვავეებსაც არ გამოსდით ხოლმე სცენაზე, აქ როგორღა გამოვიდოდა. თუმცა რა სათქმელია, საცა სამართალია, აქ უფრო უნდა გამოსულიყო, მაგრამ რძლები სტიროდნენ მამამთილსა, მკაცრ მამამთილსა, რომელსაც ოთხმოცდაათი წლისათვის მიეტანებინა და ბოლო ხანებში აუტანელი გამხდარიყო. ასე რომ გამეორება ვერ გამოვიდოდა, ყველა შესცქეროდა, როგორ აფართოვებდნენ სამარესა და

ჭირისუფლებსაც იქით ეჭირათ თვალი. ოღონდ როცა დაიძახეს, ეყოფათ როცა ბარ-ნიჩაბი დაყარეს და კუბოს მიეტანენ, ერთხელ კიდევ გამოიდგეს თავი ჭირისუფლებმა, კიდევ გადაევიდნენ კუბოს თავსა, კიდევ წამოაყენეს, თანაგრძნობითა და ნუგეშისცემით გაიყვანეს განზედა, ისევ ამოუგდეს თოკები კუბოსა, ასწიეს ფრთხილად, ოღონდ იმედინადა, დაუშვეს ციმციმა, ოღონდ თამამად და უფროც გათამამდნენ, როცა თავი კარგად წავიდა, მაგრამ დიდი დრო არ ეწერა ამ სითამამესა, — კუბო აბოლავდა, ბოლო ჩაუძარჯვეს და მამინ აყირავდა. ისევ წაყეყლავდნენ ყველანი, ზოგმა თოკს წაატანა ხელი, ზოგმა სახელურსა, ზოგმა ძირსა თუ გვერდსა, ყველამა სინჯა, მაგრამ ყველას გაუტრჩდა კუბოცა და სამარეცა.

მოკლეთ, თქვეს.

ცხედარი ისევ დაასვენეს, ისევ წამოავლეს ხელი ბარ-ნიჩაბსა, ჭირისუფლებმაც ისევ ჩაიმუხლეს, ისევ მოუშვეს ცრემლი, მაგრამ ვეღარ მოუშვეს, ვეღარც ხმა ამოაყოლეს ტირილსა, მხოლოდ ბარის ელვარე პირებს ჩასციებოდნენ თვლებითა, ელოდნენ უკანასკნელ გაეღვებასა, უკანასკნელი წატირებისათვის კიდევ იბოვიდნენ ძალასა, ცრემლიც ვითომ ეგრე როგორ გაუშრებოდათ, რომ ორიოდე ცვარი კიდევ არ გადმოგორებულყო; ოღონდ არ დასცალდათ იქამდისა, სადღაც ბოლოში აბუზღუნდა რომელიღაც შავებიანი ღედაკაცი, მისწი-მოსწია ხალხი, თუ არ გეტირებათ, მე მაინც მატირეთო. იმას თავისი გული დასწვოდა, თავისი ჯიგარი დასწვოდა, თავისიანი უნდა გამოეგლოვნა სხვის ცხედარზედა. არ დაუთმეს ჭირისუფლებმა, გადაეფოდრნენ კუბოს თავსა, აქეთიქეთდნენ და მოუშვეს ცრემლიცა.

ბარ-ნიჩაბი ელავდა, მიწა ამოდიოდა, იბნეოდა ოთხზე მხრივთა, კუბოსაც სწვდებოდა გორიხები, უნებლიეთ სწვდებოდა, ეცემოდა მარცვალ-მარცვალა, არიდებდნენ და მაინც იქით მიიწევედა ნიჩაბი, ჰო, არიდებდნენ, უფრთხილდებოდნენ, თუმცა მერე მთელი ეს მიწა ზევიდან უნდა დაეყარათ, მაგრამ მერე — მერე იყო, აუცილებელი იყო, აუცილებელს საით გაექცეოდნენ, ხოლო მანამდე მაინცა ფრთხილობდნენ, თუმცა ბევრი აღარაფერი ბედენა იყო ეს სიფრთხილე, არც გამოდიოდა, მაინცდამაინც იქითკენ მიიწევედა ნიჩაბი და რალაც უცნაურ ხმას გამოსცემდა კუბოს ფიცარი, ან ვინ იცის, გვერდებიც ერღვეოდა; ირღვეოდა და ცვიოდა დიდი ხელები, გაფაციცებული ხელები, ეხვეოდა მიწასა, ეხვეოდა და იხუტებდა გულში. რა თქმა უნდა, ასეთი რამე მართლა არა ხდებოდა, კუბო არ გარღვეულა და იქიდან არაფერი გამოცვენია, მხოლოდ რძლები გადაფოფრილიყვნენ და გორიხები ეჭრებოდა, მაგრამ იყო რალაც იდუმალი, რალაც დამაფიქრებელი კუბოსა თუ სამარის ამ ვაჯიქებაში, — კუბოსა, სამარისა თუ ცხედრისა, ამ უსულო სხეულისა, რომელიც არა და არ ჩადიოდა სამარეში. — ალბათ ცხედრისა, ალბათ ცხედარშიც გამჯდარიყო, სხეულშიც ჩარჩენილიყო რალაც ნიშნები დიდი სიჯიუტისა, მთლიანად არ ამოვარდნილიყო, მთლიანად არ გაჰყოლოდა ამომქრალ სულსა; ჰო, სიჯიუტე არ აკლდა იმ სულსა, არც მიწის სიყვარული აკლდა, ან აკლდო, რა სათქმელია, როცა უყვარდა, უყვარდა ყოველგვარ საზომსა და ზედსართავზე უფრო ძლიერადა, ანუ ვერარა ძალა გამოიავდა ამ სიყვარულსა; უყვარდა ისე, რომ ახალგაზრდობისასვე ხელი აიღო ყოველგვარ სიამოვნებაზე, დაითრგუნა სურვილები და დაუთრგუნა თავისიანებასაცა, მხოლოდ მიწას ეწოდინებოდა, მიწაზე მიიწევედა, იძენდა, დაობდა წინაპართა უთავბოლობით დაკარგული მამულების ამოსაგებადა, იბრძოდა, ბობოქრობდა და რევოლუციას სულ ცოტაც რომ დაეგვიანა, იმხელა მემამულე ეგებ



მეორეც აღარა ყოფილიყო არც ამიერ და არც იმიერ საქართველოში. იქნებოდა, მართლაც ასე იქნებოდა, ოღონდ ახლა ვინ იცის გასახსენებელიც არ იყო, რადგან ასეთ სიყვარულს ვინ ჩაუთვლის 'სიყვარულადა? მაგრამ რევოლუციამ აღარ დაახანა და მომავალმა დიდმა მემამულემ გუდანაბადი აიკრა, თავი შეაფარა ქალაქსა. რაღა ბედენაა, რომ დაწვრილებით ითქვას თუ როგორ გააშენა პატარა ბაღი ქალაქის განაპირასა, როგორ უვლიდა, საიდან სად ეზიდებოდა წყალსა, მერე როგორ გადაუარა ქალაქმა იმ ბაღსა, იმანაც როგორ გადაინაცვლა უფრო შორსა, ცოტა ხნის შემდეგ იქაც როგორ გადაუარა ქალაქმა, დიდრონმა ქუჩებმა, დიდ-დიდმა სახლებმა, როგორ გადაეკრა ასფალტი იმის ნამყენებსა, კიდევ როგორ გადაინაცვლა და კიდევ როგორ გაეკიდა ქალაქი. ჰო, რა ბედენაა, ამასაც გამოსდებენ რაღაცა კილსა, რაღაც კუდებს გამოაბამენ, არა, არ ჩაუთვლიან მიწის სიყვარულადა. დაე ასე იყოს, როგორც უნდა იყოს, მიცვალებულს რაღა მოეკითხება, მოსაგონებლად კი ესეც იკმარებს. აქ შეიძლება ისიც ამოჰყვეს მოგონების ძაფებსა, რომ, როცა ქალაქი ყველაფერს გადაეფარა და ბარი ვეღარსად დააკარა, მიწა აზიდა აივანზედა, მესამე სართულის აივანზედა, იქ გაახარა ვაჟი, ხეივანი ვაჰკიდა თითქმის მთელ სართულზედა. მაგრამ აქეთ მეზობლები აუქაქანდნენ, იქით წარუდგნენ წარმომადგენელნი სხვადასხვა სახისა, ესაო, გეგმაში არ არისო, ანსამბლი ირღვევაო, ისაო, თვალში არ მოგვდისო, არქიტექტურულად წარმოდგენილიაო, ერთი სიტყვით, არ შეიძლებაო; არ შეიძლებაო და შეუძლებელს აბა როგორღა მოეჭიდებოდა, ასჩენა ის უკანასკნელი ნაღვაწიცი, ასჩენა თავისი ხელითა, მერე ის ხელებიც უნდა წაეჩეხა, ოღონდ ეს აღარ მოუხერხდა. არ დაანებეს... ჰო. ესეც იყოს მოსაგონრადა, დაე ნურავინ ჩასთვლის საბუთადა თუ სადასტუროდა, სადაოდაც ნურავინ გამოიღებს თავსა, რა ბედენაა, აღარც აღარაფრის დარგვა შეუძლიან, აღარც აღარაფრის აჩეხვა მოუხერხდება.

ისევე წამოაყენეს ჭირისუფლები, გაიყვანეს, გაიყვანეს ოღონდ წელანდელივით ფრთხილად როდი, — ფაციფუციტ გაიყვანეს, ასევე ფაციფუციტ ასწიეს კუბო, მოჩქარებით დაუსწორეს სამარესა, ხოლო დაატყვეს თუ არა, მიწა აღარ შეიკრავს პირსაო, ფსკერამდე თალხნად წავა ცხედარო, ისევე წამოესიათ ამაჩუყებელი ფიქრ-გრძნობანი, ისევე ნელ-ნელა მოუშვეს თოქსა. წავიდა კუბო, ციმციმ წავიდა. დაბნეულობამაც გაიარა, გული ისევე ამოჯდა, მოებჯინა ყელსა, ზღუქუნმა იმატა, გზა გაიკვლია დატირებამა. ზოგი უკვე დასწვდა თითო მუჭა მიწასა, ზოგს ნიჩბისაკენ წაუვიდა ხელი, ზოგი გზისკენაც შებრუნდა. მაგრამ თავმდგომებს თოქები ჩაეკეცათ, ჩაეკეცათ ბოლომდგომებსაცა.

ნუ შეაჩერეთო, დაიძახეს ბოლომდგომებმა.

ნუ შეაჩერეთო, დაიძახეს თავმდგომებმაცა.

ერთნიც ეცადნენ, მეორენიცა, სამარესაც პირი დაელო, კუბო შიგ იყო, — მაინც შეჩერებულიყო. ნეტავ რაღაო, ნეტავ აქლა სამარის ფსკერი ხომ არ ამოწეულიყო?

აჰხედეს, ჩაჰხედეს, გაჰხედეს, გამოჰხედეს.

სახელურები გამოსდებიაო, თქვეს.

ვილაცამ ბრაზიანად მოიქნია ნიჩაბი სახელურების ჩასამტვრევადა, ვილაცამ აუკრა ხელი, — რასა სჩადიხარ, ჩათხარეთ, მიწა უყვარდა, მიწას მოითხოვს, მიეციო, გაატანეთ!

ისევე ამოასვენეს, გაჰირვებით ამოასვენეს, სახელურები უხერხულად გაჰყვდილიყო, აღარც ქვევით ჩადიოდა, აღარც ზევით ამოდიოდა, მაინც ამოასვენეს. ფეხები ძლივსლა მიათრიეს ჭირისუფლებმა, გამშრალიყვნენ, გაფით-

რებულოცენ და დაბნეულოცენ, აღარაფერი გაეგებოდით, ან სხვას ვიღაცა გაეგებოდა? რა გაეგებოდა ან იმ მოხუცსა, წელში მოხრილ მოხუცსა, საფლავი რომ გაეჭრა, გაეჭრა და ვერც გაეჭრა? ახლა მალიმალ იწმენდდა ჭირის ოფლსა, იწმენდდა და იწმენდდა. რალაც უცნაური შიში მორევოდა, შიში მოხუცისა, შიში სიკვდილისა: ასე არასოდეს დამართნოდა, არასოდეს, ახლა რა მოსვლოდა, რისგან მოსვლოდა, რა მომხდარიყო, ისიც ხომ არ მოეკითხნა მიწასა? რა თქმა უნდა, მოეკითხნა, ან მოეკითხავდა, ზეზე ვის დასტოვებდა მიწა, მაგრამ ახლა იღუმალი და უცნაური მაინც არაფერი მომხდარიყო... ის დიდხანია საფლავებსა სჭრიდა, ერთხელ ეკისრა და მერე აღარ ეშვებოდნენ, სჭრიდა და სთხრიდა, საფლავის თხრაში დაბერებულოყო, იცოდა რამხელა უნდა გაეჭრა. რა სიგრძისაცა და რა სიგანისაც უნდა ყოფილიყო, გადამტკავლავდა ბარის ტარსა, ბარის ტარით გადაზომავდა მიწასა, თავბოლოს პალოებს დაარკობდა და ჩასთლიდა ისე სუფთადა, ისე მოხდენილადა, ისეთი ლაზათითა, ჩაწოლა მოუნდებოდა ადამიანსა, ცოცხალ ადამიანსა, ხოლო მკვდარი ხომ განცხრომიით ჩაესვენებოდა ხოლმე ანუ ჩაასვენებდნენ ხოლმე; ასე იყო თუ ისე, ამის მსჯავსი მაინც არაფერი ეხილა და არც გაეგოხა, — მიცვალებული გაჯიქებულიყო, არა მორჩილებოდა ვაჟკაცებსა, უძალო ამბოხებულიყო, გასჯიუტებოდა ძალოვანთა; ოღონდ უფრო პირდაპირ რომ ითქვას, კუბო გაჯიუტებულიყო, ქალაქური კუბოი; მანამდის ხომ სოფლური კუბოებისათვისა სჭრიდა სამარესა, თხელი, ვიწრო, პატარა, სადა კუბოებისათვისა, ახლა ქალაქიდან მოესვენებინათ ცხედარი, ვარაყიან-ჩუქურთმიანი დიდი კუბოთი მოესვენებინათ და რახან წინასწარ ვერ დაიჭირა ვარაუდი, რახან ერთი დაიბნა, შიშიც შიშად წამოეწია და მოღუნა, მოადუნა, ჭირისოფლში დააღბო მოხუცი... იწმენდდა და იწმენდდა ჭირის ოფლსა, სხვები ქმინავდნენ, აგრძელებდნენ და აგანიერებდნენ სამარესა, ამოჰქონდათ და ამოჰქონდათ ბგლები, მთაგრეხილი ერთყმოდ სამარესა. ანდენი მიწა მაინც რომ შერჩენოდა, რალა მოჰკლავდაო. ესაა, რომ ენასა ძვალი არა აქვს და თქმა ყველაფრისა შეიძლება, ოღონდ რაც უნდა იყოს, ცოტა სხვანიარად მაინც მოკვდებოდა, ცოტა უფრო მშვიდად მიიცვლებოდა, თორემ აბა რალა იყო იმისი სიცოცხლე, ოთხკედელშუა გამოკეტილიყო, ფანჯრებიდანაც კედლების მეტს ვერასა ჰხედავდა, ხოლო ქუჩიდან ამოდიოდა და ამოდიოდა გუგუნნი, ხმაური, ქოთქოთი, გაუთავებელი, დაუსრულებელი. სხვა დროს კიდევ რა უჭირდა, ზამთარი იყო გაუსაძლისი. გული სასულეში ებჯინებოდა, სული ეხუთებოდა, იხრჩობოდა, იგუდებოდა, კანკალედა, იყინებოდა. როგორც უნდა გაეთბოთ ოთახი ორთქლის მილებითა, მაინცა სციოდა, სციოდა; მხოლოდ გაზაფხული თუ გაათბობდა, სულსაც მოუბრუნებდა, ძალასაც ჩაუყენებდა მუხლებშია, გარეთვე გასწევდა, მინდორში გაიყვანდა... დადიოდა და დადიოდა მინდორში, თითქმის ყოველ დღე დადიოდა, მაგრამ ვაი ამ სიარულსა, ქალაქი ჯიქურად მიიწევდა, მძლავრად მიიწევდა ოთხივ მხრითა, სიგრძლივაცა და სიგანითაცა, მიიწევდა და მიიწევდა, მინდორიც მიუბრბოდა და მიუბრბოდა, მისდევდა და ვეღარ მისდევდა, ძალა ელეოდა და მაინც მისდევდა, მისდევდა და მიჰყოდა, ენუკვოდა, ევედრებოდა მოეცაღნა, დალოდებოდა, მაგრამ ვედრება ვედრებადა რჩებოდა, აღარავის ესმოდა, აღარავის ებრალებოდა, ყველა თავისი ცეცხლით იწვოდა, ყველას თავისი ჟინი მიაქანებდა, იმასაც მიაქანებდა თავისი ჟინი, ვადრე არ დაეცა, ვადრე არ დალია სული... იქ, სადღაც ქალაქის გულიდან ძალიან შორს ნახეს ცოცხალმკვდარი მოხუცი... აღარ გაეგებოდა, ვინ იყო და

იქ რატომ მისულიყო, არავისი ესმოდა, არავის არაფერს უპასუხებდა, მხოლოდ ამასა ჩიფჩიფებდა, სოფელში დამმარხეთო.

სამარე გაგრძელდა, გაგანიერდა, ველარ შეიკრავდა პირსა, ველარც კუბო გაჯიქდებოდა, სამარეს მაინც აგრძელებდნენ, მაინც აგანიერებდნენ, გახელე-ბულიყვნენ, გაფიცებულებულიყვნენ, ჰყრიდნენ და ჰყრიდნენ მიწასა.

ეყოფათ.

მაინცა თხრიდნენ, თხრიდნენ.

როგორც იყო იკმარეს.

ისევ შეუღდგნენ მხარში ჰირისუფლებსა, ისევ გაიყვანეს, ისევ ასწიეს კუბო უცნაურად მოშლილებმა, გულაჩუყებულებმა, ამღვრეულებმა, დაღლი-ლებმა, ასწიეს და ჩაუშვეს, ნელ-ნელა ჩაუშვეს და რატომღაც უნდოდათ, რომ სამარე კიდევ გაჯიქებულიყო, გაურჩებულიყო, მაგრამ არა, გულგახსნი-ლიყო, ხელგაშლილიყო, ამ ერთს კი არა, სხვებსაც მიიღებდა სიხარულითა; ჰო, გადახსნილიყო, მაგრამ მალე მოუკრეს პირი, კუბო ჩაუშვეს და მიწა მცაყარეს, გორა დადგა სამარეზედა. იმ გორაზე ყვავილებიც მიმოაბნიეს.

მორჩა, ეს ბობოქარი სულიც მიაბარეს მიწასა ანუ მიწამ დააცხრო ეს ბობოქარი სულიცა, მიაბარეს და უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ვერ იძვროდნენ, ფეხი ვერ გადაედგათ, თავიც ვერ მოებრუნებინათ, ეგონათ ისევ ამოვიდოდა ცხედარი, ამოვიდოდა და გაჯიუტდებოდა, მოითხოვდა უფრო დიდ სამარესა უფრო ბევრ მიწასა...



## საჩვეი ასენინი

### წერილი ქალს

თქვენ კარგად გახსოვთ,  
რა თქმა უნდა, გახსოვთ ყოველი,  
როგორ ვიდექი მე კედელთან  
ჩუმი, დაღლილი.  
თქვენ კი ოთახში დადიოდით  
დაუცხრომელი  
და მწარე სიტყვებს  
პირში მახლიდით.

ამბობდით ასე:  
განშორების დაპკრა საათმა,  
რომ მე დაგლაღეთ,  
რომ გასმევდით დარდს და კაეშანს.  
რომ თქვენთვის დროა —  
ნამდვილ საქმეს თავი გაართვათ.  
მე კი ღირსი ვარ,  
კიდევ უფრო დაბლა დავეშვა.

ძვირფასო!  
ვიცი არასოდეს არ გყვარებდით,  
და არც იცოდით მღვრიე ბრბოში  
რას დავეძებდი;  
რომ ხშირად კაცი  
გაქაფულ ცხენს დავმსგავსებდით,  
რომელმაც იგრძნო აბეზარი  
მხედრის ღეზები.

თქვენ არ იცოდით  
იმ დღეების  
გაუვალ კვამლში  
როგორ შემეხნენ  
იდუმალი ბედის კლანჭები;  
რომ ქარიშხალში  
დაკარგული ბავშვით დავრჩი,  
არ ვიცი — ტალღა სად გამისვრის,  
და ვიტანჯები.



პირისპირ ძნელად დაინახავ ჭეშმარიტ სახეს,  
 დიდი ყოველთვის  
 უკეთესად მოჩანს შორიდან.  
 გემს უჭირს მაშინ,  
 ზღვა როდესაც აბორგებს ტალღებს,  
 არ იცი, უცებ სად ჩაძირავს,  
 სად ამოიტანს.

მიწაც გემია!  
 და ამ გემსაც უცებ ვიღაცამ  
 განახლებული ცხოვრებისკენ უბიძგა ხელი.  
 დასძრა მღელვარე ქარიშხალში  
 და აღიტაცა,  
 გაიყოლია მომავლისკენ  
 დიადი ღელვით.

მაგრამ ვის ნახავთ,  
 რომ ბობოქარ გემის ბაქანზე  
 არ ეცემოდეს  
 გულის რევით,  
 არ გაბოროტდეს.  
 ცოტას შეხვდებით,  
 ზღვის ტალღებმა რომ ვერ  
 დაქანცეს  
 და დიდ ღელვაში  
 უტეხელი დარჩა ბოლომდე.

მაშინ ნაცადი გრივალბში,  
 აშლილ ტალღებში,  
 სანამ უკუნი მღელვარება  
 გადაიარდა,  
 გემის ტრიუმში  
 მეც დროებით  
 მარდად ჩავეშვი,  
 რომ არ მენახა გულისრევა  
 ადამიანთა.

და ის ტრიუმში  
 ხომ რუსული იყო დუქანი,  
 მეც უდარდელად  
 დავიხარე ღვინის ჭიქასთან;  
 არას ვნადვლობდი,  
 და ლოთობის  
 მღვრიე „უგარი“  
 გაპარტახებას  
 და დაღუპვას  
 უღვთოდ მიქადდა.

ძვირფასო!  
ვიცი, ბევრი გტანჯეთ,  
ბევრი გაწვალეთ,  
ლამაზ თვალებში  
ჩაგედვარათ  
სუფდა უღევი.  
მშვიდი ცხოვრება  
მღვრიე შფოთში,  
ჩხუბში გავცვალე,  
გრძნობები ვფანტე  
უხვად,  
როგორც ხურდა ფულები.

თქვენ არ იცოდით,  
იმ დღეების  
გაუვალ კვამლში  
როგორ შემეხო  
იდუმალი ბედის კლანჭები;  
რომ ქარიშხალში  
დაკარგული ბავშვივით დაერჩი,  
არ ვიცი ბედი  
სად გამისერის,  
და ვიტანჯები.

იმ წლებმა განვლეს,  
სხვანაირი მეწვია ფიქრი,  
სხვა ასაკში ვარ,  
სხვას ვგრძნობ,  
სხვას ვზეხს გადავეჯაჭვე.  
და ვამბობ ახლა საზეიმოდ აწეულ ჭიქით:  
ქება-დიდება  
ამ ახალი დროის მესაჭეს.

დღეს მე რატომღაც  
მარტო გრძნობად გადავქცეულვარ.  
თქვენ მაგონდებით  
მოწყენილი და დაქანცული.  
ვისწრაფი თქვენკენ,  
რომ გაუწყოთ აღტაცებულმა —  
რა ვიყავ,  
რა ვარ,  
რა შორსაა მწარე წარსული.

ძვირფასო!  
თქმაც კი მსიამოვნებს დღეს მე ამისი:  
ორომტრიალში არ დავეცი, გამოვასწარი,  
რომ დღეს,

საბჭოთა ქვეყანაში სულ სხვას განვიცდი,  
გაფთრებული და მღელვარე  
ვარ თანამგზავრი.

ის აღარა ვარ,  
რაც ვიყავი,  
წინ სხვა გზა მოჩანს.  
ახლა აღარც თქვენ  
გაგტანჯავდით,  
მენდეთ ამაში.  
თავისუფალი და  
ნათელი შრომის  
დიდ დრომას  
მზადა ვარ გავყვე  
ნაპირამდე თუნდაც  
ლამანშის.

შემინდეთ...  
ვიცი: არც თქვენა ხართ ახლა იგივე,  
თქვენს ჭკვიან ქმართან  
ცხოვრობთ ტკბილად,  
გულდამშვიდებით.  
ეს ჩემი შფოთვა  
არც გაფიქრებთ,  
არც გაიკვირებთ,  
და საერთოდ მე  
არაფერში  
აღარ გჭირდებით.

იცხოვრეთ ისე,  
როგორც ბედი გაგიჭრით თუნდაც,  
მყუდრო ჭერს რა სჯობს,  
მღელვარე გზებს  
ჩამოეხსენით.  
მე სალამს გითვლით,  
გრგონებთ და  
მანსოვხართ მუდამ  
თქვენი ნაცნობი

სერგეი ესენინ.

თარგმნა გიორგი ხუხაშვილმა.



## საგუჯარ სკოლის

# ნაღრევი ყვავილობა

მისტ-ინდუსრი მოთხრობა

თხუთმეტი წლისა იყო ვეფხვი, როცა ცოლი შერთეს და ბავშვობა წაართვეს. ეს ამბავი მამამ მაშინ უთხრა, როცა ჯვრისწერა უკვე დაენიშნათ. ამის გაგონებაზე ბიჭს ელდა ეცა.

ჯვრისწერამდე ერთი კვირით ადრე საცხებელი წაუსვეს, რათა განეწმინდათ და მისი სხეული ოჯახური ცხოვრებისათვის მოემზადებინათ. ყოველ დილა-საღამოს ახლო ნათესავები მოდიოდნენ და ტანს უწმენდნენ.

ქორწილის დღეს დილით გაბანეს, მერე საქორწილო სამოსი ჩააცვეს და თავზე გვირგვინი დაადგეს.

მამამ უთხრა — შენი მოყვრები ხელმოკლე ხალხია, დიდხანს არ დარჩე და ბევრი არ ჭამო.

საბატარძლოს სახლთან ლერწმისა და კოკოსის ტოტების კარავი დაედგათ. ხუთი თხა და ექვსი ცხვარი დაეკლათ, ქორწილისათვის მეტი ხარჯი ვერ გაეწიათ გოგონას მშობლებს.

ვეფხვი ყველას და ყველაფერს გულისყურით აკვირდებოდა. უნდოდა რაც შეიძლებოდა მეტი შეეტყო იმის შესახებ, თუ რას უქადადა მომავალი.

როცა ნეფე-დედოფალს პურდაპი გადააფარეს, ვეფხვმა მხოლოდ მაშინ იხილა ის პატარა გოგონა, რომელიც მისი ცოლი უნდა გამხდარიყო, ისინი თეთრი ზეწრის ქვეშ იდგნენ და როცა თმიდან წითელი ფხვნილი ჩამოწმინდა, მხოლოდ მაშინ შეავლო თვალი თავის საცოლეს. იგი მისი ტოლი იყო: შავი, ნაღვლიანი თვალები, გრძელი თმა და ბრტყელი გულმკერდი ჰქონდა.

— რა გქვია? — ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა ვეფხვმა.

— ურმილა, — ჩაიხურჩულა გოგონამ მოკრძალებით.

ვეფხვს არ უფიქრია, ამას იქით მთელი ჩემი სიცოცხლე ამ გოგოს უნდა ვუცქირო, ეს ყველაფერი ჩემთვის გააკეთეს და მე თითოც არ გამინძრევიანო. არც ის უფიქრია, ნეტავი საკმლის გაკეთება თუ იცის ურმილამო. არც იმაზე დაფიქრებულა, იცოდა თუ არა ურმილამ რას აკეთებდნენ ბიჭები და გოგონები ქორწინების შემდეგ, რადგან ამისი არც მას გაეგებოდა რაიმე. მისი განცდები მტკივნეულიც იყო და სიხარულის მომგვრელიც. მტკივნეული, რადგან არც ერთ მათგანს არ ესმოდა ეს სიხარული; სიხარულის მომგვრელი, რადგან რაღაც ახალი იჭრებოდა მის ერთფეროვან ცხოვრებაში.

ვეფხვს ერთი ძროხა, ორასი დოლარი ნაღდი ფული და ერთი ქოჩი მისცეს ბარატარიაში. ვეფხვმა არ იცოდა, სად იყო ბარატარია. არც ის იცოდა, როგორ



მოქცეულიყო, უარი ხომ არ ეთქვა ჭამაზე მეტი საჩუქრების მოლოდინში ძროხა და ქოხი განა მათ ბედნიერებას მოუტანდა? მერე შიშმა თუ რაღაც გამოუცნობმა შეცარმა ძალამ ხორცის ნაჭერი აალებინა და მოაკბეჩინა. ამით დასრულდა მზითვის მირთმევა. შემდეგ, როცა მამამ მცირე ხნით დაიმარტოხელა ბიჭი, ჩაუსისინა: შე ბრეყვო, შენა! აგრე სულმოუთქმელად რომ არ გეთქვიფა, ხომ უფრო მეტ მზითევს მიიღებდიო.

მაგრამ ვეფხვს მზითვისათვის არა სცხელოდა. დილის ნისლივით ბუნდოვნად ესახებოდა მომავალი ცხოვრება.

აღათის თანახმად პატარძალი სამი დღე ნეფის ოჯახში უნდა დარჩენილიყო, მერე მისი ძმა მოვიდოდა მათ წასაყვანად და სამ დღეს ახლა პატარძლის ოჯახში გაატარებდნენ. ამის შემდეგ კი საკუთარ ქოხში დაბინავდებოდნენ.

როცა ვეფხვმა ურმილა თავის დედას წარუდგინა, მათ მეზობლის გოგობიჭები შემოეხვიენ.

— ვეფხვო, დაქორწილდი?

— ბიჭო, ახლა დიდი კაცი ხარ! — გაიძახოდნენ ისინი.

ბავშვები გარეკეს. ვეფხვს მათთან ყოფნა უნდოდა. ისინი ხომ მეგობრები იყვნენ — თამაშებდნენ, ლაპარაკით გულს იჯერებდნენ. მაგრამ ახლა ის მამაკაცი იყო, მამაკაცობა უნდა ესწავლა და მეგობრები უნდა დაევიწყებინა. ბოლოს და ბოლოს ისინი ჯერ კიდევ ბალღები არიანო, გაიფიქრა ვეფხვმა.

შემდგომი სამი დღის განმავლობაში ბიჭი აფორიაქებული იყო. ლერწმის მინდორში გავიდა, იქ, სადაც მამასთან ერთად მუშაობდა ხოლმე. ძლიერი ქარი ჰქროდა. თავი მაღლა აიღო და მზისგან დამწვარი ლერწმის სურნელი შეიყნოსა. რა იყო მისი წარსული ცხოვრება? დღისით მინდორში მუშაობდა, საღამოთი თავის ტოლებთან თამაშობდა მანგოს ხის ქვეშ. მერე ვახშამი და ძილი. ზოგჯერ სიმღერასაც შემოსძახებდნენ ხოლმე. მამას ერთი დიდი დოლი ჰქონდა. შაბათობით მეზობლები შეიყრიდნენ ხოლმე თავს, სვამდნენ და მღეროდნენ. ახლა კი მორჩა, გათავდა ეს ყველაფერი. მან იგრძნო, რაოდენი პასუხისმგებლობა დააწვა და სცადა ამაზე აღარ ეფიქრა.

მესამე დღეს ვეფხვი კიდევ უფრო ამღვრეული იყო. ის მანგოს ხის ქვეშ გვერდით უჯდა ბრძენ რამლალს, რომელსაც ხშირად უნუგეშებია ხოლმე, როცა მშობლებს მიუტყეპიათ.

— რა უნდა გავაკეთო? — ჰკითხა რამლალს აღელვებულმა ვეფხვმა.

— რას მეკითხები? — უთხრა რამლალმა.

— რას და არ ვიცი, რა უნდა ვქნა, ცოლს რომ წავიყვან.

— რა არ იცი, ბიჭო? შენი დედ-მამა ღამე მძინარე არ გინახავს?

— მერე, რომ მინახავს?

— მერე და შენც ისე მოიქეცი. ბარატარიაში სახლი და მიწა გექნება, ძროხაც გეყოლება. ბევრი ბიჭები დააჩინე, გოგო არ გინდათ, არ გამოვადგებათ. ჰოდა, იცხოვრეთ და იყავით. ბრინჯი დათესეთ, მოსავალი მოიყვანეთ და ბედნიერად გაატარეთ ეს წუთისოფელი.

აი ასე, ორიოდ სიტყვით განუმარტა რამლალმა ვეფხვს მთელი მისი მომავალი ცხოვრება. ვეფხვი ჩაფიქრდა და ეს ახალი სამყარო ისევე ტყვილის მომგვრელი და თან სიხარულის აღმძვრელი ეჩვენა, როგორც საქორწილო ზეიმი. მას ვნებათა ღელვა არ განუტღვია იმის ფიქრით, რომ ურმილასთან მარტოდმარტო უნდა დარჩენილიყო. რამლალის სიტყვებმა ვერ აუქლერა. ხმა ვერ გამოაღებინა მისი ვნების სიმებს. მაშინაც კი, როცა საცოლეს სახეში შეჰყურებდა, ვნება არ აღძვრია, სისხლი არ აჩქეფებია, რადგან მისთვის ეს

არქივული  
დოკუმენტი

ყოველივე გრივალი იყო, ელვისებურად გათამაშებული დრამა, რომელშიც იგი სხვის დაკრულზე ცეკვავდა და ძალღივით მორჩილებდა ყველას.

ასე გავიდა სამი დღე, მერე ისევ სამი დღე და ღამე ურმილას შშობლებთან. ვეფხვს უხაროდა, რომ დღეები ნელა მიიზღაზნებოდა და იგვიანებდა ის, გამოუცნობი ამბავი მანამ, სანამ აბობოქრებული მდინარე ნაპირებს გადმოხეტქავდა და წალეკავდა მას, ნორჩ ყმაწვილს.



საღამო იყო ბარატარიაში. ძროხა ბლაოდა შორიახლო. ვილაცას რადიო ჩაერთო — რადიო და ელექტრონის შუქი მხოლოდ შეძლებულებს ჰქონდათ — მაგრამ ახლა მუსიკის დრო არ იყო და არც შეეფერებოდა აქაურობას — ჯაზურ სიმღერას გადმოსცემდნენ და მყუდროებას არღვევდნენ.

ვეფხვმა ნელ ბალახს ცეცხლი მოუკიდა, რომ კოლოები გაერევა. მერე ძროხა მოწველა ვარდისფერი მანგოს ხის ქვეშ. ურმილა სამზარეულოს ფანჯრიდან უმზერდა. მის თვალბში ბავშვური რაღაც გამოკრთოდა. რაც ჩაგუნანადან წამოვიდნენ, ვეფხვსა და ურმილას ხმა არ გაუციათ ერთმანეთისთვის. შინ რომ მოვიდნენ, ისე დაალაგეს ბარგი, როგორც ორმა ერთმანეთისთვის უცხო ადამიანმა.

სახლში ორი სკამი და ერთი პატარა მაგიდა იდგა. ცოტაოდენი ჭურჭელიც იყო. ქოხი ოთახებად არ იყო დაყოფილი. იატაკი მიწისა იყო, ტალახით შეღესილ კედლებზე აქა-იქ გამხმარი ბალახი გამოჩრილიყო.

ურმილამ დიდი ლოდის შეგორება სცადა სამზარეულოში, მაგრამ გაუჭირდა. მორცხვად მიუბრუნდა ქმარს და სთხოვა, მომეხმარეო. ეს პირველი იყო, რომ ქმარს გამოელაპარაკა. ურმილამ ოთახი დაალაგა, ცეცხლი დაანთო და წყალზე წავიდა. საღამოს ჩუმად ივანშმეს. ვეფხვი წაიმე-მძიმედ იღუქებოდა; ვემოს უსინჯავდა ვახშამს და გუნებაში ფიქრობდა, საკმლის გაკეთება მაინც შესძლებიაო.

ვახშობის შემდეგ ვეფხვი იატაკზე იჯდა ფეხმორთხმული.

— პაპიროსი მომიტანე! — ბრძანა მან.

ურმილამ უმალ შეუსრულა სურვილი.

ვეფხვს თავის დღეში თამბაქო არ მოეწია, მაგრამ ცოლს პატარა ბიჭად ხომ არ მოაჩვენებდა თავს. კაცები სწევნ თამბაქოს და ისიც მოსწევს. რომსაც დალევს, დატუქსავს და შეაგინებს კიდეც ურმილას, თუ მისი მორჩილი არ იქნება. განა ეს არ ისწავლა შინ, მშობლების შემყურემ? განა ჰრ იცის, რა უნდა ჰქნას, ლოგინში რომ დაწვებთან? მაგრამ უმალ შეწყვიტა ამაზე ფიქრი. ეს გამოუცნობი რაღაცა საბურველივით შემოეხვია და სუნთქვა შეუჭრა. მას ეშინოდა.

ურმილამ პაპიროსები და ასანთი მიაწოდა. ვეფხვმა უშნოდ აიღო ერთი ცალი, პირში გაიჩარა, მოუკიდა და გააბოლა.

ურმილა მოხიბლული უმზერდა. როცა ვეფხვს ხველა აუტყდა, ურმილამ თვალბზე ცრემლი შეამჩნია. ადათის თანახმად იგი სიცილს ვერ გაბედავდა, მაგრამ მთელი მისი არსება ისე იყო დაკბიმილი, როგორც მის ძუძუებზე შემოკრული თასმები და გრძნობდა, რომ გაცივება შევბას მოჰგვრიდა.

ვეფხვს გაუელვა, სიცილი უზრდელობა არისო და ურმილას რომ გაეცინა, სილას გააწნავდა — ამის შემდეგ მას ვეფხვის რიდი და პატვიცისემა ექნებოდა. მაგრამ მალე მართლა ისეთ სასაცილო დღეში ჩავარდა, რომ თვითონაც გუნება შეეცვალა და მოღუშული რომ იყო, ახლა ხარხარი აუვარდა. ორივენი



იციონდნენ. იცინეს მანამ, სანამ ერთმანეთის შიშმა არ გაუარათ. პაპიროსთან დაკავშირებული ეს სასაცილო ამბავი მხოლოდ დასაწყისი იყო. მერე კი სიცილმა ჩაახშო გაურკვევლობა, შიში და იმის განცდა, რომ სულ მალე ისეთი რამ უნდა გაეკეთებინათ, რაც ჯერ არ გაეკეთებინათ. სიცილს რომ მორჩნენ, ამაზე ფიქრმა ორივეს ყრუანტელი მოჰკვარა.

ურმილა შეშფოთებული წამოდგა. ვეფხვმა პაპიროსები იატაკზე დააწყო. იმ ღამეს ცალ-ცალკე ეძინათ, იატაკზე დაფენილ შაქრის ტომრებზე. ვეფხვი ფეხბარეფით გაემართა ოთახის კუთხეში, დაწვა და მოიკუნტა. საკუთარი ფიქრებისა ეშინოდა და სულით და გულით ნატრობდა, ნეტავი მალე დამეძინოსო. ურმილამ ჩუმად ცრემლით დააღბო ტომრებისგან გაკეთებული ბალიში.

პირველ ღამეს ვეფხვს ალბათ მაგრად უნდა სძინებოდა, რადგან, როცა გაიღვიძა, ურმილას ძროხა უკვე მოეწველა და ახლა ცომს ზელდა, რომ რიტი გაეკეთებინა.

— დილა მშვიდობისა, — უთხრა ურმილამ ვეფხვს მორცხვად, როცა ის სამზარეულოში შევიდა. ვეფხვის თეთრმა კბილებმა გაიღვეს, მაგრამ ხმა არ გაუცია. ეზოში გავიდა, ღობიდან დატეანის ღერო მოტეხა, დალეკა და კბილები გაიწმინდა. მერე კასრიდან ხაპით წყალი ამოიღო და ყელში გამოივლო.

ვეფხვმა გაიფიქრა, უმჯობესი იქნება ცოლთან თავისუფლად დავიჭიროთ თავი, ამით ვაჩვენებ, რომ მომავლის არ მეშინიაო.

— ურმილა, რას აკეთებდი შინ, თქვენთან? — ჰკითხა მან, როცა იატაკზე დასხდნენ და საუზმეს შეექცნენ.

გოგონას ბაგეებიდან ისე წამოედინა სიტყვები, თითქოს წყალმა გადმოხეთქა ჯებირიო.

— ო, ბევრი საქმე მქონდა. სახლს ვალაგებდი, საქმელს ვაკეთებდი და საქონელს ვაძოვებდი.

— მეცა, — მიუგო პატარა ქმარმა, — მეც ბევრი საქმე მქონდა შინ. ყოველდღე მინდორში ვმუშაობდი. საღამოთი ვთამაშობდი. ბოისი, დოლლი, რამნათი და სხვა ბავშვები მოდიოდნენ ხოლმე ჩვენს ეზოში და მანგოს ხესთან ვთამაშობდით. ნეტავი ისევ შინ მამყოფა.

— ჰო, მაგრამ ჩვენ ახლა ჯვარდაწერილები ვართ, — უთხრა ურმილამ. — მშობლებთან დაბრუნება აღარ შეგვიძლია. აქ ერთად უნდა ვიცხოვროთ.

— ვიცი, შენ გგონია არ ვიცი? დაიხსომე, რომ ოჯახის თავკაცი მე ვარ და ჩემი მორჩილი უნდა იყო.

— დავიხსომებ, — უმალვე მიუგო ურმილამ.

მოგვიანებით, როცა მზე შუბისტარს გადაშორდა და თბილმა სიომ დაჰკრა, ვეფხვმა ურმილას უთხრა, მიწის ნაკვეთის დასაქირავებლად მივდივარო. ბაღს გავაშენებთ, კარგ მოსავალს მოვიყვანთ, ბაზარზე გავყიდო, დასძინა.

— იცი, ვისთან უნდა მიხვიდე? — ჰკითხა ურმილამ.

— არა, მაგრამ გავიგებ, — მიუგო ვეფხვმა, ორმოცდაათი დოლარი წაიღო და გზას გაუდგა.

მთავარ გზატკეცილზე სან ხუანისკენ მიმავალ ავტობუსში ჩაჯდა. მდიდარი მემამულის, როდრიგუესის მოძებნა ძნელი არ იყო. სან ხუანში ყველამ იცოდა მისი სახლი. ვეფხვმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და ორი ნაკვეთი მიწა აიღო ხუთი წლის ვადით, რის შემდეგ, თუკი მოისურვებდა, ხელშეკრულებას კვლავ განახლებდა. მთელი ამ ამბის მოგვარება ორმოცდა ორი დოლა-

რი დაუჯდა, მაგრამ არ იცოდა, ეს საქმე სარფიანი იყო თუ არა. კარგი იქნებოდა ბოდა ბიძები ან მამა წამოყვანა, მაგრამ ჩაგუნადან ამოდენა გზას ხომ არ გამოატარებდა. ვეფხვს შერცხვა, — ის უკვე ცოლიანი იყო და სხვათა დაუხმარებლად ცხოვრება უნდა ესწავლა.

ბარატარიაში საღამოს დაბრუნდა. ავტობუსიდან მთავარი გზატკეცილის მოსახვევთან ჩამოვიდა. კაფე ღია იყო და თავში ერთი აზრი მოუვიდა. იმავე ძალამ, რამაც გუშინ პაპიროსი მოაწვეინა, ახლა დაღვეის გუნებაზე დააყენა. მაგრამ ესეცაა, მარტო კაცები თვრებიან, ბიჭები კი არა. მოაგონდა, რომ ერთხელ, როცა ჩაგუნაში მამამისი კაფეში სვამდა და ბიჭმა წასაყვანად მიაკითხა, მამამ უთხრა:

— მოდი, ჩემო ბიჭო, ცოტა დაღიე, რაც კი რამ ავი ჭიები გყავს მუცელში, სულმთლად ამოხოცავსო.

მამის თანამესუფრეთაგან წაქეზებულმა ვეფხვმა ფრთხილად მოსვა. თითქოს პირში დღვილი ჩაასხნეს და ცეცხლი მოუკიდესო, ისეთმა სიმხურვალემ დაუარა მთელ სხეულში. მოქიფენი გულიანად ხარხარებდნენ, როცა მას ცხარე ცრემლი სცივოდა.

კაფეში რომ შევიდა, იქმოფებმა ერთი გადახედეს და ისევ სმა და საუბარი განაგრძეს. ვეფხვი იდგა, ხელში ჭიქა ეჭირა და იქაურობას ათვალიერებდა. როცა დარწმუნდა, არავინ მიყურებსო, თავს ძალა დაატანა, რომი გადაჰკრა და ზედ სოდიანი წყალი დააყოლა. რა კარგი იქნებოდა, რომ კაფეში მყოფთ ჭიქები დაეწყოთ, საუბარი შეეწყვიტათ და მისთვის შეეხედათ. ეს სიმხნევეს შემატებდა და სიტყვას იტყოდა ისეთს, ყველა დარწმუნდებოდა, რომ ვაჟკაცია და ამ მწარე ყავისფერი სითხის დაღვეა არ აზინებს. მაგრამ მათთვის სულ ერთი იყო, ვეფხვი ვაჟკაცი იყო თუ არა.

სითბომ დაუარა ტანში, სასმელი საამოდ შეუჯდა თავში. იქვე ჭუჭყიან მაგიდასთან მჯდარ ორ ახალგაზრდასთან მივიდა. ერთი მათგანი სკამიდან გადახრილიყო და იფურთხებოდა.

— აქაურები ხართ? — ჰკითხა ვეფხვმა.

— პო, ვაჟკაცო, უკვე ორი წელიწადია, აქ ვცხოვრობთ.

— რამე ხომ არ გინდოდა? — ჰკითხა ერთმა მათგანმა.

ამ შეკითხვაზე ვეფხვმა უხერხულობა იგრძნო. მას მხოლოდ მათთან გამოლაპარაკება უნდოდა, სხვა არაფერი.

— არა, — მიუგო მან, — ახლახან გადმოვსახლდი ამ მხარეში და აქაურობას კარგად არ ვიცნობ.

უცნობები დიდი შავი ბოთლიდან სვამდნენ. ბოთლი უკვე დაეცალათ და მხიარულ გუნებაზე იყვნენ. აქვე იყო პატარა ბიჭიც, რომელსაც ფული ჰქონდა და თავი ვაჟკაცად მოჰქონდა.

— დაჯექი, ვაჟკაცო, დავლიოთ, — მიიწვიეს უცნობებმა ვეფხვი.

ერთმა ბოთლი აიღო, მაგრამ გულდაწყვეტით შენიშნა, ცარიელი ყოფილა. ვეფხვს ვაჟკაცობის გამოჩენის ხელსაყრელი შემოხვევა მიეცა.

— ჩემგან ერთი ბოთლი მოდის! — თქვა მან და ჯიბიდან ფული ამოიღო. — ესვათ და ვილხინოთ ყველა ინდიელმა.

ვეფხვი სვამდა და თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა. ვერ გაერკვია, რას გრძნობდა. ჩინებული განცდა იყო, ქეშმარიტად მამაკაცური. ვნება მოედო მთელ ტანს. უნდოდა ყველაფერი ის გაეკეთებინა, რასაც მამაკაცები აკეთებდნენ. თანამესუფრეთ სიამაყით უთხრა: მიწა მაჭვს, სახლიც, საქონელიც, ცოლიცა მყავსო. ურმილას მოგონებაზე აღმურმა გადაჰკრა. ვნება აწვა-





ლებდა, სულთამხუთავივით აწვა გულზე და გადმონთხევას ლამობდა. წუხელი დაიწრობდა ვნებას, ვაჟკაცობის მოკრება რომ შესძლებოდა. მაგრამ ახლა, ახლა კი დროა, ამაღამ აჩვენებს სეირს. ვინმე უთხრა განა, პატარა ბიჭი ხარო?

უცრად გული აიყარა ამ ორ უცნობზე, რომლებთანაც სვამდა. თავბრუ დაესხა, სადღაც საუბრის ძაფი გაუწყდა და ლაპარაკს თავი ველარ მოაბა. ერთი შეიგინა, წამოდგა, საჩქაროდ მაგიდა მიატოვა და ბარბაცით გასწია შინისკენ. თავში მცირედი გონებაღა შერჩენოდა და ჯიბეში ერთი დოლარი.

ურმილას ნათურა დაენტო და ვეფხვს შემფოთებულ ელოდებოდა.

გონებაამდგრეულმა ვეფხვმა მის თვალბში შიში ამოიკითხა.

— აქამდე სად იყავი? — ჰკითხა გახარებულმა ურმილამ.

ვეფხვს სახე მოედრებოდა. ის ოჯახის თავკაცი იყო და წასვლა-მოსვლას არავის ეკითხებოდა. ხმა არ გაუცია.

უხმოდ ივანშემს. ვეფხვი მალულად უმზერდა ურმილას. ახლა, როცა ვაჟკაცობის ჩვენება ჰქონდა გადაწყვეტილი, ურმილა სულ სხვანაირი ეჩვენა. ნათურის შუქზე თმა უბრწყინავდა და თვალეზი უელავდა. ვეფხვს გააყრეოლა.

ვანშემის შემდეგ გონება ოდნავ გადაეწმინდა და კვლავ გამოუცნობისა და შიშის პირისპირ აღმოჩნდა. მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, ვაჟკაცი ვარ და ვაჟკაცობაც მმართველსო. გრძნობდა როგორღაც: ვიდრე ეს არ გამიკეთებია, პატარა ბიჭად დავრჩები და პატარა ბიჭივითაც მომექცევიანო.

ისინი იატაკზე ისხდნენ და სდუმდნენ. ურმილას ცერკვი ეყიდა და არჩევდა. ვეფხვი თვალს არ ამორებდა. ხომ არ უთხრას? ამაზე ფიქრმა შეაკრთო. პაპიროსს მოუკიდა და ხელებ-ხელებით გააბოლა.

დაწოლის შემდეგ ვეფხვი დიდხანს მისჩერებოდა ჰერს. მერე ჩუმად, სულგანაბლულმა, თითქოს ირემს ეპარებოდა, თავისი ლოგინი ცოლისკენ მიანჩნა.

ურმილა შეიშმუშნა და თვალი გაახილა. მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო და სცადა არ შეშინებოდა. დედამ უთხრა: შვილო, რაც უნდა მოხდეს, არ შეშინდე, ახლა შენ უკვე ქალი ხარო. დედა ფიქრობდა, რომ ურმილამ ყველაფერი იცოდა, ხოლო თუ რამ არ იცოდა, იმას კი ისწავლიდა. ასეთი იყო ღმერთების ნება.

ურმილაც გრძნობდა, რომ ვეფხვისთვის თავის ქალობა უნდა ეჩვენებინა. ყმაწვილურმა ვნებამ იფეთქა და წალეკა ისინი. არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ. ვეფხვს რომ ადრე სცოდნოდა, ეს უძლეველი ძალა ისე დაგვიმორჩილებს, შიშს გავვიქარწყლებსო, სიცოცხლეს არ დაიშურებდა, ოღონდ მთელი არსებით აპყოლოდა ამ ძალას. შემდეგ მისთვის ნათელი გახდა, რომ ის, რაც ჩაიღინა, თავისი ნებით არ ჩაუღენია. ცოლისადმი ძლიერი ვნება გაუჩნდა, რამაც მთელი მისი გონება დაიპყრო. იგი ფიქრობდა, რომ მომხდარ საქმეში თავი და თავი ის რაღაც ძალა იყო. ვიდრე ხელიხელგადახვეულები ჩაიწინებდნენ, ვეფხვმა გულში გაივლო, მომავალში მოკვდები და ამ ძალას თავის საქმეს კი გაუკეთებინებო.

მეორე დღით, როცა იატაკზე გაშლილ ტომრებზე იწვნენ, ნებივრობდნენ და ახლის განცდილით გაკვირვებულები ერთმანეთს მისჩერებოდნენ, მათს თვალბში პირველად გამოკრთა სინაზე.

ინგლისურიდან თარგმნა

ანდრო გახოკიძემ





ჯონ სკაინსაჰი

# მონღოლი

მოთხრობა

„ქალაქში დადის ერთი დიდი მარგალიტის პონისა და დაკარგვის ამბავი. ჰყვებიან მეთევზე კინოს, მისი ცოლის ხუანასა და მათი ბავშვის — კოიოტიტოს მწარე თავგადასავალს.

ამ ისტორიას ისე ხშირად მოუთხრობენ ერთმანეთს, რომ ადამიანთა ხსოვნაში ღრმად გაიდგა ფესვები. ისე როგორც ყოველ ათასჯერ მოთხრობილ ამბავში, რომელიც კი ადამიანის გულს ჩაწვდომია, ამაშიაც არის მხოლოდ კარგი დი ცული, კეთილი და ბოროტი, შავი და თეთრი და არავითარი სხვა რამ ელფერი. თუ ეს ამბავი იგავია, შესაძლოა, ყველამ თავისებურად გაიგოს და შიგთავისი პირადი ცხოვრება ამოიკითხოს. როგორადაც უნდა იყოს, ქალაქში დადის ამბავი, რომ...“

## I

ჯერ კიდევ სიბნელე იყო, როცა კინომ გაიღვიძა. ვარსკვლავები ისევ ციმციმებდნენ და დღის სინათლე მხოლოდ აღმოსავლეთის ჰორიზონტზე ამოწვევრილიყო. მამლები უკვე ეხმაურებოდნენ ერთმანეთს, ღორებიც, გათენებისთანავე რომ შეუღდნენ გაუთავებელ ღრუტუნს, ჩიჩქნიდნენ მიწას ფიჩხებსა და ნაფოტებს შორის იმ იმედით, იქნებ წინათ შეუმჩნეველი საკვები რამ ეპოვნათ. წნელის ფაცხის უკან, ოპუნცის ბუჩქებში ეღურტულებდნენ და ფრთხილად დნენ პატარა ჩიტები.

კინომ თვალი გაახილა და პირველად ფაცხის ოთხკუთხა შესავალს გახედა, თანდათან რომ ნათდებოდა, მერე ჭერზე ჩამოკიდებულ ყუთს ახედა, რომელშიაც კოიოტიტოს ეძინა. ბოლოს თავი ხუანასაკენ მიაბრუნა. ცოლი მის გვერდით ჭილობზე იწვა და ცხვირსა, მკერდსა და მხრებზე ლურჯი თავშალი ეფარა. ხუანასაც თვალი გახელილი ჰქონდა. კინოს არ ახსოვდა, რომ ოდესმე გაღვიძებოდა და მისი თვალები ხუანას თვალებს არ შეხვედროდა. ხუანას წვრილი ვარსკვლავებივით უციმციმებდა შავი თვალები. ცოლი შეპყურებდა ქმარს. ასე იყო ყოველთვის, როცა ქმარი იღვიძებდა.

ნაპირიდან კინოს დილის ტალღების ნელი ტყლაშუნი მოესმა. ეს მეტად საამო იყო. ისევ დახუჭა თვალები, რომ ტალღებში აჟღერებულ მუსიკას ჩაწვდომოდა. ვინ იცის, იქნებ მარტო კინო იქცეოდა ასე, მაგრამ შესაძლოა, ასე იქცე-



თდა მისი ხალხის ყველა შვილი. უძველეს დროში ამ ხალხის მთელი მფლობელობა სიმღერების შეთხზვის დიდი ოსტატი იყო; ყოველივეს, რასაც ისინი აკეთებდნენ, რასაც ისწავდნენ და რაზედაც ფიქრობდნენ, სიმღერად აქცევდნენ ხოლმე. ეს იყო დიდი ხნის წინათ. მაგრამ ამ სიმღერებს ახლაც მღეროდნენ. ზინომ იცოდა ყველა ძველი სიმღერა, ახალი სიმღერები კი არ იბადებოდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, თითქოს ყოველ ადამიანს არ ჰქონოდა თავისი საკუთარი საგალობელი. აი, ახლაც კინოს სულში ჟღერდა ნათელი და ნაზი სიმღერა. კინოს რომ შესძლებოდა მოეთხრო ამ სიმღერაზე, იგი მას ოჯახის სიმღერას დააჩქევედა.

კინოს საბნის ერთი კიდე ცხვირზე ჰქონდა მიფარებული, რომ ნესტიანი ჰაერი არ ესუნთქა; ოდნავი ფაჩუნი გაიგონა და თვალები იქით გაექცა. ხუნანა თითქმის უხმაუროდ დგებოდა ზეზე. მან მკვირივი შიშველი ფეხებით გაიარა სოხანეზე და იმ ყუთთან მივიდა, რომელშიაც კოიოტიტოს ეძინა. ხუნანა დაიხარა და ბავშვს რაღაც სააღერსო სიტყვა უთხრა. კოიოტიტომ შეხედა დედას, ისევ დახუჭა თვალები და დაიძინა.

ხუნანა კერიასთან მივიდა, ნაღვერდალი გაექცა და ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა; ხმელ ფიჩხს ამტვრევდა და ცეცხლს უყვებოდა.

კინოც წამოდგა, თაყზე და ბეჭებზე საბანი წამოიხურა, ცხვირზედაც მიიფარა, ფეხი სანდლებში წარგო და გარეთ გავიდა მზის ამოსვლის საყურებლად.

კარებს იქით ჩაცუცქდა და საბანი მუხლებთან შეიკეცა. ზღვის უბის ზემოთ, ძალა ცაში დაინახა, როგორ აელვარდნენ დრუბლების ნაფლეთები. ჩაცუცქულს წვერცანცარა თხა მიუახლოვდა, ცხვირი მიუშვირა და ცივი, ყვითელი თვალები მიაპყრო. კინოს ზურგს უკან ხუნანამ ცეცხლი ააგზავნა. ცეცხლის შუქი ფაცხის ჭუჭრუტანებში გაიჭრა და ზღურბლს იქით დაეფინა მოძრავ ლაქებად. დაგვიანებული ღამის ფარვანა აფარფატლა ფაცხაში ცეცხლის ალზე. ოჯახის სიმღერა აქედერა კინოს უკან. ოჯახის სიმღერის რიტმი ისმოდა ხელის წისქვილშიაც, რომლითაც ხუნანა სიმინდს ფქვავდა დილის კვერებისათვის.

განთიადის მოახლოებას იუწყებოდა თეთრად შეფერილი ბინდბუნდი-ალისფრად შეღებილი ცა, სინათლის მოფენა, ცეცხლის ლაპლაპი; ერთბაშად ინათა, როგორც კი ამოცურდა მზე ზღვის უბის გადაღმიდან. კინომ თვალები მოარიდა მოჭარბებულ სინათლეს და დაბლა დახარა. ფაცხიდან მოესმა ხუნანას ხელისგულის ტაკცუნი საკვერე ცომზე, კვერების მსუყე სუნიც ეცა, კეცზე რომ ცხვებოდა. მიწაზე საქმიანად ფუსფუსებდნენ დიდრონი, შავ-შავი, ტანლაპლაპა ჭიანჭველები და პატარა, რუხი, სწრაფი ჭიანჭველებიც. მამა ღმერთის სიდიადით დაჰყურებდა კინო, თუ რა თავგანწირულებით ცდილობდა ერთი მტერიანი ჭიანჭველა იმ სახიფათო ორმოდან ამოძრომას, რომელიც მისთვის ჭიანჭველების ლომს ამოეთხარა სილაში. გამხდარი, მშიშარა ძალღიმიანი კინოსთან. კინო მოეფერა. ძალღიმი იქვე მოირკალა მიწაზე, კუდი ნაზად მოახვიათათებს და კოხტა მოძრაობით დაადო თავი ზედ. ძალღიმი შავი იყო, მაგრამ წარბების ადგილას ოქროსფერი ლაქები აჩნდა. დადგა დილა, სრულიად ჩვეულებრივი დილა, მაგრამ მაინც ვერც ერთი სხვა დილა ვერ შეედრებოდა მას.

კინოს თოკის ჭრიჭინი მოესმა, ხუნანას კოიოტიტო ამოჰყავდა ჭერზე ჩამოკიდებული ყუთიდან. დედამ ბავშვს პირი დაბანა, მერე შალი ისე შემოახვია, რომ მკერდზე ჰყოლოდა მიკრული. კინო ყოველივე ამას ხედავდა, თუმცა არ უყურებდა. ხუნანამ წყნარად წამოიწყო ძველისძველი სიმღერა, რომელიც სულსამი კილოსაგან შესდგებოდა. კილოებს შუა გაუთავებლივ იცვლებოდა ინტერვალები. ეს სიმღერაც ოჯახის სიმღერის ნაწილი იყო. ყოველი წვრილმანი ექსპო-

ვებოდა ოჯახის სიმღერას. ეს სიმღერა ზოგჯერ ისეთ წარმტაც ჰანგად იქცეოდა, რომ ყელში სიხარულის ცრემლი გებჯინებოდა და იცოდი, რომ ეს იყო შენი სიმშვიდე, შენი სითბო, შენი ყოველივე.

წნელის ღობის იქით იდგნენ სხვა ფაცხებიც. იმ ფაცხებსაც ასლიოდა კვამლი, მათგანაც მოისმოდა დილის საუზმის მზადების ხმები. მაგრამ ის სიმღერები სულ სხვა იყო; ღორებიც იქ სხვანაირნი იყვნენ, მათ ცოლებს შორის ხუნას მსგავსსაც ვერ იპოვიდით. კინო ახალგაზრდა და ღონიერი ვაჟკაცი იყო. ბრინჯაოსფერ შუბლზე შავი თმები ეყარა. თვალები თბილი და ცეცხლოვანი ჰქონდა, გამოხედვა — გამჭვალავი, უღვაშები კი მეჩხერი და მაგარი. კინომ ცხვირიდან მოიშორა საბნის კიდე, რადგან ბნელი და შხამიანი ჰაერი უკვე გაიფანტა და ფაცხას მზის ყვითელი სინათლე მოეფინა. წნელის ღობესთან ორ ყვინჩილას ფრთები გაეფხორა, კისერზე ბუმბულები აეშალა, ერთმანეთის წინ მიწაზე ეცემოდნენ და მოსაჩვენარი თავდასხმით ერთმანეთს აშინებდნენ. საღ შეეძლოთ ამ გამოუცდელ ყვინჩილებს ბრძოლა. ისინი ხომ მოჩხუბარი მამლები არ იყვნენ. კინომ ერთ ხანს უყურა მათ, მერე ზღვის უბის იქით გაწოლილ გორაკებისაკენ გაიხედა, სადაც ცაში გარეული მტრედების გუნდი ფარფატებდა. ქვეყანამ გაიღვიძა, კინო წამოდგა და ფაცხაში შევიდა.

კინო რომ ზღურბლზე გამოჩნდა, ცეცხლის პირას ჩამჯდარი ხუნა ფეხზე წამოდგა, კოიოტიტო ისევ ჰერზე ჩამოკიდებულ ყუთში ჩააწვინა, მერე შავი თმა დაივარცხნა და ორ ნაწნავად გაიყო, ნაწნავების ბოლოები წვრილი მწვანე ლენტით შეიკრა. კინო ცეცხლის პირას ჩაჯდა, ცხელი კვერი აიღო, წვეწვში ამოაწო და შექამა. ზედ ცოტაოდენი პულქა დააყოლა და ეს იყო მთელი მისი საუზმე. სხვანაირი საუზმის ჰამა არც უხდებოდა, თუ სათვალავში არ მივიღებთ დღესასწაულებს და ერთ სამახსოვრო ფიესტას, როდესაც მან ისე ბევრი ნამცხვარი შექამა, რომ კინალამ მოკვდა. როცა კინო დანაყრდა, მერე ხუნაც მიბრუნდა ცეცხლის პირას და იმანაც ისაუზმა. ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ დაელაპარაკნენ. მაგრამ განა ღირს კი სიტყვების ხარჯვა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩვეულების გამო ლაპარაკობ და არა საჭიროებისათვის. კინომ სიამოვნებით ამოიხენეშა. ეს იყო მთელი მათი საუბარი.

მზემ დააცხუნა წნელის ფაცხას, სხივები ფაცხის ჭუჭრუტანებშიც შეიჭრნენ. ერთი ასეთი სხივი ჰერზე ჩამოკიდებულ თოკს და იმ ყუთსაც დაეცა, სადაც კოიოტიტო იწვა.

ოდნავ შესამჩნევი მოძრაობის გამო კინოსა და ხუნას თვალები ყუთისაკენ გაქცათ. ორთავე ადგილზე გაშეშდა. იმ თოკზე, რომლითაც ჰერის ძელზე კოიოტიტოს ყუთი ეკიდა, ნელა მოცოცავდა მორიელი. მორიელს კუდი აბზეკილი ჰქონდა, მას ყოველ წუთს შეეძლო ეჩხვლიტა შხამიანი ნესტარი.

კინო ცხვირით სუნთქავდა და მისი ნესტოებიდან სტვენა ისმოდა. პირი გააღო, რომ სუნთქვა გასაგონი არ ყოფილიყო. ახლა შიშიც გაქრა მის თვალებში, გაშეშებამაც გაიარა. მის თავში აქლერდა ახალი სიმღერა — სიმღერა ბოროტებისა, მუსიკა მტრისა, ოჯახში მწუხარების შემომტანი, ველური, საშიში, მიყრუებული ჰანგი და ამ ჰანგს, როგორც საწყალობელი ქეთინი, ექსოვებოდა სიმღერა ოჯახისა.

მორიელი მსუბუქად მოცოცავდა ყუთისაკენ. კრიჭაშეკრულმა ხუნამ ოდნავ გასაგონად ჩაიჩურჩულა ძველისძველი შელოცვა, ღეთისმშობლის ლოცვაც დაუმატა. მაგრამ კინოს უკვე აღარ შეეძლო უძრავად გაჩერება. იგი უხმაუროდ გაქანდა ფაცხაში. ხელებგაშვერილი მიდიოდა და მორიელს თვალს არ აშორებდა. ყუთში მწოლარე კოიოტიტო კი იცინოდა და პაწაწა ხელებს მორიელისაკენ



იშვერდა. მორიელმა საშიშროება იგრძნო, როდესაც კინო სულ ახლოს მივიდნენ. მორიელი ადგილზე გაქავდა, კული ცახცახით მოხარა ზურგისაკენ, მისმა მორკალულმა ნესტარმა ცივად გაიელვა.

კინო სულგანბული შედგა. მან გაიგონა, როგორ ჩაიჭურჩულა ხუნამ ისევ ძველისძველი შელოცვა; ისმოდა მტრის ბოროტი სიმღერა. კინო ვერ ბედავდა განძრევას, უცდიდა მორიელის ამოძრავებას. გასუსული მორიელი კი ცდილობდა გაეგო, საიდან ემუქრებოდა სიკვდილი. მამის ხელი მიიწვედა წინ, მიიწვედა ნელა, თანაბრად. მორიელმა ნესტარიანი კული მალა ასწია. ამ დროს მომდინარე კოიოტიტომ თოკი შეარხია და მორიელი მოწყდა თოკს.

მამის ხელი ელვის სისწრაფით გაიწია მის დასაჭერად, მაგრამ მორიელი აცდა ხელს და ბავშვს მხარზე დაეცა. გაეკარა თუ არა ბავშვის სხეულს, მყისვე ჩაასო ნესტარი. მხოლოდ ამ დროს დაიჭირა კინომ ის, ხრინწიანად წამოიყვინრა და თითებით გაქყლიტა. გაქყლეტილი მორიელი მიწას დაანარცხა და ზედ მუშტიც დაარტყა. კოიოტიტო კი ტკივილისაგან ჩხაოდა, მაგრამ კინო მანამდე სრესდა მტერს, ვიდრე სოხანეს მხოლოდ სველი კვალი არ დააჩნდა. კინოს კბილები დაეხრჭინა, თვალები ცოფიანივით უელავდა, ყურებში კი მტრის სიმღერა უფუფუნებდა.

ბავშვი უკვე ხუნას მკლავზე იწვა. დედამ იპოვა ნაკბენი ადგილი, რასაც უკვე სწოთლუ ედებოდა, და ტუჩებით დაეწაფა, ვადააფურთხა და ისევ შეუდგა ნაკბენის გამოწოვას. კოიოტიტო კი საწყალობლად ჩხაოდა და ჩხაოდა.

კინო უმწეოდ ტრიალებდა ხუნას ირგვლივ, არ იცოდა რა ექნა. იგი მხოლოდ ხელს უშლიდა ხუნას. ბავშვის ჩხავილზე მეზობლები მოცვივდნენ. ისინი თავიანთ ფაცხებიდან გამოვრბოდნენ. კინოს ძმა ხუნ ტომასი, მისი ჩასუქებული ცოლი აპოლონია და მათი ოთხი ბავშვი კართან შეეჯგუფდნენ, შესავალი დაფარეს, სხეები კი მათ უწინდან იყურებოდნენ ფაცხაში: ერთი პატარა ბიჭუნა ფეხებზეა გაძვრა, რომ კარგად დაენახა ყველაფერი. ისინი, ვინც წინ იდგნენ, უკან მდგომთ გადასცემდნენ: „მორიელი. მორიელმა უკბინა ბავშვს“.

ხუნამ ერთი წუთით ტუჩი მოაშორა ნაკბენს. პატარა ნახვლეტი ოდნავ გაფართოვდა, კიდევბი გაუთეთრდა გამოწოვის გამო, მაგრამ სწოთლუ გავრცელდა ნაკბენის მოშორებით; ბავშვის სხეულზე გაჩნდა მაგარი ლიმფატიური სიმსივნე. ამ ადამიანებმა იცოდნენ, თუ რა არის მორიელი. მისი ნაკბენისაგან დიდები ძლიერ იტანჯებიან, ბავშვები კი კვდებიან კიდევ. მათ იცოდნენ, რომ ბავშვს ჯერ სხეული შეუშუბდება, სიცხე აუწევს, ყელში კრუნჩხვა მოუელის, მერე მუცლის გვრემა დაეწყება, ხოლო შემდეგ, თუ შხამი დრმად შევიდა ნახვლეტში, კოიოტიტო მოკვდება. მაგრამ მწვავე ტკივილი თანდათან კლებულობდა. ახლა კოიოტიტო აღარ ჩხაოდა, ჩუმად კენესოდა.

კინო ხშირად განცვიფრებაში მოდიოდა თავისი ნაზი და მომთმენი ცოლის რკინისებური ნებისყოფით. ასეთ მორჩილს, მოკრძალებულს, მხიარულს თითქმის ერთხელაც არ დაუვივლია მშობიარობის დროს. დადლასა და შიმშილს თითქმის კინოზე უკეთ იტანდა. ნიჩბების მოსმამივც ვუკაცს გაეჯიბრებოდა. ახლა კი ისეთი რამ გაბედა, რასაც კინო მისგან არასდროს არ მოელოდა...

„ექიმი“, თქვა ხუნამ. „წადი, მოიყვანე ექიმი“.

ეს სიტყვა მივიდა მეზობლებამდე, რომლებიც პატარა ეზოში ფუსფუსებდნენ წნელის ღობის შიგნით. ისინი იმეორებდნენ: „ხუნამ მოითხოვა ექიმის გამოძახება“. საოცრებაა, გაუგონარი რამაა — უცერად ექიმის მოთხოვნა. თუ ექიმს მოიყვანენ, ეს მთლად სასწაული იქნება. ექიმი არასოდეს არ მოსულა დაბაში, სადაც წნელის ფაცხებია. ან კი რატომ უნდა მოსულიყო აქ? ის ხომ მდიდ-

რებს ემსახურება, რომლებიც ქალაქში ცხოვრობენ ქვის ან აგურის სახლებში. ექიმი მათაც ვერ აუღის.

„ის არ წამოვა“, თქვეს მათ, ვინც ეზოში იდგნენ.

„ის არ წამოვა“, თქვეს მათ, ვინც კარებში იდგნენ. თვითონ კინომაც ასე გაიფიქრა.

„ექიმი არ წამოვა ჩვენთან“, უთხრა კინომ ხუანას.

ხუანამ ძუ ლომის ცივი თვალებით შეხედა ქმარს. კოორტიტო მისი პირმშო იყო, კოორტიტო მისთვის თითქმის ყველაფერი იყო ამ ქვეყნად. კინომ იგრძნო ხუანას გადაწყვეტილება და ოჯახის მუსიკამ ფოლადივით დარეკა მის ყურებში.

„მაშინ, ჩვენ თვითონ წავალთ მასთან“, თქვა ხუანამ და ცალი ხელით თავზე მუქ-ლურჯი შალი შეისწორა. მისი ერთი კალთა ხელზე გადაიფინა, ნაკეცში მკვნესარე ბავშვი ჩაიწვინა, მეორე ბოლო კი სახეზე მაფარა, რომ სინათლეს თვალი არ მოეჭრა. კართან შეჯგუფებულმა ხალხმა უკან დაიხია, უკან მდგომნი მისწია-მოსწია და ხუანას გზა მისცა. კინო მიჰყვა ხუანას. ისინი ჭიშკრიდან ურმის თვლებით დაღარულ გზაზე გავიდნენ და მეზობლებიც მიჰყვნენ.

მათს გასაჭირში მთელმა დაბამ მიიღო მონაწილეობა. ისინი უხმაუროდ ადგამდნენ შიშველ ფეხებს და სწრაფად მიიწევდნენ ქალაქის ცენტრისაკენ. წინ მიდიოდნენ ხუანა და კინო, მათ კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ხუან ტომასი და აპოლონია, რომელიც თავის ვეებერთელა მუცელს მიათანთალებდა. შემდეგ მიდიოდნენ მეზობლები, ბავშვები კი სირბილით მისდევდნენ აქეთ-იქიდან. ყვითელი მზე გზაზე მათს შავ ლანდებს აფენდა, ასე რომ ისინი საკუთარ ლანდებზე მიაბიჯებდნენ.

ხალხი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც წნელის ფაცხების უბანი თავდებოდა და ქალაქი იწყებოდა ქვისა და აგურის სახლებით, ქალაქი, სადაც ყოველ ნაბიჯზე აღმართული იყო პირქუში გალავნები. გალავნების შიგნით გაშენებული იყო დაბურული ბალები, სადაც წყაროები ჩუხჩუხებდნენ. გალავნების კედლები შიგნიდან სულ შეჩითული იყო ბუგენვილების თეთრი, ვარდისფერი და ყვითელ-წითელი ყვავილებით. ამ თვალთავან დაუნახავ ბალებიდან ხალხს გალიებში დამწყვდეული ფრინველების გალობა და თლილ ფილებზე მიმდინარე ცივი წყლის ჩქრიალი მოესმა. პროცესიამ თვალისმომჭრელად გააკვირვებული მოედანი გადასჭრა და ეკლესიას გაცდა. გზადაგზა ხალხი მატულობდა; იმათ, ვინც ახლად უერთდებოდა პროცესიას, ჩურჩულით უამბობდნენ, რომ ბავშვს მორიელმა უკბინა, რომ ის დედ-მამას ექიმთან მიჰყავდა.

ახლად შემომატებულნი, განსაკუთრებით ეკლესიის მათხოვრები — ფინანსური საკითხების დიდი მცოდნენი, სწრაფად მოავლებდნენ ხოლმე თვალს ხუანას ძველ ლურჯ კაბას, ამჩნევდნენ მისი შალის გაცრეცილ ადგილებს, აფასებდნენ მის ნაწნავებზე გაკეთებულ მწვანე ლენტს, შეუტყდომლად არკვევდნენ. თუ რამდენ წელიწადს უხმარია კინოს თავისი საბანი, რამდენ ათასჯერ გარეცხილა მისი ტანსაცმელი. ისინი რწმუნდებოდნენ, რომ ბავშვის მშობლები ღარიბები იყვნენ, და სხვებთან ერთად მიდიოდნენ იმის გასაგებად, თუ როგორ დამთავრდებოდა ეს დრამა. ეკლესიის შესავლის ოთხმა მათხოვარმა ყველაფერი იცოდა, რაც კი ქალაქში ხდებოდა. აღსარებაზე მიმავალი ახალგაზრდა ქალების სახე მათთვის გადაშლილი წიგნი იყო; როცა ეს ქალები ეკლესიიდან გამოდიოდნენ, მათხოვრები მყისვე ხვდებოდნენ მათ ცოდვებს. მათხოვრებმა იცოდნენ ქალაქის ყველა წვრილმანი ამბავი, ბევრი დიდი ბოროტმოქმედებაც. მათ მუდამ ეკლესიის გალავანში, ჩრდილში ეძინათ, არასდროს არ შორდებოდნენ ამ ადგილს და ხედავდნენ ყოველ ადამიანს, ვინც კი თუნდაც ქურდულად შედიოდა



ეკლესიაში სანუგუმებლად. ექიმსაც იცნობდნენ. მათთვის არაფერი იყო საიდუმლო — არც მისი უმეცრება, არც მისი უღმობელოება, არც მისი სიხარბე და გაუმაძღრობა, არც მისი ცოდვები. მათხოვრებმა სათითაოდ იცოდნენ მუცლის მოშლის ყველა მარცხიანი შემთხვევა, რაც კი ექიმის საქმიანობას მოჰყოლოდა; იცოდნენ, რომ ექიმი მოწყალებას ძლიერ ძუნწად იძლეოდა, მხოლოდ სპილენძის გრომებს. ისინი ხედავდნენ, როგორ მოასვენებდნენ ეკლესიაში იმ ადამიანებს, ვინც ექიმს საიქიოს გავსტუმრებინა.

ვინაიდან ახლა დილის წირვა გათავებული იყო და ეკლესიაში სიმშვიდე სუფევდა, პროცესიას აედევნენ მათხოვრებიც — ახლობლებზე ზუსტი ცნობების ეს დაუღალავი შემგროვებლები. მათ სურდათ გაეგოთ, როგორ მოექცეოდა ქონდადებული, გაზარმაცებული ექიმი ღარიბ ბავშვს, რომელსაც მორიელმა უკბინა.

ბოლოს გაჩქარებული პროცესია მიადგა ექიმის სახლის ვეებერთელა ალყაფის კარებს. იქიდან მოისმოდა წყლის ჩხრიალი, გალიაში დამწყვდეული ფრინველების გალობა და გრძელი ცოცხის ფათხა-ფუთხი ქვაფენილზე. ექიმის სახლიდან გამოდიოდა შემწვარი ბეკონის საამო სუნი.

კინო წუთით შეეყოყმანდა კარებთან. ეს ექიმი არ იყო მისი ხალხის შვილი. იგი ეკუთვნოდა იმ რასას, რომელიც თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში არბევდა, შიმშილით ხოცავდა, ძარცვავდა, აბუჩად იგდებდა კინოს თვისტომებს და ისე დააშინა ისინი, რომ ღარიბნი ქედმოდრეკილი მიდოდნენ ამ კარებთან. ისე როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, როცა კინოს ამ რასის ადამიანებთან უხდებოდა საქმის დაჭერა, ახლაც კინომ უეცრად თავი ძაბუნად იგრძნო, უეცრად რაღაცის შეშინდა და იმავე დროს განრისხდა. მრისხანება და შიში ყოველთვის ერთად დულდა მის გულში. კინოს უფრო ადვილად შეეძლო მოეკლა ეს ექიმი, ვიდრე დალაპარაკებოდა მას, რადგან ექიმის თვისტომნი კინოს თვისტომებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც პირუტყვებს. როცა კინომ მარჯვენა ხელი ალყაფის კარის რკინის რგოლისაკენ გასწია, მის გულს რისხვა შემოეგზნო, მის ყურებში მტრის მუსიკა აგუგუნდა, მან ტუჩები მგრაად მოკუმა; მაგრამ მარცხენა ხელი თავისთავად გაიწია ქუდის მოსახდელად. რკინის რგოლი აუღარუნდა ალყაფის კარზე. კინომ ქუდი მოიხადა და პასუხს დაელოდა. ხუნასს მკლავზე მწოლარე კოიოტიტომ სუსტი ხმით დაიკვნესა, დედამ ალერსით უთხრა მას რაღაც. ხალხი შეგროვდა მათ ირგვლივ, რომ არაფერი გამორჩენოდათ, რომ ყველაფერი გაეგნათ.

წუთის შემდეგ ალყაფის ვეებერთელა კარი ოდნავ გაიღო. კარის ღრიჭოდან კინომ დაინახა ბალის მწვანე საჩრდილობელი და პატარა მჩქეფარე შადრევანი. კაცი, რომელმაც იქიდან გამოიხედა, მისი თვისტომი იყო. კინო გამოელაპარაკა მას მათი ტომის ძველ ენაზე.

„ბავშვს... ჩვენს პირმშოს უკბინა მორიელმა“, უთხრა კინომ, „მისთვის საჭიროა გამოცდილი მკურნალი“.

კარის ღრიჭო დავიწროვდა, მსახურმა არ ისურვა ძველ ენაზე ლაპარაკი. „მოიცადე ერთი წუთით“, თქვა მან, „წავალ, გავიგებ“, კარები მიხურა და შიგნიდან ურდული გაუყარა. თვალისმომჭრელმა მზემ ადამიანთა შავი ლანდები გამოსახა ქვის გალავნის თერ კედელზე.

ექიმი მაღალ საწოლზე იჯდა თავის ოთახში. მუარის წითელი ხალათი ეცვა, ოდესღაც პარიზიდან ჩამოტანილი. თუ ყველა ღილზე შეიკრავდა, ეს ხალათი ბეჭეტში უკვე დავიწროვებული ჰქონდა. ექიმს მუხლზე ედო ვერცხლის ლანგარი, რომელზეც ვერცხლისავე საშოკოლადე ჭურჭელი და უნატიფესი ფაიფუ-

რის ფინჯანი იდგა. მეტად სასაცილო და ერთი ციციქნა ჩანდა ეს ფინჯანი, რომ დესაც ექიმი მას თავის ვეებერთელა ხელში აიღებდა და ტუჩთან მიიტანდა; ფინჯანი ცერთა და სალოკი თითით ეჭირა, ხოლო დანარჩენი სამი თითი გაფარჩხნილი ჰქონდა, რომ მათ ხელი არ შეეშალა. მისი თვალები ჩაფლულბ იყო დაგუდულ უბეებში. ტუჩი მობუზღუნე კაცივით დაბლა ჰქონდა დაშვებული. ხანში რომ შევიდა, ჩასქელდა, ხრინწიანი ხმითაც ლაპარაკობდა, რადგან ყელში ქონი მოსდებოდა. მის გვერდით მაგიდაზე იდგა პატარა აღმოსავლური გონგი და ვაზა, რომელიც სიჯარებით იყო სავსე. ოთახში დიდი, ბნელი და პირქუში ავეჯი ელაგა. სურათები ყველა რელიგიური შინაარსისა იყო, ფერადი ფოტოსურათიც კი განსვენებული ცოლისა, რომელიც ახლა სამოთხეში ნეტარებდა, თუ კი ეს შესაძლებელია წირვალაცვით, რაშიაც ექიმი ფულს იხდდა ცოლის ანდერძისამებრ. თავის დროზე ექიმი, თუმც არა დიდხინით, მაგრამ მინც გამოსული იყო დიდ საზოგადოებაში. ამიტომ მთელი მისი შემდგომი ცხოვრება აღსავსე იყო მოგონებებითა და სევდით საფრანგეთის ვაშო.

„მაშინ“, ამბობდა იგი, „ვეცხოვრობდი, როგორც ცივილიზებული ადამიანი“. ამაში გულისხმობდა იმას, რომ თავისი მცირეოდენი სახსრები საშუალებას აძლევდა ჰყოლოდა საყვარელი და ცვლო რესტორანებში. მან მეორეჯერ დაისხა შოკოლადი და თითებით ნაშეხარი დაფშენა. კიშკრიდან მობრუნებული მსახური მიადგა ღია კარებს და გაჩერდა, დაელოდა, სანამ ექიმი შეამჩნევდა მას.

„რა გინდა?“ შეეკითხა ექიმი.

„ვიდაც ინდიელია ბავშვით. მან თქვა, ბავშვს მორიელმა უკბინაო“.

ექიმი ფრთხილად დადგა ფინჯანი ლანგარზე, ვიდრე რისხვას აუშვებდა.

„მეტი საქმე არაფერი მაქვს, რომ „ვიდაც ინდიელებს“ ვუმკურნალო მწერების ნაკებზე. მე ექიმი ვარ და არა ვეტერინარი“.

„ღიახ, ბატონო,“ უთხრა მსახურმა.

„ფული აქვს?“ იკითხა ექიმი. „მაგრამ არა, მათ არასოდეს არ აქვთ ფული. არ ვიცი, რატომ უნდა ვიმუშაო მუქთად. მომბეზრდა მე ეს. წადი, გაიგე, აქვს თუ არა ფული“.

მობრუნებულმა მსახურმა ოდნავ გააღო ალყაფის კარები და ღრიჭოდან პასუხის მომლოდინე ხალხს შეხედა. ამჯერად მან ძველ ენაზე დაილაპარაკა.

„შენ გაქვს რამე, რომ მკურნალობის საფასური გადაიხადო?“

კინომ ხელი ჩაიყო საიდუმლო ჯიბეში, სახნის ქვეშ. იქიდან მრავალი ნაკეცი ქალღი ამოიღო, ფრთხილად დაიწყო ნაკეცების გახსნა — ერთი, მეორე, მესამე... და ბოლოს გაშლილ ქალღიზე გამოჩნდა რვა წვრილი და ბრტყელი მარგალიტის თვალი. ეს თვლები უშნო და უფერული იყო, თითქოს პატარა მუწუკებიო. მათ თითქმის არავითარი ფასი არ ჰქონდათ. მსახურმა ეს თვლები ქალღიდან გამოართვა და ალყაფის კარები ისევ ჩაკეტა. მაგრამ ამჯერად დიდხანს არ ალოდინა ხალხი. მან სწორედ იმ ზომაზე გააღო ალყაფის კარი, რომ ღრიჭოში მხოლოდ ქალღი გამოტეულიყო.

„ექიმი წავიდა“, თქვა მან, „მძიმე ავადმყოფთან გამოუძახეს“ და სწრაფად დახურა კარი, რადგან სცხვენოდა.

სირცხვილი ტალღასავით მოედო ხალხს. ხალხმა დაშლა იწყო. მათხორები დაბრუნდნენ ეკლესიის გალავანში. მოხეტიალე უსაქმურებიც წავიდ-წამოვიდნენ, ხოლო მეზობლები დაიშალნენ, რომ საქვეყნოდ შერცხვენილი კინო არ გაწითლებულიყო მათ წინაშე.

კინო დიდხანს იდგა ექიმის სახლის გალავანთან, ხუანაც მის გვერდით იდგა. ნელა დაიხურა ქუდი, რომელიც თხოვნის ნიშნად ჰქონდა მოხდილი. მერე





უეცრად გამეტებით დაარტყა მუშტი ალყაფის კარებს, შემდეგ გაკვირვებით დახედა გახეთქილ სახსრებსა და თითებს შუა გამოდენილ სისხლს.

II

ქალაქი მდინარის ფართო შესართავთან იყო მიჭუჭკული, მისი ძველი, ყვეთელი სახლები პირდაპირ ზღვის უბის ნაპირს ადგებოდნენ. ნაპირზე კი წყლიდან ამოთრეული თეთრი და ცისფერი ნაიართული ნაგები ელავა. ეს ნაგები არა ერთ თაობას მოუხმარია, რადგან მათ განსაკუთრებული შემადგენლობის საცხებით პოხავდნენ. ეს საცხები წყალს არ იკარებდა. მისი მომზადების საიდუმლოება მეთევზეებს ეკუთვნოდათ. ამ კოხტად გამოყვანილ ნაგებს მალალი ქიმი, მომრგვალებული ცხვირი, მომრგვალებული კიჩო და მიდშიბი ჰქონდათ. ამ უკანასკნელზე ანძას ამაგრებდნენ, ანძაზე კი პატარა სამკუთხოვანი აფრაციო მიკრული.

ყვეთელი სილა თითქმის წყალამდე აღწევდა, მერე კი წყალმცენარეებისა და ზვირთთა ცემით დამსხვრეული ნიჟარების ზოლი იწყებოდა. სილის ღრმულეებში კიბორჩხალები დაბობღავდნენ და ფუთფუთებდნენ, მეჩეჩებზე კი ნიჟარების ნამსხვრევებს შორის პატარა ასთაკვები ხან გამოხტებოდნენ, ხან ისევ იმალებოდნენ თავიანთ ერთ ციცქნა სოროებში. ზღვის ფსკერი სავსე იყო ყოველგვარი მხოხავი და მცურავი არსებით, ყოველივე იმით, რაც თავისი ყლორტებით ზემოთ მიისწრაფვის. ნელი ტალღები არწევდა რუხ წყალმცენარებს, აქანავებდა მწვანე ზოსტერის გრძელ ფოთლებს, რომლებსაც ზღვის პატარა ცხენუკები ეკვროდნენ.

ზოსტერის რბილ ფენაზე შესამიანი თევზები — წინწყლებიანი ბოტეტები იწვნენ, მათ ზემოთ კი წინ და უკან დაბობღავდნენ წითელი და მწვანე კიბორჩხალები.

ქალაქის მშვიერი ძაღლები და ღორები გამუდმებით დაფათურობდნენ ნაპირზე იმის იმედით, რომ იქნებ ზღვის ტალღებს მეჩეჩზე მკვდარი თევზი ან ზღვის ფრინველი გამოერიყა.

ჯერ კიდევ სისხამი დილა იყო, მაგრამ ბნელი მირაჟი უკვე ჩნდებოდა შორეთში. ზღვის უბეს ეფინებოდა მოლივლივე ჰაერი, რაც ერთ საგანს ადიდებს. მეორეს კი სულ აქრობს; ჰაერის ამ ლივლივში თითქოს ყველაფერი მოჩვენებითი იყო, თითქოს ყველაფერი თვალს ატყუებდა; აქ ყოველივე — ზღვაცა და ხმელეთიც — ერთდამიძვე დროს მკაფიოდაც მოჩანდა და სიზმარულ ბინდბუნდშიაც იყო გახვეული. შესაძლოა, ამიტომაც არის, რომ ზღვის უბესთან მცხოვრები ადამიანები უფრო იმას ენდობიან, რასაც შინაგანი ხმა და წარმოსახვა უკარნახებს, თვალს კი არ უჯერიან — თვალი ატყუებს მათ, ამცირებს მანძილს და ნედავს ხაზებს იქ, სადაც ეს ხაზები სრულიადაც არ არის. ქალაქს გარეთ მდებარე მონგროს ტევრში ერთი მხრიდან ხის ტოტები მკაფიოდ მოჩანდა, როგორც ტელესკოპის ლინზაში, მეორე მხრიდან კი მხოლოდ შავი და მწვანე ლაქები ეგონებოდა კაცს. ზღვის უბის შორეული ნაპირი ქრებოდა მოლივლივე წყლისფერ ნისლში. ყოველივეში, რასაც თვალი წვდებოდა, მცირეოდენი სარწმუნოც კი არაფერი იყო; თვალი ვერ დაგაჯერებდა, მართლაც ხედავდი რაბეს, თუ შენს წინაშე სრული სიცარიელე იყო. უბესთან მცხოვრებ ადამიანებს ეგონათ, რომ ყველგან ასეთა. ამიტომ ეს უცნაურობად არ მიაჩნდათ. წყალზე ქუფრი ნისლი ჩამოწვა, დილის მცხუნვარე მზე დაქათათებდა და თვალისმომკრელად ალაპლაპებდა ამ ნისლს.

მეთევზეთა ფაცხები ქალაქის მარჯვენა მხარეს — ზღვის უბის სიღრმეში იდგნენ. ნავებიც ნაპირზე იყო ამოტანილი ამ ფაცხების ახლოს.

კინო და ხუნა ნელა ჩავიდნენ ნაპირზე და თავის ნავთან მივიდნენ. ეს იყო ერთადერთი ღირებული ნივთი, რაც კინოს გააჩნდა ამ ქვეყნად. ნავი მეტად ძველი იყო. იგი კინოს პაპამ მოიტანა ნაიარითიდან, მერე კინოს მამის ხელში გადავიდა, ხოლო მამისაგან კინოს დარჩა. ეს ნავი ერთდროულად მისი ავლადი-დებაც იყო და მარჩენალიც, რადგან მამაკაცს, რომელსაც ნავი აქვს, შეუძლია შეპირდეს ქალს, რომ საქმელს არ მოაკლებს. ნავი — ეს ხსნაა შიმშილისაგან. კინო ყოველ წელს პოხავდა მას წყალმიუტარებელ საცხებით, რომლის შემზადების საიდუმლოებაც მამისაგან ისწავლა.

ახლაც კინო ნავთან მივიდა და როგორც ყოველთვის ნაზად გადაუსვა ხელი მის ცხვირს. საძირავი ქვა, კალათი და ორივე თოკი ძირს დადო, მერე თავისი საბანიც გაკეცა და ნავის ცხვირზე დააფინა.

ხუნამ კოიოტიტო საბანზე დააწვინა და შალი ისე წააფარა, რომ მცხუნვარე მზეს არ დაეწვა. კოიოტიტო ჩუმად იყო, არ ტიროდა, მაგრამ სიმსივნე მხრიდან კისერზეც გადადიოდა, სახეც წამოსიებული ჰქონდა, ლოყებზე ციციხელი ეკიდებოდა. ხუნა წყალში ჩავიდა, რუხი წყალმცენარეები მოგლიჯა, დასრისა, გააბრტყელა და ბავშვის შესიებულ მხარზე დაადო. ეს საშუალება უკეთესი თუ არა, არაფრით უარესი არ იყო იმ წამლებზე, რაც ექიმს შეეძლო ერჩია. ამ საშუალებას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ექიმის ავტორიტეტი, რადგან ის სრულიად მარტივი და სრულიად უფასო იყო. მუცლის გვრემა არ მოსვლია კოიოტიტოს. როგორც ჩანს, ხუნამ თავის დროზე გამოსწოვა შხამი ნაკებნიდან, მაგრამ შხამთან ერთად ვეღარ გამოსწოვა თავისი დარდი. მის ლოცვებში არ იყო პირდაპირი ვედრება ბავშვის მორჩენაზე, ღმერთს მხოლოდ იმას ევედრებოდა, რომ მათ ისეთი მარგალიტის თვალი ეპოვათ, რომლითაც შესძლებდნენ ექიმის გასტუმრებას კოიოტიტოს მკურნალობისათვის, რადგან ზღვის უბესთან მცხოვრებ ადამიანთა აზრის მოძრაობა ისეთივე მოლიცლიცეა, როგორც მირაჟი, რომელიც იქ ჩნდება დროდადრო.

კინომ და ხუნამ ნავი სილაზე გაათრეეს. როცა ნავის ცხვირი წყალს შეეხო, ხუნა ნავში ჩაჯდა, კინო კი გვერდით მიჰყვა და მანამ სწევებოდა, სანამ მთელმა ნავმა ზღვის ნელ ტალღებზე რწყევა არ დაიწყო. მაშინ მათ შეწყობილად მოუსვენეს ორმხრივი ნიჩბები. ნავი უშიშნით გასრიალდა წყალზე და ზღვის მოსარკული ზედაპირი დაანაოჭა. მარგალიტის სხვა მაძიებელნი უკვე დიდი ხანია გასულიყვნენ ზღვაზე. რამდენიმე წუთის შემდეგ კინომ ნისლში დაინახა, რომ ისინი იმ ადგილას იდგნენ, სადაც ნიჟარების ბუდობი იყო.

მზის სინათლე წყალში ბუდობამდე ატანდა. იქ ღია, დამსხვრეულ ნიჟარებით მოფენილ კლდოვან ფსკერზე ჩაფრასტიანი ზამბაკები ელაგა. ეს იყო სწორედ ის ბუდობი, რომელმაც გასულ საუკუნეებში ესპანეთის მეფე პირველ ადგილზე გამოიყვანა მთელს ევროპაში, ბუდობი, რომელიც აძლევდა მას ფულს ომების საწარმოებლად და რომელმაც არა ერთი ეკლესია მოსჭედა ოქრო-ვერცხლით მისი სულის მოსახსენებლად. ნაცრისფერ ზამბაკებს კიდევებზე შემოჯორჯილი აქვთ კაბასებური ჩაფრასტები, ირგვლივ კი პატარა კიბორჩხალები ახვევიათ. ზამბაკები გაბლანდული არიან წყალმცენარეთა ხვიარა ყლორტებში. მათ ყოველ წუთს შეიძლება შეემთხვეთ ერთი რამ: ქვიშის ნამცეცი მოხედეს მათი მანტიის ანუ ხარხანჩოს ნაკეცებში და იქ გალიზიანება გამოიწვიოს. მაშინ, იმ მიზნით, რომ თავი დაიკვას, ზამბაკის ხარხანჩო სადაფს ნივთიერების სწორ ფენას შემოაელებს ქვიშის ნამცეცს. რაკი ერთხელ დაიწყებს, მერე აღარ მო-



ეშვება უცხო სხეულის შემოგარსვას, ვიდრე ტალღები არ მოაშორებენ ამ სხეულს ან თვით ზამბაკი არ დაიღუპება. საუკუნეების განმავლობაში ადამიანები ყვინთავდნენ წყალში, აგროვებდნენ ზამბაკებს, ხსნიდნენ მათ ნაკეცებს და ეძებდნენ სადაფის ნივთიერებით შემოგარსულ ნამცეცებს. თევზები გუნდ-გუნდად დაცურავდნენ ამ ბუდობებში, იმ ნიჟარების ახლოს, რომლებსაც წყალში ყრიდნენ მარგალიტის მამიებელნი. თევზები ჭამდნენ ნიჟარების მოლაპლაპე ნაკეცებს შორის მოქცეულ რბილ მასას. მარგალიტის გაჩენა შემთხვევის საქმეა, მისი პოვნა კი იშვიათი იღბალია, მხარზე ხელის სააღერსო მოთათუნებაა, რითაც ღმერთი ან ღმერთები აჯილდოებენ ადამიანს.

კინოს ორი თოკი ჰქონდა: ერთი ქვაზე იყო გამობმული, მეორე — კალააზე. კინომ პერანგი და შარვალი გაიხადა, ქუდიც ნავის ძირზე დაავდო. წყალი გლევი და ლაპლაპა იყო, თითქოს ზეთი დაუსხამთო. კინომ ერთ ხელში ქვა აიღო, მეორეში კალათი და ნავის ქიმიდან წყალში გადახტა. ქვამ ის ფსკერისკენ ჩაითრია. ჰაერის ბუშტები ამობუჟბუჟდნენ მის ზემოთ და გაიფანტნენ. მერე წყალი დაიწმინდა. ზემოთ, ანკარა და მოლივლივე წყალში, მან დაინახა მოსრიალე ნივების ძირი.

კინო ფრთხილად მოძრაობდა, რომ წყალი არ აემღვრია შლამითა და სილით. ფეხის ტერფი იმ თოკში გაუყარა, რომელზედაც ქვა იყო გამობმული, და ხელებით მარდად დაიწყო მუშაობა. ბუდიდან გლეჯდა ზამბაკებს ხან სათითაოდ, ხან რამდენიმეს ერთად და კალათაში ყრიდა. ზოგ ადვილას ნიჟარები ისე მჭიდროდ იყვნენ მიკრული ერთმანეთზე, რომ მთელი წყება იგლიჯებოდა ერთად.

კინოს თვისტომი ხალხი მღეროდა ყველაფერზე, რაც კი შეემთხვეოდა, რაც კი ქვეყნად არსებობდა. ამ ხალხმა შეუთხზა სიმღერები თევზებს, ბობოქარ ზღვას, დამშვიდებულ ზღვას, სინათლესა და წყვიდადს, მთვარესა და მზეს. ეს სიმღერები — ყველანი გამოუკლებლივ, დავიწყებულნიც კი — ჩამალული იყო კინოსა და მისი ხალხის სულში. და ახლა, როცა კინო თავის კალათს ნიჟარებით ავსებდა, მის არსებაში ჟღერდა სიმღერა; ამ სიმღერის რიტმი იყო ბაგაბუგი მისი გულისა, რომელსაც მგავბადს მკერდში შეგუბული სუნთქვა აწვდიდა, ამ სიმღერის მელოდია კი — თევზების გუნდი, მომწვანო-მონაცრისფრო წყალი და ამ წყალში მოფუსფუსე პაწაწინა არსებანი; თევზები ხან ღრუბლებივით ქუჩიდებოდნენ, ხან ისევ იფანტებოდნენ. ამ სიმღერის სიღრმეში, შიგ მის გულში, ამყოლი ხმით ჟღერდა მცირე, ძლივს გასაგონი, მაგრამ მაინც ჩაუქრობელი, იღუმალი, ნაზი და დაჟინებული სიმღერა, რომელიც დრო და დრო მთავარ ხმაში იძირებოდა. ეს იყო სიმღერა სადიდებელი მარგალიტისა, სადიდებელი ნატურის თვალისა, რაც შეიძლება უეცრად იპოვო, რადგან მარგალიტი კალათში ჩაგდებულ ყოველ ნიჟარაში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. ბედი და უბედობა შემთხვევის საქმეა, ბედი კი ის არის, როცა ღმერთები შენს მხარეზე არიან. კინომ იცოდა, რომ იქ, მაღლა, ნავში მისი ცოლი — ხუანა ლოცვით სასწაულს ახდენდა, რომ ხუანას სახე გარინდებული და კუნთები დაძაბული ჰქონდა, რომ იგი მზად იყო ბედი ძალით გამოეგლიჯა ღმერთებისათვის, რადგან ბედი იმისათვის სჭირდებოდა, რომ კოიოტიტოს მხარზე სიმისენე დაცხრობოდა, სხვაგან არ გადასვლოდა. რაკი ბედის გაღიმება მათ დიდად სჭირდებოდათ და დიდად სწყუროდათ, ამიტომ ამ დილით უფრო მძლავრად ჟღერდა ნაზი, იღუმალი ჰანგი მარგალიტისა ანუ ნატურისთვალისა, რაც შეიძლება უეცრად მოიპოვო. ეს ჰანგი ნაზ და ნათელ ვერცხლისძაფივით ექსოვებოდა წყალქვეშა სამყაროს სიმღერას.

ახალგაზრდობა, ძალა და სიამაყე კინოს საშუალებას აძლევდა გაუქმდებულად გაჩერებულიყო წყალქვეშ ორ წუთზე მეტ ხანს. ამიტომ იგი აუჩქარებლად მუშაობდა, ყველაზე დიდ ნიჟარებს არჩევდა. შემოფოთებულ მოლუსკებს მკვიდროდ მოეკეტათ ნაკეციები. კინოსაგან ოდნავ მარჯვნივ ლოდები ელაგა. ლოდები ერთიანად დაფარული იყო ახალგაზრდა ზამბაკებით, რომლებიც ჯერ არაფრად ვარგოდნენ. კინო ლოდებთან მიცურდა და იქ, გამოწვდილ ქვის ქვეშ, ძლიერ დიდი ნიჟარა დაინახა. იგი განცალკევებით იღო თავისი ნათესავეებისაგან მოშორებით. ამ ძველისძველ ზამბაკს ნაკეციები გახსნილი ჰქონდა, რადგან გამოწვდილი ქვა იფარავდა. ნიჟარას გარედან ბაგისებური ნაოჭები ჰქონდა. კინომ თვალი მოჰკრა, რომ ამ ნაოჭებს შორის უეცრად რაღაცამ გაიელვა, გაიელვა და უმაღლე გაქრა, რადგან ნიჟარის ნაკეციები დაიხურა. კინოს გული ძლიერ აუძგერდა, ყურებში ნატვრისთვალის მელოდია გაუწვილა, ნატვრისთვალისა, რაც შეიძლება უეცრად მოიპოვო. ნელი მოძრაობით მოგლიჯა ნიჟარა თავის ბუდეს და მაგრად მიიკრა მკერდზე. ფეხი ქვაზე გამობმულ თოკისგან გაინთავისუფლა და ზედაპირზე ამოცურდა; მისი შავი თმა მზეზე ალაპლაპდა. ხელი ქიმზე გადაჰყო და ნიჟარა ნავის ძირზე დასდო.

ხუანა მარჯვენა ქიმს მიაწვა, რომ ნავის წონასწორობა დაეცვა, სანამ კინო შიგ ჩაჯდებოდა. კინოს თვალები ცეცხლივით უელავდა, მაგრამ თავი შეიკავა და წყლიდან ჯერ ქვა ამოათრია, მერე კი ნიჟარებით სახვე კალათი. ხუანამ იგრძნო მისი მღელვარება და თვალი მოარიდა. არ ვარგა, როცა მეტისმეტად დიდი სურვილი ვიპყრობს. ზოგჯერ ეს ბედს ხელს ჰკრავს. გქონდეს სურვილი, მაგრამ არა მეტისმეტად დაჟინებული, იყავ თავაზიანი ღმერთისა ან ღმერთების მიმართ. ხუანამ სუნთქვა შეწყვიტა. კინომ აუჩქარებლად გახსნა თავისი მოკლე, ბასრი დანა. დაფიქრებით შეხედა კალათს. იქნებ უმჯობესია, რომ ეს დიდი ნიჟარა ყველაზე ბოლოს გახლიჩოს. კალათიდან პატარა ზამბაკი ამოიღო, შემკუმშავი კუნთი გადაუქრა, თითებით ხარხანჩოს ნაოჭები მოსინჯა და წყალში გადააგდო. მერე თითქოს პირველად დაინახა დიდი ნიჟარა. ჩაცუცქდა, ხელში აიღო და ყოველი მხრიდან დაათვალიერა. ნიჟარის ნალარები სინათლეზე ხან შავად, ხან ყავისფრად ბრჭყვიალებდნენ. ნიჟარაზე რამდენიმე პატარა კიბო იყო მიკრული. კინო ვერ ბედავდა მის გახლეჩას. ის, რასაც მან თვალი მოჰკრა, შეიძლება უბრალო ანარეკლი ყოფილიყო, ან შემთხვევით მიკრული სადაფის ნატეხი, ან სულაც ფანტაზიის ნაყოფი რამ ზღვის ამ უბეში, სადაც მატყუარა სინათლეა, ილუზიები უფრო მეტია, ვიდრე რეალობა.

მაგრამ ხუანა თვალს არ ამორებდა კინოს. ხუანას არ შეეძლო მეტის, მოთმენა. კოიტიტოს თავზე ხელი დაადო და ოდნავ გასაგონად თქვა: „გახლიჩე!“

კინომ მარჯვედ ჩაასო დანა ნიჟარის ნაკეციებს შუა. იგრძნო, როგორ დაეჭიმა კუნთი მოლუსკს. დანის ტარს დაბლა დაწვა, რომ პატარა ბერკეტევით აემოქმედებინა; გაწყდა შემკუმშავი კუნთი, რომელიც ორივე ნაკეცს ერთმანეთს აკრავდა, და ზედა ნაკეცი სულ მოსცილდა ნიჟარას. ბაგისებური მოლუსკი შეიკუმშა და იქვე მოიღვენთა. კინომ კანის ნაკეცი ასწია და იქ ვეება მარგალიტის თვალი დაინახა, რომელიც თავისი უზადობით მთვარესაც არ ჩამოუვარდებოდა. მარგალიტი თითქოს ნთქავდა სინათლეს, ასუფთავებდა და უკანვე აბრუნებდა ვერცხლისფერ სხივებად. ის იყო დიდი, ზღვის თოლიას კვერცხის ოდენა. ის იყო ყველაზე დიდი მსოფლიოში.

ხუანას სუნთქვა შეეკრა და ყრუდ ამოიკენესა. კინოს ყურებში ჟღერდა იღუმალი მუსიკა, მუსიკა ნატვრისთვალისა, რაც უეცრად მოიპოვების, ჟღერდა წმინდა, მშვენიერი, თბილი, ტკბილი, მოელვარე და ზემით აღსავსე მუსიკა.



ამ დიდი მარგალიტის სიღრმეში გამოისახა კინოს ოცნება, მისი სიზმრებში ნომ მომაკვდავი მოლუსკი მოაშორა მარგალიტს, ხელისგულზე დაიგორა და დაინახა, რომ მარგალიტი უნაკლო იყო ფორმის მხრივ. ხუანამ კინოსკენ მიიწია, იგი თვალს არ ამორგბდა დიდ მარგალიტს, რომელიც კინოს ხელში ეჭირა. ეს ის ხელი იყო, რომელიც ექიმის სახლის ალაყაფის კარებზე დაიშავა, ხელის სახსრებზე აყვლეფილი კანი ზღვის მლაშე წყლისაგან გათეთრებულიყო.

ხუანამ უნებლიეთ გაიწია კოროტიტოსაკენ, რომელსაც მამის საბანზე ეძინა. დედამ ბავშვს წყალმცენარეებისგან შემზადებული მალამო ააცალა და მხარზე დახედა.

„კინო!“ შეჰკვილა ხუანამ.

კინონ თვალი მოაშორა მარგალიტს, ბავშვისაკენ მიიხედა და დაინახა, რომ შვილის სიმსივნე უჭრებოდა, რომ ბავშვის სხეულს შხამი დაეძლია. მამის მან მაგრად ჩაბლუჯა მარგალიტის თვალი და თავი ველარ შეიკავა: სახე მალა ალაპყრო და გაბმით დაიხშულია. თვალები გადაატრიალა, ყელიდან ყვირილი აღმოხდა და კანკალი დაიწყო.

სხვა ნავეებზე მყოფმა ადამიანებმა შიშით მოიხედეს უკან, უმაღლე ნიჩბები მოუსვეს და სწრაფად გაეშურნენ ხუანასა და კინოს ნავისაკენ.

### III

ყოველი ქალაქი ცოცხალ ორგანიზმსა ჰგავს. ყოველ ქალაქს აქვს ნერვიული სისტემა, თავი, მხრები, ფეხები. ერთი ქალაქი განსხვავდება მეორესაგან, ორი ერთნაირი ქალაქი არ არსებობს. მათი ემოციური ცხოვრება დაუცხრომელია. თუ რა გზით ვრცელდება ქალაქში ამბავი — ეს გამოცანაა, რომლის ამოხსნა იოლი როდია. ამბავი მიჰქრის უფრო სწრაფად, ვიდრე ბიჭები ადგილს მოწყვდებიან და გარბიან მის გასავერცელებლად; უფრო სწრაფად, ვიდრე ღობეზე მიმდგარი ქალები ერთმანეთს უამბობენ.

კინო, ხუანა და სხვა მეთევზეები ფაცხებთანაც კი არ იყვნენ მისულნი, რომ ქალაქის ნერვები დაიჭიმა და შეტოკდა გასაოცარი ამბით: კინომ იპოვა ყველაზე დიდი მარგალიტი მსოფლიოში. აქოშინებულ ბიჭებს სიტყვაც კი ვერ დაემთავრებინათ, რომ მათმა დედებმა უკვე ყველაფერი გაიგეს. განსაკვიფრებელმა ამბავმა ჩაუქროლა წნელის ფაცხებს და აქაფებულ ტალღებდ მოედო ქალაქს, მის ქვისა და აგურის სახლებს. ეს ამბავი თავის ბაღში მოსიერნე მღვდლამდეც მივიდა, თვალეში ფიქრი ჩაუყენა და გაახსენა, რომ ეკლესიას შეეკეთება ესაქიროება. მღვდელმა ივარაუდა, თუ რა ეღირებოდა ასეთი მარგალიტი, მერე შეეცადა გაეხსენებინა, მოუნათლავია თუ არა კინოს ბავში, დასწერა თუ არა ჯვარი კინოსა და მის ცოლს. ამბავი მალაზიების მეპატრონეებამდეც მივიდა. მათ თვალი მოავლეს თაროებს, რომელზედაც დიდი ხანია გაუყიდავად ელაგა მამაკაცის ტანსაცმელი.

ამბავმა ექიმამდეც მიალწია სწორედ იმ დროს, როცა მასთან იჯდა ქალი, რომლის ავადმყოფობა სიბერე იყო, თუმცა არც ქალსა და არც ექიმს არ სურდა ამის აღიარება. როდესაც გამოირკვა, ვინ იყო კინო, ექიმმა მკაცრი, მაგრამ შემწყობლებელი გამომეტყველება მიიღო.

„მისი ბავში ჩემი პაციენტი“, თქვა მან, „მე მას მორიელის ნაკბენზე ვმკურნალობ“. ქონმოდებული თვალეები გადაატრიალა და პარიზი მოიგონა. ოთახი, რომელიც მას პარიზში ეჭირა, საუცხოო ბინად წარმოუდგა, ხოლო ყბებგანიერი საყვარელი — მშვენიერ, კეთილ ქალიშვილად, თუმცა ამ ქალი-



შვილზე არც ერთი და არც მეორე არ იქმნოდა. ექიმმა თვალი თავისი ხნიერი პაციენტის იქით გააპარა და სივრცეს მიაპყრო; თავისთავი პარიზის რესტორანში დაინახა; იქ მსახური ბიჭი ლენოს უსხამდა მას!

ყველაზე ადრე ამბავი მათხოვრებმა შეიტყვეს ეკლესიის გალავანში. მათხოვრებმა კმაყოფილებით ჩაიცინეს, რადგან იცოდნენ, რომ ქვეყნად ყველაზე გულუხვი ის ღატაკი კაცია, რომელსაც მოულოდნელად ბედი გაუღიმებს.

კინომ იბოვა ყველაზე დიდი მარგალიტის თვალი მსოფლიოში. ქალაქის სხვადასხვა ადგილას კანტორებში ისხდნენ ადამიანები, რომლებიც მეთევზეებისაგან ყიდულობდნენ მარგალიტს. შემსყიდველები ცალკეც ისხდნენ თავიანთ კანტორებში და ელოდებოდნენ, როდის მოუტანდნენ მათ მარგალიტებს. მაგრამ, როგორც კი გამყიდველები გამოჩნდებოდნენ, შემსყიდველები ასტეხდნენ ყაყანს, ყვირილს, მუქარას; ეს ყაყანი გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე ფასს იმდენად არ დასცემდნენ, რომ მეთევზეებს უფრო ნაკლებად გაყიდვა აღარ შეეძლოთ. ფასდაკლებასაც თავისი საზღვარი ჰქონდა. მეტისმეტ ფასდაკლებასაც შემსყიდველები ველარ ბედავდნენ, რადგან იყო შემთხვევები, როდესაც გულმოსული მეთევზე მიდიოდა და თავის მარგალიტს ეკლესიას სწირავდა. ხოლო როცა მორიგდებოდნენ, შემსყიდველები მართო რჩებოდნენ თავიანთ კანტორებში და თითებით ნერვიულად ათამაშებდნენ მარგალიტის თვლებს, გული წყდებოდათ, რომ ეს ძვირფასი თვლები მათ არ ეკუთვნოდათ. ნამდვილად შემსყიდველები ბევრნი არ იყვნენ, იყო მხოლოდ ერთი შემსყიდველი; ამ ერთმა შემსყიდველმა კი სხვადასხვა კანტორაში დასვა თავისი აგენტები, რომ მეტოქეობის შთაბეჭდილება შეექმნა. გასაოცარი ამბავი შემსყიდველ კანტორებშიც შეიჭრა, შემსყიდველებმა თვალები მიჭუტეს, თითების ჭავილი აუტყდათ და თვითუღმა მათგანმა გაიფიქრა: „მუდამ ხომ ვერ იცოცხლებს ჩვენი მეპატრონე, ოდესმე ხომ უნდა დაიკაოს ვინმემ მისი ადგილი“. თვითუღმა შემსყიდველმა თავისთვის წარმოიდგინა, როგორ წამოიწყებდა საკუთარ საქმეს, ცოტაოდენი კაპიტალი რომ ჰქონოდა.

ახლა უეცრად ბევრმა ვინმემ მიაქცია ყურადღება კინოს: იმ ადამიანებმაც, რომლებიც ვაჭრობას ეწეოდნენ, და ისეთებმაც, მოწყალეობასა და დახმარებას რომ ნატრობდნენ. კინომ იბოვა ყველაზე დიდი მარგალიტის თვალი მსოფლიოში. მარგალიტის არსი და ადამიანის არსი ერთმანეთში აირია. ამ ნარევმა გამოჰყო უცნაური, მღვრიე ნალექი. ყველამ უეცრად ხელი გაიშვირა კინოს მარგალიტისაკენ; კინოს მარგალიტი შეიჭრა სხვების სიზმრებში, სურვილებში, გულის თქმაში, ანგარიშებში, გეგმებში, განზრახვებში, მომავლის ოცნებაში, ვნებებში; მაგრამ ამ სურვილების განხორციელების გზაზე მხოლოდ ერთი კაცი იდგა და ეს ერთი კაცი იყო კინო. თითქოს საოცრებაა, მაგრამ უეცრად კინო ყველამ მტრად მიიჩნია. განსაკვიფრებელმა ამბავმა ქალაქის ფსიქრიდან ამოატივტივა რაღაც უსაზღვროდ ბოროტი და ბნელი; ეს ბნელი და მღვრიე ნალექი ჰგავდა მორიელს ან შიმშილის გრძნობას, როდესაც მშვიერ კაცს საკმლის სუნი თავბრუს ახვევს, ან უიმედოდ შეყვარებულის გულის წუხილს. ქალაქის შხამიანმა ჯირკვლებმა უკვე დაიწყეს გესლის ამონთხევა. ქალაქი სივდებოდა და მძიმედ სუნთქავდა ამ გესლის მოძალებით.

მაგრამ კინომ და ხუანამ ყოველივე ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ბედნიერებსა და აღფრთოვანებულებს ეგონათ, რომ ყველას ახარებდა მათი სიხარული. ხუან ტომასსა და აპოლონიას უხაროდათ, მაგრამ ისინი ხომ იმავე სამყაროს ნაწილი იყვნენ.

სალამოს, როცა მზე ნახევარკუნძულის მთებს მოეფარა და ღია ზღვაში



ჩაეშვა, კინო ხუანას გვერდით ჩაჯდა. ფაცხა მეზობლებით გაივსო. კინოს თვისი დიდი მარგალიტი, თბილი და ცოცხალი, ხელისგულზე ჰქონდა დაგორებული. მარგალიტის ჰანგი ოჯახის სიმღერას უერთდებოდა, ამის გამო ორთავე უფრო საამოდ ყლერდა. მეზობლები დასცქეროდნენ კინოს ხელისგულზე დაგორებულ მარგალიტს და უკვირდნენ, როგორ შეიძლება ასეთი ბედნიერება წილად ხედეს ერთ ადამიანსო.

ხუან ტომასმა, რომელიც კინოს მარჯვნივ იჯდა, რადგან იგი მისი ძმა იყო, თქვა: „შენ მდიდარი ხარ. რას იზამ ამის შემდეგ?“

კინო ისე ჩააცქერდა თავის მარგალიტს, თითქოს სივრცეში ჩაიძირა, ხუანამ კი წმწამები დაბლა დახარა და სახეზე შალი აიფარა, რომ არავის შეემჩნია მისი მღვლეარება. მოციმციმე მარგალიტში გამოისახა ყოველივე, რაზეც კინო ოცნებობდა და რაზეც წინათ ხელი ჩაიქნია, რადგან მაშინ ყოველივე ეს განუხორციელებელი იყო. ახლა მარგალიტში დაინახა, როგორ იდგნენ მუხლმოყრილი მაღალ საკურთხეველთან თვითონ კინო და ხუანა, რომელსაც ხელში კოიოტიტო ეჭირა, და როგორ სწერდა მათ ჯვარს მღვდელი, რადგან ახლა შეეძლო მისი გასტუმრება. კინომ წყნარად ჩაილაპარაკა: „ჩვენ ჯვარს დავიწერთ ეკლესიაში“.

მარგალიტში დაინახა, როგორ იქნებიან გამოწყობილნი: ხუანას ახალთახალი კაბა აცვია, ახალთახალი შალი აქვს წამოსხმული, ნაკეცებიც კი არ ექმუჭნება; გრძელი კაბის კალთებს ქვემოთ კოხტა ფეხსაცმელება მოუჩანს.

ყველაფერი ჩანს თბილად მოციმციმე მარგალიტში. თვითონ კინოსაც თეთრი კოსტუმი აცვია, ქუდიც ახალი ხურავს, ჭილისა კი არა, შავი სუფთა ფეტრისა; ფეხზედაც აცვია, მაგრამ არა სანდლები, არამედ ზონარამოსხმული ფეხსაცმელი. კოიოტიტოს კი ნულარ იტყვიით — აი, ვინ არის კალმით ნახატი!

კოიოტიტოს მეზღვაურის ლურჯი კოსტუმი აცვია, ამერიკის შეერთებულ შტატებიდან მოტანილი, თავზე კაპიტნის პატარა ქუდი ხურავს — კინოს ასეთი ქუდი დაამახსოვრდა იმ დღიდან, როდესაც შესართავში მხიარული მოგზაურებით დატვირთული გემი შემოვიდა. კინომ ყოველივე ეს დაინახა გასხივოსნებულ მარგალიტში და თქვა: „ჩვენ ვიყიდით ახალ ტანსაცმელს“.

თქვა ეს და მის ყურებში აუღვუნდა მარგალიტის ჰანგი.

მერე მარგალიტის ნახსა და ქუფრ ზედაპირზე სხვა ნივთებიც გამოისახა, რომელთა შექმნა ასე ძლიერ სურდა კინოს: რგოლგამობმული, ხის სახელურიანი რკინის ახალი ჭვილთი, იმ ჭვილთის სამაგიეროდ, ერთი წლის წინათ ზღვაში რომ დაეკარგა, და... (ადვილი არ იყო მისი აზრის ასეთი ნახტომი) კარაბინი! მერე რა: ახლა იგი ხომ მდიდარია! კინომ მარგალიტში დაინახა კინო, რომელსაც ხელში ვინჩესტერის კარაბინი ეჭირა. ოცნება, ფრთავაშლილი ოცნება! მაგრამ რა ტკბილია ასეთი ოცნება! კინომ ყოყმანით წარმოსთქვა:

„კარაბინი! შესაძლოა, კარაბინიც ვიყიდო“.

კარაბინმა გადალახა ყველა ზღუდე. თითქოს ეს წარმოუდგენელიც იყო. მაგრამ გაიფიქრა თუ არა კარაბინის ყიდვა, მის წინ პორიზონტი გაიხსნა, სადავე მიუშვა ოცნებას. ნათქვამია, კაცის გული გაუძლომელიაო: მიეცით მას ის, რასაც ნატრობს, და იგი კვლავ ახალ რამეს ინატრებსო. ეს ადამიანის დასამცირებლად არის ნათქვამი. ნამდვილად კი ეს მისი ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი ნიჭიერებაა. ეს ნიჭიერება აყენებს ადამიანს ცხოველზე მაღლა; ცხოველი იმით კმაყოფილდება, რაც აქვს.

ფაცხაში შეგროვილი მეზობლები უსიტყვოდ, თავის ქნევით უდასტურებდნენ კინოს თავაწყვეტილ ოცნებას. მაგრამ კუთხეში ვიღაცამ ჩაიჩურჩულა:

„კარაბინი. კინო იყიდის კარაბინს“.

მარგალიტის პანგი დიდებულად გუგუნებდა კინოს ყურებში. ხუანამ თავა ასწია და ფართოდ გახელილ თვალებით შეხედა კინოს. უკვირდა მისი სიმამაცე, უკვირდა მისი ოცნების ძალა. თვითონ კინო კი, რომელსაც ირგვლივ ცა გახსნოდა, ახლა თითქოს ელექტროდენით დამუხტული მივთული იყო. მარგალიტში ის ხედავდა პატარა მერხთან მჯდომარე კოიოტიტოს, სწორედ ისე, როგორც ერთხელ დაინახა ვიღაც ბავშვი, როცა შემთხვევით სკოლის ღია კარებში შეიხედა. კოიოტიტოს პატარა ქურთუკი ეცვა, ქურთუკზე გადმოფენილი ჰქონდა თეთრი საყელო, ყელზე კი აბრეშუმის ფართო პალსტუკი ეკეთა. კიდეც მეტი: კოიოტიტო რაღაცას წერდა ქაღალდის ფართო ფურცელზე. კინომ ზეიადად გადახედა თავის მეზობლებს:

„ჩემი ბიჭი სკოლაში ივლის“, თქვა მან და მეზობლებმა სული განაბეს. ხუანამ ხმამაღლა ამოიხვნეშა. იგი კინოს არ ამორებდა გაბრწყინებულ თვალებს. მერე თითქოს ამოწმებო, შესაძლებელია თუ არა ასეთი სასწაული, ხუანამ მზერა სწრაფად მის მკლავზე მწოლიარე კოიოტიტოზე გადაიტანა.

კინოს წინასწარმეტყველებით უბრწყინავდა სახე.

„ჩემი შვილი გადაშლის და წაიკითხავს წიგნებს. ჩემი შვილი ისწავლის წერას და ნაწერის გაგებას. ჩემი შვილი ისწავლის ციფრებს და მაშინ ჩვენ გავხდებით თავისუფალი ადამიანები, რადგან მას ყველაფერი ეცოდინება და მისგან ჩვენც ყველაფერს გავიგებთ“.

კინომ დაინახა მარგალიტში: ის და ხუანა სხედან ფაცხაში ცეცხლის პირას და პატარა კოიოტიტო უკითხავს მათ დიდ წიგნს.

„აი, რას მოგვცემს ჩვენ ეს მარგალიტი,“ თქვა კინომ.

კინოს თავის დღეში არ უთქვამს ამდენი სიტყვა ერთად; იგი შეაშინა თავისმა მრავალსიტყვაობამ. ხელი მოუჭირა მარგალიტს და ჩააქრო. კინო შეძრწუნდა, ისე როგორც შეძრწუნდება ხოლმე კაცი, რომელიც იტყვის: „ასე იქნება“, მაგრამ არ კი იცის, რა მოელის მომავალში.

მეზობლები მიხვდნენ, რომ მათ თვალწინ მოხდა უდიდესი სასწაული. ისინი მიხვდნენ, რომ იმ დღიდან, რაც კინომ მარგალიტი იპოვა, მათთვის დაიწყება ახალი წელთაღრიცხვა; მითქმა-მოთქმაც ამ დღის გამო დიდხანს არ შეწყდება. თუ ყოველივე ის, რაზეც კინომ ილაპარაკა, შესრულდება, ისინი მოუყვებიან თაობებს, როგორი იყო მაშინ კინო, რა თქვა, როგორ უბრწყინავდა თვალები თანაც დასძენენ: „კინომ თითქოს ფერი იცვალა. დიდი ძალა მოემატა მას და აქედან დაიწყო ყველაფერი. ხედავთ, ვინ არის ახლა იგი! ყოველივე ეს ჩემს თვალწინ მოხდა“.

მაგრამ თუ კინოს ოცნებანი გაცრუვდა, იგივე მეზობლები ასე უამბობენ სხვებს: „ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ საწყალი ჰქუაზე შეირყა და სისულელეებს რომავდა. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი უბედურებისაგან. ღმერთმა დასაჯა კინო, რადგან იგი ჩვენს ცხოვრებას აუჯანყდა. ხედავთ, რა დაემართა? ჩემი თვალით ვნახე, როცა ჰქუაზე შეირყა“.

კინომ დახედა თავის მუშტს, დაინახა მიმხმარი სისხლი და კანგადამძვრალი სახსარი, ექიმის ალაყაფზე რომ ვახეთქა.

დაბინდა. ხუანამ შალი წელქვევით შემოიხვია და შიგ ბავშვი ისე მოაწყო, რომ თმძოზე ჰყოლოდა მიკრული; მერე კერიასთან მივიდა, ნაცარი გაქექა, ნაკვერცხლები გამოაჩინა, ზემოდან ფიჩხი დაყარა და ცეცხლი გააჩაღა. ალის ენების შუქი მეზობლების სახეებს მიადგა. მეზობლებმა იცოდნენ, რომ უკვე სადილობის დრო იყო, მაგრამ აქედან წასვლა არ უნდოდათ.





სულ დაბნელდა. კერიის ცეცხლმა გაანათა წნული კედლები. ამ დროს ფაცხის კარებთან ერთმანეთს წასჩურჩულეს:

„მღვდელი მოდის... მამაო მოდის“.

მამაკაცებმა ქულები მოიხადეს და გზა უტიეს, დედაკაცებმა სახეზე შალი ჩამოიფარეს და თვალები დაბლა დახარეს. კინო და მისი ძმა ხუან ტომასი ფეხზე წამოდგნენ. ფაცხაში შემოვიდა მღვდელი — ქალარა, ხნიერი და ბებრულად სახედანაოკებული კაცი, რომელსაც მხოლოდ გამოხედვა ჰქონდა ახალგაზრდული. შეილები უწოდა მან ამ ადამიანებს, და მართლაც ისე ეპყრობოდა მათ, როგორც ბავშვებს.

„კინო“, ლობობიერად მიმართა მან, „შენ გქვია დიდი ადამიანის — ეკლესიის დიდი მამის სახელი“.

მღვდლის ეს სიტყვები კურთხევისასავით გაისმა.

„შენმა მფარველმა დაიპყრო უდაბნო და მოაღბო შენი თვისტომების გული. იცი თუ არა ეს შენ? ასე წერია წიგნებში“.

კინომ სწრაფად გადახედა ხუანას თეძოზე მიკრულ კოიოტიტოს თავს. დადგება დრო, გაიფიქრა მან, როდესაც ამ ბიჭს ეცოდინება, რა სწერია და რა არ სწერია წიგნებში. მარგალიტის ჰანგი მიწყდა, მის ნაცვლად კინოს სხვა ჰანგი მოესმა. წყნარად, ნაზად აუღერდა ბოროტების სიმღერა, მტრის სიმღერა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სუსტი და შორეული იყო. კინომ თვალი მოავლო მეზობლებს, სურდა გაეგო, ვის შემოყვა ეს სიმღერა ამ ფაცხაში.

მღვდელმა განაგრძო:

„მითხრეს, რომ შენ გიპოვნია ძვირფასი საუნჯე — დიდი მარგალიტი“.

კინომ მუჭი გაშალა და სინათლეზე უჩვენა მღვდელს. მღვდელს თითქოს ელდა ეცაო, მარგალიტის სიდიდითა და სიმშვენიერით გაოცებულმა ოდნავ გასაგონი ხმით რაღაც წამოიძახა. მერე თქვა:

„შვილო ჩემო, იმედი მაქვს, არ დაივიწყებ პატივისცემას, ვინც ბედნიერება მოგანიჭა, და შესთხოვ, კვლავ გაგიძღვეს მომავლის გზაზე“.

კინომ უსიტყვოდ დაუქნია თავი, მის მაგივრად ხუანამ უპასუხა წყნარად:

„არ დაევიწყებთ, მამაო! ახლა ჩვენ ჯვარსაც დაევიწერთ. ასე თქვა კინომ“. თავისი სიტყვების დასტური რომ მიეღო, ხუანამ მეზობლებს მოავლო თვალი და მეზობლებმაც დარბაისლურად დახარეს თავი.

მღვდელმა თქვა:

„სასიხარულოა, რომ თქვენი აზრები კეთილია. გფარავდეთ უფალი, შვილნო ჩემნო“. ის აუჩქარებლად მიბრუნდა და კარებისაკენ გაემართა. ხალხმა გზა მისცა.

კინომ ისევ მოუჭირა ხელი მარგალიტს და იჭვნეულად მიმოიხედა ირგვლივ. მაგრამ ცივი, ავისმალუწყებელი სიმღერა კვლავ შემოესმა. ამ სიმღერამ ჩაახშო მარგალიტის ჰანგი.

მეზობლები წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ ფაცხებში. ხუანა კერიას მიუჯდა და ნელ ცეცხლზე თიხის ქოთანით ლობობო შემოდგა. კინო კარებთან მივიდა და გარეთ გაიხედა. მას, როგორც ყოველთვის, ახლაც ფაცხებიდან ამომავალი კვამლის სუნი ეცა, დანისლულ ვარსკვლავებს ახედა, საღამოს სინესტე იგრძნო და ცხვირზე საბნის კიდე მიიფარა. გამხდარმა ძაღლმა ისევ მიირბინა მასთან და მთელი ტანის ცახცახით მოელაქუტა. კინომ შეხედა ძაღლს, მაგრამ ვერ დაინახა. მან თითქოს ჰორიზონტის რკალი გაარღვია და ცივ სიცარიელეში შეიჭრა, მართლობა და უმწურობა იგრძნო. ჭრიჭინების გაუთავებელ ჭრიჭინშიც, ხეების ჭრიალშიც, ბაყაყების ყიყინში მას მტრის ჰანგი ესმოდა. კინოს შეაყრყოლა და

საბნის კიდე უფრო მაგრად მიიკრა ცხვირზე. მარგალიტი კვლავ მაგრად ეჭირა მუქში და ხელისგულით გრძნობდა, რა გლუვი და რა თბილი იყო ის.

კინოს ზურგს უკან ხუნა ხელების ტკაცუნით აბრტყელებდა საკვერცხოს, სანამ კეცზე დააკრავდა.

კინო ზურგს უკან გრძნობდა სითბოსა და სინაზეს. იქ აქლერდა ოჯახის სიმღერა, თითქოს კატის კნუტი კრუსუნებსო. მაგრამ წელან, როცა სხვების გასაგონად თქვა თავისი გულისნადები, ამით კინომ უკვე შექმნა თავისი მოკავალი.

განაზრახი — რეალური რამ არის; ის, რაც შენ განიზრახე, უკვე ცოცხლობს შენს არსებაში. უკვე წარმოშობილი და თვალთ დანახული განაზრახი რეალობად იქცევა სხვა რეალობათა შორის. იგი არსებობს, მისი გაქრობა შეუძლებელია, მაგრამ მისი მიტაცება სხვათა მიერ ადვილი საქმეა. როგორც კი კინოს მომავალი ასეთ რეალობად იქცა, როგორც კი მას ბედმა გაუღიმა, დამანგრეველი ძალები აღსდგნენ მის წინააღმდეგ. კინომ ეს იცოდა და რამე უნდა ეღონა, რომ მათ გამკლავებოდა. კინომ იცოდა აგრეთვე, რომ ღმერთებს არ უყვართ ადამიანთა განზრახვები, არ უყვართ, როდესაც ადამიანებს მხოლოდ შემთხვევის გამო სწყალობთ ბედი. მან იცოდა, რომ ღმერთები სჯიან იმას, ვინც წარმატებას საკუთარი ძალებით აღწევს. რაჟი ეს იცოდა, კინოს აზინებდა თავისი განზრახვები. მაგრამ რამდენადაც ისინი უკვე არსებობდნენ, უკან დახვევა აღარ შეეძლო. იმისათვის, რომ თავისი განზრახვები დაეცვა, კინო თანდათან ჯავშანში ეხვეოდა — ერთი — მთელი ქვეყნის წინააღმდეგ. მისმა თვალებმა, მისმა გონებამ საშიშროება უფრო ადრე განსჭვრიტა, ვიდრე ის მართლაც გამოჩნდებოდა.

კარებში გაჩერებულმა კინომ დაინახა, რომ ლობის გასწვრივ ორი კაცი მოდიოდა, ერთს ფარანი ეჭირა და გზას ანათებდა. ლობესთან შემოუხვიეს და მის ფაცხას მოადგნენ. კინომ იცნო ისინი: ერთი იყო ექიმი, მეორე კი მსახური, სწორედ ის მსახური, დილას რომ მას ალაყაფის კარი გაუღო. კინოს მარჯვენა ხელის გახეთქილ სახსარს თითქოს ცეცხლი შემოეგზნო, როცა დაინახა, თუ ვინ მოვიდა მასთან.

ექიმიმა თქვა:

„დილით ჩემთან რომ მოსულხართ, შინ არ ვიყავი, ახლა გავთავისუფლდი და მაშინვე გადავწყვიტე, შენი ბავშვი მენახა.“

კინო კარებში იდგა და მხრებით შესავალს ფარავდა, სიძულვილი ბობოქრობდა მის თვალებში — სიძულვილი და შიში, რადგან საუკუნოებრივ მორჩილებას ღრმად გაედგა ფესვი მის არსებაში.

„ბავშვი თითქმის მორჩენილია“, თქვა მან.

ექიმიმა გაიღიმა, მაგრამ მის დაგულულ უბებში ჩამჯდარ თვალებს არ გაუღიმიათ.

„მორიელის ნაკბენს, ჩემო კარგო, ზოგჯერ მოულოდნელი შედეგი მოყვება ხოლმე“, თქვა მან.

„თითქოს აშკარა გამოკეთება იწყება, მაგრამ უეცრად, როდესაც ცუდს არაფერს მოელი...“ ექიმიმა ტუჩები გამობერა და გაურკვეველი ბგერა გამოუშვა, ვითომ ყველაფერი გათავდებო. ექიმიმა თავისი შავი აბჯა, რომელშიაც ხელსაწყოები ელავა, მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, ფარნის სინათლეზე გამოაჩინა, რადგან კარვად იცოდა, რომ კინოს თვისტომ ხალხს უყვარდა ყოველგვარი ხელსაწყო და სჯეროდა მისი ძლიერება. „ზოგჯერ“, წყნარი ხმით განაგრძო ექიმიმა, „ავადმოფხვს ეწყება ფეხის ხმოზა, ან ბრმავდება, ან



კიდევ კუზი უჩნდება. მე თუ არა, მაშ, ვინ უნდა იცოდეს, რა არის მორჩილი, ჩემო კარგო. მე ვიცი, მისი ნაკბენის მკურნალობაც“.

კინომ იგრძნო, როგორ ქრებოდა მის გულში რისხვა და სიძულვილი და როგორ იაყრობდა შიში. კინოს ავადმყოფობისა არაფერი გაეგება, ექიმმა კი შეიძლება მართლაც იცის მკურნალობა. ალაღბედზე წასვლა არ ვარგა; არ შეიძლება შენი აშკარა უმეცრების გამო ექიმს ზურგი შეაქციო. ექიმმა, შეიძლება, ყველაფერი იცის. კინო გაება მახეში, რასაც ყოველთვის უგებენ ხოლმე მის თვისტომ ხალხს. ამ მახიდან ის მანამ ვერ დაიხსნის თავს, ვიდრე დანამდვილებით არ ეცოდინება, რა სწერია და რა არ სწერია წიგნებში. კინოს არ შეეძლო ალაღბედზე წასვლა, არ შეეძლო საფრთხეში ჩაეგდო კოიოტიტოს სიცოცხლე ან მისი სწორი ხერხემალი.

კინომ გზა დაუთმო და ფაცხაში შეუშვა ექიმი და მისი მსახური.

ხუანა ცეცხლს მოშორდა, კუთხეში მიდგა და ბავშვს სახეზე შალის ფოჩები წააფარა. ექიმი რომ მიუახლოვდა და ხელები მისკენ გაიშვირა, ხუანამ კოიოტიტო მაგრად მიიკრა მკერდზე, თვალები კინოს მიანათა და დაინახა, როგორ კრთოდა ცეცხლის შუქი მის სახეზე.

კინომ უსიტყვოდ ანიშნა თავის ქნევით და ხუანამ მხოლოდ მაშინ დაანება ექიმს ბავშვის აყვანა ხელში.

„მომანათე!“ უთხრა ექიმმა მსახურს; მან ყურადღებით დაათვალიერა ნაკბენი. კოიოტიტოს მსახრზე, ერთი წუთით ჩაფიქრდა, მერე ბავშვს თვალის ზემო ქუთუთო აუწვია და გუგაში ჩახედა; თავი გაიქნია, მაგრამ ბავშვი, რომელიც ფეხებს ასავსავებდა, ხელიდან არ გაუშვია.

„ასეც ვფიქრობდი“, თქვა ექიმმა. „შხამი ღრმად შესვლია სხეულში და მალე თავის საქმეს იზამს. მოდი აქ, შეხედე!“ ექიმმა ისევ აუწვია ბავშვს ზემო ქუთუთო. „შეხედე, გალურჯებულია“.

კინო შეძრწუნდა, — კოიოტიტოს თვალის გუგა მართლაც მოლურჯო იყო. ვინ იცის, იქნებ მას ყოველთვის ასეთი ფერის გუგა ჰქონდა? მაგრამ მახე დაგებული იყო. კინო ალაღბედზე წასვლას ვერ ბედავდა.

ექიმს თითქოს ცრემლი მოადგა თვალებზე.

„წამალს დავალევინებ, შეიძლება, მოერიოს შხამს“, თქვა მან და ბავშვი მამას მიაწოდა.

ექიმმა აბგიდან ყელატინის კაპსული და პატარა შუშა ამოიღო, რომელშიაც თეთრი ფხვნილი იყარა. ფხვნილი კაპსულში ჩაყარა და კაპსულს თავი დაუტო. სხვა ყველაფერიც მარჯვედ და ოსტატურად გააკეთა. კინოს ბავშვი გამოართვა. ორი თითით ქვედა ბაგე დაუჭირა და პირი გააღებინა. თავისი მსხვილი თითებით კაპსული ისე ჩაუღო ენის ძირში, რომ ბავშვს პირიდან არ გადმოეგდო. მერე იატაკიდან პატარა ღოჭი აიღო და კოიოტიტოს რამდენიმე წვეთი პულქა გადააყლაპა. ისევ ჩახედა თვალის გუგაში და ტუჩები მოკუმა, თითქოს ჩაფიქრდა.

ექიმმა ბავშვი ხუანას დაუბრუნა და კინოს მიუბრუნდა: — „შხამის მოქმედება ერთ საათში გამოჩნდება. თუ წამალი იმოქმედებს, ბავშვი გადარჩება. ერთი საათის შემდეგ ისევ მოვალ. შესაძლოა, დროზე მოუვსწარი და გადავარჩინე“.

მან ღრმად ამოიხვნეშა და ქოხიდან გავიდა, მსახური მიჰყვა მას ფარნით ხელში.

მღელვარებისა და შიშისაგან გაოგნებულ ხუანას შალში გახვეული ბავშვი მკლავზე ეწვინა და სახეზე დაჰყურებდა. კინო მივიდა მასთან, ბავშვს შალის კიდე გადახადა და სახეზე დახედა. მერე ხელი გასწია, რომ ბავშვის ქუთუთო

აქვია და მხოლოდ მაშინ იგრძნო, რომ მარგალიტი ისევ მაგრად ექირა მუქში. კედელთან მივიდა და ყუთიდან პატარა ჩვარი ამოიღო. მარგალიტი ჩვარში ვახვია, ფაცხის კუთხეში თითებით ორმო ამოთხარა, ეს ძვირფასი ნივთი შიგ ჩადო, ზედ მიწა წააყარა და ადვილი ისე მოასწორა, რომ არაფერი დატყობოდა. მერე ცეცხლთან დაბრუნდა, სადაც ხუანა იჯდა და კოიოტიტოს თვალს არ აშორებდა.

შინ რომ მივიდა, ექიმი სავარძელზე დაეშვა და საათს შეხედა. მსახურებმა მორათვეს მსუბუქი ვახშამი — შოკოლადი, ტკბილი ნამცხვარი და ხილი. ექიმი იჯდა და უკმაყოფილოდ დაჰყურებდა ყოველივე ამას.

მეზობლების ფაცხებში პირველად ბკობდნენ იმაზე, რაც ყველა საუბრის, მითქმა-მოთქმისა და მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო მომავალი მრავალი წლის განმავლობაში. მეზობლები ცერისა და სალოკი თათის წვერებს ერთმანეთს უერთებდნენ და ისე აჩვენებდნენ, თუ რა დიდი იყო ის მარგალიტი; ხელის ნაწი და ნარნარი მოძრაობით ცდილობდნენ გადმოეცათ, თუ რაოდენ მშვენიერი იყო ის. ამ დღიდან მეზობლები გულდაგულ დაუკვირდებიან კინოსა და ხუანას, თავბრუ ხომ არ დაასხა მათ სიმდიდრემ, — სიმდიდრე ხომ ყველას ასხამს თავბრუს. ყველამ იცოდა, რატომ მოინახულა ექიმმა კოიოტიტო. ექიმი ცუდი მსახიობი იყო და ყველა მიხვდა მისი მოსვლის მიზანს.

ზღვის უბეში კი წვრილი თევზების გუნდი ვერცხლისფრად ელავდა; პატარა თევზები გაუბრუნდნენ მსხვილ თევზებს, რომლებიც შესაქმელად დასდევდნენ მათ. ფაცხებში მსხლომ ადამიანთ ესმოდათ თევზების ეს რიალი; წვრილი თევზები წივილით მიაპობდნენ ტალღებს, მტაცებლები კი ფარფლებისა და ბოლოების ტლამუნით ხტებოდნენ ხოლმე ზედაპირზე მთელი სისწრაფით. ზღვის უბეს ორთქლი ასდიოდა და მლაშე ცვრებად ედებოდა ბუჩქებს, კაკტუსებს, პატარა ხეებს. თავგები დარბოდნენ მიწაზე, ღამის პატარა ქორები კი უხმაუროდ ნადირობდნენ თავგებზე.

გაძვალტყავებული შავი ლეკვი, რომელსაც წარბის ადგილას ოქროსფერი ლაქები ჰქონდა, კინოს ფაცხის კარებს მოადგა და შიგ შეიხედა. როცა კინომ შეხედა, ლეკვმა სწრაფად ააქიცინა კუდი, მაგრამ პატრონმა თვალი მოაშორა თუ არა, მაშინვე გაჩერდა. ლეკვი ფაცხაში არ შევიდა, ზღურბლთან ჩაცუცქდა და ხარბად მიაჩერდა კინოს, რომელიც პატარა ქოთნიდან ლობიოს ჰამდა. კინომ კვერის ნატეხით გამოასუფთავა ქოთანი, ეს ლუკმაც შექამა და ზედ პულქა დააყოლა.

ნავახშმევს კინომ პაპიროსის შეხვევა დაიწყო. უეცრად ხუანამ შეჰკვივლა: „კინო!“ კინო ზეზე წამოვარდა და ცოლთან მიიქრა. ხუანას თვალებში საშინელება იხატებოდა. კინო დაიხარა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია სიბნელეში. ფიხს ფეხი ჰკრა და კერას მიაყარა. ცეცხლი რომ აინთო, შუქმა კოიოტიტოს თავი გაანათა. ბავშვს სახე სულ გაწითლებოდა, ყელი უთრთოდა, ტურის კუთხეებში სქელი დუქი მოსდგომოდა. კოიოტიტოს ლებიინება ეწყებოდა და ძალიან ცუდად იყო.

კინომ ცოლის გვერდით დაიჩოქა. „როგორც ჩანს, ექიმი მართალს ამბობდა“, უთხრა ცოლსაც და თავის თავსაც, რადგან მისი აზრები ისევ გაბოროტებული და უნდო იყო, მას ისევ აზოვსდა თეთრი ფხვნილი. ხუანა იქით-აქეთ ირწეოდა და თან ოჯახის ჩუმ სიმღერას მოსთქვამდა საწყალობლად, თითქოს ამით შეეძლო უბედურების თავიდან აცილება. ბავშვს კი აღებინებდა, დედის მკლავებში იკრუნჩხებოდა. კინო ექვებს შეეპყრო და ბოროტების ჰანგი უგუჟუნებდა ყურებში. ეს ჰანგი თითქმის ანშობდა ხუანას მოთქმას.



ექიმმა ერთი ფინჯანი შოკოლადი შესვა, სუფრიდან ნამცხვრის ნამცეცები აკრიფა და პირში ჩაიყარა. მერე თითები ხელსახოცზე გაიწმინდა, საათს შეხედა, წამოდგა და თავისი პატარა აბჯა აიღო.

ბავშვის ავადმყოფობის ამბავი მალე მოედო წნელის ფაცხებს, რადგან შიმშილის შემდეგ ავადმყოფობა ღარიბთა ყველაზე საშინელი მტერია. მეზობელთაგან ვიღაც-ვიღაცეები ჩუმად ამბობდნენ:

„აი, ხედავთ, ბედნიერებას კვალდაკვალ მოსდევს უბედურება“.

მეზობლები ფეხზე დგებოდნენ, თავს აქეთ-იქით აქნევდნენ და კინოს ფაცხისაკენ მიემართებოდნენ. სინესტის გამო ისინი ცხვირზე საბნის კიდეს იფარებდნენ და ყოველი მხრიდან მიიჩქაროდნენ კინოს ფაცხისაკენ. მალე ფაცხა ისევ ხალხით გაივსო. ისინი შეკეცვნიდნენ კოიოტიტოს და ღროღადრო ერთმანეთს გადაუჩურჩულებდნენ, რა სამწუხაროა, რომ ასე სასიხარულო დღეს ასეთი უბედურება მოხდაო, თან დასძენდნენ:

„ყველაფერი უფლის ნებაა“.

დედაბრები ხუანას გვერდით ჩაცუცქდებოდნენ ხოლმე და ცდილობდნენ რითიმე დახმარებოდნენ ან, ყოველშემთხვევაში, ენუგეშებინათ იგი.

ამ დროს უეტრად ფაცხაში ექიმი შემოვიდა მსახურის თანხლებით. მან დედაბრები იქით გარეკა, თითქოს ქათმებიყო. ბავშვი ხელში აიყვანა, შუბლზე ხელი დაადო და გასინჯა. „შხამი მოქმედებს“, თქვა ექიმმა, „მაგრამ მე შევებრძოლები. რაც შემძლია, ყველაფერს გადავკეთებ“. წყალი მოითხოვა, ქიქაში ჩაასხა, სამი წვეთი ნიშადურის სპირტი შეურია, მერე კოიოტიტოს პირი გაუღო და ეს ნარევი გადააყლაპა. კოიოტიტომ საშინლად დაიჩხავლა, ცდილობდა წამალი გადმოეფურთხებინა. თავზარდაცემული ხუანა კი გიჟივით შესცქეროდა მას. ექიმი ბავშვს იქერდა, თანაც ამბობდა:

„ბედნიერებაა, რომ მე შემძლია მორიელის ნაკებნის მკურნალობა, თორემ...“ და ექიმმა მხრები ისე აიჩჩა, რომ შობლები მიახვედრა, თუ მე არა, ბავშვი დაიღუპებოდაო.

მაგრამ კინო ისევ ეჭვით იყო შეპყრობილი, იგი დაჟინებით მისჩერებოდა ექიმის გახსნილ აბჯას და თეთრი ფხვნილით სავსე შუშას. კოიოტიტოს ნელ-ნელა კრუნჩხვა შეუწყდა და ექიმის მკლაზე დაწყნარდა. მერე ლებინებისაგან გაწამებულმა ბავშვმა ღრმად ამოიხვნეშა და ჩასთვლიდა.

ექიმმა კოიოტიტო ხუანას გადასცა.

„აწი მორჩება“, თქვა მან. „ბრძოლა მოვიგე“. ხუანამ მადლიერებით სავსე თვალები მიაპყრო მას.

ექიმმა აბჯა დახურა და იკითხა:

„გასამრჯელოს როდის მომცემთ?“ — ეს მან თითქმის ალერსიანად წარმოთქვა.

„გაგისტუმრებ, როგორც კი მარგალიტს გავყიდო“.

„მარგალიტი გაქვს? კარგი მარგალიტია?“ დაინტერესდა ექიმი.

აქ მეზობლები ალაპარაკდნენ ერთხმად.

„კინომ იბოვა ყველაზე დიდი მარგალიტი მსოფლიოში“, გაიძახოდნენ ისინი, თანაც ცერისა და საჩვენებელი თითის წვერებს ერთმანეთს უერთებდნენ და უჩვენებდნენ, თუ რამოდენა იყო ეს მარგალიტი.

„კინო გამდიდრდება“, ერთმანეთს აწყვეტინებდნენ მეზობლები. „ასეთი მარგალიტი ჯერ არავის უნახავს“.

ექიმს ვითომ გაუკვირდა:

„პირველად მესმის. სად ინახავ შენს მარგალიტს? საიმედო ადგილზე გაქვს? იქნებ გსურს, ჩემს სეიფში შეგინახო?“

კინომ თვალები მილულა, ყვრიმალეზზე კოპები დააჯდა. „საიმედო ადგილას მაქვს“, თქვა მან. „ხვალ გავყიდი და თქვენს ფულს გადავიხდით“.

ექიმმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ თავის ცრემლიან თვალებს კინოს თვალებს არ აშორებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მარგალიტი ფაცხაში ინახებოდა, ამიტომ უთვალთვალებდა, ხომ არ შეხედავს კინო იმ ადგილას, სადაც მარგალიტი აქვს ჩაფლულიო.

„ძალიან სამწუხარო იქნება, თუ მარგალიტს გაყიდვამდე მოგპარავენ“, თქვა ექიმმა და შენიშნა, რომ კინოს უნებლიეთ გაექცა თვალი ფაცხის კუთხისკენ.

ექიმი რომ წავიდა და მეზობლებიც უხალისოდ დაიშალნენ, კინო ჩაფერფლილ ცეცხლს მიუჯდა და ყური მიუჯდო ღამეულ ხმებს: — ტალღების ნელ ტალღუნს ნაპირზე, ძაღლების შორეულ ყეფას, ნიავის შრიალს ფაცხის სახურავზე და მეზობლების ყრუ ხმებს, სხვა ფაცხებიდან რომ ისმოდა. ხმები კი არ წყდებოდა, რადგან ამ ადამიანებს გაბმული ძილი არა აქვთ: ისინი ღამე იღვიძებენ, ერთმანეთს გამოელაპარაკებიან და ისევ იძინებენ. კინო რამდენიმე წუთს კიდევ იჯდა ჩაფერფლილ ცეცხლის პირას, მერე ადგა და კარებთან მივიდა.

ნესტოლებით ჰაერი შეისუნთქა და ყური მიუჯდო, ხომ არავინ მობობდავს, ხომ არავინ მოიპარებო. მისი თვალები ღამის წყევლიად მიშტერებოდა, რადგან ბოროტების სიმღერა არ ცხრებოდა და მასთან ერთად არ ცხრებოდა შიში და მრისხანება კინოს გულში. კინომ კარგახანს უჯდო ყური ღამეს, კარგახანს უყურა სიბნელეს, მერე ფაცხაში შემობრუნდა, კუთხეში მივიდა, მარგალიტი ამოიღო მიწიდან, კილოფის ქვეშ მეორე ორმო ამოთხარა, მარგალიტი შიგ ჩადო და მიწა წააყარა.

ცეცხლის პირას მჯდომარე ხუანა კი გოცეებით შეჰყურებდა ქმარს. როცა კინომ მარგალიტი მიწაში დაფლა, ხუანა შეეკითხა:

„ვისი გეშინია?“

კინო ერთხანს ეძებდა საპასუხო სიტყვებს და როცა იპოვა, უპასუხა:

„ყველასი“, თანაც იგრძნო, რა მაგარ ჯავშანში ეხვეოდა მისი გული.

ისინი კილოფზე დაწნენ. ამ ღამით ხუანას ბავშვი ჰერზე ჩამოკიდებულ ყუთში არ ჩაუწვენია, გვერდით მოიწვინა და სახეზე თავისი შალი წააფარა. მალე კერიანზე ყველა ნაკვერჩხალი ჩაქრა.

კინოს თავი ძილშიაც უხურდა. ესიზმრებოდა, რომ კოიოტიც უკვე ისწავლა წერა-კითხვა და ახლა მისი შვილი, მისი ხალხის შვილი, უამბობს. მამას მთელ სიმატლეს. კოიოტიც კითხულობდა ვეებერთელა, სახლის ოდენა წიგნს, წიგნში იყო დიდი ასოები, ძაღლის ოდენა ასოები, სიტყვებიც ხტოდნენ და სრილებდნენ მის ფურცლებზე. მერე წიგნს შავი აჩრდილი გადაეფარა და მყისვე ბოროტი ჰანგი გაისმა. კინო ძილში შეიშმუნა და ხუანამ მაშინვე თვალები გაახილა. კინომ გაიღვიძა, მაგრამ ბოროტი ჰანგი მაინც უგუგუნებდა ყურებში. ის განაბული იწვა სიბნელეში.

უეცრად, მოშორებით, ფაცხის კუთხეში ისე სუსტი, ძლივს გასაგონი ხმა გაისმა, რომ შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, მომეჩვენაო; ეს იყო იღუმალი ფაჩუნი, უხმაურო ნაბიჯები, შეკავებული სუნთქვა. კინომ სული განაბა და ყური მიუჯდო. მან იცოდა, რომ ის ბნელი რაღაც, რაც მის ფაცხაში იმალებოდა, ასევე იკავებდა სუნთქვას და ასევე დადარაჯებული იყო. რამდენიმე წუთს ფაცხის კუთხეში ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა. კინოს შეეძლო ეფიქრა, შეეცდიო. მაგრამ



ხუანამ ჩუმად, გამაფრთხილებლად შეავლო ხელი მის ხელს. კუთხეში ისევ გაჩნდილი იქნა ისმა ფაჩინი: დატკეპნილ სოხანეზე ფეხის უხმაურო დადგმა და თითებით მიწის ფხაქნა.

კინო საშინელმა შიშმა შეიპყრო; შიშთან ერთად, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, მისი გული რისხვით აღივსო. ხელი იტაცა მკერდზე — იმ ადგილას, სადაც თანამოძრა დასაწყისად, მერე ჭილოფიდან წამოხტა, გაცოფებულ კატასავით დაიფრუტუნა და იმ ბნელ საგანს ეძგერა, რომელიც მისი ქოხის კუთხეში იმალებოდა. ხელი შეახო რბილ ქსოვილს, დანა უმარჯვად, მაგრამ აუცდა, ისევ უმარჯვად და იგრძნო, როგორ გაფატრა დანამ ქსოვილი. სწორედ ამ წუთს, თითქოს მენი დაეცაო, თავი საშინლად ეტკინა. ზღერბლთან აჩქარებული ნაბიჯის ხმა გაისმა და მერე უეცრად ყველაფერი მიწყნარდა.

კინომ იგრძნო, რომ შუბლიდან თბილი სისხლი სდიოდა. თავზარდაცემულ ხუანას ხმა გაიგონა: „კინო! კინო!“

კინოს ისე სწრაფად დაეუფლა ცივი სიმშვიდე, როგორც წუთის წინ მრისხანებამ შეიპყრო.

„ცოცხალი ვარ“, თქვა მან, „აქ მეტი აღარავინ არის“.

კინო ფეხის ფათურით მივიდა ჭილოფთან. ხუანა კი უკვე კერიასთან იყო. მან ნაცარი გაქეჭა, ნაკვერჩხლები გამოაჩინა, ზედ სიმინდის ფუჩეჩები დააყარა, სული შეუბერა და ავარდნილმა აღმა ფაცხა განათა. მერე ხუანამ საიდუმლო ადგილიდან თავლის სანთლის ნამწვევი გამოიღო, ანთო და კერიის ქვაზე მიამაგრა. ქალი სწრაფად მოძრაობდა და თან ჩუმად ღიღინებდა. თავისი შალის კიდე წყალში დაასველა და კინოს შუბლიდან სისხლი მოწმინდა.

„არაფერია“, თქვა კინომ, მაგრამ მისი ხმა ცივი და მრისხანე იყო, თვალგბიცი ცივი და მწყრალი ჰქონდა. ბოლმა ყელში აწვებოდა.

ხუანამ გულში დაგუბებული დარდი ვერ დაიოკა და ტუჩები ჩაიკვნითა.

„ეს მარგალიტი ავი სულია“, დაიყვირა მან. „ცოდვით აზის საესე! ეგ დაგვლუპავს ჩვენ!“ შემზარავად გაისმოდა მისი ხმა.

„გადააგდე იგი, კინო. მოდი, დაფშვნათ წისქვილის ქვით! მოდი, ჩავფლათ მიწაში და სამუდამოდ დავივიწყოთ ის ადგილი. მოდი, ისევ ზღვაში გადავაგდოთ! მას უბედურება მოაქვს. კინო, ჩემო მეუღლე! იგი დაგვლუპავს ჩვენ“. ცეცხლის მკრთალ შუქზე ხუანას შიშისაგან ტუჩები და წამწამები უთრთოდა.

მაგრამ კინოს სახეზე სიმტკიცე იყო აღბეჭდილი, მისი ნებისყოფის შერყევა არაფერს შეეძლო.

„კიდევ როდის მოვესწრებით ჩვენ ასეთ რამეს?“ თქვა მან. „ჩვენმა შვილმა სკოლაში უნდა ისწავლოს, მან უნდა დაამსხვრიოს ის ბორკილი, რომელიც ჩვენ გვადევს“.

„ის ჩვენ დაგვლუპავს!“ შეპყვირა ხუანამ „ყველას დაგვლუპავს, ჩვენ შვილსაც დალუპავს“. „იყუჩე“, უთხრა კინომ. „გეყოფა ლაპარაკი. დილით გავყიდით ამ მარგალიტს და ყველაფერი, რაც შიგ ბოროტია, გაქრება, დარჩება მხოლოდ, რაც კარგია. გაჩუმდი, დედაკაცო“. კინომ თავისი შავი თვალები მწყრალად მიაპყრო ცეცხლს და ახლა იგრძნო, რომ დანა ისევ ხელში ეჭირა; დანის პირს სისხლის წვრილი ზოლი აჩნდა. ერთი წუთით კინო შეეყოყმანდა, მერე დანა შარვალზე კი არ შეიხოცა, მიწაში ჩაასო, რომ სისხლი მოეწმინდა.

მამლებმა ყვილს მოუხშირეს, ჰაერი დათბა, განთიადი ახლოვდებოდა. დილის ქარი მდინარის შესართავთან წყალს ჭავლებით ფარავდა, მანგოს მცენარეთა ფოთლებს ამრიალებდა; მცირე ტალღები მაღი-მალ ეხეთქებოდნენ

წვირლ-წვირლ ნიჟარებს ნაპირზე. კინომ ჭილოფი ასწია, მიწიდან მარგალიტის ამოიღო და წინ დაიდო.

თაფლის სანთლის შუქზე ვერცხლისფრად მოციმციმე მარგალიტის მშვენიერებამ მოაჯადოვა იგი. მარგალიტი მეტად ლამაზი, მეტად ნაზი იყო, მას თავისი სიმღერა ჰქონდა — იმედებით და დაპირებებით სავსე სიმღერა, რომელიც სინარულს, ბედნიერებას და მშვიდობას უქადავდა მათ. მარგალიტის თბილი გამონათება მალამოს ჰგავდა, ტკივილებს რომ უამებს ადამიანს; იგი თითქოს ზღუდეც იყო, შურაცხმყოფელთან რომ იფარავს კაცს. მარგალიტი სამუდამოდ უკეტავდა კარებს შიმშილს. კინო დასცქეროდა მას და სახე თანდათან უბრწყინდებოდა. მარგალიტის ვერცხლისფერ ზედაპირზე თაფლის სანთლის გამოსახულებას ხედავდა; მას ესმოდა წყალქვეშა სამყაროს საუცხოო სიმღერა, ესმოდა ზღვის ფსკერზე გაღვრილ მწვანე სინათლის მუსიკა. ხუანამ შემპარავად შეხედა კინოს და დაინახა, რომ ის იღიმებოდა. მაგრამ, რადგან ისინი ერთი ერთმანეთს იყვნენ, ხუანამაც გაიღიმა.

ამ დილით მათ გულში იმედი ჩაისახა.

#### IV

განა გასაოცარი არ არის, რომ მატარა ქალაქი ასე ფხიზლად ადევნებს თვალყურს თავისთავსა და თავის ცლკეულ ერთეულებს, რომელთა ერთობლიობა შეადგენს მის მთლიანობას. თუ მამაკაცი, დედაკაცი ან ბავშვი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესებს ემორჩილება, თუ არ არღვევს ადათებს, თუ სხვა მამაკაცებისა, დედაკაცებისა და ბავშვებისაგან არაფრით განსხვავდება, თუ არ მისდევს საალაზბედო სიახლეს, თუ არ იტანჯება რამე სნეულებით და თუ არ ემოქრება ადამიანთა არც სულიერ სიმშვიდეს და არც ქალაქის ცხოვრების თანაბარ დინებას, მაშინ ეს ერთეული უცნობია და არაფრით არ იქცევის ყურადღებას. მაგრამ თუ ერთი ვინმე გასცდება დახავსებულ აზრს და დაარღვევს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ საიმედო წესებს, ქალაქის მცხოვრებთა ნერვები მყისვე იგრძნობენ ამას, ქალაქის ნერვული სისტემა უმაღვე ამოქმედდება. მაშინ თვითეული ერთეული უკავშირდება სხვა ასეთსავე ერთეულებს.

აი, ახლაც, დილა ადრიან მთელ ქალაქსა და პაზს მოედო ამბავი, რომ კინო დღეს თავისი მარგალიტის გასასყიდად წავიდოდა. ეს ამბავი შეიტყვეს ფაცხებში მცხოვრებმა მეზობლებმაც და მარგალიტის მამიებლებმაც; ამბავი ჩინურ საბაყლო დუქნებშიც მივიდა, ეკლესიაშიც დაიარსა, ეკლესიის მსახურნი ერთმანეთს ჩურჩულთ გადსცემდნენ მარგალიტის ამბავს. ეკლესიის გალავანში ამ საგანზე ბჭობდნენ მათხოვრები, რადგან მათ ნამდვილად ერგებოდათ კინოს წარმატების პირველი ნაყოფის წილი. ბავშვები ამ ამბავს მიხარული ყრიაშულით შეხვდნენ, მაგრამ ამბავმა ყველაზე მეტად მარგალიტის შემსყიდველები აადევნა. ყოველი შემსყიდველი დილიდანვე თავის კანტორაში იჯდა მარტოდმარტო და შავი ხავერდის საფენზე თითის წვერებით აგორებდა მარგალიტის თვლებს, წინასწარ ემზადებოდა თავისი როლისათვის, რომელიც კინოსთან მორიგების დროს უნდა შეესრულებინა.

დიდი ხნიდან ასე იყო მიღებული, ფიქრობდნენ, თითქოს მარგალიტის შემსყიდველები ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ მარგალიტებს, რომლებიც მათთან გასაყიდად მოჰქონდათ მეთევზეებს, თითქოს თვითეული შემსყიდველი დამოუკიდებლად აწარმოებდა თავის საქმეს. ოდესღაც, მართლაც, ასე იყო. მაგრამ ეს





მეთოდი ხელსაყრელი არ გამოდგა, რადგან აზარტში შესული შემსყიდველებმა ზმირად ზედმეტ ფასს აძლევდნენ მეთევზეებს. ბოლოს შემსყიდველებმა უარყვეს ასეთი ხელგაშლილობა. შემდეგში დარჩა მარგალიტის მხოლოდ ერთი შემსყიდველი — მრავალხელიანი შემსყიდველი. ამიტომ, ადამიანებმა, რომლებიც კინოს მოლოდინში იხსდნენ თავიანთ კანტორებში, წინასწარ იცოდნენ, რამდენს შეაძლევდნენ კინოს, რამდენს მოუმატებდნენ და რა ხრიკებს მიმართავდნენ, რომ მარგალიტის ფასი დაეცათ. თუმცა ეს შემსყიდველები პროცენტებზე არ მუშაობდნენ, ჯამაგირს ლებულობდნენ, მაგრამ მათ მაინც უფანცქალებდათ გული, მაინც აზარტში იყვნენ შესული, რადგან ის კაცი, ვისაც თავისი ხელობით ფასების დაკლება ევალება, დიდი სიხარულით ვაჭრობს და რაც შეუძლია უკლებს ფასს. ყოველთვის ასეა ხოლმე: რასაც უნდა ვფიქრობდეთ ჩვენ თავისთავზე, სულერთია, ყოველი ჩვენთაგანი თავის დარგში მთელი თავისი შესაძლებლობით მოქმედებს და ყველაფერს აკეთებს, რაც მას შეუძლია. მარგალიტის შემსყიდველი მარგალიტის შემსყიდველად რჩება, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა ჯილდოს თავისი შრომისათვის, დანიშნავენ თუ არა უფრო მაღალ თანამდებობაზე და შეაქებენ თუ არა მას. მათ შორის ყველაზე უკეთესი და ყველაზე იღბლიანი კი ის არის, ვინც ყველაზე იაფად ყიდულობს მარგალიტს.

ამ დილით ყვითელი და მცხუნვარე მწუ წყალს აორთქლებდა მდინარის შესართავსა და ზღვის უბეზე; ორთქლი ვერცხლისფერ ლეგა ფთილებად იშლებოდა ჰაერში; ჰაერი ცახცახებდა და მოცახცახე ჰაერში იცრიცებოდა შორეთი. ქალაქის ჩრდილოეთ მხარეს, ზღვის უბის თავზე იდგა მირაჟი — იმ მთის გამოსახულება, რომელიც აქედან ორასზე მეტი მილით იყო დაშორებული. მთის ციცაბო ფერდობები დაფარული იყო ნაძვის ტყეებით, ტყეების ზემოთ კი ცისკენ იზიდებოდნენ შიშველი კლდოვანი მწვერვალები.

ამ დილით მეთევზეთა ნავებიც ნაპირზე ელაგა, მეთევზეები არ გასულან მარგალიტის საძიებლად, რადგან ქალაქში დიდ ამბავს ელოდნენ; უნდა დასწრებოდნენ ამ ამბავს, რომ საკუთარი თვალთ ენახათ, როგორ წავიდოდა კინო თავისი ვეებერთელა მარგალიტის გასასყიდად.

ამ დილით წნულ ფაცხებში მცხოვრები ადამიანები დიდხანს იხსდნენ საუზმეზე; თვითეთლი მათგანი ბკობდა იმაზე, თუ რას იზამდა, რომ მას ეპოვნა ის მარგალიტი. ერთმა თქვა, წმინდა მამას შევესწირავდი რომშიო. მეორემ თქვა, ყველა ჩემი ნათესავის სულის მოსახსენებელი წირვის საფასურს გადავიხდიდი ათასი წლით აღრეო. მესამემ განაცხადა, მარგალიტში მიღებულ ფულს ლა პანის ღარიბ-ღატაკებს დავურიგებდიო. მეოთხე კი ანგარიშობდა, თუ რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეიძლებოდა ასეთი დიდი თანხით, რამდენი ადამიანის გაბედნიერება, გაჭირვებისაგან გამოყვანა და გადაარჩენა. მეზობლები იმედოვნებდნენ, რომ კინოს თავბრუს არ დაახვევდა უეცარი გამძიდრება, არ გადააქცევა გულქვა ადამიანად, არ შთაუწერავდა სიძუნწეს, ღვარძლსა და უჯუღაღას. კინო უყვარდათ მეზობლებს და სამწუხარო იქნებოდა, რომ მარგალიტს დაეღუპა იგი. „მას ისეთი ეკარგი ცოლი ჰყავს, ხუანა“, — ამბობდნენ მეზობლები, „ბავშვიც შესანიშნავი ჰყავს, კოიოტიტო. მაგრამ კოიოტიტო ხომ უკანასკნელი არ იქნება, სხვა ბავშვებიც ეყოლებათ. ნუთუ ვეებერთელა მარგალიტი მათ ყველას დაღუპავს?“.

კინოსა და ხუანასათვის ეს დილა ყველაზე უკეთესი დილა იყო მთელ მათს ცხოვრებაში. მათ ეს დილა შეეძლოთ შეედარებინათ მხოლოდ იმ დილისათვის, როდესაც კოიოტიტო დაიბადა. ამ დღიდან დაიწყება ყველა სხვა დღე. ისინი

იტყვიან: „ეს იყო ორი წლით ადრე იმ დღიდან, როცა ჩვენ მარგალიტი გავყიდეთ“, ან „ეს იყო თვენახევრის შემდეგ იმ დღიდან, როცა ჩვენ მარგალიტი გავყიდეთ“. ხუანამ გადაწყვიტა, რომ ასეთ ბედნიერ დღეს ადამიანი შეიძლება მეტად ხელგაშლილი იყოს, და კოიოტიტოს ის ტანსაცმელი ჩააცვა, რომელსაც ნათლობის დღისთვის უნახავდა. ხუანამ თმა დაიფარცხნა, ნაწნავებში წითელი ლენტები ჩაივრისხა და ბოლოები ბანტებად გამონასკვა, მერე საქორწინო ქვედაკბახსა და კოფთაში გამოეწყო. როცა გაემზადნენ, მზე უკვე კარგა მალა იყო აწეული ცის კაბადონზე. კინოს შარვალ-ხალათი თუმცა დახეული, მაგრამ სუფთა იყო; ამ დღეს იგი უკანასკნელად იცმევდა ამ ძონძებს, რადგან ხვალ, შეიძლება დღესაც, მას ყველაფერი ახალი ექნება.

მეზობლებიც, კედლის ქუჭრუტანებიდან რომ უჭვრეტდნენ კინოს ფაცხის კარებს, ჩაცმული და გამზადებული იყვნენ. არცერთი მათგანი არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა იმის გამო, რომ ხუანასთან და კინოსთან ერთად ემზადებოდა წასულიყო მარგალიტის გასასყიდად. ასეც უნდა მოქცეულიყვნენ ამ ღირსშესანიშნავ დღეს. გიყები უნდა ყოფილიყვნენ, რომ კინოსა და ხუანას არ გაჰყოლოდნენ. შინ რომ დარჩენილიყვნენ, მათ მხრივ ეს თითქმის მტრული დამოკიდებულების ნიშანი იქნებოდა.

ხუანამ ერთხელად წამოიხურა თავზე შალი, მისი ერთი მოგრძო კიდე ისე ჩამოუშვა დაბლა და ისე გადიფინა მარჯვენა იდაყვზე, რომ რალაც პატარა აკვნის მსგავსი ჩასაწოლი გააკეთა. აქ ჩასვა კოიოტიტო, — დე, ყველამ დაინახოს ის, დაინახოს და იქნებ კიდევ დაიხსომოს. კინომ განიერფარფლიანი ჭილის ქუდი დაიხურა და ქუდის კუმტული ხელით მოსინჯა, წესიერად იყო თუ არა. რადგან მას გვერდზე კი არ უნდა მოეგდო ან კეფაზე კი არ უნდა დაეხურა ქუდი, როგორც არალთარალა და უცოლშვილო ახალგაზრდობა იხურავს ხოლმე, არც პირდაპირ უნდა დაეხურა თავზე, როგორც ხანშიშესული მამაკაცები იხურავენ, არამედ ცხვირისკენ უნდა ჩამოეწია ოდნავ, რასაც მისი სიბეჯითე, საქმიანი იერი და მტკიცე ნებისყოფა უნდა გამოეჩინა. ბევრი რამ შეიძლება ითქვას ადამიანზე იმის მიხედვით, თუ როგორ ხურავს მას ქუდი! კინომ ფეხები სანდლებში ჩადგა და ზონარები ამოიკრა. ნატის რბილსა და ძველ ნაჭერში გახვეული მარგალიტი კინოს ტყავის პატარა ტოპრაკში ედო, ტყავის ტოპრაკი კი გულის ჯიბეში ჰქონდა ჩადებული. კინომ საბანი კოხტალ დაახვია სიგარტზე და მარცხენა მხარზე გადაიკიდა. ახლა სამივე მზად იყო წასასვლელად.

თავის ღირსების სრული შეგნებით გამოვიდა კინო ფაცხიდან, მას თან მოჰყვა ხუანა, რომელსაც ხელში კოიოტიტო ეჭირა. წყლისაგან გადარეცხილ გზაზე მათ მეზობლები უერთდებოდნენ. ფაცხებიდან გამოდიოდნენ დიდები, გამორბოდნენ ბავშვები. მაგრამ ამ პროცესის მიზანი იმდენად სერიოზული იყო, რომ კინოს გვერდით მხოლოდ ერთი კაცი მიდიოდა, ეს იყო მისი ძმა — ხუან ტომასი.

ხუან ტომასი არიგებდა უმცროს ძმას: „იცოდე, არ მოგატყუნ. წინდახედულად უნდა იმოქმედო“.

„ძლიერ წინდახედულად“, — დაეთანხმა კინო.

„ჩვენ არ ვიცით, რას ფასობს მარგალიტი სხვა ქალაქებში“, ეუბნებოდა ხუან ტომასი, „როგორ გავიგოთ ნამდვილი ფასი, თუ არ ვიცით, რამდენად ვაჰყიდის შენს მარგალიტს შემსყიდველი სხვა ქალაქში“.

„მართალი ხარ“, უთხრა კინომ, „მაგრამ საიდან უნდა ვიცოდეთ ეს? ჩვენ აქ ვცხოვრობთ, რა ვიცით, რა ხდება სხვა ადგილებში“.

რამდენადაც ისინი ქალაქს უახლოვდებოდნენ, იმდენად ვამყოლი ხალხი



მატულობდა. ხუან ტომასი განაგრძობდა ლაპარაკს, რადგან გულში აწუხებდა.

„კინო, როცა შენ ჯერ კიდევ დაბადებული არ იყავი“, ეუბნებოდა ის, „მოხუცები სულ ფიქრობდნენ, რა ექნათ, რომ რაც შეიძლება ძვირად გაეყიდათ მარგალიტი. მათ გადაწყვიტეს მოეძებნათ ისეთი კაცი, რომელიც დედაქალაქში წაიღებდა მარგალიტს და იქ გაყიდდა, თავისი შრომისათვის კი გასამრჯელოს მიიღებდა“.

კინომ თავი დაუქნია. „ვიცი“, თქვა მან. „ეს იყო ბრძნული გადაწყვეტილება“.

„ასეთი კაციც მოძებნეს“, განაგრძობდა ხუან ტომასი, „ყველამ მისცა მას თავისი მარგალიტი და იგიც გზას გაუდგა. იმ დღიდან, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, კაციც დაიკარგა და მარგალიტის თვლებიც. მერე სხვა კაცი მოძებნეს და დიდ ქალაქში გაამგზავრეს, მაგრამ ისიც გაქრა. ამის შემდეგ მოხუცებმა ხელი აიღეს თავიანთ განზრახვაზე და ყველაფერი ძველებურად დარჩა“.

„ვიცი“, თქვა კინომ. „მახსოვს, მამა გვიამბობდა ამის შესახებ. მოხუცებმა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ სარწმუნოება ამის ნებას არ აძლევდა. ამაზე მღვდელი გველაპარაკა. მარგალიტის დაკარგვა, რასაკვირველია, ღვთის რისხვა იყო იმისათვის, ვინც თავისი დუნჭირი ცხოვრების შეცვლაზე ოცნებობდა. მღვდელმა აგვისხნა, რომ ყოველი მამაკაცი და ყოველი დედაცაო არის მემომარი, უფლისაგან წარმოგზავნილი სამყაროს სასახლის მცველად. ზოგს ევალება ციხე-სიმაგრის ზღუდეზე იღვეს გუშაგად, ზოგს კი — მიწისქვეშეთის წყვილიაღში. საგუშაგოს დატოვება აკრძალულია, ადგილიდან ადგილზე გადასვლაც აკრძალულია, რადგან მამინ ჯოჯოხეთის ძალები აღსდგებიან და სასახლეს დაანგრევენ“.

„მეც მოვისმინე ეს ქადაგება“, თქვა ხუან ტომასმა, „მღვდელი ყოველ წელიწადს იმეორებს მას“.

ძმებმა ოდნავ მოკუტეს თვალები, ისე როგორც კუტავს თვალებს მთელი მათი ხალხი, როგორც კუტავდნენ მათი პაპები და პაპისპაპები — აგერ უკვე ოთხასი წელია, სწორედ იმ დღიდან, როდესაც ამ ქვეყანაში მოზღვადნენ ყოვლისმცოდნე და ყოველთა მბრძანებელი უცხოელები, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან თოფისწამლით განამტკიცონ თავიანთი ცოდნა და თავიანთი ძალუფლება. ოთხასი წლის განმავლობაში კინოს თვისტომი ხალხი შეეჩვია უცხოელთაგან გამიჯვნას მხოლოდ თვალების ოდნავი მოკუტევით, ტურ-ბაგეზე ოდნავი ნაოჭების შეყრით და თავის არიდებით. არავითარ ძალას არ შეეძლო დაენგრია ეს ზღუდე, არავითარ ძალას არ შეეძლო ხელი შეეშალა იმისათვის, რომ ამ ზღუდეს შიგნით ამ ხალხს შერჩენოდა თავისი ხასიათი.

ხალხი, რომელიც გზადაგზა მატულობდა, გრძნობდა ამ დღის დიდ მნიშვნელობას და საზეიმო იერით მიდიოდა წინ. ამ ხალხში თუ რომელიმე ბავშვი ჩხუბს დაიწყებდა, ყვირილსა და ტირილს ატენდა, თავის ტოლს თავიდან ქუდს მოგლეჯდა და თმას აუწეწდა, მაშინ უფროსები უფოთის თავებს ტუქსავდნენ, სხვებს აწყნარებდნენ. იმდენად დიდ ამბავს მოელოდნენ დღეს, რომ ერთი უილაჯო მოხუციც კი შეუერთდა პროცესიას; იგი თავის ღონიერ მხრებზე შეესვა შვილიშვილს. პროცესია გასცდა ფაცხებს და ქალაქში შევიდა, სადაც ქვისა და აგურის სახლები იდგა. აქ ქუჩები ცოტათი უფრო განიერი იყო, სახლების გასწვრივ კი ვიწრო ტროტუარი ეგო. როგორც წინა დღეს, ახლაც პროცესიას შეუერთდნენ მათხოვრები ეკლესიის გალავნიდან; მიმავალ ხალხს თვალს აყოლებდნენ მედუქნეებიც; პატარა სამიკიტნოები სულ დაიცალა, პატრონებმა და-

კეტეს ისინი და ხალხს გაჰყვნენ. მზე მაგრად აცხუნებდა ქალაქს, წვრილი ქვე-  
ბის ჩრდილიც კი წვებოდა მიწაზე.

პროცესიის მოახლოების ხმამ გაუსწრო თვითონ პროცესიას და მარგალი-  
ტის შემსყიდველები, რომლებიც თავიანთ პატარა ბნელ კანტორებში ისხდნენ,  
წელში გაიმართნენ. ისინი შეუდგნენ რაღაც ქალაქლების ქექვას, რომ კინოს  
გამოჩენის დროს საქმით გართული კაცის შეხედულება ჰქონოდათ. მარგალიტის  
თვლები მიმაღეს, რადგან არ ივარგებდა, რომ მაგიდაზე წვრილი მარგალიტებიც  
ყოფილიყო იმ დროს, როდესაც იქ უმშვენიერესი მარგალიტი დაიდებოდა. იმ  
მარგალიტის მშვენიერების ამბავს, რომელიც კინოს მოჰქონდა, უკვე მიეღწია  
მათ ყურამდე. შემსყიდველთა ყველა კანტორა ჩამწკრივებული იყო ერთ ვიწ-  
რო ქუჩაზე. მათ ფანჯრებს გარედან რკინის რიკულები ჰქონდათ, შიგნიდან კი  
ჯარაბები მიხურული იყო. ამიტომ შიგნით სინათლე ჰუჭრუტანებიდან შედიო-  
და. კანტორებში სანახევროდ მუდამ სიბნელე სუფევდა.

ინგლისურიდან თარგმნა ანა რატიანმა

(გაგრძელება იქნება)



კალმის მაგიერ შაშხანით ხელში სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი არა ერთი და ორი ახალგაზრდა საბჭოთა პოეტი დაეცა სამამულო ომის ფრონტზე, როგორც პოეტნი და როგორც მეთომარნი ორმაგად უკვდავნი არიან ისინი. ჯარისკაცის ფარაჯამ ემოცია შემატამათ პოეზიას.

ორი ნიჭიერი სრულიად ახალგაზრდა ქართველი პოეტი მიროზა გელოვანი და ვლადიმერ უბილაძე კარგი მეგობრები იყვნენ ომამდეც და ომშიაც.

ფრონტის გრაჟ-შერთული მათი ლექსის ინტონაცია დაუღმარაო იქნება მუდამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ვერ მოასწრეს თავიანთი პოეტური ნიჭის სრულყოფა.

## მიჩხა გელოვანი

იწვა წარაფი, ჩვენ წარაფს იქით  
თოვლში ვიწექით ჯარისკაცულად.  
და ერთადერთი ვიცოდით ფიქრი —  
იმაზედ, რასაც ჰქვიან წარსული.  
იმაზედ, რასაც წარსული ჰქვიან  
გეტანჯაუდა ფიქრი ისე უნებოდ,  
ჰქონდა მიზანში ყველა ჩვენს ტყვიას  
წარსულთა დღეთა გამობრუნება.

### (ძველი ალბომიდან)

არ არის ძნელი ითამაშო ოტელოს როლი,  
მაგრამ მეორე დეზდემონას სად ნახავ ქვეყნად.  
იმ ღამეს ერქვა — უსახელო გმირების შეყრა,  
იმ დილას ბროლის: მობრუნება ნათელის შორის.

თოვლიან ტყეში ჩანამქრული ბილიკი ორის.  
შენს მსუბუქ ფეხთა ნაკვალევი ჩვენს დილას შეხვდა.  
და იქცა მიზნად დაჩემება შენს მსუბუქ ფეხთა  
მიზეზად ბრძოლის, საშინელი მრისხანე ბრძოლის.

ბრძოლაში მომკლეს. შენ არ მოხვალ მომხედო მოკლულს.  
ცრემლებს ამაოდ ველოდები შენგან მეგობრულს,  
ასე ამაოდ სიცოცხლეში ვეტრფოდი ფერებს.

მაგრამ გაპრილი, როგორც სტეპში ველური ცხენი,  
აჩრდილი ჩემი მოგნახავს და ოტელოს ხელით  
დაგაღრჩობს ბოროტს, ულამაზესს და უცბიერესს.



## პლაქატი უბიდავა

### გარშემო მზეა

გარშემო მზეა. გრიგალების ქროლაც მომესმის...  
 და ბულბულივით ეგ მიდამო რარიგ ამღერდა!  
 მე მზის ღვიძლი ვარ, — გადავყურებ სივრცეს მოვერცხლილს  
 და ბულბულივით ეგ მიდამო რარიგ ამღერდა!  
 უნდა შევცურდე ამ სიმღერის ზღვათა მორევში!  
 იქ, სადაც ერთდროს გველეშაპი ყოფას არბევდა...  
 გარშემო მზეა. გრიგალების ქროლაც მომესმის  
 და ბულბულივით ეგ მიდამო რარიგ ამღერდა!

1936

### ნაქალაქეზში

ერთ დროს გარინდულ ბრძოლაში მდგარა  
 თვითონ ეს კოშკი და ნაციხარი,  
 ამბობენ: ნანგრევს ია რომ ფარავს,  
 არისო სისხლი ქვაზე მიმხმარი.  
 აქ მარტო ქარმაც რომ ილუღუნოს —  
 მწამს ჩააფიქრებს მოგზაურს ვისმე;  
 მე თავისქალას ვუმზერ ფულუროს  
 და ძველ კოლხების გულისთქმას ვისმენ.  
 საკვირველია, მართლაც რამდენი  
 მტერი ესხმოდათ, შეაწყდნენ თითქმის,  
 მამა-პაპათა მოვლენ ლანდები  
 და ჩემს გარშემო იწყებენ ქვეთინს.  
 და ვეღარ ვითმენ, ვიდგე, ვუყურო.  
 ო, ეს აკლდამა როდის ახადეს,  
 აქ თავისქალა გდია ფულურო  
 და იგი რამდენ სიბრძნეს დალადებს!  
 გამოხრულ ძვლებში ნიაფი მოსთქვამს  
 და ნაციხარი დგას გარინდული  
 და აგონდება დამპყრობელ ბრბოსთან  
 ომი ფიცხელი და რაინდული.

1941



## ირაკლი ანდრონიკაშვილი

### რამდენიმე სიტყვა კვვენი მიქელაქაზე

ჩვენ ერთმანეთი ლენინგრადში გავიცანით 1928 წლის შემოდგომაზე. მახსოვს, როცა ოთახში შევედი, — ეს იყო ლილი გვარამიძისას, — იონა ტუსკია დავინახე. მას როგორც ყოველთვის, თვალები უცინოდა და თითი ისე გაეშვირა, ეტყობოდა რაღაც სასაცილო ამბის მოყოლას აპირებდა. იქვე, დივანის გვერდით რბილ დაბალ სკამზე ქერთამიანი ახალგაზრდა იჯდა, მომტრო ყურებზე ალი მოსდებოდა, ვაეკაცური, სერიოზული და, შეიძლება ითქვას, შეფიქრიანებული ლამაზი სახე ჰქონდა. ლამაზად გამოკვეთილი დიდი ბაგე, ოდნავ აბურცული და თითქოს სევდიანი. ტუჩები, ნათელი, და ფერის თვალები, ჰკვიანური, გულლია და პირდაპირი შემოხედვა... ყველაფერი ეს მის სახეს საუცხოო ჰარმონიულობას ანიჭებდა. ის წამოღვა — საკმაოდ მალალი და ბრვე აღმოჩნდა. არაჩვეულებრივი ტანი ჰქონდა — ვაეკაცური და ძლიერი — ყოველ შემთხვევაში ისეთი არა, როგორც დირიფორი წარმოგვიგენია ზოლმე. მახსოვს მისი დიდი, მუსიკალური ხელები, მისი ხელის ჩამორთმევა: მხურვალე და ღონიერი.

ახლა ძნელია იმის გახსენება, რაზე ვლამარავობდით მაშინ. მაგრამ მისი სახე იმ საღამოს შემდეგ ჩემს მეხსიერებას არ შორდება. ის იყო ზრდილობიანი, თავაზიანი, საუბრის დროს ოდნავ წინ იხრებოდა. ეს თავაზიანობა — ბუნებრივი თავაზიანობა, რომელიც სულაც არ გეცემოდით თვალში კარგად ესამებოდა მის თავისუფალ, მიუყვარძობებელ, ხანდახან მკვახე მსჯელობასაც კი აღამიანებასა და ხელოვნებაზე. ახლო გაცნობის შემდეგ მე მივხვდი, რომ მისი თავდაპირველი მანერები მისივე ცვალებად ხასიათსა და მგზნებაზე, ზოგჯერ შეუკავებელ ტემპერამენტს მოსავდა. ხანდახან, საუბრის დროს, აზრის ჩამოყალიბებისას, ლამარაკის შეუწყვეტლად მოვაშორებლად თვალს და საღ-



ღაც შორს ყურადღებით იმზირებოდა; მერე, თითქოს იქ თავისთვის საჭირო აზრი ან სახე დინახაო, ისე მტკიცედ და დამაჯერებლად შემოგხედავდათ. ჯერ კიდევ მაშინ, ჩვენი პირველი საუბრის დროს, ვიგრძენი მისი ძლიერი ხასიათის გავლენა, მისი აზრის სიზუსტე და სიმტკიცე. ჩვენ ერთი თაობის აღამიანები ვიყავით, მაგრამ ის თითქოს უფროსი იყო ჩვენზე, იმდენად წლოვანებით არა, რამდენადაც გამოცდილებით და მოწიფულობით.

იმ დროიდან მოვიღებულნი ჩვენ უკვე გამულმეებით ვხვდებოდით ერთმანეთს — ხან კონსერვატორიაში (სადაც ე, ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი — ფილოლოგი, მუსიკის დიდი მოყვარული, მუსიკის ისტორიის ან ფორმის ანალიზის ლექციების მოსამსენად დავდიოლი, ხან სიმფონიურ კონცერტებზე ფილარმონიაში. იმ დროს ლენინგრადის ფილარმონია ყველასათვის — მუსიკოსებისთვისაც და მუსიკის უბრალო მოყვარულებისთვისაც — მარტო ხაიკონცერტო ორგანიზაცია კი არ იყო, არამედ რაღაც უფრო მეტი. იმ საზოგადოებრივ როლს, რომელსაც მოსკოვში ათეული წლების განმავლობაში თამაშობდნენ მცირე და სამხატვრო თეატრები, ლენინგრადში უძველესი დროიდან სიმფონიური კონცერტები ასრულებდნენ. ლენინ-

გრაძის სახელმწიფო ფილარმონიის თეთრ მარ-  
პარილოს დარბაზში ყოველ საღამოს, როგორც  
იტყვიან ხოლმე, „მთელი ქალაქი“ იყრია თავს,  
იყო დაუსრულებელი მსჯელობა მომავალ და  
ჩატარებულ კონცერტებზე. იმ წლებში ეს გან-  
საკუთრებით იგრძნობოდა. ოქტომბრის რევო-  
ლუციის შემდეგ მეფის სასახლის შეურვეგობი-  
დან გამოსულმა პირველხარისხისოვანმა ორკეს-  
ტრმა განაახლა და უსაზღვროდ გაფართოვა  
რეპერტუარი. პულტთან ერთმანეთს ცვლიდნენ  
საბჭოთა და ჩამოსული ღირსიერებები, მათ შო-  
რის პირველხარისხისოვანი ოსტატები: ბრუნო  
ვალტერი, ერის კლებერი, ოტტო კლემპერერი,  
ფრიც შტილირი, ერნსტ ასნერგი, ფრიც ბუში,  
ერნსტ ვენდელი, ვიცლავ ტალიმი, გერმან აბენ-  
დროი. კონცერტებს წინ უსწრებდა ახსნა-გან-  
მარტებანი. უნიკერესი ი. ი. სოლურტინსკის  
გამოსვლები კომენტარებზე უფრო მეტი იყო:  
მუშავდებოდა გემოვნება, მდიდრდებოდა მუსი-  
კალური ცოდნა და შეხედულება. ფილარმონი-  
ის კულტურაში ნამდვილი შემოქმედებითი დის-  
კუსიების ატმოსფერო მეფობდა — იყო ერთი  
დავა-კმათი, კრიტიკული შეფასება. მუსიკოსებს  
შორის, პირველ ყოვლისა, კონსერვატორიის  
მოსწავლეთა შორის — მიქელაძე პროფესიონა-  
ლური ავტორიტეტით სარგებლობდა, მას მუ-  
დამ ნახავდით ახალგაზრდა დირიჟორებსა და  
კომპოზიტორებს შორის, პარტიტურით ხელ-  
ში, იგი დაჟინებით იცავდა თავის აზრს,  
ცილობდა ყველა დაერწმუნებინა თავის სი-  
მართლუმი. ეგვენი დიდად აფასებდა მუსიკო-  
სებში პროფესიონალიზმს და ვერ იტანდა, რო-  
ცა აგდებულად ან შეწყნარებთ აფასდნენ იმ  
დირიჟორებს, რომელთაც აკლდით სათანადო  
გარეგნობა, ან გარეგნული არტისტიზმი, მაგრამ  
შესანიშნავად კი ასრულებდნენ ნაწარმოებს. და  
პირიქით: ყოველთვის აფრთხილებდა მათ, ვინც  
ვატაცებულ იყო თავსაში მოსახვედრი გარე-  
გნული მანერებით, რასაც ზოგჯერ წარმატება  
აქვს გამოუცდელი ან დაბალი გემოვნების სა-  
ზოგადოებაში. არც მათ იგდებდა აბუჩად, სწო-  
ბივით, ვინც „კლემპერერი“ და „ბრუნო ვალ-  
ტერი“ არ იყო.

— რით ვერ გაიგეთ, — ამბობდა მიქელა-  
ძე, — ყველა ხომ ბრუნო ვალტერი არ იქნება?!  
ბრუნო ვალტერები — გამოჩაკისებები, ერთე-  
ულები არიან. უფრო ნაკლებ შესანიშნავ დირი-  
ჟორებსაც თავისი დირსება აქვთ. ბრუნო ვალ-  
ტერის მეტი თუ ვერაფერი დავინახეთ, მაშინ ხომ  
მოსისო მუსიკა, ეს სწორი არაა. სხვა ამბავია.  
რომ გცილობთ დაეწიოთ მათ.

1930 წლის გაზაფხულის არდადეგებზე ორი-  
ვენი თბილისში დაებრუნდით. მიქელაძეს საზა-  
ფხულო სიმფონიური კონცერტების ხელმძღვა-  
ნელობა ჰქონდა დაეალებული. იმ ხანებში მე

მას დღეში ორჯერ ვხვდებოდი — დილის რესპუ-  
ბლიკებზე და კონცერტებზე. „ზარია ვოსტო-  
კა“ ამ კონცერტების რეცენზიები მე დამაფა-  
ლა თუ არ ვცდები, გაზეთის ლიტერატურისა  
და ხელოვნების განყოფილების მაშინდელ გამ-  
გესთან, ვალერიან ვაფრინდაშვილთან თვითონ  
ეგვენიმ გამოკეთა რეკომენდაცია.

ბევრი კარგი მუსიკა შესრულდა იმ ზაფხულს.  
ბევრი ნაწარმოები მიქელაძის „ბედნიერი ხე-  
ლით“ პირველად აუღერდა მაშინ თბილისში  
იგი დაჟინებით აფართოებდა და ანახლებდა  
სიმფონიურ რეპერტუარს, არავითარი სიმძე-  
ლუები არ აჩერებდა. სიმძელები კი დიდი  
შეხვდა. ადვილი საქმე როდი იყო მოკლე დრო-  
ში გაზაფხულის რაღაც ორ თვეში — თბი-  
ლისის ორკესტრისათვის მანამდე უცნობი კაპი-  
ტალური ნაწარმოების შესწავლა.

თუ ქართი ვითარებისაგან „ზარია ვოსტოკა“  
უკვე გაყვითლებულ ფურცლებს გადავშლით,  
ძნელი არ იქნება იმ კონცერტების პროგრამე-  
ბის აღდგენა. მაგრამ განსაკუთრებით უნდა  
აღინიშნოს მიქელაძის მუშაობა ბრამსის მესამე  
სიმფონიაზე. ეს სიმფონია მიქელაძემდე თბილის-  
ში არ შესრულებულია. იმ დროს თბილისის  
ორკესტრის ბრამსის შესრულების ტრადიციები  
არა ჰქონდა. ახალგაზრდა დირიჟორმა არაფრის  
გულსათვის არ შეაცვლევინა ეს სიმფონია  
სხვა რომელიმე უკვე შესწავლილი — ჩაიკოვს-  
კის მეექვსე, ბეთოვენის მეხუთე სიმფონიები  
ან „შეხებარადათი“, და განაგრძობდა ბრამსის  
შესწავლას. დღეში ორჯერ ვადიოდნენ რეპე-  
ტიციას, ჯერ თითო ჯგუფთან ცალ-ცალკე,  
შემდეგ მთელ შემაღველობასთან მთიმინებით  
სწავლობდა ყოველ ნაწილს. სიმფონია ბრწყინ-  
ვალდ შესრულდა. გასაკარბი იყო ძნელი  
პარტიტურის დამძლევი ორკესტრი, გასაკარბი  
იყო შეხმატკბილება და დეტალების გარკვე-  
ულობა, ბრამსის „რბილი“ კლერების თავისე-  
ბურება, საერთო კონტექსტის მკაფიობა. ერ-  
თი სიტყვით, იმ საღამოს ეგვენი მიქელაძის  
მიერ დიდ და ძნელ საქმესთან შექცდიბული,  
მის მტკიცე ნებისყოფასა და მტკიცე ჰალს და-  
მორჩილებული ორკესტრი მას პირველად უქმ-  
ნიდა ნამდვილი დიდი ორგანიზატორის სახელს.  
მიქელაძეს სიმფონიური ორკესტრის მუშაობაში  
შეჰქონდა მაღალი პროფესიონალიზმი, მკაცრი  
გემოვნება, ნერვადა ლენინგრადის სიმფონიუ-  
რი ორკესტრის ტრადიციებს და კოლექტივის  
დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა. როგორც  
ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში,  
მიქელაძეს მხარში უდგნენ ორკესტრის საუკე-  
თესო მუსიკოსები კაპელნიცი — უფროსის  
მეთაურობის (სტუბელი იმ სეზონში არ უტარა-  
და), ძველებურად დაკვრა კი ნაკლებ გამოცდი-  
ლებს უნდოდათ.

სექტემბერს ლენინგრადში დაებრუნდით.  
კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში მიქელაძე



პუჩინის „ტოსკას“ ამზადებდა. რამდენადაც მახსოვს, ამ სპექტაკლში ბარონ სეარზის მღეროდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ალექსეი ივანოვი, ტოსკას სოსუნოვა (სოფრონოვა), კივარადოსს ვინ მღეროდა, არ მახსოვს. მე რეპეტიციებზეც დავდიოდი და პრემიერაზეც ვიყავი. ეს მოწაფური კი არა, უკვე პროფესიონალური სპექტაკლი იყო. სპექტაკლის ამ დიქსიონარს, უპირველეს ყოვლისა, მიაღწია მიქელაძემ — დაეინფორმებული მომთხროვნელობით, ამ მოთხროვნების მკაფიო და გარკვეული პლასტიკური გადაცემით, სარეპეტიციო დროის ოსტატური განაწილებით, და, რაც მთავარია, იმით, რომ მიქელაძე უკვე სავსებით ჩამოყალიბებული, მოწიფებული, გარკვეული შემოქმედებითი მანერისა და თავისებური ინდივიდუალობის მქონე ხელოვანი იყო. ყურადღებას იქცევდა მისი აქტიური ჩარევა მუსიკალური დრამის სცენიური განსახიერებაში. იცოდა ისწრაფოდა დირიჟორის პულტისათვის დამოუკიდებლობისა სპექტაკლის ყველა კომპონენტი, ეხებმდგენეა არა მარტო მუსიკალური ნაწილისათვის, არამედ მთელი სპექტაკლისათვის. იმაზეთვე გამოიხდებოდა, რომ მიქელაძე არის ოპერის დირიჟორი და ხელმძღვანელი-დირიჟორი, რომელიც რომელიმე დიდი ოპერის თეატრს უნდა ედგეს სათავეში.

მე ვფიქრობ, მის სპექტაკლებსა და კონცერტებს ახასიათებდა კიდევ ერთი არსებითი რამ — ეს როდი იყო რეპეტიციებზე დასწავილილის, მომზადებულის უბრალო დემონსტრაცია — ყოველი შესრულება იყო ერთგვარი ახალი, შემდეგში შემოქმედებითი მუშაობა.

მიქელაძემ გამოსაშვებ სპექტაკლად მოცარტის ოპერა „Cosi fontutti“ აირჩია. ამ სპექტაკლს დგამდა უშესანიშნავესი მოპლერალი და უშესანიშნავესი არტისტი, რეჟისორი და პედაგოგი, მომთხროფი და თანებია ივანე ვასილევის ერშოვი. მიქელაძესა და ერშოვს შორის „Cosi fontutti“-ის დადგმისთან დაკავშირებით კერძო და პრინციპიალურ ზავიბრუნებზე აღებნილი ცხარე დავა მთელი კონცერვატორიის სალაპარაკო გახდა: სხვები ერშოვს არ ედებოდნენ. საერთოდ, მიქელაძის მომთხროვნეობასა და შეურიგებლობაზე ისინიც კი ლაპარაკობდნენ, ვინც მას პირადად არ იცნობდა. დაიდგა მოცარტის აქამდე დაუდგმელი ოპერა, მხიარულებით ჩქეფდა ორკესტრი, შემხატებულბულად ყვებოდნენ ანსამბლები, სწრაფი იყო სპექტაკლის რიტმი, საერთო აღფრთოვანება და სახეიმი აღმოსფერო სუფევდა დარბაზში — ყველაფერში ამან უზრუნველყო სპექტაკლის დიდი წარმატება. ჩვენს თვალწინ იზრდებოდა მიქელაძის რეპუტაცია. ნათელი იყო, რომ ის საბოლოოდ მომწიფდა დიდი ამოცანების გადასაწყვეტად.

კარგად არ მახსოვს, მაგონი 1933 — 1934 წლე-

ბის სეზონში მიქელაძე ლენინგრადში ჩამოვიდა მამინ პირველად ვნახე ის დირიჟორის პულტთან ლენინგრადის ფილარმონიის ორკესტრის წინ, — ფილარმონია იყო მისთვის რამდენიმე წლის განმავლობაში ნამდვილი უნივერსიტეტი: პირველ განყოფილებაში მან თითქმის პირველმა საბჭოთა კავშირში შუბერტის მეხუთე სიმფონია შესარულა. ყოველ შემთხვევაში, მახსოვს, მაინც ლაპარაკობდნენ ამაზე. მისი შესრულების მანერა, რასაც მე დიდიხანია მიჩვეული ვიყავი, აქ უფრო აშკარა ღირსებით წარმოგვიდგა. ესეტი უფრო გაუხალვთადა, ბევრ რამეს ნახევრად გადაკრულად აწვილია ორკესტრს, მისი სახის შეფიქრიაებული გამოხატულებაც თითქმის სადღაც გამჭრიაყო, მაგრამ ძველებურად მკვეთრად იგრძნობოდა დირიჟორის ხასიათი, მბრძანებლური და საქმიანი ხელი. ამავე დროს მის მანერაში არაფერი ჩანდა ზედმეტი, მყურებლისათვის ნაგარაუდები. მის მუშაობაში სრულიად არ იყო აუქტივაცია და პოზი. მშოთავრე ტემპერამენტი, რომელსაც ცხოვრებაში ამქცავენდა, პულტთან ზომიერების გრძნობით და გემოვნებით იყო შესრულებული. მისი არტისტიზმი თავისუფალი იყო შტამებისა და ტრაფარეტისაგან: მიქელაძე არავის შავდა და არც არავის ბაძაღდ. უფურცლდით მას, უსმენდით მის ინტერპრეტაციას, გრძნობდით, რომ ამ აღამიანისათვის მუსიკა — ყველაფერი იყო, რომ ეს მისი მოწოდება იყო, ერთადერთი, მისგან შეუცდლოლად მიგნებული. მას არ შეეძლო არ ყოფილიყო მუსიკის: როცა ფიქრობ, როგორ დაახასიათო უკეთ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა — უპირველეს ყოვლისა, მოდიან სიტყვები: „აქტიურობა“, „გარკვეულობა“ და „ეკეთილშობილება“. მისი ეს თვისებები განსაკუთრებით საგრძნობი იყო შესრულების დროს.

კონცერტის მეორე განყოფილებაში ის ასრულებდა ქართულ მუსიკას, რომლის ნამდვილი პრიაგანდისტი და მეგობარი იყო. ფილარმონიის კამარის ქვეშ უფერდნენ „შოთაის“ და „დაისის“ უფერტურები, კილაძის საუცხოო სუიტა და ტუსკიის დიდებულის სადღესასწაულო მარში, რუსთაველის სხეულობის თეატრის სპექტაკლ „კარმენისათვის“ დაწერილი მუსიკიდან.

1937 წელს მოსკოვში საქართველოს ხელოვნების დეკადის გახსნაზე მიქელაძე დიდი თეატრის პულტთან გამოვიდა. შეწყდა აპლოდისმენტები. არასოდეს ასე შეწყობილა არ უფერია „დაისის“ უფერტურის. ფარად აიხადა. დაიწყო სპექტაკლი, რომელიც შეიძლება მთელი საბჭოთა თეატრალური სამყაროს საუკეთესო მიღწევათა მხარდამხარ დაგვეყენებინა. სწორედ ასეც დამამახსოვრდა მიქელაძე, ორკესტრის შექმის ათინათით და სიკუთარი დიდების სხივებით გაიცსკროვნებულა.



## ჯუახა ნარიკაძე

# მატერიალური კულტურის კვლევები ყვირილის ხეობაში

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს წინაქრისტიანულ ხანაში წარმოადგენდა ყვირილის ხეობა, კერძოდ კი მისი ზემო წელი, რომელიც ძირითადად საჩხერის რაიონს მოიცავს.

აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლი მოგვცა. აღმოჩენილი მასალები ეკუთვნის წინაქრისტიანული ხანის სხვადასხვა ეპოქას და ძვირფას საბუნო წარმოადგენს ქართველი და მისი მეზობელი ხალხების ისტორიის შესასწავლად. საინტერესოა ისიც, რომ გათხრების გარეშეც მრავალი ძეგლი იქნა მოპოვებული საჩხერის რაიონში. შემთხვევით წააოგნი ნივთების უმრავლესობას თავი მოუყარა სოფ. ქორეთის სამ. სკოლის ისტორიის მასწავლებელმა მ. გოგატიშვილმა და სოფლის სკოლაში პატარა „მუზეუმი“ გახსნა. იგი დიდ დახმარებას უწყევს მოსწავლე ახალგაზრდობას მშობლიური ქვეყნის ისტორიის შესწავლაში.

ჩვენ საშუალება გვქონდა აღნიშნული კოლექცია ადგილობრივ შეგვესწავლა და გამოვეყვით მათი აღმოჩენის ადგილმდებარეობა. ამ ექვონატებს შორის ზოგიერთი საყურადღებოა, როგორც გამოყენებითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუში. „მუზეუმში“ არსებული ექსპონატებიდან მხატვრული კულტურის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბრინჯაოს სამი დიდი ბალთა, რომლებიც შექმნილი არიან ფანტასტიკური და რეალურად არსებული ცხოველების გამოსახულებით. ბალთა ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებით წარმოადგენს ოთხკუთხედ კაძრს, რომლის არეში მოთავსებულია ირემი მეტად სტილიზებული რეკონსტრუქციით. ბრინჯაოს ეს ბალთა მიეკუთვნება განვითარების ადრეულ პერიოდს. არქ. გობეჯიშვილი ბალთებს ათარიღებს VII — VI საუკუნით

ჩვენს ერამდე. ბალთების მხატვრული ფორმის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება დავადგინოთ, რომ ის ძეგლები, რომლებზედაც გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველები, კულტურის განვითარების ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება, ხოლო ბალთები, რომლებზედაც გამოსახულია რეალურად არსებული ცხოველის (ხარის, ცხენის) ფიგურა, შესაძლებელია ჩვენი წელთაღრიცხვით I—II საუკუნეებშიც ყოფილიყო ხმარებაში; ბრინჯაოს ბალთების უკანასკნელ მხატვრულ ფორმას წარმოადგენს ქორეთის სკოლაში არსებული ბალთა კვიციანი ცხენის გამოსახულებით, რომლის აღმოჩენის ადგილი ცნობილი არ არის. ბალთებზე გამოსახული ცხენის ფიგურა თავისებობით რეალურია და ატარებს ამ ცხოველისათვის დამახასიათებელ ყველა ატრიბუტს — ცხოველის გამოსახულებას კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ყველა კულტურული ერის ცხოვრებაში. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. საყურადღებოა მხოლოდ ამა თუ იმ ხალხში გავრცელებული ცხოველის გამოსახვის მხატვრული ფორმები. ბრინჯაოს ბალთები ცხოველთა გამოსახულებით ეკუთვნის ქართველ ტომთა ხელოვნების წრეს. ბალთების ეს ტიპი შემთხვევით არ ატარებს „ქართული ბალთების“ სახელწოდებას, ეს სახელი სახეობით სამართლიანია, რადგან მსგავსი სხვა ქვეყნების და სხვა ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში არა გვხვდება. საჩხერის რაიონში მოპოვებული მასალებიდან ყურადღებას იპყრობს მცირე ქანდაკების ნიმუშები, რომლებიც მხატვრული ფორმის თვალსაზრისით ახლოს დგას ბრინჯაოს ბალთებზე გამოსახულ ცხოველებთან. ბრინჯაოს მცირე ირმის ქანდაკებები აღმოჩენილია დაზვერეთის სამუშაოების დროს სოფ. საირხეში (გეშაიძის გორაკზე) აქ განსვენებულ ნ. იაკობაშვილის მიერ. ამავე ტიპის მცირე ქანდაკებანი ცხვირის და



ცხენის გამოსახლებით ნაპოვია 1951 წელს სოფ. დარყაში პროფ. კუფტინის მიერ აღნიშნული ქანდაკებანი, როგორც ჩანს, საკულტო დანიშნულებისაა. დარყაში ნაპოვნი ქანდაკების ნიმუშები ხელოვნების თვალსაზრისით მაღალ დონეზე დგას, ერთი მათგანი საუკიდოდ შემართულ ვერძის გამოხატავს, მეორე — გაქვნივს ცხენს. არქეოლოგ ლუკიანის მიერ მოპოვებული მცირე ქანდაკების ნიმუშები (გულდაუთის მახლობლად) ენათსაკვება საჩხერაში ნაპოვნი ძეგლებს. გულდაუთის მახლობლად მოპოვებულ ქანდაკებას თან ახლდა აქურული ლენტი, რაც იმას მოწმობს, რომ ასეთი ფიგურები საკულტო დანიშნულებისანი იყო და გულზე ჰქონდათ ჩამოკიდებული. ჩვენს მიერ მითითებული ძეგლები თარიღდება VII — VI საუკუნეებით ჩვენს ერამდე.

ქორეთის სკოლის კოლექციაში არსებული ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოფელ საირხეში აღმოჩენილი ნივთები. საირხე მღვდლბარბოს საჩხერის სამხრეთით სამი კილომეტრის მანძილზე.

უკანასკნელ დროს აქ შემთხვევით აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნაშთები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს სოფელი წინაქრისტიანულ ხანაში წარმოადგენდა ზემო იმერეთის კულტურულ და რელიგიურ ცენტრს. ჩვენს აქ უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ანტიკური ხანის გრანდიოზული შენობის ბოძის კვარცხლბეკები (ბაზისები); მათი აღმოჩენა მიეკუთვნება უდიდეს აღმოჩენათა რიცხვს საქართველოსა და საერთოდ აღმოსავლეთის არქეოლოგიაში. ბაზისები აღმოაჩინა არქ. ნ. დამბაშიძემ 1956 წელს, ამ სოფლის მკვიდრის რომანოზ ნადირაძის სახლში. როგორც ირკვევა, ბაზისები გათხრითი სამუშაოების შესრულების დროს გლახებმა იპოვეს იმავე ადგილზე, სადაც 1951 წელს ნაპოვნი იქნა ლომის თავის ქანდაკება. ამ ადგილზე ნ. დამბაშიძემ ჩაატარა გათხრითი სამუშაოები და თვალსაჩინო შედეგსაც მიაღწია.

აქ სიტყვას არ ვაგვარძლებთ ბაზისების შესახებ, რადგან ეს უფრო ფართო კვლევის საგანს შეადგენს, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ დიდი სახის ბაზისები შემკულია ანტიკური ხანის ორნამენტებით, რომლის მხატვრული სტილი დაახლოვებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ანტიკურ ხანაში სოფელ საირხეში იდგა გრანდიოზული შენობა, შემკული მდიდარი სახის ჩუქურთმითა და ქანდაკებით. ამას გვაფიქრებინებს ამავე ადგილზე აღმოჩენილი ლომის თავის ქანდაკება, რომელიც შესაძლებელია, აღმოსავლური ჩვეულების თანახმად, ძალიან და ძლიერების სიმბოლოს გამომხატველი იყო.

არქეოლოგიური თვალსაზრისით მტკვრისპირა რაიონებში ბუნქტს წარმოადგენს ვეშაბის გორა ანუ სილინთხარი, როგორც მას ამ სოფლის მკვიდრნი უწოდებენ. მოსწავლე ციმაკურიძემ აქ იპოვნა ბრინჯაოს ლავაში. ეს ლავაში სახეობით ემთხვევა პროფ. ბ. კუფტინის მიერ გამოქვეყნებულ ბრინჯაოს ლავას, რომელიც მოპოვებულია წინწყაროს მახლობლად მდინარე ალბანზე; ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ VI — V საუკუნეებში აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის მკვიდრო ურთიერთობა ყოფილა.

ამ მხარის კვრამიკის მაღალი განვითარების მაჩვენებელია საირხეში ნაპოვნი შავი თიხის თასი. თასი შესრულებულია მაღალი გემოვნებით. თიხის ეს ლამაზი ჭურჭელი შემკულია ორი ხელსაკიდით (ყურბოები), გარშემო შემოსდევს ორი ერთმანეთზე ტოლად დაცილებული ოდნავ ჩაღრმავებული წრეები. თასი გარედან მთლიანად დაფარულია ბადისებური ქედური ორნამენტით. აღსანიშნავია, რომ თასზე შემოხვევა სალითონო ხელოვნების გავლენა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კარგად განვითარებული სალითონო ხელოვნება ტონს აძლევს საკვრამიკო ხელოვნებას. შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია თასი მივაკუთვნოთ VI — IV ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ამრიგად, ყველა ის ძეგლი, რომელიც მოპოვებულია სოფელ საირხეში, არ სცილდება ანტიკური ხანის ფარგლებს. ეს გარემოება გვარწმუნებს, რომ ანტიკურ ხანაში სოფელი საირხე ფრიალ დარწმუნებულყოფი ყოფილა. მაგრამ უნებურად ისმის კითხვა — რატომ უნდა განვითარებულიყო ანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოს ეს მივარდნილი კუთხე, თუკი, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, ანტიკურმა კულტურამ უფრო იმ რაიონებში ჰპოვა განვითარება, რომელზედაც იმ დროის საქარაონო და სავაქრო გზები მდებარეობდნენ?

შუა საუკუნეებში უმოკლესი გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს აკავშირებდა აღმოსავლეთთან, სწორედ ამ სოფელზე გადიოდა. ამ გზას ახლაც იყენებენ. თუ აღმოსავლეთ საქართველოდან მივდევართ, გზა გომთან უხვევს ჩრდილოეთით, გაივლის სოფელ ალს, გადაჭრის. ეგრეთ წოდებულ, ქვრათხების გადასავლს, გადის სოფელ კორბოლში და პირდაპირ სოფელ მოძვზე გავლით ეშვება საირხე-საჩხერის მდინაშობში, აქედან იგი მდინარე ყვირილას ხეობას გასდევს ქვილიან შესართავამდე; როგორც ცნობილია, ძველი ბერძნების ყურადღების ცენტრში იდგა მდინარე ყვირილა, „მდინარე ფასიდს ძველი ბერძნები ეძახდნენ შამინ რიონს მდინარე ყვირილას შესართავამდე და ამის ზემოთ თვით ყვირილასაც“ — ვკითხულობთ საქართველოს

ისტორიაში. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ სანაოსნოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან მდინარე ყვირილა აახლოვებდა ბერძნებს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სანაოსნო გზა წყდებოდა მდინარე ყვირილაზე ზესტაფონ-შორაპნის მიდამოებში და აქედან იწყებოდა საქარავნო გზა, რომელიც ისევ მდინარე ყვირილას ხეობას აკყვებოდა და მიემართებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, საჩხერე-საირხეზე გავლით. ამრიგად სავსებით მოსალოდნელია, რომ სოფელი საირხე ანტიკურ ხანაში, და რა თქმა უნდა ადრეც, წარმოადგენდა ამ კუთხის რელიგიურ, სავაჭრო და კულტურულ ცენტრს.

თუ ეს ასეა, მაშინ ეს სოფელი სათანადო შესწავლისა და კვლევის ღირსია, — ამის თქმის უფლებას გვაძლევს აქ მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლები.

საირხეში და საერთოდ საჩხერეში მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლები შეხატლებელს ზღის უფრო ღრმად შევისწავლით ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, რომელმაც შეითვისა „ძველი საბერძნეთის კულტურის ელემენტები, შეუფარდა იგი საკუთარ მრავალსაუკუნოვან მხატვრულ კულტურას და დამოუკიდებელი ანტიკური კულტურა და ხელოვნება შექმნა“.



## დღიუიკ ყიჟიანი ჰანსულ ჩაკჰიანი

### ჰართუდი კუდიტურის დღესასწაუდზე

შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეებში საქართველოს სსრ-ს არცერთ სამინისტროში არ იგრძნობა ისეთი შრომითი განწყობილება და დაძაბულობა, როგორც კულტურის სამინისტროში. ეს გასაგებნიკაა—მთელი რესპუბლიკა ემზადება ჰართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის ჩასატარებლად მოსკოვში, ამ საქმიანობას კი კულტურის სამინისტრო ხელმძღვანელობს.

ჰართულებს ძველთაგანვე ასე სჩვევიათ: როდესაც ერთი სოფლიდან მეზობელ სოფელში მიდიან სტუმრად, თან მიჰყავთ ყველაზე კარგი, შერჩეული მომღერლები, კარგი სიტყვის მოქმეღნი და მოლექსენი, მოცეკვავენი და დამკვრეღნი, რომ არ შერცხვენენ მასპინძელთან და თავი გამოიჩინონ. ახლა კი, მითუმეტეს, როდესაც მთელი ხალხი მიდის მეზობელ, მოქმე ხალხთან, როდესაც ყველაზე მომთხოვნ, მოსკოველ მაყურებლის წინაშე უნდა წარსდგენ ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაეები, ეს ძველი ჩვეულება გაათეულებით იჩენს თავს. საქართველოს ყოველ ქალაქს, ყოველ სოფელს თავისი წვლილი შეაქვს, რომ რესპუბლიკა პირნათლად წარსდგეს მასპინძლების წინაშე.

კულტურის სამინისტროში შექმნილია სპეციალური სადეკადო შტაბი. აქ მუშავდება ყოველგვარი ღონისძიება, აქ განიხილავენ, იღებენ და ხანდახან უარყოფენ კიდევაც დეკადის პროგრამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინდადებებს, აქედან იძახებენ თბილისში სადღაც, რაჰის მთიან სოფელში მცხოვრებ მესტიერეს ან აფხაზეთის განთქმულ მოცეკვავეს, გურულ ხალხური საკრავების მეეთებებს ან კახელ მომღერალს. თანდათან იკრებება, თბილისისკენ მოისწრაფვის რესპუბლიკის რჩეული ძალები — ხალხური შემოქმედების წარმომადგენლები — შთამომავლები XII საუკუნის ჰედღური ხელოვნების ოსტატის

ბექა ობიზარისა და XI საუკუნეში იგებული-დამდებული სეკტიცხოვლის ტაძრის ხუროთმოძღვრის არსაკიძისა, მემკვიდრენი V საუკუნის ლიტერატურული ძეგლის „შუშანიკის წამების“ ავტორის იაკობ კურტაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის შოთა რუსთაველისა, უძველესი ჰართველი კერამიკოსებისა და უძველესი ჰართული თეატრალური სანახაობის „ბერიკაობის“ სპექმეთა გამგრძელებელნი და განმავითარებელნი.

გაცხოველებულ სადეკადო სამზადისშია საქართველოს სსრ პროფკავშირების სიმღერისა და ცეკვის სამსაკიანი ანსამბლი, რომელშიც გავრთიანებული არიან რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურენი და სტუდენტები. აი, ახლანან დამუთავრდა ცვლა აბრეშუმ-კომპინატის მუშა ნორა ამაშუკელს, მას ახლა საცეკვაო ნაციონალური კაბა აცვია და სცენაზე დასრიალებს, მისი ჰარტნიორია ზაურ აბგლდიანი, თბილისის ტრიმვაი-ტროლიბუსების ელექტრომონტიორი.

დაძაბულად მუშაობენ პროფესიულ თეატრთა კოლექტივები, ყოველ ნახიჯზე, ყოველ დეიტალში იგრძნობა სადეკადო სამზადისი.

თეატრთა სამკერვალო სახელოსნოებში კი თეატრდებლივ მუშაობენ ოსტატები, იკერება ტანსაცმელი ახალი სპექტაკლების მოქმედ პირთათვის. აი, სამკერვალო სახელოსნოში შემოდის საქ. სსრ სახალხო არტისტი, მომღერალი ბათუკრავიშვილი. მკერავი მას მუნდირს აზომებს, ეს მუნდირი გრიბოედოვისია, რომლის პარტიას მღერის ბ. კრავიშვილი და, თორამის ახალ ოპერაში „ჩრდილოეთის საბატარძლო“.

ბოლო წლებში დიდი ხალხით ეტანება მაყურებელი ოპერის სპექტაკლებს. ამ გამოცოცხლებას ხელი შეუწყო თეატრის დირექტორის, ცნობილი მომღერლის დიმიტრი მკველიძის მრ-

ვალმა კარგმა თაოსნობამ, რომელთა შორის განსაკუთრებით მისასალმებელია ახალგაზრდა შემოქმედი კადრების გაბედული დაწინაურება. განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძობს დირექტორი დეკადის წინა დღეებში, მის კაბინეტში ნახათ ყველას, — ობერის მეკრავიდან დაწყებული ორკესტრის მონაწილემდე და მას ნახათ ყველგან — ორკესტრის რეპეტიციაზე, სამკერვალო სახელოსნოში, სადეკორაციო სამუშაოებში, ახალგაზრდა და დამახტურებულ მომღერლებთან.

თბილისის კონსერვატორიის დარბაზში ახალგაზრდა დირიჟორის ზ. ხუროძის ხელმძღვანელობით რეპეტიციებს გადის საქართველოს სიმფონიური ორკესტრი, რომელიც თითქმის ჩვეულებრივზე ძლიერად უღერს, — იქნებ მოსკოვის დიდ საკონცერტო დარბაზებს უფარდებს ორკესტრის მხარს დირიჟორი.

ქართული უძველესი კულტურის — სიმღერებისა და ცეკვების, თეატრალური სანახაობისა და მხატვრობის წარდგენა დეკადაზე, უმთავრესად, ჩვენი ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენლებს აკისრიათ; რესპუბლიკის ოთხივე თეატრის, სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლთა შემადგენლობის უმრავლესობას ახალგაზრდობა შეადგენს, ესენი არიან აკაკი ხორავასა და ვახტანგ ჭაბუკიანის მოწაფეები, ლადო გუდიაშვილი და ილიკო სუბინიშვილი ალზრდინი, სოციალთა სახელ ნიკოლოზ შემოქმედნი, კომკავშირელი ახალგაზრდობა, რომელთა პირველი სიყვარულის საგანი სამშობლოს ველ-მინდვრები და მთებია. შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება ახალგაზრდობის დეკადა.

საქართველოს სახელმწიფო კაპელის რეპეტიციებზე იმ დროს შევედით, როდესაც გუნდი უძველეს ქართულ სიმღერას ასრულებდა. ეს მელოდიები დღემდე გაუშიფრავი პირობითი საერთო ნიშნებით იყო მიწერილი X საუკუნის ქართველი მოღვაწის მიქელ მოდრეკილის საგლობელთა ტექსტებზე. ამ საიდუმლო სანოტო ნიშნების გაშიფრავზე უცხოელი სპეციალისტებიც მუშაობდნენ, მაგრამ მათი ამოხსნა ქართველ საბჭოთა მეცნიერს პავლე ინგოროვყვას ხედა წილად. ისევ გაიხმა, ისევ ახმინდა 1000 წლის წინათ დადუშებული მელოდიები, რომლებსაც ახლა მოსკოველი მაცურებლებიც მოისმენენ დეკადის დღეებში.

რსფსრ-ის და საქ. სსრ-ს სახალხო არტისტს ვერა დავიდოვას მეტად საპასუხისმგებლო და მისასალმებელი საქმე უკისრია — იგი დეკადაზე წარსდგება როგორც ქართული კამერული მუსიკის პროპაგანდისტ-პოპულარიზატორი. მის მდიდარ რეპერტუარში შედის როგორც ქართული კლასიკური, ისე ქართველ საბჭოთა კომპოზიტორთა სანიმუშო რომანსები. მისაბაძი მაგალითია! იქნებ რუსი ხალხის შეიღმა უფრო

„გასაგები ენით“ აღხსნას თავის თანამემამულეებს ქართული სიმღერების მშვენიერება.

პროფესიონალი მხატვარი-კერამიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ზაქარია მისურაძე ამთავრებს თავისი ციკლის „ბერაქობის“ უკანასკნელ პერსონაჟებს. ისტატი დიდი ხანია მუშაობს ძველი ქართული კერამიკული ტექნიკის გამოყენებაზე და სასურველი შედეგებიც მიიღო.

სტალინური პრემიის ლაურეატის მოქანდაკე ვალენტინ თოფურიძის სახელოსნოში იატაკიდან ქერამდ აღმართულა ვ. ი. ლენინის მონუმენტური ქანდაკება, რომელიც მალე მალაროელთა ქალაქის ჭიათურის ახალ მოედანზე დაიდგმება. სახელოსნოს თაროზე დგას ვ. თოფურიძის ცნობილი ნამუშევრის „გამარჯვების“ ესკიზი. ლენინი და გამარჯვება — ამ ეს ორი ძირითადი თემა დამახასიათებელი ჩვენი მოქანდაკის შემოქმედებისათვის. უკვე ყუთებში ჩასალაგებლად და გასაგზავნად გამზადებული სადეკადო ნამუშევრები — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სკულპტურული პორტრეტები. მაგრამ მათ მოსკოვში კი არა, ჯერ ლენინგრადში აგზავნიან მოქანდაკე, რათა იქ ბრინჯაოში ჩამოასხან.

არა მარტო ქართველი ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა იღებს მონაწილეობას ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების სადეკადო სანახაობისში; ლენინგრადი ბრინჯაოში ასხამს ქართველ მოქანდაკეთა ნაწარმოებებს, მოსკოვის მთელ რიგ გამოცემლობებში გამოდის ქართველ მწერალთა ცალკეული წიგნები, კრებულები, ანთოლოგიები, რომელთა საუკეთესოდ თარგმნისათვის ძალა და მონაწილეობა არ დაიშურეს გამოჩენილმა რუსმა პოეტებმა და მწერლებმა. „ქართული ფილისი“ სტუდიაში წარმოებს სადეკადო კინო-სურათთარუსული ვარიანტების ჩაწერა, რომელთა განმეგანებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსკოველი მსახიობები.

საბჭოთა კავშირში ზოგიერთმა ქართველმა მწერალმა ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე გამოცემული მათი წიგნების ტირაჟი მრავალჯერ აღემატება საქართველოში გამოსული წიგნების რაოდენობას.

ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგისა და ეგნატე ნინოშვილის წიგნები 200-ზე მეტი ათასის ტირაჟით დაიბეჭდა, ხოლო აკაკი წერეთლისა — 150 ათასი. ლეო ქიჩილის რომანები და მოთხრობები საქართველოში 230 ათას ცალად გამოვიდა, ხოლო საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებმა 700 ათასზე მეტი გამოსცეს.

გიორგი ლენინის ლექსები და პოემები საქართველოში 102 ათას ცალად დაიბეჭდა, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში — 900 ათასზე



მეტ; შალვა დადიანის პიესები საქართველოში 108 ათასის ტირაჟით გამოვიდა, ხოლო საბჭოთა კავშირის სხვა ენებზე — 450 ათასი. სიმონ ჩიქოვანის ლექსები და პოემები გამოიცა 420 ათასის ტირაჟით. იოსებ გრიშაშვილის ლექსები ქართულად დაიბეჭდა 204 ათასის რაოდენობით, ხოლო რუსულად გამოცემული მისი ერთი საბავშვო წიგნის ტირაჟი 300 ათას ცალს შეადგენს. კეი-შილის რომანი „ლულო“ გამოიცა 300 ათასზე მეტი ტირაჟით, იაკინთე ლისაშვილის „ქეცხოველი“ 130 ათასის ტირაჟით.

100.000-ზე მეტი ტირაჟით გამოიცა კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანების თარგმანები.

ქართველ მწერალთა პოპულარობის საქმეს

დიდად უწყობს ხელს გამომცემლობა „საქრებულო“, რომელმაც მოსკოველი მწერლები მოიწვია ჩვენი მწერლების სათარგმნელად.

თბილისის სტამბები არც არასოდეს ყოფილა ასე გადატვირთული, როგორც ახლა, დეკადის წინა დღეებში. იბეჭდება ათასობით აფიშა, კინორეკლამები, მონოგრაფიები მწერლებსა და ხელოვნების ოსტატებზე, წიგნები, წიგნები და წიგნები.

არა, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფრის ნახვა ვერ შევძელით, ვერ მოვასწარით დეკადის მონაწილე ყველა შემოქმედებითი კოლექტივისა და სპექტაკლის ნახვა, ისევე, ალბათ, როგორც ამას ვერ მოასწრებენ დეკადის დღეებში მოსკოველი მაცურებლები, მიუხედავად დიდი სურვილისა.

### ინტერვიუ... ინტერვიუს გარეშე

ბირდაპირ ვიტყვით, რომ ბოლო დროს უურნალ-გაზეთების კორესპოდენტებს ძალზე უძნელდებათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანის „დაქტერა“.

— სარეპეტიციო დარბაზშია, საღამოს ხუთ საათამდე არ განთავისუფლდება, — მოისმის ტელეფონში ოპერის მორიგის ხმა.

— გთხოვთ დამალაპარაკოთ, იქნებ მივიღოს — ცდილობს ბედს.

— როგორ არ გესმით, — ანჩნობს მორიგე, — ახლა ხომ სადევადო სპექტაკლებს ამზადებს, აღარაფრისთვის აღარ სცალია.

საღამოს ვრეკავთ ბინაზე.

— დიდი ბოდიში, მაგრამ ახლა ისვენებს, ხვალ სპექტაკლი აქვს და... — თანაგრძნობით გვიპასუხა ქალის ხმამ.

ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ბედმა გაგვიღიმა და თვით ვახტანგ ჭაბუკიანს დავუკავშირდით.

— დღეს „ოტელოში“ გამოვიდვარ, შევხვდეთ თეატრში სპექტაკლის შემდეგ. — გვიპასუხა მან.

ავდილი სათქმელია, „შევხვდეთ თეატრში“, როდესაც „ოტელოს“ წარმოდგენისას ოპერის შემობას მილიციელთა წრე არტყია, როდესაც თვით ბალეტის დამდგმელს და მთავარი როლის შემსრულებელს ვახტანგ ჭაბუკიანსაც არ აღმოაჩნდა ზედმეტი ბილეთი. მაგრამ უურნალისტიკის თავმოყვარიზამ შეუძლებელი გაგვაკეთებინა.

საღამოს ხალხით გაქედდით ოპერის დარბაზში ვიჯექით და... ბოდიში, ვიდექით, და თავდავიწყებით შევყურებდით მუხეჯი ოტელოს მჭერმეტყველურ, პლასტიკურ მონოლოგებს, თავბრუდამხვევ ცეკვებს, ვტვებოდით აღ. მაქავარიანის მომხიბვლელი მუსიკითა და ს. ვირსალაძის შესანიშნავი მხატვრობით.

და გულში ვამაუობდით, რომ ქართული საბალეტო ხელოვნების ამ ახალსა და დიდ გამარჯვებას მალე ნახავენ მოსკოველები დეკადაზე, ნახავენ და ისინიც ჩვენსავით აღფრთოვანდებიან.

და მოხდა საოცარი რამ, სპექტაკლის შემდეგ აღარ მივედი ჭაბუკიანთან კულისებში, იქნებ იმიტომ, რომ „შევიბრაოდით“ ასეთი დაძაბული სპექტაკლისა და ასეთი შესანიშნავი „სიკვიდილის“ შემდეგ, ანდა იქნებ იმიტომ, რომ თვით სპექტაკლმა გვითხრა ყველაფერი ის, რაც ჭაბუკიანისაგან უნდა გავვიგო.

— ამ საღამოს ნულარ შეაწუხებთ, დაისვენოს, — თქვა ოპერის გარდერობის მოსამსახურემ, — წვენ ვახტანგს ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, რომ ყოველ დამე ასე „მოაქლას თავი“, — გაიღიმა მან.

### გიორგარფია კედლმეზე

საქართველოს სახალხო მხატვრის უჩა ჯავარიძის სახელონოში ვართ.

როდესაც მოვივლით ამ მოწრიდელ ოთახს და მოათვალიერებთ კედლებზე გამოკრულ სურათებს — თვალწარმტაც პეიზაჟებსა და უანრულ ჩანახატებს — ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს ელვის უსწრაფესად მოიარეთ მთელი საქართველო.



— მე ახალგაზრდაბაში მართლაც ფეხით მოვიარე საქართველოს ყველა კუთხე, — შეიბინჯა არ გვაცდის მხატვარი და ღიმილით უმატებს, — შეიძლება ითქვას, რომ ამ კედლებზე ჩემი ბიოგრაფია დაწერილი.

განვავრძობთ ამ შინაურული გამოფენის დათვლიერებას და თანდათან ვრწმუნდებით მხატვრის სიტყვებში; აი მისი მასწავლებლების ლ. ვუდიაშვილისა და დ. კაკაბაძის ჩანახატები, მხატვრის მეგობრების სარიანისა და თათევოსიანის ნამუშევრები, აი „ოკლმეურნე ქალბი“, „დაქრული მებრძოლი“, აი რეპროდუქცია ავსტრალიელი მხატვრის ნოელ კუინისანის ნამუშევრიდან, ეს მხატვარი საქართველოში ყოფნის დროს სტუმრად იყო უჩა ჯგუფარძესთან. აი, ოთახის კუთხეში... ტელეფონმა დარეკა, უჩა ჯგუფარძემ ყურმილი აიღო. მას სთხოვენ საქართველოს სსრ მშვიდობის დაცვის კომიტეტიდან, იგი ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია ამ კომიტეტისა. — ეხეც ცოცხალი ნახატი მისი ბიოგრაფიიდან.

წარის წარი მოჰყვა, ახლა სადგეალოდ გამწადებული სურათების შესარჩევად სთხოვენ მისგულას.

— ქართველი მხატვრები და მოქანდაკეები, — თქვა უჩა ჯგუფარძემ, — მთელი მონღოლებითა და ენერგიით ემწადებიან იმისათვის, რომ პირნათლად წარსდგენ მოსკოველ მაყურებელთა წინაშე ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში. განსაკუთრებით სახისარულთა, რომ ჩვენთან ბოლო ხანებში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოჩნდა, მათ შორის გამოირჩევიან მოქანდაკეები ძმები გ. და ი. ოჩიაურები და მ. ბერძენიშვილი, სწრაფად მწარდი ნიჭიერი მხატვარი ალ. ბანძელია და სხვ. ჩემი უფროსი კოლეგების ტილოებთან ერთად, დეკადაზე ახალგაზრდების ნამუშევრებშიც დანახავენ მოსკოველები დღევანდელი საქართველოს მღელვარე, შრომითი საქმიანობით საგსე ცხოვრებას.

როდესაც სახელოსნოდან გავდიოდით, თვალი მოვკარით კედელზე ჩამოკიდებულ რამდენიმე ცარიელ ჩარჩოს.

— ჯერ არ ვიცი, რას მოვათავებ აქ, — გაიღიმა მხატვარმა, — იქნებ იმ სურათებს, რომლებსაც დეკადისთვის ვხატავ, იქნებ — სხვას, არ ვიცი...

კედლებზე გრძელდება შემოქმედებითი ბიოგრაფია.

### სცენაზე და კინოეკრანზე

სახჭოთა კავშირის სახალხო არტიტს, სტალინური პრემიის ლაურეატს ვერიკო ანჯაფარძეს მოსკოველი მაყურებლები დეკადაზე იხილავენ როგორც თეატრის სცენაზე, აგრეთვე, კინოეკრანზე, იგი ასრულებს ოთარანთ ქვრივის როლს დიდი ქართველი კლასიკოსის ილია ქავჭავაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით შექმნილ ფილმში.

ჩვენ შეითხზავთ, თუ როგორ ემწადება მარჯანიშვილის სახელობის თეატრი სადგეალოდ, ვერიკო ანჯაფარძემ განაცხადა:

— ჩვენი ხელოვნების თვითიული მუშაკი, მსახიობი იქნება იგი, მწერალი, კომპოზიტორი თუ მხატვარი ერთი ამდი სურვილით ცოცხლობს — რაც შეიძლება კარგად წარადგინონ ჩვენი რესპუბლიკა მისი კულტურის ზეიმზე — ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე ზოკოვში. როდესაც საგასტროლოდ მიემგზავრება ერთი თეატრი, მისი წარმატება, რა თქმა უნდა, გამარჯვებაა ჩვენი ეროვნული კულტურისა, მაგრამ მთელის მრავალფეროვნებით მინც ვერ გამოხატავს რესპუბლიკის შემოქმედებითი შესაძლებლობებს. დეკადის დღეებში კი მოსკოველ მაყურებელთა წინაშე წარსდგება ოთხი ჩვენი თეატრი, გამოვლენ მუსიკალური კოლექტივები, მწერლები, პოეტები, ჰეღური ხელოვნებისა და ყალმის ოსტატები. დიდი პასუხისმგებლობა აწევს თვითიული ჩვენთაგანს, ამიტომ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმავლობით მუშაობს.

მსახიობს ისიც აღეღვებს, რომ მოსკოვში იგი შეხვდება არა მარტო მაყურებლებს, არაშედ ძველ მეგობარ-კოლეგებსაც: რანესკაიას, ზავადსკის, ოხლოკოვს, გიაცინტოვას, ტურჩინოვას, რ. სიმონოვს, შტრაუსს და სხვებს. წარსდგება მათ წინაშე შიღერის „მარიამ სტიუარტი“ და ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“. ვ. ანჯაფარძის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ბებია ეუხენას როლი კასონას პიესაში „ბებე“ ზეზეულად კვდებიან“. ამ როლს მისი საყვარელი მსახიობი ფანა რანესკაიაც აწადებს მოსკოვში:

— ვოცნებობ შეხვდეთ ჩემი უსაყვარლესი მსახიობის ფანა რანესკაიას ბებიას და წინდაწინ მადღეღვებს ჩემი ბებიის ეუხენას ბედი.





ორი ღმკადა

საქართველოს სსრ სახალხო პოეტს ვალაქტიონ ტაბიძეს ჩვენ შეგვხვდით თბილისის ელმავალ-მშენებელი ქარხნის ამწყობ საამქროში. პირველი ახალგაზრდებულები ქართული ელმავლის წინ შეკრებილ მუშებს პოეტმა წაუკითხა თავისი ახალი ლექსები და გაიხსენა ახალგაზრდობაში დაწერილი ლექსი, რომელიც პირველ საბჭოთა ორთქლმავლისადმი იყო მიძღვნილი და რომელიც სწორედ ამ რაიონში წაუკითხა რკინიგზელ მუშებს პოეტმა:

ორთქლმავალს სოციალისტურს  
მტერი მყავს არამოწყალე,  
თუ არ დავუხვდით, როგორც ვესურს,  
თავი რად გვინდა ცოცხალი.

პოეტმა უამბო მუშებს, თუ როგორ ემზადებიან ქართველი მწერლები ლიტერატურისა და ზელოვნების დეკადისათვის მოსკოვში, თუ რა სიყვარულით უმღერიან საბჭოთა მშრომლებს ჩვენი პოეტები და მწერლები და რა დიდი ვალი აწევთ მათ, რომ უფრო მეტი სრულყოფით და სიღრმით გამოხატონ მშენებელთა გმირული საქმიანობა.

რკინიგზელებმა წარმატება უსურვეს მომავალ დეკადაზე პოეტს, რომელიც წელს თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მესუთე დეკადას ხვდება.

მუსიკა მხელა საკითხში ჩაერმვა

— რა მონაწილეობას მიიღებენ ქართველი კომპოზიტორები მომავალ დეკადაზე მოსკოვში?— ვითხებთ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანს, ალექსი მაჭავარიანს.

კომპოზიტორს უნებურად გაეღიმა და ჩვენ ვიგრძენით, რომ შევითხვის ფორმა ცოტა გულ-უბრყვილო იყო.

— მუსიკა, ასე ვთქვათ, ყველა საკითხში ჩაერევა, იქნება ეს დრამატული სპექტაკლები თუ ცირკის მსახიობთა გამოსვლა, დეკლამაცია თუ ხალხური ტყავები, მუსიკა დეკადაზე ყოველგვარი სახასიათის მონაწილე იქნება.

— საინტერესოა, რომელ სიმუზონიურ ნაწარმოებებს მოისმენს დეკადაზე მოსკოველი მსაყურებელი?

— ქართული ლიტერატურისა და ზელოვნების პირველ დეკადაზე მოსკოვში წარმოდგენილი იყო მხოლოდ საოპერო და ხალხური მუსიკალური ნაწარმოებები. ახლა კი, ოცი წლის შემდეგ, ჩვენთან შეიქმნა მთელი რიგი საუკეთესო სიმფონიური ნაწარმოები, რომელნიც ცნობილნი გახდნენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. მათ შორის უნდა აღინიშნოს ან. ბალანჩივაძის I სიმფონია და III საფორტეპიანო კონცერტი, ოთ. თაქთაქიშვილის II სიმფონია და საფორტეპიანო კონცერტი, ს. ცინცაძის საკვარტეტო ნაწარმოებში, შ. მშველიძის სიმფონიური პოემა „მინდია“, აგრეთვე, ახალგაზრდა ნიქიერი კომპოზიტორების არჩ. ჩიმაკაძის, ნ. გუდიაშვილისა და რ. ლალიძის ნაწარმოებნი.

— გამოიყენებ თუ არა თქვენი ბალეტის „ოტელოს“ მუსიკისათვის ქართული ხალხური მელოდები?

— მე გამოვიყენებ მთელი რიგი ქართული მეტრები და მელოდები, ამან ხელი შეუწყობს შექმნილისათვის დამახასიათებელი დიდი მღელვარების გადმოცემას, მუსიკამ კი უფრო მეტად ეროვნული ელფერი მიიღოს.

უკანასკნელ წლებში ქართველ კომპოზიტორთა ექსპედიციები ყოველ ზაფხულს მიემგზავრებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხური სიმღერების ნიმუშთა ჩასაწერად. რამდენადაც კომპოზიტორი მყარად ღვაბ თავის ეროვნულ საფუძველზე, იმდენად უფრო ღრმა და მომხიბვლელი ხდება მისი შემოქმედება.

იგივე მაქვს, რომ მომავალ დეკადაზე ქართული მუსიკა გამოიხატავს საერთო ენას მოსკოველ მსმენელებთან.

ანტრატინიანი ინტერვიუ

იმ საღამოს რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლს ესწრებოდა ქაიროს კონფერენციიდან საქართველოში გზადგამოვილი ინდოეთის მშვიდობის დელეგაცია. მეორე აქტის შემდეგ ოტელოს როლის შემსრულებლის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის აკაკი ხორავას თამაშით აღფრთოვანებული ინდოელი სტუმრები

სცენაზე ავიდნენ და მიულოცეს მსახიობს დიდი შემოქმედებითი წარმატება. გამართა აგრეთვე გაცვლა-გამოცვლა, წარმოითქვა გულთბილი სიტყვები. იმ საღამოს აწიხსა და აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის წევრი აკაკი ხორავა თავისი კანის ფერთაღაც სოლიდარობდა ინდოელებს.

ეს საღამო შესაფერისად მივიჩინეთ მსახიობისაგან ინტერვიუს მისაღებად. ჩვენ მას საკრიმოროში ვესტუმრეთ. სიამოვნებით მიგვიღო. ნებაართვა ითხოვა, რომ თან ჩვენს შეკითხვებს უპასუხებდა, თან გამოსასვლელად მოემზადებოდა.

— რა სპექტაკლები მიაქვს დეკადაზე რუსთაველის თეატრს? — ეს იყო ჩვენი პირველი შეკითხვა.

ოტელო-ხორავამ პასუხი დააყოვნა, იგი სარკეში იყურებოდა და უზღვევდა თავის ორეულს, იქნებ — იავოს, ვინ იცის.

— დეკადაზე მიგვაქვს... „ტარიელ გოლუა“, „ოპტიმისტური ტრაგედია“, — ოტელო-ხორავამ ახლა გაუღიმა სარკეში ორეულს და თითქოს ყურში ჩასჩურჩულა, — „ოიდიპოს მეფე“... „ახალგაზრდა მასწავლებელი“... როგორ გითხრათ, ჯერ კიდევ ზუსტად არა გვაქვს დადგენილი...

— რამდენი როლი შეგისრულებიათ თქვენი შემოქმედების მანძილზე? — საიდანღაც დაიბადა ეს შეკითხვა.

ოტელომ ახლა ჩვენ შემოგვხვებოდა... შეშფოთებული თვალებით:

— რაო, რა ბრძანეთ?

— რამდენი როლი შეგისრულებიათ...

— ასზე მეტი... არ მახსოვს.

— პირველად რომელ წელს გამოხვედით სცენაზე?

— არ მახსოვს, არ მახსოვს... მაპატიეთ, ახლა არაფერი არ მახსოვს!

და ჩვენც მხოლოდ ახლა ვიგრძენით, რომ მსახიობი უკვე დიდი ხანია, რაც სცენაზე იყო და უშობრად და უსიტყვოდ თამაშობდა თავის როლს.

— მაპატიეთ, ხვალ დღითი მობრძანდით თეატრალურ ინსტიტუტში, იქ ვიქნები.

ღელავდა გამოცდილი მსახიობი, იმ საღამოს 301-კიდურ ასრულებდა ამ როლს და მაინც ღელავდა. ალბათ, ეს მუდმივი მღელვარებაც არის მიზეზი ამ დიდი მსახიობის შემოქმედებითი წარმატებისა.

მეორე დღით ჩვენ შევხვდით ხორავა-პედაგოგს თეატრალური ინსტიტუტისას, ხორავა-მოქალაქის, დინჯსა და ტბილად მოუბარ ადამიანს. იგი გახარებულყო იყო.

— აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ „აფხაზეთის სახალხო არტისტის“ წოდება მინიჭა თეატრალური კადრების აღზრდისათვის, ასეთი ყურადღება დიდი პატივია ჩემთვის.

ჩვენი მოკლე საუბარი შეეხო მომავალ დეკადას. მსახიობმა გვიამბო, თუ რა ერთუწყაწამით მუშაობს თეატრის მთელი კოლექტივი, როგორ თანდათანობით ხეყენ ყოველ სადეკადო სპექტაკლს და რა მოუთმენლად ელოდებიან მოსკოვში გამგზავრების დღეს.

ჩვენს შეკითხვაზე, შეიცვალა თუ არა თეატრის ცხოვრების რიტმი დეკადის მოახლოვებასთან დაკავშირებით, მსახიობი უტყრად აენტო:

— მსახიობი, რა როლსაც არ უნდა ამზადებდეს იგი, მეორე პლანით უნდა გრძნობდეს, რომ გრძელდება წამთრის სასახლესთან დაწყებული ბრძოლა კომუნოზმისათვის. აი, ამ განწყობილებით უნდა იმუშაოს ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ ჩვეულებრივ სამუშაო დღეს თუ საზეიმო სამწადისისას.

მსახიობმა გამომშვიდობებისას თვითონვე მოგვაგონა ჩვენი წუხანდელი შეკითხვა:

— პირველად 1910 წელს გამოვედი სცენაზე, ასე რომ ჯერ ორმოცი წლისაც არა ვარ, — იხუმრა მან.

### „შინ არის, მუშაობს!“

კავსაძის ქუჩა, № 3, მესამე საღარბაზო, მეოთხე სართული. ადვივართ კიბეზე. მარჯვნივ კარებია, კარებს არ ამშვენებს ქართული ლამაზი წარწერა „ა ლ. ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე“, სამაგიეროდ მეგობრების წარწერებია კარებზე — „გილოცავთ“, „ვიყვავთ და არ დაგვხვდით“, „ლაურეტო, გილოცავთ“, „სად ხარ მთელი დღე? მოსალოცად მოვედით“. ახალ ბინას ულოცავენ ბანქოლაქის, ვაჭარის თვის დილაქს და... „მობრძანდით, სახლშია“... გუნებაში კი გავიფიქრეთ: სახლში რომ არ ყოფილიყო, ჩვენც წავაწერდით კარებზე რაიმეს ფანქრით. ჩვენ მეგობრულად ვართმევთ ხელს ერთმანეთს: „გილოცავთ, კეთილი იყოს ჩვენი ფეხი ამ ოჯახში!“

გვეუბნებოდნენ, რომ ის ჩვენი ახლობელია და ოფიციალურად კი ვართ მოსულნი. ჩვენს გენდა ჩვენს შეხვედრას დაერქვა „მხატვარ ალ. ბანძელაძის ინტერვიუ შურნალ კოსიკის რეპონდენტთან“. ამიტომაც ჩვეულებრივ საუბარს ვამჯობინებთ ახალგაზრდა მხატვართან. ოთახი, სადაც ჩვენ ვსაუბრობთ, სუფთა და ლამაზია, თუმცა ახლა ამ ოთახში შემოქმედება სუნთქავს და მხატვრის მაგიდასთან ზოგი რამ არეულია ისე, როგორც ეს მხატვრებს და პოეტებს სჩვევიათ (თუ გინდათ კომპოზიტორებსაც).

ვსაუბრობთ და გვხარია, რომ ახალგაზრდა ნიჟერი მხატვარს თავისი ცხოვრების ჯერ კიდევ მოკლე მანძილზე მრავალი შესანიშნავი რამ გადახდენია. 1952 წელს გაუთქვა მხატვარს სახელი გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტმა, შემდეგ ბევრ შურნალს ახამოვნა ახალგაზრდა მხატვარმა თავისი მადლიანი მარჯვენით. საკუთრივ სამხატვრო გამოცემა მიეძღვნა დიდი ოქტომბრის მეორე ოცე წლისთავს. აქაც თავი ისახელა ალ. ბანძელაძემ: გამოცენაზე წარადგინა „არსენას“ ლექსისათვის დაწერილი თხუთმეტეტი სურათი (აკვარელი), და მხატვარ ნელი ჩიქოვანის პორტრეტა. ბევრი მოსკოველი სთხოვდა წერტილებით მხატვარ ნელი ჩიქოვანის პორტრეტის მიყიდვას, მაგრამ ავტორი ვერ ელევა სურათს, იგი ხომ ერთ-ერთი საინტერესო ეტაპია მის ცხოვრებაში, თავისებური შესრულებითა და უშუალოებით.

ცხრამეტი იანვრის „პრავდაში“ ხელოვნებათმცოდნე ნატალია სოკოლოვამ ბრწყინვალე სტრიქონები მიუძღვნა არსენას ლექსის შესანიშნავ ილუსტრაციებს.

მხატვარი ყველაზე დიდ შურადღებას მთავარ მოსამზადებელ მუშაობას აქცევს, კერძოდ კომპოზიციას. „არსენას“ ილუსტრაციების ამ მთავარ მოსამზადებელ მუშაობას სამი წელი მოანდომა, რის შემდეგ მუშაობა გაადვილდა და ზოგი ნახატი ორ დღეში იწერებოდა.

ბანძელაძის არც ერთი ნახატი დეტალებით არ არის გადატვირთული, დახვეწილია. არც ერთი შტრიხი ზედმეტი, დიდი ეროვნულობა, სამშობლო ქვეყნის ისტორიის ცოდნა მისი კოლორიტი და ხალხურობით, დიდი სიფაქრე და ფერთა პარმონია — აი ყველაფერი ის, რითაც მოხიბლა ბანძელაძემ მოსკოვის მრავალი ათასი მხატველი და მათ შორის ისეთი ხელოვანები, როგორც იოჰანსონი და შმარინოვა. ახლა დეკადისათვის მუშაობს ბანძელაძე, სურათს პირობითად ასე ჰქვია: „ზამთრის სასახლის კომენდანტი“. ზამთრის სასახლის პირველი საბჭოთა კომენდანტი რატიშვილი ლენინს ესაუბრება, თუმცა ორიგინალურია და ჩინაფიქრიც; როგორ გადაწყვეტს? ამაზე ისევ მოსკოველებს მოუწევთ პასუხის გაცემა, ჯერ ნახატი თითოა — დღისა. ახალგაზრდა მხატვარი როდელ იფიწყებს მშობლიური თბილისის ათას სურათს წელს, მხატვარს მოფიქრებელი აქვს რამდენიმე სურათი რუსთაველის ქუჩისას.

— ჩვენო შურა, ახლა შენ გაემიარჯოს, როგორც კარგ მოქალაქეს და ნიჟერი მხატვარს, გიცოცხლოს მეუღლე და ორი გოგონა! მესამე ვაჟი მოგცეს ღმერთმა!

ამ საუბარში ერთი ბოთლი შამანიურიც გავაქრეთ.

— „საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა“, — ვთქვით ჩვენ ცნობილი წინადადება, ინტერვიუს დამთავრებისას რომ წერენ ხოლმე, და დავემშვიდობებთ ამ ბედნიერ და ხტუმართმყოფარე ოჯახს.

### სადღმრძელო ხელოვნებისა

ყანწი თავისებური მადლია ჩვენი ქართული სუფრისა, თითქმის ისეთივე, როგორც წაწვლილი და ვერცხლის ბალიანი ქამრები ძველი ქართველი კაცისათვის და ახალი მოცეკვავისათვის, ისეთივე, როგორც ძვირფასი სამაჯური და ყელსაბამი ქართველი ქალისათვის; ახალციხის სკოლა ვერცხლის გრხილისა ძველთაგანვე ცნობილი იყო, თითქმის ჩვენამდეც მოაღწია, მაგრამ თანდათან მოისპო და გადაგვარდა; შემდეგ ლეკური ხელობა შემოიჭრა, ქართულ ჩუქურთმას და ორნამენტს დაექადა.

— ბევრს ცდილობდნენ ძმები ჯიქიები და ხანდაშვილი ამ ეროვნული ხელოვნების შენარჩუნებას, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს — ისინი აღარ არიან, — ნაფლიანად თქვა კარლო ქუთათელაძემ და განსაკუთრებით მოიგონა მისი პირველი მასწავლებელი ხანდაშვილი.

კარლო ქუთათელაძემ ოცდაცხრაშობა დაბადებული, თბილისში ცხოვრობს; კაცია და ქუდიც ხურავს; მშობლებიც ჰყავს და ოთხი ძმაც. ზავშვობაშივე იზიდავდა ხატვა პატარა კარლოს. 7 კლასი დაამთავრა თუ არა, 1945 წელს შევიდა სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელში, 1948 წელს დაამთავრა და ერთი წელი იმუშავა გორაკო ხანდაშვილთან მოწავდელ. 1949 წლიდან ოსტატია კარლო და დიდი მონაღმბებით ეუფლება ამ ლამაზ და ფაქიზ ხელობას. 1949 წლიდანვე შეაქვს მისი გაკეთებული ყანწები, ხანჯლები, სამაჯურები; ადრევე დაულოცა ხანდაშვილმა გზა და თავისი მადლიანი მარჯვენა დაანათლა.

1951 წელს წვევამდელი კარლო ქუთათელაძე სამხედრო სამსახურშია, შემდეგ... კარლო არტელ „მხატვრის“ სამაქროში ბრუნდება ოსტატის თანამდებობაზე. ეს ხელობა თითქმის აღსანიშნავი ქართული ორნამენტებითა და ჩუქურთმებით, ხოლო კარლოს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ამ დიდ ღონისძიებაში.

კარლო უთქმელი კაცია და თავისქებაც ნაკლებად უყვარს. სამაქროს გამგე, გიორგი იაშვილი გვეხმარება და ჩვენს საუბარს უფრო ნათელს და ცოცხალს ხდის.

კარლო ქუთათელაძე განსაკუთრებით სწავლობს ბეჟა ოპიზრის შემოქმედებას, რათა ყველა ნაკეთობას ამუშვენდეს ქართული ჩუქურთმა და ორნამენტი. ახალგაზრდა ოსტატი მოაქროვილი კეთისა თავის ნამუშევრებს მსოფლიოს აცნობს.

უამრავი გამოფენა უნახავს მის შესანიშნავ ხანჯალს. მისმა შემოქმედებამ ინახულა სტოკ-ბოლში, ბრიუსელი, ვენა, ლაიპციგი, ზაგრები, პოზნანი, იაპონია... ჩვენში ხშირად ვადღერძებდებით ხოლმე კარგ ხელოვანს, კაცს, რომელიც ესთეტიკურ სიამოვნებას მოგანიჭებს.

კარლო არც თავის ნათესავენებსა და მეგობრებს ივიწყებს. ნელი კონრეიძეს ქორწილში ჯიხვის რქა მიაართვა მოვერცხლოდი, ქართული ჩუქურთმებით, ახალი ოჯახი დაულოცა და — ასე მტერი დაეცალოსო.

ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე რომ ქორწილი იყო, კარლოს გაკეთებული ყანწები ტრიალდნენ ჩვენი მედალოსანი მოცეკვავეებით. საზღვარგარეთ წასულ ჩვენს ფეხბურთელებს კარლოს ნაკეთები ქართული ყანწები მიაქვთ საჩუქრად მასპინძლებისათვის (რისთვისაც ისინი ბურთებით უმასპინძლდებიან და ისე უშვებენ საქართველოში).

საფრანგეთში რომ ასე აქებენ ჩვენს სახელოვან მოცეკვავეებს—კარლოს ნაკეთები ხანჯ-ლები, ბალთები, გულსაკიდები და სამაჯურები უკეთიათ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კოსტუმების მთლიანობისა და სრულყოფისათვის. ახლა კარლო დეკლასათვის ჯიხვის ორ დიდ ყანწსა და ქალის ძვირფას სამაჯურს აკეთებს; ნაკეთობა წმინდა ქართული ჩუქურთმითა და ორნამენტით იქნება შემკული. ჭერმის ხისაგან გამოთლილი საღამურის, ვერცხლის ჩუქურთმებით მოვარაყებუ-ლი, ამერიკასა და ლაიპციგში გაუგზავნია სამღერლად. თბილისის 1500 წელი თავისებური შთა-გონების წყაროა მისთვის, იგი დედაქალაქს მიაართმევს სონჩის დოქითა და ორი ჭიქით. აქაც ცდი-ლობს შემოქმედი ინტელმდვანელოს ბეჟა ოპიზრის პრინციპებით, რომ ნაკეთობაში ჩანდეს ჩვენი ტრადიციული ხელობა.

— დაგვეხმარეთ და მოგვაშველეთ ქართველი ახალგაზრდობა, რათა ხელი შეეწყოს ამ ქეშ-მართლად ნამდვილ ხელოვნებას! — გვითხრა ბოლოს კარლომ.

და ჩვენ ვფიქრობთ, მარტო ჩვენ კი არა, მთელი საქართველოს ახალგაზრდობამ უნდა გაი-ზიაროს შესანიშნავი ხელოვანის აზრისანი ჩანაფიქრი...

ვემშვიდობებით კარლო ქუთათელაძეს და სამაქროს გამგეს გ. იაშვილს იმ პირობით, რომ შურნალ „ციხის“ ფურცლებზე კვლავაც შეგვხვდებით ერთმანეთს.

### კანის ფესტივალის ლაშქრმატი

— შურნალ „ციხის“ რედაქციიდან გელაპარაკებით, დახს... სიამოვნებით... თქვენ თვითონ? ამახ რა აჯობებს... — და ასე, ამრიგად საუბარი გვაქვს ახალგაზრდა კინორეჟისორთან — რევან ჩხეიძესთან.

— შენ მართალი ხარ, რევან, — უთუოდ ბედნიერებაა კინემატოგრაფიაში მუშაობა; იყო პირდაპირი, უშუალო და დიდი ემოციებით ილაპარაკო ყოველივე ადამიანურზე—დიდ სიხარულსა და ტკივილზე.

რევან ჩხეიძე მეტისმეტად სიტყვაძუნწია. იქნებ მისი სიტყვაძუნწობის გამართლება რეჟი-სორობაში უნდა ვეძიოთ — რეჟისორი ხომ უხმოდ ლაპარაკებს თავის ნიჭსა და შესაძლებლობაზე.

ერთი, რაც ასე უცნობი იყო ჩვენთვის, წამოსცდა რევან ჩხეიძეს: სამკოთა ფილმის დემონსტ-რირების დროს ერთი დღის მყურებლის რაოდენობა უდრის მოსკოვის სამხატვრო თეატრის ორივე დარბაზის მყურებელთა რაოდენობას ორმოცი წლის მანძილზე. დიდ მადლობას მოვამ-ხენებთ რევან ჩხეიძეს ამ ახალი ცნობისათვის და გვინდა საუბარი უფრო დავუახლოვოთ საქმეს.

რევან ჩხეიძე, მოვეხსენებთ, ავტორია ორი შესანიშნავი ფილმისა, ერთია „მადლანს ლურჯა“, რომელიც შეტქმნა ნიქიერ რეჟისორ თენგიზ აბულაძესთან ერთად, ხოლო მეორე ფილმი კი — „ჩვენი ეზო“, უშუალოდ მას ეკუთვნის.

„ჩვენი ეზოზე“ ორი საპირისპირო აზრი არსებობდა; ხშირად ასეთი ფილმები, რომელთა შე-ხახულებაც ორი საპირისპირო აზრი იქმნება, შესანიშნავები არიან თავიანთი სიახლითა და ახალი ხატობა გვებით. შეიძლება ეს ჩვენი აზრი იყოს და არც თუ იმდენად შეესაბამებოდეს ქეშმარი-



ტებას, თუმცა ჩვენ ზურგი მაგარი გვაქვს — ამ ფილმის ირგვლივ მოსკოვის მსოფლიო ფესტივალის ვალი გვალაპარაკებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ჩვენი ეწო“ მოსკოვის მაცურებლებმა უფრო შეცვლილი მიიღეს; რეჟისორს გული ეთანადებოდა ამ ფილმის ზოგიერთი ვაჭიანურებული კადრების გამო, ფილმი შედარებით დაიხვეწა და უფრო გაძლიერდა მისი შემოქმედება მაცურებელზე.

მსოფლიო კინოფესტივალზე საბჭოთა კავშირის ექვსი ფილმი იყო წარდგენილი — მათ შორის „ჩვენი ეწო“.

მსოფლიო ფესტივალზე ახალგაზრდა რეჟისორებიდან მხოლოდ ჩხეიძეს ხვდა წილად ოქროს მედალი.

„ჩვენი ეწო“ — ფილმი სიყვარულზე! — ასე მონათლა უიური.

საინტერესოა უიურის ცნობილი წევრების აზრი ამ ფილმისა და მისი რეჟისორის შესახებ. კერძოდ, ინდოელი კინორეჟისორის რაჯ კაპურისა და 150 ფილმის ავტორის, იაპონიის ცნობილი კინორეჟისორის, ჩარლის მოწაფის, უსახარას აზრი.

რაჯოს შეხვედრა ჰქონდა ორივესთან.

რაჯ კაპურთან ერთსაათიანი შეხვედრა მეტად საინტერესო იყო ჩხეიძის ცხოვრებაში, რაჯ კაპურმა ფილმი „ჩვენი ეწო“ მიიჩნია შესანიშნავ ფილმად და თქვა, რომ ეს არის იშვიათი სურათი, რომელშიც სიყვარულის პრობლემა წყდება უშუალოდ. ფილმში პირველ და ცენტრალურ ადგილზეა სიყვარული; კაპურმა დაუმატა, რომ ეს ფილმი საეტაპოა და ყურადსაღები. რაჯ კაპურს ფილმში ყველაზე მეტად მოსწონებია ცეკვა წვიმაში და ბურთის წართმევის მომენტი.

მართლაცდა ცეკვა წვიმაში არის ცეკვა სიკაბუქისა, რომლის მიღმა უდიდესი ბედნიერებაა, ხოლო ბურთის წართმევა არის გაღვიძება სქესისა და ახალგაზრდულობისა ადამიანში.

რაჯ კაპურის აზრით, გ. შენგელაია პერსპექტივაში დიდი მსახიობია. ინდოელმა რეჟისორმა რ. ჩხეიძეს მოკითხვა დააბარა გ. შენგელაიასთან.

კაპურმა გააცნო ჩხეიძეს თავისი მომავალი გეგმები: ინდოელი რეჟისორი გადადგომილია, ორი წლით დასვენებას აპირებს, როგორც მსახიობი, „ხოლო ორი წლის შემდეგ მინდა ვითამაშო როლი ისე, ვერ მიცნოს მაცურებელმა, რომ მე რაჯი ვარ“.

მოსკოვის კინო „ულარნიკში“ კინოფესტივალის დახურვის შემდეგ უსახარა შეხვდა ქართველ რეჟისორს და თარჯიმანის საშუალებით უთხრა: „მე თავს ვხრი თქვენი ტალანტის წინაშე“, თარჯიმანისვე საშუალებით გამოირკვა, რომ ეს სიტყვები ახლა კი არ უთქვამს ცნობილ რეჟისორ უსახარას, არამედ მუსიკე, როცა ფილმი „ჩვენი ეწო“ ნახა (არ გვგონია. რევაზ ჩხეიძეს რაჯისთან და უსახარასთან შეხვედრა ასე დაწვრილებით გადმოეცა, რომ მისივე მეგობარი და ჩვენი უურნალის თანამშრომელი არ დაგვზნარებოდა!).

რ. ჩხეიძის ორივე ფილმი მოსკოვში მიღის დეკადაზე.

ახლა რევაზ ჩხეიძე „მაია წუნეთელზე“ მუშაობს. მოსამზადებელი მუშაობა არ დამთავრებულა, ეძებს მთას, ისეთს, როგორც დაამკაოფილებს ჩვენს მაცურებლის მაღალ გემოვნებას. დაუმბატეო, ვეთხოვა რეჟისორმა, რომ მსახიობი მაიას როლში უდავოდ უნდა იყოს დაჯილდოებული მაღალი აქტიორული ნიჭით (თუმცა რეჟისორმა ოთხი-ხუთი გვარი დაგვისახელა, მინც თავს ვიკავებთ და ვერ ვამხელთ — რა ვიცით, უხერხულად მიგვჩინია!).

მომავალში რევაზ ჩხეიძეს უდავოდ კეთილი სურვილები აქვს. იგი აპირებს ვაჟას პოემების გადაღებას ისე, რომ ქართველმა მაცურებელმა იმგვარივე ემოციებით აღიქვას ეს ფილმები, როგორც აღიქვამს ვაჟას შემოქმედებას.

გამაღობთ, ჩვენო რევაზ, გისურვებთ წარმატებებს!

### ღირიშოროზს ზაქარია ხუროცი

ჩვენი რედაქციიდან რუსთაველზე გახვიდე და ხელმარცხნივ იარო, რადიოკომიტეტში მოხვდე და... ზაქარია ხუროციესთან ვერ მოხვდე... ისევ დაუყვე რუსთაველს, პირველ ასახვევში ხელმარცხნივ შეუხვიო, პირდაპირ კონსერვატორიაში მოხვდე და... ზაქარია ხუროციესთან ვერ მოხვდე... უკმაყოფილომ ჩაუხვიო იქვე პირდაპირ, არა, ცოტა მარცხნივ, ოპერისა და ბალეტის თეატრი ნახო და... ზაქარია ხუროციე ვერ ნახო... შემდეგ ჩაჯდე „ტაქსში“, გახვიდე საბჭოს ქუჩაზე. იქვე მაწუთის ქუჩაა, შემდეგ კი მსროლელისა. მსროლელის ქუჩაზე პირველ ნომერში მიწანში მორატყა და პპოვო, ვისაც ეძიებდი. ასეთი სიზმარი ვნახეთ წუხელ და ამიტომ გადავწყვიტეთ პირდაპირ ბინაზე მივხუთიყვიეთ ახალგაზრდა ღირიშორთან.

— გამარჯობათ...

მივიღეთ პასუხი და მის სახეზე მაღლობა ამოვიკითხეთ მყუდროების დარღვევისათვის.

ჩვენი ახალგაზრდა თაობის ამ ღირსეულ წარმომადგენელს ბავშვობიდანვე უყვარდა მუსიკა. მამის რჩევით თავიდან კლარნეტი აამღერა.

თორმეტი წლიდან ცნობილი პროფესორი ასლანიშვილი ხელმძღვანელობს, შემდეგ პროფესორ დონაძესაც მიუძღვის წვლილი ხუროძის ნიჭიერ მუსიკოსად ჩამოყალიბებაში.

თავიდანვე ოცნებობდა ზაქარია გამხდარიყო დირიჟორი; თუმცა მამის ზოგამა ვერ შეაფასა მუსიკოსის შესანიშნავი მოსაძიებელი, ხუროძე როდი მიეცა სასოწარკვეთილებას: მან ფრიალზე დაამთავრა ხორკესტრო და საკომპოზიციო თეორიული ფაკულტეტები და დიდი რწმენით გაემგზავრა მოსკოვს ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად. ზაქარია ხუროძეს აქვე, თბილისში, უკონკურსოდ იღებდნენ ასპირანტურაში და კლარნეტის კლასსაც აძლევდნენ, მაგრამ გულმა შინც დედაქალაქისაკენ გაუწია.

სადირიჟორზე დიდი კონკურსი იყო: ორ მისაღებ ადგილზე — თხოუმეტი; ამთავან სუყველა უკვე ღირიჟორი იყო, ხუროძის გარდა აქაც ნიქმა თავისი გაიტანა. „საბოლოოდ მე და აწ ვარ დაცვლილი ბულგარელი პავლოვი მოვხვდით კონსერვატორიაში“. პავლოვი შარშან გარდაცვლილა სოფიაში. დირიჟორი დიდი სიყვარულით იგონებს მოსკოვში გატარებულ წლებს: „ეს იყო ჩემი მეორე დიდი სკოლა“. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა მის შემოქმედებაში კონცერტებმა და რეპეტიციებმა ისეთი დიდი დირიჟორებისა, როგორებიც არიან აბენდროტი, ფერერო, უორენ-სკუ, ცეკო, კონვიჩინი, მრავენსკი და სხვ.

— პირველი ჩემი დიდი სკოლა თბილისის კონსერვატორიის სიმფონიურ ორკესტრში განვლილი ორი წელი იყო, — ამბობს ზაქარია ხუროძე.

მოსკოვის ოთხი წელი ზაქარიამ წარმატებით დაამთავრა და იცით, მკითხველო, ეს ოთხი წელი რა ოთხი წელი იყო, დიდი ილიასი არ იყო — ეს იყო უდიდესი ვარჯიში ჭკუნისა და გონებისა. ეს ოთხი წელი იყო სანდო ხიდი, ვადებული დირიჟორისა და ორკესტრს შორის.

შემდეგ ხუროძეს მოსკოვის რადიოს სიმფონიურ ორკესტრში დარჩენაც შეეძლო, მაგრამ ამჯერად, გულმა სამშობლოსაკენ გამოუწია.

1954 წლიდან დღემდე ზ. ხუროძე ხელმძღვანელობს რადიოს პირველ სიმფონიურ ორკესტრს. მოგხსენებთ, რომ იგი საქართველოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორია.

მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი, გარდა რუსი და ევროპელი კლასიკოსებისა, აღევანდელი ქართველი კომპოზიტორების სიმფონიურ ნაწარმოებებს უჭირავს. უმარადესობასთან უშუალო შემოქმედებითი კავშირი აქვს. იგი მრავალი კომპოზიტორის პირველი ინტერპრეტატორი და შემსრულებელია. აი ისინიც: ჩიმაკაძის კანტატა „ქართლის გული“, თაქთაქიშვილის „მწირო“ — სიმფონიური პოემა. მშველიძის სიმფონიური პოემა „მინდია“ (ახალი რედაქციით), „პოლიფონიური სიუიტა“, ბალანჩივაძის სიმფონიური სურათი „დენეპირი“, შავერზაშვილის სიმფონიური ბალადა „1905 წელი“, თედორაძის სიმფონია ნომერი პირველი და სხვ. აღსანიშნავია მისი შემოქმედებითი მერგობობა კომპოზიტორ ს. ცინცაძესთან; კინოფილმების „ბაში-აჩუკის“, „აბეზარას“, „ოთარანთ ქვრისის“, „ქალის ტვირთის“ მუსიკა ეკუთვნის სულხან ცინცაძეს, დირიჟორობს ზაქარია ხუროძე.

ამჟამად იგი მუშაობს ბუკიას ოპერაზე „არხენა“, რომელსაც, დირიჟორის აზრით, ბრწყინვალე პერსპექტივები აქვს. ასევე შემოქმედებითს პროცესშია ცინცაძის II სიმფონია.

დეკადაზე საქართველოს სიმფონიურ ორკესტრს ზაქარია ხუროძე უხელმძღვანელებს; ორკესტრი შეასრულებს ჩიმაკაძის კანტატას „ქართლის გული“, მშველიძის სიმფონიურ პოემას „მინდია“, შესრულებული იქნება, აგრეთვე, ბალანჩივაძის მესამე საფორტეპიანო კონცერტი და ბერლიოვის სამი ნაწყვეტი „ფაუსტიდან“.

თბილისის 1500 წელთან დაკავშირებით ქართველი კომპოზიტორები დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ; მშველიძე წერს სიმფონიას „ვეფხი და მოყმე“, ჩიმაკაძე გრანდიოზულ მუსიკალურ დრამატულ ნაწარმოებს „ვეფხისტყაოსანს“. „ვეფხისტყაოსანს“ შეასრულებენ სიმფონიური ორკესტრი, კაპელა, ცალკეული სოლისტები და დრამატული მსახიობები. ამ ნაწარმოებს უღირიჟორებს ზაქარია ხუროძე.

ჩვენ ვამთავრებთ საქმიან საუბარს, მაღლობას ვუხდით გულწრფელი საუბრისათვის, მოვდივართ რედაქციაში და გზად ვფიქრობთ: სად არ ნახავ ამ დაუღალავ, ენერგიით სავსე ნიჭიერ ახალგაზრდას — რადიოკომიტეტში მიხვიდე — ნახო, კონსერვატორიაში მიხვიდე — ნახო, ოპერისა და ბალეტის თეატრში მიხვიდე — ნახო.

ბარაქალა შენს მარჯვენას, კარგო დირიჟორო!





ანზორ კვანავა

## გენთა შეიარაღებული აჯანყება საჩხერის რაიონში 1918 წელს

თებერლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ქართველი გლეხობა ამოდ ელოდა თავისი ზღვოპარეობის გაუმჯობესებას. თითქმის ყველაფერი უცვლელად დარჩა. მემამულეები ძველებურად ახდევინებდნენ გლეხებს გადასახადებს, ახალმოკლენილი მენშევიკი კომისრები კი ძალმომრეობით მახრის წინანდელ უფროსებსა და ბოქაულებს არ ჩამოუვარდებოდნენ. რაც დრო გადიოდა, გლეხთა მოთმინებაც იწურებოდა. გლეხობა რევოლუციურად იყო განწყობილი, მაგრამ აჯანყებას ხელმძღვანელები ესპეკირებოდა და, აი, გლეხობამ იმედიანი თვალი მიაპყრო ფრონტიდან დაბრუნებულ „გაბოლშევიკებულ“ ჯარისკაცებს, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციისა და მისი ისტორიული შედეგებას უშუალო მოწმენი იყვნენ.

მენშევიკებს მხედველობიდან არ გამოაზრვით ეს და ვადაწყვიტეს საჩხერის რაიონში მოეწვიათ ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა თათბირი. თათბირზე, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა, მენშევიკებმა წამოაყენეს მოთხოვნა, რომ ყოფილ ჯარისკაცებს დაებრუნებინათ ფრონტიდან გამოყოლილი იარაღი და ტანსაცმელი, მაგრამ მენშევიკების თათბირს შედეგი არ მოჰყოლია.

1918 წლის 14 იანვარს მენშევიკი ჯუღელი 34 კაცისაგან შემდგარი რაზმით ჩავიდა საჩხერეში და რამდენიმე სოფელი გადაწვა.

რევოლუციურად განწყობილმა გლეხობამ და ბოლშევიკი ჯარისკაცების კრებამ, რომელიც 1918 წლის იანვარს საჩხერის ეკლესიის ეზოში იქნა მოწვეული, მოითხოვა, რომ მენშევიკებს განხორციელებინათ საბჭოების სრულიად-რუსეთის მეორე ყრილობის მიერ მიღებული ყველა დეკრეტი. ჯარისკაცებმა განუმარტეს გლეხებს რუსეთში მომხდარი ამბები.

კრების შემდეგ გაიშალა სოფლად საავტოციო მუშაობა: ბოლშევიკი ავტორიტეტი მოსახლეობას აცნობდნენ შექმნილ სიტუაციას და რაზმადნენ აჯანყებისათვის.

ქართველი ხალხი ყოველდღიურად ადევნებდა თვალს საბჭოების ქვეყანას — ვრცელ რუსეთს, იქ მომხდარ დიდ გარდატეხებს: 1918 წელს რუსეთში კულაკთა 50 მილიონი პექტარი მიწა გლეხებს დაურიგდა, კულაკებს კონფისკაციის წესით ჩამოერთვათ წარმოების საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ღარიბების სასარგებლოდ და ა. შ. ყოველივე ეს საუკეთესო მასალას წარმოადგენდა ბოლშევიკი ავტორიტეტისათვის.

საქართველოს მშრომელები აშკარად გრძნობდნენ რუსეთთან კავშირის გაწყვეტით გამოწვეულ მიიმე შედეგებს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა აღედგინათ კავშირი რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან. ამ გზას მტკიცედ ადგნენ საჩხერის და კიათურის რაიონების მშრომელი მასებიც. აი, რას წერდა ამის შესახებ ვაჭეთი „ბრძოლა“:

„კვირას, 14 იანვარს, ჩვენ, მთელი კიათურის რაიონის ჯარისკაცთა წარმომადგენლები, შევიკრიბეთ და დავადგინეთ შემდეგი: რუსეთის დღევანდელი მთავრობა ეს არის მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცთა მთავრობა. ჩაგრულმა ხალხმა პირველად იხილა მთელი რვა თვის განმავლობაში ნამდვილად მისი ინტერესების გამოხატველი ორგანო, ამიტომ მას ალტაცებით ვეგებებით და აღუთქვამთ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძობლებთ ყოველგვარი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც მის დასანგრევად იქნება მიმართული“<sup>1</sup>.

ქართველი ხალხი ერთხმად აცხადებდა: ...ჩვენ მივდივართ, რომ შევეუბრდეთ ჩვენ ძმებს, რუსებს, რომლებსაც მენშევიკებმა ჩამოგვაშორეს“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ვაჭ. „ბრძოლა“, № 25, 1918 წ.

<sup>2</sup> რეც. მატანიე, № 2, 1926 წ.

მენშევიკურმა მთავრობამ 25 ივნისს საჩხერა რაიონში გაგზავნა ცხენოსანთა რაზმი შორანის მახრის მილიციის უფროსის კ. გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით. საჩხერეში გაჩეჩილაძემ დააპატიმრა რამდენიმე კაცი, ხოლო გლეხობას და ფორნტელ გარისაკეცს იარაღის ჩასაბარებლად სამი დღე მისცა. რევოლუციური შტაბი დაპირდა იარაღის ჩაბარებას — მას უნდოდა დროის მოკე-ბა. სასწრაფოდ მოწვეული იქნა რევოლუციური შტაბის გაფართოებული სხდომა, რომელმაც დაადგინა, რომ აჯანყება დაიწყებოდა მილიციის რაზმზე თავდასხმით, თან თადარიგს დაიჭერდნენ მენშევიკურ გვარდიასთან შესაბამისობადად. ეს გადაწყვეტილება ეცნობა ყველა სოფლის ქვე-შტაბებს.

აჯანყებულებმა 28 ივნისს, ღამით, იყუა შე-მორატყეს გაჩეჩილაძის ცხენოსანთა რაზმს. მკი-რე წინააღმდეგობის შემდეგ რაზმი განიარაღე-ბული აღმოჩნდა, ხოლო გაჩეჩილაძემ და რამდე-ნიმე რაზმელმა გაქცეული უშველა თავს.

ამის შემდეგ რევოლუციურმა შტაბმა დაიკავა ხადგორი საჩხერე (ჩრდილგა, ფოსტა-ტელეგრა-ფი, კომისარიატის შენობა და სხვა). 28 ივნისს, დილის 9 საათზე, რაიონში საბჭოთა ხელისუფ-ლება გამოცხადდა, შეიქმნა რევოლუციური კო-მიტეტი, რომლის პირველი ბრძანება რევოლუცი-ური წესრიგის დაცვას მოითხოვდა.

კომიტეტმა სოფლებში შექმნა რევეკომები. პირველი ღონისძიება, რომელიც რევეკომმა გაა-ტარა, იყო მიწების გადაცემა გლეხებისათვის და მენშევიკების ხელისუფლების ორგანოების გა-უქმება.

მენშევიკებმა დაიწყეს ენერგიული ზომების მიღება საჩხერის გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად. მათ რამდენიმე ეშელონი გააგზავნეს სადგურ-კითათრამდე. მენშევიკების გვარდიას, რომელიც 1.000 კაცისაგან შედგებოდა, ხელმძღვანელობ-დნენ პოლკოვნიკი ინჟინერი, კაპიტანი იშნე-ლი და კაპიტანი ფხაკაძე. დამსჯელ რაზმს ახლ-და არტილერია. ეს ძალა საქმარისი იყო საჩხე-რის სუსტად შეიარაღებულ გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად, მით უმეტეს, მენშევიკებმა დამატე-ბით მთილის დამხმარე ძალები.

ქობისის გუბერნიის კომისარი საქართველოს შინაგან და სამხედრო საქმეთა მინისტრს სწერ-და: „საჩხერეში 1000-მა შეიარაღებულმა ფრონ-ტელმა, რომელთა განიარაღებას შეუდგა მილი-ცია, სოფლებში მიიტყუეს მილიციონერები და გაუსხნეს ცეცხლი. მოკლეს ორი და დაჭრეს ორი. სულ 60 კაცი ვერ აღუდგეკით, და დავიზიეთ უკან ჰეიარისაკენ. საჩხერე დაიკავა ზანდამ. როდესაც შევიტყუეთ, რომ ზუგდიდში არ სჭარ-დებოდათ დახმარება, გავგზავნეთ არტილერიისტ-თა რაზმი კაპიტან იშნელის მეთაურობით, ოფი-ცრები მე-12 პოლიდან და ცხენოსანთა რაზმი ფხაკაძის მეთაურობით იქნა გადასროლილი. ის-ის იყო მივედით დარკვეთში და დაიწყო ოპერა-

ციები. დიდი დახმარებაა საქმარო. მიემართებ ქუ-თაისსა და სენაკს. ველოდებით ბორჯომის ტყვიამფრქვევთა რაზმს“<sup>1</sup>.

მენშევიკების გვარდია კითათრიდან საჩხერი-საკენ ორი გზით გაეშურა: ერთი ნაწილი გაე-მართა სოფელ სარეკეში, საიდანაც არტილერია დაიწყო მოქმედება, მეორე ნაწილი კი სოფელ-ქორეთისაკენ, საიდანაც ბრძოლთ გაიარა სოფე-ლი კალაურთა და არტილერიის ცეცხლი დაუ-შინა საჩხერეს, „მოლი ნახეს“ ციხეს. ბრძოლამ 12 საათს გასტანა. მენშევიკების გვარდია შეე-და საჩხერეში. რევოლუციური გლეხობა ბრძო-ლით იხვედა უკან. სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა ძალები გადააჯგუფა — გლეხობა დაჰყო ასეულუბად და გამოუყო ხელმძღვანელები.

საჩხერელ აჯანყებულებს დიდი დახმარება აღმოუჩინა კარავა შეიარაღებულმა 200 კაცმა გო-რის მახრიდან, რომელთაც ხელმძღვანელობდა ყორნისის გლეხთა აჯანყების მთავარე; ისაკ ნა-რებოვი.

აჯანყებული გლეხობა უეცრად თავს დაესხა მენშევიკურ გვარდიის სოფელ დარკვეთსა და სა-ჩხერის შუა, იმავე დროს დაეცნენ სოფლებს: სავანეს, ჩინას, ორულუსა და იმაწმინდას (ახ-ლანდელი წითელი სოფელი). ამ მოულოდნელმა თავდასხმამ გვარდიელებს დიდი დანაკლისი გა-ნაცდევინა. მენშევიკების სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ ლანჩხუთიდან საჩხერეში სასწრაფოდ გაგზავნა ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით შე-იარაღებული 50 კაცი. გამხცეხული მენშევიკე-ბი არ ინდობდნენ არავის: მათ მოკლეს 90 წლის მოხუცი მწყემსი მიხა ძუსოშვილი; სოფ. სავანე-ში დააპატიმრეს დიმიტრი კვამლაძე — გაბატონ-ლეს, მაიკრეს ხეზე და კონდახებით სცემეს, შეკ-დეგ თვალწინ გადაუწვეს საცხოვრებელი სახლი და ა. შ.

მენშევიკთა „სახალხო“ გვარდია მოქმედებდა ხალხის წინააღმდეგ, იგი იცავდა მხოლოდ და მხოლოდ თავდაზნაურობისა და შემართულების ინტერესებს, რის გამოც მას გლეხობამ ზავად-ზნაურთა გვარდია უწოდა. გვარდიამ საჩხერის რაიონში შემოიღო საველე სასამართლო, რომელიც განუზომელი უფლებებით სარგებლობდა. ამ სასამართლომ მხეტარად, დუქითხავად, სიკე-დილით დასჯა 6 კაცი — თითქმის ყველა ყო-ფილი ჯარისკაცი და ლატაკი გლეხი.

გვარდიამ ახალი ძალით შეუტია აჯანყებუ-ლებს. იგი იყენებდა არტილერიას და ტყვი-ამფრქვევებს. სოფელი ჩინა მთლიანად გადაწვეს არტილერიის ცეცხლით. აჯანყებულებმა უკან დაიხიეს, რევოლუციური შტაბი საჩხერიდან გა-დაიტანეს სოფელ ჩინაში, კაპანაძის ბინაზე, შემ-დეგ კი სოფ. ჭალაში.

მენშევიკური მთავრობის მხეტური მოქმედე-ბით აღმფთვებულმა რევოლუციურმა შტაბმა

<sup>1</sup> საქ. ორც. ფ. 11, საქმე 625, გვ. 31.





ულტიმატუმით მიმართა საჩხერეში მოთარეშე ე. წ. „სახალხო“ ზეარდიის შტაბს, შეეწყვიტა სამხედრო მოქმედება, გაეყვანა გვარდია რაიონიდან და გაეთავისუფლებინა გლეხები.

ულტიმატუმმა ძალზე შეაშფოთა მენშევიკთა ბანაკი, მაგრამ იშხნულმა და მისმა რაზმმა ამ მართვაზე ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით უპასუხა, ხოლო მენშევიკმა ფსაკაქემ „თავხელი“ დელეგაციის წევრთა შეპყრობაც კი მოიწადინა და აჯანყებულებს განუტყაბდა, იარაღი დაყარო და დაიშალეთო.

აჯანყებულებმა დაიწყეს მზადება ბრძოლის განახლებისათვის, თავიანთი ძალების მობილიზაცია მოახდინეს და საჩხერეს შეუტეეს სამი მამართლებით: 1. სამხრეთით — მღ. ყვირილას მხრიდან, კობოზულიდან მოსული ძალებით, რომელთაც ხელმძღვანელობდა სანდრო აბრამიშვილი, 2. აღმოსავლეთით — მდინარე ჩხურის მხრიდან, ალექსანდრე მეტეხარიშვილის ხელმძღვანელობით და 3. ჩრდილოეთით — „მიღი ნახეს“ ციხიდან, ბაგრატ ზედდელიძისა და დავით ბაზაშვილის მეთაურობით. აჯანყებულთა მთავარ მიზანს შეადგენდა დაბა საჩხერის რკალში მოქცევა. მენშევიკები აღარ მოელოდნენ შეტევას, ბრძოლა შეწყვეტილი იყო ულტიმატუმების გაცეცხის გამო. იშხნელის ბანაკს სჯეროდა, რომ აჯანყებულები სიმცირის გამო თავდასხმას აღარ გაიმართებდნენ, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო — აჯანყებულებმა მოულოდნელად დაარტყეს. ისინი სწრაფი ტემპით იწვედნენ წინ, მათ წინსვლას აბრკოლებდნენ საჩხერის ეკლესიის სამრეკლოზე გამაგრებული მეტყვიამფრქვევები, მაგრამ აჯანყებულებმა, განსაკუთრებით ზედდელიძისა და ბაზაშვილის ჯგუფმა, სწრაფი იერიშით ჩააჩუმეს ტყვიამფრქვევები. იშხნელის ბანაკმა აჯანყებულებს არტილერიის, ცეცხლი დაუშინა და უკან დაახევინა. ცეცხლის აღში გაეხვია სოფლები: ჩიხა, ორდული, საკონია, სპეთი, სავანე, ჭორვილი და სხვა. იწვოდა გლეხთა სახლები.

მენშევიკი პროვოკატორები ათასნაირ ხმებს ავრცელებდნენ საჩხერის აჯანყების შესახებ. ასინი უსირცხვილოდ მიმართავდნენ ხალხს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ დამტკიცებინათ საჩხერის აჯანყების კონტრრევოლუციური ხასიათი, ხოლო თავი გამოყავდათ ხალხის ინტერესების მსახურად.

დემაგოგიური შოწოდებით მენშევიკებს სურდათ შეეჩერებინათ ის დიდი სახალხო აჯანყება, რომელშიც საქართველო იყო განგეული. უცხოე-

თის ჯარის ხიშტებზე დაყრდნობით ისინი საკუთარ ქმათა სისხლს ღვრიდნენ.

რკპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტი მოუწოდებდა აჯანყებულ გლეხებს, იარაღი არ დაეყარათ და ებრძოლათ მენშევიკების წინააღმდეგ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მათი მოწოდებით გლეხობა ახალ ძალას და ენერგიას იძენდა ძირს მენშევიკების ჯალათები და მკვლელები! გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს კომუნისტურ რევოლუციას! — ბოლშევიკების ეს მოწოდება ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა საქართველოს ყველა კუთხეში და მხარდაჭერას პოულობდა.

თუმცა აჯანყებულები თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ უფრო და უფრო ძნელდებოდა ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული „თავადაზნაურთა“ გვარდიის ცეცხლის გამტარება.

მდგომარეობა დღით-დღე უარესდებოდა. აჯანყებულთა ნაწილი იძულებული გახდა დეტრევიზინა საჩხერის რაიონი და გადასულიყო სამხრეთ ოსეთში, ნაწილმაც თავს უშველა მთებში გახიზნვით. საჩხერის გლეხთა აჯანყება გაგრძელდა სრული ერთი თვე — 28 ივნისიდან 28 ივლისამდე. მენშევიკებმა გააუქმეს გლეხთა საბჭოები და საჩხერეს ისევ მოეკლნენ ყოფილი პოლიციელები და ოფიცრები.

მენშევიკურმა გვარდიამ დიდი ზიანი მიაცენა საჩხერის მშრომლებს: გადაწვეს რამდენიმე სოფელი, დაწვეს 45 სახლზე მეტი, გაუსამართლებლად დახვრიტეს 28 კაცზე მეტი, ციხეებში გაგზავნეს 80 კაცზე მეტი და მრავალი კიდევ ბრძოლაში დაიღუპა.

საჩხერის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ აჯანყებული გლეხობა სულერიად არ დაეცემა. მას სწამდა, რომ ხალხი, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, საბოლოოდ მიინც გაიმარჯვებდა.

საქართველოს მშრომელი მოსზღლეობა ილტვოდა მტკიცე კვშირი შეეკრა სოციალისტურ სახელმწიფოსთან, დიდ რუსეთთან შეეკავშირებინა თავისი ძალები და ხელსაყრელ პირობებში დავმხო მენშევიკური მთავრობა. და აქი ასეც მოხდა!

დიდი რუსი ხალხის დახმარებითა და წინააღმდეგობის მხარდაჭერით ქართველმა ხალხმა 1721 წლის 25 თებერვალს საქართველოში თავისუფლებისა და ბედნიერების წითელი დროშა ააფრიალა.



## გუგა გუგუნიძე

# „კოლხეთის ცისკარი“ გმირები

ცნობილმა ქართველმა საბჭოთა მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ შემოქმედებითი ცხოვრება თუმცა პოეზიით დაიწყო (და უნდა გავიხსენოთ, უდავო წარმატებაც ჰქონდა), საყოველთაო აღიარება პროზის დიდოსტატობით მოიპოვა. მისი შესანიშნავი მოთხრობები და რომანი „კოლხეთის ცისკარი“ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა.

შეუძლებელია ვინმე ოდნავ მიინც გულგრილი იყოს ლორთქიფანიძის განსაცვიფრებელი ოსტატობითა და ღრმა გრძნობით დაწერილი მოთხრობებისადმი, მაგრამ ეს როდი გვოსლის ხელს ვაღიაროთ ის უცილობელი ფაქტი, რომ მწერლის შემოქმედებაში უპირატესი მნიშვნელობა „კოლხეთის ცისკარს“ ენიჭება. ამ განცხადებაში ვგონებ არ უნდა ჩანდეს ნასახიცი კი იმ ერთგვარი გულცივობისა მცირე ფორმის პროზაული ნაწარმოებების მიმართ, რომელსაც ამ ბოლო ხანებში ძალზე (და სამართლიანადაც) ემდურებიან მწერლები და კრიტიკოსები. თუ შეიძლება ასე ითქვას, ლორთქიფანიძის შემოქმედება პროზაული ქანრების თანაფარდობის პრაქტიკულ ნიმუშადაც კი გამოდგება, სადაც ესოდენ დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ისეთ უაღრესად პოპულარულ ქანრს, როგორცაა მცირე ფორმის მოთხრობები და ამასთანავე დაიწყებული არ არის ლიტერატურისათვის რომანის, როგორც სინამდვილის ღრმა და ყოველმხრივი ასახვის საშუალების გადამწყვეტი მნიშვნელობა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში რომ „კოლხეთის ცისკარს“ განსაკუთრებულ ადგილს უჭირავს, ამას თვით მწერალიც გვაგონობინებს რომანისადმი თავის შეუწებელი ყურადღებით. მიუხედავად იმისა, რომ რომანი

თავიდანვე მაღალი შეფასება მიიღო<sup>1</sup>, მწერალი კვლავ დიდხანს მუშაობდა მასზე, ყოველი ახალი გამოცემისათვის ხვეწდა და სრულყოფილი ნაწარმოებს. მართალია, რიგი მწერლებისა უარყოფითად ეკიდება გამოცემული ნაწარმოების შემდგომი დამუშავების საქმეს, და ამ საკითხში ისეთი დიდი ავტორიტეტებს მოსაზრებებსაც კი იშველიებენ, როგორცაა, მაგალითად, გოეთე, მაგრამ ჯერ ერთი, ზოგიერთ დებულებას ვერც ავტორიტეტები შეველიან, და მეორეც, გამოცემული ნაწარმოების შემდგომი დახვეწა თუ გადამუშავება მწერლის შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებაზე დამოკიდებულია და ამ საკითხში ერთ-ერთი აზრის დაცვას არ უნდა იყოს სწორი. არ შეიძლება აიძულო მწერალი უღალატოს თავის შემოქმედებითს პრინციპებს და განაგრძოს მუშაობა გამოცემულ ნაწარმოებზე თავისი სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ არა ნაკლებ მცდარი იქნება დაუწუნო მასვე ნაწარმოების შემდგომი დახვეწისა თუ გადამუშავების ცდა. ამ უკანასკნელის დაღმბითს შედეგზე მრავალი მაგალითი მოგვთვება ლიტერატურას. შოლოხოვისათვის დამახასიათებელია ნაწარმოებზე ხანგრძლივი მუშაობა არა მარტო მის გამოცემამდე, არამედ შემდეგაც. თითქოს მისი რომანები ყველაზე ნაკლებ საჭიროებდნენ დახვეწას, მაგრამ მწერალმა არ მიაჩნდა მათ თავი მას შემდეგაც კი, რაც საყოველთაო აღტაცება გამოიწვიეს. და განა არ მოიგეს ამით „წყნარმა დონმა“ და „გატეხილმა ყამირმა“? კონსტანტინე ლორთქიფანიძის შეუწებებელმა ყურადღებამ თავისი რომანისადმი ის შედეგი გამოიღო, რომ „კოლხეთის ცისკარი“ ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრუ-

1 აქ მხედველობაში არ არის მისაღები ის რამდენიმე მცდარი, ვულგარიზატორული კრიტიკული წერილი, რომელშიც უარყოფითად იყო შეფასებული რომანი. მაგ. შ. შავგულიძის წერილი ლიტერატურულ გაზეთში № 1, 1935 წ.



ლი ნაწარმოებია მთელს საბჭოთა ლიტერატურაში, თარგმნილია უცხო ენებზე, მისი მაღალი დირსება აღიარებულია არა მარტო სოციალისტურ ქვეყნებში, არამედ დასავლეთშიც.

სახალეო ცხოვრებისეული მოვლენების მასშტაბურობა, მთელი რიგი აქტუალური პრობლემების მართებული ვადწყვეტა და, რაც მთავარია, ყოველივე ამის დიდი მხატვრული ოსტატობით ვადმოცემა „ქოლხეთის ცისკარს“ ქართული პროზის განვითარებაში საეტაპო ნაწარმოების მნიშვნელობას ანიჭებს. რომანში ნათელი გამოხატულება ჰპოვა მწერლის ოსტატობის სხვადასხვა მხარემ, მაგრამ ყველაზე მეტად გვანცვიფრებს ფსიქოლოგიური პორტრეტების გამოვეთვის შესანიშნავი უნარი. მწერალმა შექმნა კოლექტივიზაციის პერიოდის სოფლის ადამიანების ტიპური სახეთა მთელი გალერეა. იგი თანაბარი მონღომობითა და პასუხისმგებლობით ძერწავს ყოველ სახეს და ამის შედეგია, რომ ცენტრალურ გმირებთან ერთად სრულყოფილად და ცოცხლად დახატული ასლან მარკველიძისა და გიორგი ჯოშყარიანის, ბარნაბე საგანელოძისა და დახუნდარას, რდვიანასა და ბაქუსს თუ სხვათა სახეები, რომლებიც დიხანს რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში. თვითეული მხატვრული სახე ამ რომანისა სერიოზული მსჯელობის დირსია, მაგრამ ჩვენ აშკარად მხოლოდ მექისა და ტარისა ხანზარაძეს შევეხებით.

„ქოლხეთის ცისკარი“ სოფლის მოჯამაგირის მექი ვაშაკიძის ცხოვრების კერძო მაგალითზე მწერალი დიდი დამაჯერებლობით გვიხსნის უღელსასწილი გლახობის შემოქმედებითი ენერჯის მთელ სიძლიერესა და სიდიადეს. სოფლად მომხდარი სოციალური ძვრების მხატვრული სურათები წარმოადგენენ იმ აუცილებელ ფონს, ურომლისოდაც გაუგებარი დარჩებოდა ცენტრალური გმირის გარდაქმნის მიზეზები. ამიტომაც მწერალი არ იზღუდება მექის მხატვრული ბიოგრაფიით და ხატავს სოფლის ცხოვრების ფართო სურათებს, მოქმედებაში შემოქმედის მთელი რიგი უღერესად თავისებური ხასიათისა და ფსიქიკის გმირები, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების ტიპურ სახეებს წარმოადგენენ და, ერთად აღებულნი, მშვენივრად გვიხსნიან თვითონ კოლექტივიზაციის პერიოდის სოფლად მომხდარი გარდატეხის რთულ პროცესს. მაგრამ ამ გარემოებაში რთული უნდა შეგვიყვანოს შედომავში, როგორც ეს ზოგიერთის მხლდის — მიუხედავად მთელი რიგი მნიშვნელოვანი მხატვრული სახეებისა, რომანის ცენტრალურ გმირად მექი ვაშაკიძე რჩება, სწორად მისი ბედია მწერლის ყურადღების ცენტრში და სხვა ყველა და ყველაფერი ამ საკითხის მხატვრულ ვადწყვეტას ექვემდებარება.

ყოველ მხატვრულ სახეს აქვს თავისი ლოგიკური განვითარება, რომელსაც თვით შემოქმედ-

ნიც კი ემორჩილებიან. მხატვრული სიტყვის უღიდეს ოსტატებს არა ერთხელ უღიარებიათ თავისი უძღურებებისა ხანის ლოგიკური განვითარების წინაშე, რასაც ხშირად დაუნდობლად დაურღვევია მათი წინასწარი ჩანაღქირი და გვეგები. კონსტანტინე ლორთქიფანიძის მწერლური ნიჭი და ალღო ძლიერად მედავდება იმაშიც, რომ კარგად ესმის მხატვრული სახის განვითარების ტენდენცია და არასოდეს ეწინაღღმდეგება მას. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა მექის სახე.

მოქმედების დადაწყისშივე ნათელი ხდება თუ რა მწარეა სოფლის მოჯამაგირის მექის ხვედრი. იგი ხშირად სასაცილო მღღამარეობაშიც კი ვარდება, მაგრამ მკითხველი ყოველთვის უთანაგრძნობს მას, რადგან ამის მიზეზი მექის ჭკუისუსტობა კი არ არის, როგორც ამას სხვისი შრომით რჩენას მიხვეულები ფიქრობენ, არამედ ცხოვრებისაგან ვაწამებულ ადამიანის უსახღვრო სურვილი, თავი დააღწიოს უუფლებო, მღღამარეობას, აიცინოს სოფლის ლაზღანდარების გესლი და დაიცნვა. გუვს ვარეშეა, მექის უხადარეუი ყოფა აიხსნება მისი სოციალური მღღამარეობით, რაც ყველგვის ვარდა თითქოს დაიცნვის, აბუჩად ავღების უფლებასაც აძღვეს შეძლებულთ. მართალია, მექი მოჯამაგირის ცხოვრების სიმძიმისგან სულიერად გატეხილა და დამაბუნებულა, მაგრამ ადამიანური ცხოვრების სურვილი ძლიერია მასში. იგი სასოებით იცნებობს საკუთარი კერის შექმნაზე, პატარა ბავშვის ტიტიწზე, იმ სიამოვნებაზე, რომელსაც მამაკაცს მეუღლის მზრუნველობა ანიჭებს. იგი იმდენადა მოწყურებულ დამოუკიდებელ არსებობას, რომ მეზობლად მოსახლე გლეხების დავასაც უი სიამოვნებით ადევნებს თვალს და გულწრფელად და გულუბრყვილოდ შენატრის მათს მღღამარეობას.

ჩვენი იმედი, რომ მექი არ დამარცხებულა საბოლოოდ და იგი კიდევ შეებრძოლება სამეჯდრო-სასოციალლო უკუღმართ ცხოვრებას, მართლდება. მართალია, მექის გზა არ არის სწორი, მაგრამ, რაც მთავარია, იგი იწყებს მოქმედებას. შეუნელებელი ინტერესით ვადვენებთ თვალს მექის, რომელიც უღელი ხარის საყიდლად ფულს აგროვებს. მექი ჩვენ თვალწინ იცვლება, იგი ცხოვრების მიზანს პოულობს. რადღენი მხატვრული სიმართლა ბაზრობის სცენაში, სადაც მექი ჯერ კიდევ მსუბუქი ქისით ჯობეში საქმიანად დაბიჯებს და კარგი მყიდველივით გულმოდგინედ ათვლიერებს გასაყიდად მორეკილ საქონელს. ორი წელი ცხოვრობდა მექი ამ ოცნებით, მაგრამ დაგროვილი თანხა ძალზე მცირე აღმოჩნდა და მექის სასოწარკვეთასაც საზღვარი არ აქვს. მას ვერ მოუწახავს სხვა გამოსავალი თავისი უხადარეუი მღღამარეობიდან, ენერჯია დაღლია, ცოტა ხნით გავდიქებულა თავმოყვარეობის ნასახიც აღარ დარჩა, და-

ნაზოგი დახუნდარასთან ლოთობით მალე განიზა და კვლავ ერემოს მორჩილი მსახური გახდა. ამით მთავრდება მექის ხასიათის განვითარება მისი მოჯამაგირეობის პერიოდში.

მწერალი იშვიათი ისტატობით ხატავს მექის სახეს, გვაძლევს საშუალებას ღრმად ჩაეწვდეთ გმირის სულიერ საქაროს, გავერკვეთ მის შინაგან განცდებში, რომლებიც, ასე მოხლავიანება მართხელა ქაბუსს. განვითარების ამ ეტაპზეც რომ დასმოდა წერტილი მექის სახეს, იგი მაინც ექნებოდა ერთი საუკეთესო ფსიქოლოგიური პორტრეტთაგანი ქართულ ლიტერატურაში. მოქმედების განვითარების ამ ეტაპზეც ჩვენ წინ თითქოს მხატვრულად უკვე დასრულებულ სახეს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს ასე, სინამდვილეში მწერლის ჩანაფიქრი და სახის ლოგია არავითარ შემთხვევაში არ იძლევა აქ წერტილის დასმის საშუალებას. მოქმედება უნდა გაგრძელდეს, მექის ბედმა უნდა დაგვარწმუნოს ცხოვრების უძლველობაში, მწერალმა უნდა გვიჩვენოს ის ძალა, რომელსაც შეუძლია მექისთანა ხალხის ოცნებების სინამდვილედ ქცევა, მათი „შრომის ახსნა“, ცხოვრების სწორი და ნათელ გზაზე მათი გამოყვანა. რასაკვირველია, მწერალს შეეძლო თვისი გმირის დაღუპვით დემთავრებინა რომანი, ოცნებადამსხვრეულ მექის შეიძლება სულ სხვა ბედი რგებოდა. მაგრამ მაშინ მწერალს ცხოვრების სწორი მხატვრული სურათის გადმოსაცემად ახლის გამარჯვება გმირის ტრაგიკული ბედის ფონზე უნდა გამოეკეთა, როგორც აქეს, მაგალითად, „წყნარ დონში“ შოლოხოვს. ასეთ შემთხვევაში რომანის სიუჟეტი სულ სხვაგვარად უნდა აგებულიყო, მხატვრულ სახეთა სისტემა სხვაგვარად დალაგებულიყო. ავტორს სხვა ჩანაფიქრი აქვს, რომანის გმირის ცხოვრების მაგალითზე გვიჩვენოს ახლის დაუძლელობა. მექის სახე არ შეიძლება ტრაგიკულად დასრულდეს, იგი განვითარებას მოითხოვს და მწერალიც ემორჩილება რეალისტური სახის ძლიერ ლოგიკას.

მოუხედავად იმისა, რომ ლორთქიფანიძე „შეზღოვდა“ მხატვრულ სახეთა ლოგიკით და მოქმედების ბუნებრივ მდინარებას არსად აფერხებს, ზოგმა კრიტიკოსმა გამოითქვა ცალკეული შენიშვნები რომანის სიუჟეტური აგებულებისა და მექის ხასიათის განვითარების მიმართ. ერთნი სთვლიან, რომ ზედმეტადაა გაქიანურებული მექის მოჯამაგირეობის დროის სურათები, მეორენი ფიქრობენ, რომ მწერალი არ მიიქცა სწორად, რცა ასე დაავიანა მექის ხასიათის ფორმირების პროცესში სოფლის მოწინავე ადამიანის, კოლხის ტარასი ხაზარაძის ჩარევა<sup>1</sup>.

ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით მსგავს შენიშვნებს. რასაკვირველია, შეიძლება ნაკლები ყურადღება დათმობოდა მექის ბავშვობას, ანდა ის თიადნწვე მოქცეულიყო კომუნისტ ხაზარაძის გავლენაში, მაგრამ მაშინ ხომ ლორთქიფანიძის მხატვრული ჩანაფიქრი სრულიად დაკარგებოდა, და მივიღებდით სულ სხვა რომანს, განსხვავებული სიუჟეტითა და კომპოზიციით, სულ სხვა მხატვრული სახეებითა და სურათებით.

ყოველი თემა ათასნაირად შეიძლება დამუშავდეს და მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დროს კრიტიკოსის მოვალეობას ახალი ვარიანტის ძიება კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ უკვე არსებული ლოგიკური და მხატვრული ანალიზი. ნაწარმოების შეფასებისას უნდა გამოვლიოთ სოციალისტური რეალიზმის ზოგადი პრინციპებიდან — ხომ არ დალატობს მწერალი ცხოვრების სიმართლეს და არ ამახინჯებს მისი განვითარების ტენდენციას, ხომ არ არის დაბლველი მხატვრულ ნაწარმოებში რეალისტური ტიპიზაციის პრინციპები, რამდენად მხატვრულად მალახარისხოვნად არის შესრულებული მწერლის ჩანაფიქრი — სხვაგვრივ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იზღუდებოდეს მწერლის შემოქმედებითი თავისუფლება.

ვეფიქრობთ, ლორთქიფანიძის აღნიშნული რომანი ყოველ ამ მოთხოვნას საკლებით აკმაყოფილებს. ასევე სიფრთხილე მართებს კრიტიკოსს მხატვრული ისტატობის ცალკეულ საკითხებზე შეჯილბისას. სიუჟეტისა და მხატვრული სახის შესახებ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ვუტყვიოთ რაიმე ავტორს, როდესაც დავრწმუნდებით, რომ დარღვეულია ლოგია მათი განვითარებისა. მაგრამ ლორთქიფანიძის, როგორც მწერლის, ერთერთი მთავარი დირსება იმაში მდგომარეობს, რომ მას შესანიშნავად ესმის მხატვრული სახის სპეციფიკა და არ ეწინააღმდეგება მის ბუნებრივ განვითარებას. ზემოთ აღნიშნული შენიშვნები არამეტუ საფუძველს მოკლებული და ზედმეტი, არამედ ამასთანავე მაგნეცაა, რადგან მწერალს საკმაოდ დამტამბული ხერხებისკენ უბიძგებენ. მექის სახის მხატვრული სიმღერე სწორედ იმთ განისაზღვრება, რომ აღრე დაბეჩავებული მშრომლის ახალი საზოგადოების აქტიურ მშენებლად გარდაქმნის კანონზომიერი პროცესი მწერალმა გვიჩვენა თავისი გმირის ორიგინალური ბიოგრაფიის მაგალითზე.

ვერ დავეთანხმებით კრიტიკოს ლ. კალანდამეს, თითქოს „ფსიქოლოგიურად არცთუ საკმაოდ არის მომზადებული მექის — ამ ბეჩივი ადამიანის ვეფხური გაბრძოლება კულაკური შეთქმულების წინააღმდეგ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ მომენტამდე მექისთან, დახუნდარას ვარდა, არც არავის უსაუბრნია საზოგადოებრი-

<sup>1</sup> იხ. ალ. ქვიციანიძის სტატია, „მნათობი“, № 11—12, 1935 წელი; ლ. კალანდამე, წერტილები ლიტერატურაზე, თბ. 1955 წ., გვ. 51 — 52.



ვი ცხოვრების საკიბრბოროტო საკითხებზე<sup>1</sup>. სწორედ იმისათვის, რომ ეს უეცარი და მკვეთრი შემობრუნება მექის ცხოვრებაში სავესებო მომწიფებელი ყოფილიყო ფსიქოლოგიურად, მწერალი გულმოდგინედ გვიხატავდა მექის ახალგაზრდობის ტრაგედიას, გვაცნობდა მის შინაგან განცდებსა და ფიქრებს. ამდენად ეს ნაწილი რომანისა ორგანულია, აუცილებელი და საყვედური მისი ზავიადღებულობის შესახებ უსაძარბოლოა. ამასთან, არ უნდა დაგვივიწყდეს ერთი რამ: მექი კოლექტივში მიდის არა ავტორის ან წაბაძვის გზით, არამედ ინდივიდუალურ ბრძოლაში დამარცხების მწარე გამოცდილების გზით და ამდენად სრულებითაც არ არის საკიბრბოროტო თვისებები ტრასის რჩევა-დარიგებებს. მექის სული ღრმად არის დაკვალული ცხოვრების მძიმე გუთნით და იგი მზად არის ახალი ცხოვრების თესლის მისაღებად. ამის შემდეგ სრულებითაც არ ტოვებს ნაძალადევისა და ხელოვნურის შთაბეჭდილებას მექის მოქმედებებში სოფლის საერთო კრებაზე, ღრუბლებს მასში მძლავრად ამოხეთქვის წლებს მანძილზე დაგროვილი ბოღმა და იგი, კულაკობის ბნელი მაქინაციებით აღმფიქვრებული, მართლა ვეფხვივით გაბრბობებს ღარიბი გლეხობის შენდბული მტრების წინააღმდეგ.

(აქლად იწყებს მექი ცხოვრების ახალ გზას, ბრძოლას და გამარჯვების გზას, რომელიც მის ბედს სამუდამოდ უკავშირებს ბედნიერი მომავლის შემოქმედი მშრომელი ხალხის საერთო ბედს.)

მწერალი არც შემდგომ დალატობს ცხოვრების სიძარბოებს. მექის უეცარი შემობრუნება ახალი ცხოვრებისაკენ რამე ძლიერი ბოძვის საშუალებით ადვილი შესაძლებელი იყო, მაგრამ ასევე უეცრად ძველი ცხოვრების დაიწყებას იგი, რა თქმა უნდა, ვერ შესძლებდა. კიდევ უფრო გაუძნელებდოდა იმის აღმოფხვრა, რაც წლებში მანძილზე მის ხასიათს და ფსიქიკაზე აღიბეჭდა. მწერალი როდი ცდილობს ხელოვნურად დააჩქაროს გმირის ხასიათის გარდაქმნა, რა ჩვენ კიდევ დიდხანს ვართ მექის ძველი ჩვევების გამოვლენის მოწამენი. ახალი ცხოვრება ნელა და თანდათანობით ავიწყებს მექის მის უბადრუკ წარსულს.

სრულებითაც არ არის გასაკვირი ის გულწრფელი გრძნობა, რომელსაც მექი კოლექტიური მეურნეობისადმი იჩენს, რადგან ჩვენც და მექისაც კარგად გვესმის, რომ სწორედ მას უნდა უმაღლესად იგი აღამიანურ ცხოვრებას და იმ ნათევი მომავალს, რომელზედაც ადრე იცნებდა კი არ შეეძლო, დაბოლოს მექის უკვე მოწინავეთა რიგებში ვხედავთ, იგი სუბტრობი-

კული კულტურების დანერგვის პიონერად. გვევლენება ასე გარდაქმნა სოფლის სოციალისტურმა სინამდვილემ მექი ვაშაქიძე, მოჯამაგირების ქაობიდან. ცხოვრების ფართო გაზავნა გამოიყვანა და დაჩაგრული „ხრიტნიდან“ ყველასგან პარტისაკემ მშრომელად აქცია.

მექი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო გმირია, რომლის უადრესად თავისებური ცხოვრება ბრწყინვალედ განასახიერებს საბჭოთა სოფლის მთელი ახალგაზრდობის ნათელი მომავლის გზას. თუმცა ვულგაროზატორების უსაფუძვლო კრიტიკას ვერც ეს რომანი და მისი გმირები გადაურჩნენ, დღესდღეობით სალიტერატურო კრიტიკა ერთმანად ილიარებს მექის სახის უადრესად დიდ მნიშვნელობას ქართული პროზისათვის და მას მწერლისა და მთელი ქართული ლიტერატურის დიდ გამარჯვებად მიიჩნევს. მაგრამ ეს საერთო შეფასება როდი უშლის ხელს კრიტიკოსებს გამოთქვან ცალკეული შენიშვნები როგორც მთლიანად რომანის, ასევე მისი ცალკეული მხატვრული სახის მიმართ. ზოგი შენიშვნა ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, თუმცა არ გავიზიარეთ.

ერთ-ერთ შენიშვნას მექის სახის მიმართ რამდენიმე, მათ შორის საკმაოდ ავტორიტეტული, კრიტიკოსი იზიარებს და ჩვენ გვინდა ამაზე შევაჩეროთ ყურადღება. ეს შენიშვნა შეეხება მექის გრძნობას თალიკოსობით. ერთი შეხედვით ასეთი ხასიათის შენიშვნა თითქოს საფუძვლიანდაც შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში მექის გრძნობაში არაფერია ხელოვნური და ნაძალადევი. ვერც იმას ვირწმუნებთ, თითქოს ეს გრძნობა ჩრდილს აყენებდეს მექის, როგორც ეს ზოგიერთს ეჩვენება, რადგანაც, თითქოს, მოჯამაგირს არ შეუძლია ასე გატაცებით უყვარდეს კულაკის განებებურული ქალიშვილი, თითქოს სოციალური უთანასწორობა გამორიცხავდეს მექის გრძნობის დამაჯერებლობას; სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის აღამიანთა სიყვარულის ისტორია მსოფლიო ლიტერატურის მრავალი ნაწარმოების საფუძვლად ქცეულა. ჯერ მართო ქართულ ლიტერატურას მოგვბეჭდა ამის რამდენიმე კლასიკური ძეგლი. ქართულმა ფოლკლორმა ხომ შემოგვიანა შესანიშნავი თქმულება აბესალომისა და ეთერის უსაზღვრო გრძნობისა. გაგინსუნეთ ქართული კრიტიკოსი რეალიზმის შესანიშნავი ნაწარმოები „ოთარანთ ქვრივი“. განა ვინმეს მოუვა აზრად უსაყვედუროს ჭავჭავაძეს გიორგის გრძნობის გამო რეალიზმის დალატო? ცხოვრებათ, ლიტერატურა და ხელოვნება დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ სიყვარული ძალზე ხშირად არ ემორჩილება სოციალურ შეზღუდვებს და მექის გულსაც შეეძლო მანამ ანთებულიყო თალიკოს სიყვარულით, ვიდრე გონება უკარნახებდა, რომ ეს სიყვარული არ იქნებო-

<sup>1</sup> ლ. კალანდაძე, წერილები ლიტერატურაზე, 1955 წ., გვ. 51 — 52.



და სოციალურად გამართლებული. მართალია, სიყვარული ბრმა იყო და ხშირად არ ეგუებოდა სოციალურ ზღუდეებს, მაგრამ ამ უკანასკნელს მკაცრად იცვდა კლასობრივი საზოგადოება. ამიტომაც ტრადიციული იყო ასეთ შეყვარებულთა ბედი. ძნელა სავარაუდოა, რომ ლორთქიფანიძის მექის სიყვარულის ისტორიით სურდა დაეპირისპირებინა თავისი გმირი ძველი ლიტერატურის გმირებისადმი და ეჩვენებინა ამ პრობლემის გადაწყვეტა ახალ ისტორიულ პირობებში, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი შედარების შესაძლებლობა ჩვენ ობიექტურად გვაქვს. პირველი და მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ, მიუხედავად სიყვარულის მარცხიანი დასასრულისა, მექი შორს არის ტრავმისაგან, რადგან ამ შემთხვევაშიც კი იმარჯვებს სამართლიანობა, რომლის სიმბოლოსაც ახალი ცხოვრება წარმოადგენს. მექისა და თალიკოს ურთიერთობაში მწერალმა შეძლო დამაჯერებლად ეჩვენებინა მშრომელ ადამიანში საკუთარი ღირსების თანდათანობითი შეგნების პროცესი. მექი სწორედ უღებიათ და თავისუფალი წევრი ახალი საზოგადოებისა, ნათელი მომავლის ამჟამად შემსურვე, რწმუნდება იმაში, რომ თალიკო, რომელიც ადრე ოცნებებში ქალის მიუწვდომელ იდეალად ესახებოდა, სინამდვილეში მხოლოდ ზოზღის ღირსი ყოფილა. მკითხველი ძლიერად განიცდის მექის უიმედო სიყვარულს, გული სტკევა, რომ ასეთი წრფელი სიყვარულის ობიექტი ასეთი მახინჯი არსებია, განიცდის, რომ მექი ასე დიდხანს ვერ ერკვევა თავის გრძნობებში, მაგრამ ამასთან არ ამტყუნებს ავტორს, რადგან მექის სიყვარული ფსიქოლოგიურად გამართლებულია. მწერალი არ ცოდვის მხატვრული სიმართლის თვალსაზრისით, მისი გმირების ხასიათები ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ვითარდება, კვანძი კი სრულიად ლოგიკურად იხსნება.

„ქოლხეთის ცისკრის“ მნიშვნელობას ქართული ლიტერატურისათვის ისიც განაპირობებს, რომ პირველად სწორედ ამ რომანში იქნა მოცემული სოფლის კომუნისტის მალამხატვრული სახე. ხაზარაძის, როგორც კომუნისტის, დამსახურება სოფლის ცხოვრების ახალი სოციალისტური გზით წარმართვის საქმეში ისე საფუძვლიანად გახსნა მწერალმა, რომ ზოგი კრიტიკოსი მას რომანის მთელი კომპოზიციის წამყვან, ცენტრალურ სახედ მიიჩნევს<sup>1</sup>. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, რომანში ასეთი დანიშნულებისაა მექი ვაშაკიძის სახე. ლორთქიფანიძე სოფლის ცხოვრებას კომუნისტის ბედთან დაკავშირებით არ გვიხატავს, როგორც მოიქცა შოლოხოვი „გატეხილ ყაშირში“, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს მწერალს შექმნას

სოფლის კომუნისტის დამაჯერებელი და ძნელად ერი სახე.

მექის ბედი, რომელიც ყურადღების ცენტრში დგას, არ აიძულებს მწერალს თავიდანვე შემოიყვანოს მოქმედებაში გლეხობის ხელმძღვანელი და ტარასი ხაზარაძის ხაზი მოგვიანებით, ნელა და თანდათანობით ერთვის საერთო სოცეტურ განვითარებას. მექის ინდივიდუალურ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ კი, როდესაც მწიფდება მისი საერთო მოძრაობასთან შეერთების მომენტი, ტარასის სახე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს და მწერალი მთელი ყურადღებით ეკიდება მის გამოკეთას. ხოლო ამ კრების შემდეგ, რომელმაც ახალი ხანა დაიწყო მექის ცხოვრებაში, მისი და ტარასის ბედი მჭიდროდ ეჯაჭვება ერთმანეთს და აქედან მოყოლებული ეს ორი სახე პარალელურად ვითარდება. ლორთქიფანიძე მისთვის ფსიქოლოგიური სიღრმით გვიშლის თავისი გმირის სულიერი სამყაროს, ოსტატურად გვარწმუნებს ხაზარაძის მაღალ მოქალაქეობრივ და კომუნისტურ შეგნებაში. მოქმედების განვითარებასთან ერთად ჩვენთვის სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, თუ მისთვის ხელმძღვანელის არ შესანიშნავი თვისებებით არის დაჯილდოებული ტარასი. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი მისი გლეხებთან მიდგომის უნარი. ხაზარაძეს კარგად ესმის, რომ გლეხობის გზა კოლექტივისაკენ ერთი არ არის, ყველა თავისებურ მიდგომასა და დაყოფიებას საჭიროებს და მასაც არ ღალატობს მოთმინება ინდივიდუალური მიდგომით იმოქმედოს თანასოფლელებზე. მისი გულისხმიერება სისრულით ვლინდება მექისთან დამოკიდებულებაში. მისი ადამიანური, მეგობრული მზრუნველობა სითბოს მონატრული ვახუცის გულს ღრმა მადლიერების გრძნობით აკბენს და გმირულ შრომისათვის აღადგნოვანებს. როდესაც მოქმედების დასასრულს ახალ მექის ხედავთ, არ გვავიწყდება, რომ ამ გარდაქმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის კომუნისტ ხაზარაძეს.

სოფლად კოლექტიური მეურნეობის დანერგვა დაკავშირებული იყო უდიდეს სიმძნელებთან და გართულებებთან. ბრძოლა ცალკე კულაკებთან და ხალხის სხვა მტრებთან, ცალკე კიდევ გლეხებში ღრმად გამჯდარ კერძომესაკუთრულ ბუნებასთან, მოითხოვდა ენერჯის სრულ დაძაბვას. კოლექტივიზაციის პერიოდის ამსახველი მხატვრული ლიტერატურა ვერ აუვლიდა გვერდს ამ სიმძნელებს. შემთხვევითი, არ არის, რომ სწორედ ის ნაწარმოებები გამოდგნენ მაღალი ღირსებისა, სადაც მხატვრულად არის ასახული ახალი სოფლის დაბადების მთელი ტკივილები, კომუნისტთა სწორედ ის მხატვრული სახეები არიან მნიშვნელოვანნი, რომლებიც სრულიად შეუღამაზებლად, სიმართლით გვიხსნიან სოციალისტური სოფლის ორგანიზატორების მოღვაწეობის მთელ სიმძნელებს. სწო-

<sup>1</sup> იხ. ვ. მერკვილაძე, სოციალისტური რეალიზმის შესახებ, თბილისი, 1954, გვ. 189.



რედ ასეთ სახეთა რიცხვს გეუფენის ტარასი ხაზარაძეც, რომელიც სოფლად მებრძოლი ქართველი კომუნისტების განზოგადებულ სახეს წარმოადგენს. (ტარასის გამარჯვების საწინდარი იმაში მდგომარეობს, რომ მას მტკიცედ სჯერა იმ საქმის სამართლიანობა და სასიცოცხლო მნიშვნელობა, რომელსაც იგი ემსახურება.)

ლორთქიფანიძისათვის არ არის დამახასიათებელი წარუდგინოს მკითხველს უკვე ჩამოყალიბებული გმირები, როდესაც მწერალს ისღა დარჩენია, მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების დემონსტრაცია მოახდინოს. მის გმირებს ყოველთვის ახასიათებს განვითარებას ტენდენცია, ურომლისოდაც ძნელი წარმოსადგენია საბჭოთა ლიტერატურის მხატვრული სახე. ამის მტკიცებას უფლებას გვაძლევს რომანის არა ერთი და ორი, არამედ ყველა სახე. უთუოდ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ რამდენადაც დინამიურია მეჭის სახე, იმდენად სტატიურია ტარასის სახე. მართალია, ტარასი არ გარდაიქმნება ისე თვალნათლივ, როგორც მეჭი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს არ დავინახოთ მისი განვითარება. იგი, როგორც კომუნისტი და მასების ხელმძღვანელი, თვითონაც იზრდება და იწრთობა კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში.

(მწერალი იძლევა კომუნისტის ცოცხალ სახეს. ტარასის კარგად აქვს გამოცდილი არა მართო გამარჯვებით გამოწვეული სიხარული, არამედ შეცდომების მიზელი სიმწარეც. უამისოდ არც შეიძლება ისეთი ახალი და რთული საქმის ხელმძღვანელობა, როგორცია სოფლად კოლექტივიზაციის ჩატარება, ახალი სოციალისტური ყოფის დამკვიდრება. ჯერ ერთხელ ცდება დავილოვიც „გატეხილ ყაშირში“, მაგრამ მისი გავლენის ძალა საყოველთაოდ აღიარებული. ხაზარაძისა და დავილოვის მთავარი ღირსება ის კი არ არის, რომ არასოდეს ცდებიან, ამისაგან არავინა დაზღვეული, არამედ ის, რომ ყოველთვის და ყველა საკითხში პარტიის საქმის ერთგულნი რჩებიან. ამიტომაც ჩვენ უსაფუძვლოდ შეგვაჩნია, როდესაც ტარასი ხაზარაძეს უსაყვე-

დურებენ კრების მოწვევის საქმეში და შეცდომილი შეცდომის გამო. მართალია, ტარასიმ დაუშვა შეცდომა, მაგრამ განა ამიტომ ისე უნდა გავკიცხოთ ან მწერალი, ან გმირი, როგორც ამას ზოგი კრიტიკოსი აკეთებს? ვერ გაითვალისწინა ტარასიმ ის ფაქტი, რომელსაც კულაკები უშზადებენ კოლექტივის დამაარსებლებს. აღამაინურმა გრძნობამ, არ შერცხვენილიყო რაიონის ხელმძღვანელების წინაშე, უყარნახა მას თვითონ მოეწვია კრება და დაეშოშმინებინა კულაკების პროვოკაციას აყოლილი გლეხები. მხოლოდ კრების გახსნისას მიხვდა ტარასი, თუ რამდენად ადრევებული იყო ხალხი, და მიხვდა თავის შეცდომასაც. მაგრამ უკან დახევა უკვე გვიან იყო. მექიმ იხსნა ტარასი იმ დღეს მარცხისაგან. აშკარაა, ტარასიმ შეცდომა დაუშვა, კრება ასე აჩქარებით არ უნდა მოეწვია, მაგრამ ამაში ეჭვი აღარც მწერალს ეპარება, აღარც თვით ტარასის და ამდენად ლიტერატურული კრიტიკის შენიშვნა უკვე ზედმეტი ხდება. კიდევ უფრო მეტად შეცდა დავილოვიც, როდესაც კოლექტივში ფინანსების გაერთიანებაც მოინდომა, მაგრამ მთავარი ეს შეცდომები კი არ არის, არამედ ის, რომ დავილოვიც და ხაზარაძეც ნამდვილი კომუნისტება არიან და მტკიცედ იბრძვიან დაშუქების შეცდომების გამოსასწორებლად. ამიტომაც გვჯერა, რომ მათ ნამდვილად შესწევთ უნარი განახორციელონ პარტიის საპასუხისმგებლო დავალებები.

რომანი „კოლხეთის ცისკარი“ და მისი გმირები აშკარად მეტყველებენ იმ შესაძლებლობაზე, რომელიც კონსტანტინე ლორთქიფანიძეს გააჩნია თანამედროვე ცხოვრების ამსახვეი დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელად, საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი ტიპური სახეების გამოსაკვეთად და ჩვენ გვქვამს, რომ მწერალი კიდევ არა ერთხელ გაახარებს ქართველ მკითხველს ახალი ნაწარმოებებით. ამის რეალური საწინდარია მისი ახალი რომანის „ნატურის თვლის“ გამოქვეყნებული „ნაწილი, რომელიც მწერლის დიდ ჩანაფიქრზე შეტყველებს.



## ჩვეუბანი ჩაუხარო

# სასაცილო და სატირელი

სასაცილოდან სატირელამდე ერთი ნაბიჯია. ესეც მხოლოდ სიტყვაზე ითქმის, თორემ ხანდახან ვერც კი გააჩნევ, სად თავდება სასაცილო და სად იწყება სატირელი. ერთი და იგივე მოვლენა იქნებ სასაცილოც იყოს და სატირელიც. ერთი მხრიდან რომ შეხედავ — სასაცილოა, მეორე მხრიდან — სატირელი.

გასულ საუკუნეში ჩვენმა დიდმა ილიამ „ოთარაანთ ქერივი“ დაწერა, მაგრამ ისე დაწერა, რომ ცოცხალი ოთარაანთ ქერივი რომ შემოგხედეს გზაში, ასე იტყვი: ეს არ არის ნამდვილი, ნამდვილი ის არის, რომელსაც მადლიანმა მხატვარმა ჩაუდგა სულიო. ღმერთმა დამიფაროს ილია ჭავჭავაძის ნაღვლის ქებისაგან. ეს იმდენადვე დამამიტირებელი იქნება მისთვის, რამდენადაც ახირებული გაბიბრებულის სურვილი. მე არა მგონია დიდ მწერლებსა და დიდ ნაწარმოებებს, რომლებმაც ღრმად გაიდგეს ფეხვი ხალხის ცნობიერებაში, თუნდაც იოტის ოდენად სჭირდებოდეთ გუნდურკის კმევა და გაუთავებელი ქება-დიდება. ეს უფრო სიტყვის ბანზე ავდებებს და ვაუსწორებელ დილექტანტიზმს ჰგავს, ვიდრე ნამდვილ საქმეს.

ორიოდე სიტყვას კიდევ იტყოდა კაცი ამის თაობაზე, მაგრამ ჩვენ ისევ სასაცილოსა და სატირელს დავუბრუნდით. ამასთან დაკავშირებით დიდი ილიას სახელი ტყუილად როდი გამხსენებია. შარშან თუ შარშანწინ ერთი სასაცილო ამბავი მოხდა თბილისში. მოიცა, მოიცა, თუკი უკვე ხედები, სიტყვა რას შეეხება, წინ ნუ წამისწრებ, მკითხველო, ბოლომდე მთქმევინე. სასამართლო პროცესი გაიმართა... მაგრამ განა ერთჯერ? ორჯერ! მგონი მესამედაც. მერე აღარ იკითხავთ, რის გამო? „ოთარაანთ ქერივის“ ავტორის დასადგენად. მართლა, მართლა!

მერე რა არის აქ სასაცილო? — გაიკვირვებს მკითხველი. მოთმინება გგმართებს. სიტყვა „სატირელს“ და „აღმაშფოთებელს“ მე ერთი მნიშვნელობით ვგმარობ ამ შემთხვევაში. აქი ვამბობდი, ყოველ მოვლენას ორი მხარე აქვს. მთქმის თქვენ სწორედ ის მხარე დანახეთ, რომელიც ჯერ არ უნდა დაგენახათ, რათა ჩემი მოთხრობა უფრო საინტერესო გამოსულიყო მოულოდნელი „კვანძის გახსნით“, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის როდი ხერხდება მკითხველის დაინტერესება. ზოგიერთი რამ დანახვისთანავე ეცემა ხოლმე თვალი მკითხველს, თავიდანვე ზუსტად განკერტს, ბოლო როგორი იქნება და სანამ შენს იწილა ბიწილოს მოთავებდეს, იმას უკვე შეფასებული ჰყავხარ შენც და ის მოვლენაც, რომელზედაც სიტყვა ჩამოავდეს.

სასაცილო მაინც რა არისო, — გაიკვირვებს კიდევ მკითხველი. რა არის და ის არის, რომ ეს საკითხი, ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქერივის“ დამწერის საკითხი ორჯერ თუ სამჯერ სასამართლოში იყო, მერე კი ორ ამდენ ხანს დაეხტებოდა სხვადასხვა ინსტანციაში. ვინ დაწერა ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქერივიო“, გრიგოლ ბერძენიშვილმა თუ ნიკოლოზ დღიანიშაო? არ არის სასაცილო?

ზოგიერთ ჩვენს დრამატურგს კარგა ხანია შემოაკლდა საწერი მასალა. გადაწყვიტეს საფლავის ქვის ქვეშ ამოდებული კლასიკოსების ხარჯზე კვებონ მაყურებელი. ეს კი აღარ არის სასაცილო, მაგრამ, უკაცრავად, მკითხველმა თვითონ უკეთ იცის, სად გაიცინოს და სად არა.

გულხანდილობა კარგია, მაგრამ ამხსაც თავისი საზღვარი აქვს. პრისტლის „სახიფათო მოსახვევი“ ვნახე ამას წინათ ერთ თეატრში. წკაბიხვა მაინც სხვაა, სცენაზე რომ ვნახე,





შეშარა. არ ვიცი, ზოგი ასე ფიქრობს და ზოგი ისე, მაგრამ ამ უსაზღვრო, წრესგადასულ გულწრფელობას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ადამიანისათვის. იგი საეგებით ხსნის ჰუმანიზმს. ვანა შეიძლება ასე დალაქაო ყოველივე წმინდა და მერე კიდევ გიყვარდეს ადამიანი, შეგარჩეს რაიმე იდეალი? ის-და დაგარჩინა, თეატრიდან გამოიხიდე და ყულფში გაუყარო თავი. ეს ჩემი კერძო შეხედულებაა და შეიძლება სულაც არ ეთანხმებოდეს შემუშავებულ საზოგადოებრივ აზრს. იქნებ მეც ზედმეტ გულწრფელობას ვიჩენ ამით და ჩემსავე უფიცილობას ვამტყიცებ? ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

ეს იმან მოიტანა, გადაწყვიტეს, მაყურებელი კლასიკოსების ხარჯზე აკვირებ-მეთქი. იმიტომ ვთქვი ასე, რომ გულწრფელად მინდოდა მეთქვა და იქნებ გადამეტებული გულახდილობაც გამოივიდა.

როგორ შეიქმნა ახლა ეს „საქმე“. გრიგოლ ბერძენიშვილმა პიესად გადააკეთა „ოთარაანთ ქერივი“, ნიკოლოზ დადიანამც გადააკეთა. იქ, თეატრში, რა მოხდა, მე არ ვიცი, მაგრამ დადიანმა ბერძენიშვილს უჩივლა, „ოთარაანთ ქერივი“ ჩემგან ისესხაო. ერთი ამბავი ატყდა ამის გარშემო. სასამართლომ, რასაკვირველია, ექსპერტები მოიწვია მწერალთა კავშირიდან, მაგრამ რით უნდა დაეღვინათ, რომ ბერძენიშვილი მართლაც დაესესხა დადიანს? თავით ოთარაანთ ქერივი ერთ პიესაშიც იყო და მეორეშიც, არჩილი და კესო აქაც იყო და იქაც. ჩატეხილი ხილის პრობლემა ორივეს გადმოელო, არც სოსია მექსიქელე დაეიწყებოდათ. მოდი და გავარკვიე ახლა, მართლმსაჯულებაც, რომელმაც ვისგან ისესხა. „ისესხას“ ისე ვამბობ, შერბილებისათვის, თორემ იქ ამის მავგიარად „მოპარვას“ ხმარობდნენ.

ჩარლი ჩაპლინის კინოკომედიებისა არ იყოს, გარეგნულად ყველაფერი ეს სასაცილოა, მაგრამ მოვლენას მეორე მხარეც ხომ აქვს, აღმაფიქრებელი მხარე, ერის დიდი მიმის შეურაცხყოფა და საბჭოთა მწერლის მორალური სახის ლაფში ამოსვრა? აქ კი, ჩემის ფიქრით, დიდად ვვარგებს განუსაზღვრელი გულახდილობა, რამაც ისე ამაფორიავა პრისტლის პიესის ტყერისას.

მსგავსი მაგალითებისათვის რალა შორს წავიდეთ! მიღობარ აგერ ქუჩაში და ხელაგ უშველებელ აფიშას: რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი, ამა და ამ დღეს სანდრო შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“. მოდი და ნუ გაოცდები! ბერძენიშვილი და დადიანი აქ რა მოსატანია, იმთ ინსცენირებას ილია ჭავჭავაძე მაინც უზის ავტორად და სათაურს ქვეშ წვრილი შრიფტით არის აღნიშნული, პიესად

ამან და ამან გადმოაკეთაო. აქ კი — სანდრო შანშიაშვილი — „ხევისბერი გოჩა“.

იმ ხანად ცნობილი ვახდა; სანდრო შანშიაშვილმა პროტესტი განაცხადა თეატრის სამხატვრო საბჭოში, მე მხოლოდ გადმოკეთებელი ვარ და ავტორის ადგილზე რად დამწერეთო, მაგრამ, რადგან აფიშების მთელი ტირაჟი დაბეჭდილი იყო, აღგნენ და ყურად აღიღეს მისი პროტესტი (ცნობა მომავალ კრიტიკოსმა გ. ციციშვილმა, კულტურის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს წევრმა). მაგრამ, გვიხარიათ, მადა ქამაში მოდისო! კვლავ მრავალი ტირაჟი დაიბეჭდა ამგვარი აფიშებისა, მაგრამ პროტესტის გამოსახატავად თავი აღიარის აუტყევიბა. ს. შანშიაშვილის დრამატული პოემა „ხევისბერი გოჩა“ მე ცალკე წიგნად გამოცემულიც მინახავს. ალბათ, თქვენც გინახავთ, მკითხველო. ქვემოთ მე ციტატებს მოვიყვან ამ წიგნიდან.

მერე რად შერბიით ამასო, სად იყავითო, ნუთუ ზოგიერთი სახელმოხეველი მწერლისათვის ყველაფერი ნებადართულიაო? — აღშფოთდება მკითხველი. ასე გამოდის. თუმცა რად გამოდის ასე! ჩვენი კულტურის სამინისტრო ბოლოს მაინც მოგო გონს და სანდრო შანშიაშვილს უთხრა: ეგ წიგნი კი გამოგიბერებია, თეატრებშიც შენად გავისაღებია ყაზბეგის ნაწარმოებო, მაგრამ „ხევისბერი გოჩა“ მაინც არ არის შენი, ვახისია და, თუ ხათრი გაქვს, მეორედ ნუ იზამ მავასო. ნუ ვიზამო? როგორ თუ ნუ ვიზამო! — აჯანყდა შანშიაშვილი, მაგრამ ხმა მისი დაჩაჩა ხმად მოლაღებლისა უდაბნოსა შინა. დადგინდა: პიესას ავტორად დაეწეროს ალექსანდრე ყაზბეგი, ხოლო ქვემოთ, სათაურის ქვეშ აღინიშნოს, რომ მოთხრობა პიესად თუ დრამატულ პოემად გადმოაკეთა ს. შანშიაშვილმა.

ამდენი ამბების მოყოლა მეზარება, მართალი გითხრათ, მაგრამ ერთი ამბით, რომელიც შემოთქმულის უშუალო გავრცელება, კიდევ უნდა შეგაწყვიტოთ თავი. ჩვენმა პარტიკულმა მწერალმა ბარე ათიოდ ცალად დასწერა საჩივარი და სხვადასხვა მხარეს გაგზავნა სამართლიანობის აღსადგენად. მოხდა ისე, რომ ერთი მათგანი მეც ჩამივარდა ხელში. მთლიანად ვერა, მაგრამ ქვემოთ ციტატების სახით მაინც გავიზიარებთ ამ საჩივრის შინაარსს.

ახლა ვინმე აღგება და მეტყვის: რა საჭიროა მავაზე საჯაროდ ლაპარაკო, შანშიაშვილს ხომ არსად გამოუქვეყნებია თავისი განცხადებაო. იქნებ გამოქვეყნებაზე მეტიც იყოს, მაგრამ მაინც უკაცრავად, ჩემო ბატონო. ეს საჩივარი იმის ქვეტექსტია, რატომ აწერია „ხევისბერი გოჩას“ ავტორად შანშიაშვილი, სხვა, საზოგადოებისათვის უცნობი და გაუგებ-

ბარი აქ არაფერია და თუ შეიძლება ვილაპარაკოთ გამოქვეყნებულ ტექსტზე, რატომ არ შეიძლება მისი ქვეტექსტის გამოც ვთქვათ ორიოდ სიტყვა?

მივადგეთ ახლა და სინამ მოთხრობასა და პიესას შევჯერებდეთ, კვალდაკვალ გავყვეთ სანდრო შანშიაშვილის საჩივრის ანუ იმის ლოგიკურ დასაბუთებას, რატომ უნდა ითვლებოდეს იგი ნაწარმოების ავტორად და რატომ უნდა ეწეროს სათაურქვეშ: „ყაზბეგის მოტივების მიხედვით“.

კულტურის სამინისტრომ, — წერს დრამატურგი, — ჩემი პიესა „მოთხრობის კანონი“ ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებად გამოაცხადაო\* . შარი თუ ვინდა, ეს არის! „მოთხრობის კანონს“ რომ ახსენებს პატივცემული შანშიაშვილი, ნეტავი რომელ პიესას გულისხმობს? ასეთი პიესა რომ არ არსებობს ბუნებაში? რომ არ დაუწერია მას ეს პიესა? მაშ თუ არ დაუწერია, როგორ მოახერხებდა მამაცონებული კულტურის სამინისტრო მის გამოცხადებას ყაზბეგის ნაწარმოებად? თუმცა რა საჭიროა აქ კუჭუმალბობა! სიტყვა პიესა „ხევისბერ გოჩას“ შეეხება, ცხადია, რომელიც სხვა სათაურით არასოდეს არ დაბეჭდილა და არ დადგმულა. მაშ რა აუცილებელი იყო ბრძოლის ამ გზით წარმართვა?

„თარმეტი წლის წინათ, — წერს იგი, — როცა ფაშისტები კავკასიას უტევდნენ, იმისათვის, რათა გამეზნევიებინა ჩვენი ხალხი, ჩვენი მეორები, ალექსანდრე ყაზბეგის სიუჟეტი ავიღეო“.

მაშ კარგი, ალექსანდრე ყაზბეგის სიუჟეტი აუღია.

„ჩვენი სინამდვილეშია, — განაგრძობს იქვე, — აქრატული არ არის სხვისი სიუჟეტის და ფაბულის აღება და მის საფუძველზე ახალი, აბსოლუტურად დამოუკიდებელი (ხაზი ციტატებში ყველგან ჩემია, რ. ჯ.) ნაწარმოების დაწერაო“. თუმცა ეს წარმოუდგენელია, რადგან აქ სიუჟეტის ცნება არასწორად არის გაგებული და სიუჟეტის ამღები ამავე სიუჟეტის საფუძველზე ვერასოდეს ვერ დაწერის აბსოლუტურად დამოუკიდებელ ნაწარმოებს, მე მიიჩნე არაფერს ვიტყვი, მხოლოდ დავსძენ, რომ პატივცემულ შანშიაშვილს აქ მხოლოდ თავმდაბლობის გამო არ მოუხსენებია შექსპირი, რომელიც ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც თვითონ მან, შანშიაშვილმა, გააკეთა, მაგრამ შექსპირი ხომ მანამდე ასჯერ დაწერილ წერილთან მელოდრამათა ამბებს აიღებდა ხოლმე, არ სცბითად გადაამუშავებდა და მათ საფუძველზე საკაცობრიო ტრა-

ღედებს ქმნიდა, რომელთა ბრწყინვალეობა წინაშე მკრთალდებოდნენ და დავიწყებას ეძლეოდნენ წინანდელი წვრილგვა ავტორები?

იგივე მოიმიქმედა თუ არა შანშიაშვილმა და არის თუ არა მასსა და ყაზბეგს შორის ამგვარი შეფარდება, ვეღლები ქვემოთ ვაჩვენო მკითხველს, მაგრამ თვით ყაზბეგს რაც შეეხება, ის დიდი ხანია შეველა უკვდავ ქართულთა ათეულში, განსაკუთრებით „ხევისბერის“ გამო და ქართველი მწერლისაგან მისი დაცვა უხერხულოც კია, ძალზე გულსატკენი რომ არ იყოს.

ოაში გამოიხატება „ხევისბერის“ იდეური მრწამსი? „მამა სჯის შვილს იმის გამო, რომ ის, შვილი, სამშობლოს მოღალატე გამოდგა“, — გვიხსნის ს. შანშიაშვილი. „ამგვარი შინაარსის სიუჟეტი, — განაგრძობს შემდეგ, — არა მართო ჩვენი კლასიკოსს ვ. ფშველას (ალბათ, ა. ყაზბეგს) აქვს, აქვს აგრეთვე პიუგოს და გოგოლს“.

ჯერ ერთი ამ უტყუარსკენლთა შესატყვისი ნაწარმოებების უფრო დაკვირვებით წაიხიბვა გემართებს მსგავსი დასკვნების გასაკეთებლად, მაგრამ ასეც რომ იყოს, რატომ უნდა ვცდილობდეთ ყაზბეგის გაშვირდებას? ვითამ ეს რაიმეთი ეხმარება ვისმე? არა მგონია. „ამ სიუჟეტზე მე შევქმენი დამოუკიდებელი პიესა“, — განაგრძობს ს. შანშიაშვილი, მაგრამ ცოტა ქვემოთ რატომღაც დასძენს: „პიესაში ყაზბეგისაგან მხოლოდ ზოგიერთი მოტივი დარჩა“.

თუ ლოგიკაა, ლოგიკა იყოს! რომელს ვერწმუნოთ ახლა, პირველ განცხადებას თუ მეორეს? მოდი და ნუ იტყვი, რომ ძნელზე ძენდა მწერლის სახელის ტარება. უზარმაზარი პასუხისმგებლობა გაწევს მხრებზე, როგორც მოღაწეს და როგორც აღაშიანს. ერთი ბზარი და — მორჩა! დიდი ილია ასე ფიქრობდა. ასევე უნდა ვიფიქროთ ჩვენც. ვანა გვაქვს სხვა გზა, თუკი ხელში კალამი ავკილია და ხალხს მწერლებად მოვკვნივართ?

„მოთხრობის კანონი“ გავლესილია და ამით „სტილიც შეცვლილიაო“, — ამბობს ერთგან შანშიაშვილი. ეპ, „სტილი!“ სტილი სხვაა, იგი სხვაა-მეთქი, — ვაპირებდი წამომახებას, მაგრამ ეს შორს წავიყვანას. „ვისრამიანის“ დედანი ხომ პოემა? ლექსად არის დაწერილი. ქართულად გადმოკეთებული რომ არაინა? პროზის ნორმებს რომ ემორჩილება და შიგ ლექსის ნატამალიც აღარ არის დარჩენილი? ხომ შეცვლილია „სტილი“? როგორ, ამის გამო მისი მთარგმნელი და პროზად გადმოკეთებული „ვისრამიანის“ ავტორად გამოაცხადა ვინმე? აზრადაც არავის მოსვლია ეს. ალბათ,

\* ს. შანშიაშვილის საჩივრის ყველა ამონაწერი რუსულიდან ვთარგმნე, ავტ.

მიტომ, რომ მთარგმნელ-გადმომკეთებელი ნაკლებს ფიქრობდა თავისთავზე და მეტს იმაზე, რომ მშობელი ხალხის სულიერი სამყარო გაემდიდრებინა. მგონი არ არის ეს ცუდი საქმე.

სხვა მავალითებსაც მოვიყვანდი, მაგრამ სიტყვა ისედაც გამოიგრძელდა. შანშიაშვილის წერისთვის დასასრულს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდები, როცა საქმე დასკვნაზე მიდგება, ახლა კი გავკადნიერდები და ყაზბეგის მოთხრობას შევახსენებ მკითხველს, რადგან უამისოდ გავგვიწინდდება შემდგომი მსჯელობა.

მოთხრობა ძიძიას და გუგუას ქორწილით იწყება. გუგუას ძმანდაფიცა ახლავს თან, ონისე, ხევისბერის პირმეზა. მოხეუერი ადათის თანახმად, მშობლებისაგან მან უნდა მისი პატარაძალი და თან ფიცი დასდოს, რომ ამიერიდან ძმად გაუხდება ქალს. ცალკე ოთახში წარუდგინეს ონისეს საპატარძლო, პირბადე აუწიეს და... თითქოს მეხი დეცა ვაქცას, შეტორტმანდა... მაგრამ ის ხელისმოქიციდა, ძმანდაფიცა სასიძოსი, ხელფეხი შეკრული აქვს ხევის ადათით. სიყვარულის ცეცხლით აღმობდებული ონისე თითქმის უგონოდ ასრულებს ყველა საჭირო ფორმალბას, მერე მარხილში ჯდება ძიძიას გვერდით და, მაყრიონთან ერთად, თავის სოფელში ბრუნდება. თვით გოჩა გამოეგება მაყრიონს. მან შევიღის არეული სახის დანახვისთანავე იგრძნო რაღაც, შინ გაისტუმრა იგი, ეკლესიაში კი ამ დროს მესამედ ეკითხება მღვდელი ძიძიას, ნებაყოფლობით იწერს ჯგავს თუ არა. ქალი ხმას ვერ იღებს, მის მაგივრად სხვები პასუხობენ. ონისე შინაა. ბორავს. არა, ეს შეუძლებელია! — აღმობდება მას უეცრად და წამოვარდება. ჟერბში გოჩა დგას. თვალს არ ამორიებს გონებაწართმეულ შევილს. ონისე მოეშვა. იგრძნო, რომ მოხუცი მიმხვდარია რაღაცას... სწორედ აქაა ის ქვეტექსტში ჩამირული დრამატოზმით აღსავსე დიალოგი, რომელიც, ალბათ, ჯერ არცერთ ადამიანს არ დაეიწყებია, ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს „ხევისბერი გოჩა“. დიალოგი გოჩას სიტყვებით თვდება: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“ ეს სიტყვები მოთხრობის ლეიტმოტივია. ეს სიტყვები რამდენჯერმე მეთრდება მოთხრობაში და თავისი ძალითა და სიღრმით იძყრობს მკითხველს. ონისე ერთგულია ხევის კანონებისა, მაგრამ მან უკვე შელახა ეს კანონები თავისი სიყვარულით. აი, სად არის ადამიანის ტრადედია. აქ მარტო სიყვარული კი არ არის. ადამიანის ეს კეთილშობილური გრძნობა — სიყვარული ამ კონკრეტულ ვითარებაში დანაშაულად იქცა. ამაზეა მოთხრობა დაწერილი, ესაა მოთხრობის თემა და გასაღები. ონისე მთებში გადაიყარ

გება. დიდხანს დახეტიალობს იგი მშობლიურ ქერას მოშორებული, რათა ხელი არ შეუწყოს დანაშაულის გაღრმავებას, მაგრამ აი, მთის ბატონი ნუგზარ ერისთავი ამხედრებულია და მითულების დახმარებით ხევის დაწყობას აპირებს. ონისე შინ ბრუნდება. მას ანდობენ ყველაზე სახფათო უბანს და ერთ ღამით, როცა მას თავის სანგალისაკენ მიეჩქარება, ფეხის ხმა და ხმაიალა ლაპარაკი შემოესმის. ლოდს ამოფარება ონისე. გუგუა და ძიძია მოდიან. ცოლმა და ქმარმა აქ პირდაპირ უთხრეს ერთმანეთს ყველაფერი. მომკალით, — ემუდარება ქმარს ძიძია, მაგრამ ამის მაგივრად გუგუა ცოლს მიატოვებს და შურისძიებით ანთებული იქით მიეშურება, სადაც ონისე უნდა იყოს ამ დროს. კლდის პირას ონისე და ძიძია შეეჩხებებიან ერთმანეთს. განწირულთა თავდავიწყება წაიღებს ორივეს. თავდავიწყებიდან თოფის მოულოდნელმა გასროლამ გამოიყვანა ქალ-ვაჟი. თავზარდაცემული ონისე ზეგე წამოიჭრა. მას თვალწინ გაუჩინდა „მლოცვის გოჩას სახეში“. „არ დაგავიწყდეს ვისი გორისა ხარ!“ — თითქოს ხელახლა ჩაესმა მას და მოირღვა ადგილიდან. მაგრამ გვიანდა! მტერს უკვე წაუღვია ონისეს სანგალი. ონისე უთანასწორო ბრძოლაში შეიჭრება, რათა საკუთარი სისხლით გამოიხსნოს თავის შერცხვანა. ერთგულ მეგობრებს ძალით გაჰყავთ იგი ბრძოლის ველიდან. ონისეს თავგანწირვის ქება პირიდან პირზე გადადის, მაგრამ ვინ რა იცის, რა მოხდა, თავგანწირვა იყო ეს მართლა თუ სიკვდილის ძიება და ისიც რისთვის? ბრძოლა წაგებულა. ცოცხლად გადაჩენილებს სამი გამეცი მიჰყავთ. მათ შორისაა უდანაშაულო გუგუა, რომელიც შემხვევით გადააწყდა მტერს და იმის გამო, რომ ცუდ დროს უმტყუნა თოფმა, რათა ნიშანი მიეცა თავისიანებისათვის, კვალდაკვალ დადევნებული მტერი ზედ წააყენა ონისეს სანგალს. უხუცესთა სამსჯავრო. გუგუას სიკვდილი უჯობს იმის გამხვას, რაც მოხდა. კრბუს შეიკრავს, მაგრამ ონისეს გაუწყდება მოთმინების ძაფი. წინ გამოიჭრება ღპატიოსნად აღიარებს დანაშაულს, მხოლოდ მთავარს დამალავს და თუმცა ხალხს არ მიაჩნია იგი სამშობლოს მოღალატედ, უსულოდ ეცემა მაისი — ხევისბერი გოჩას ხანჯლით განგმირული.

აი, საკმაოდ მოკლე შინაარსი მოთხრობისა, რომელიც თავისთავად შეიცავს ავტორის ჩანაღვიჭის, მორალს, ფილოსოფიას, რომელსაც ნაწარმოები ქადაგებს.

ამის შემდეგ ძალიან ძნელია ს. შანშიაშვილის პიესის შინაარსის გადმოცემა.

რა უნდა მოჰყვე, როცა ზოგიერთი შე მ მო კ



ლებით და ზოგიერთი დამატებით, რომელიც მოთხრობის კონტექსტიდან გამომდინარეობს, ანუ რასაც სტრიქონსა და სტრიქონს შუა გულისხმობს ყაზბეგი, უნდა გამოეყოფო ის, რაც საკმაოდ უკუმრად წარმოედგინა მკითხველს ზემოთ. სიუჟეტი იგივეა, გმირები—იგივე, გარემოება—იგივე. მაშ რა შეიცვალა? — წამოიძახებს მკითხველი. რა და, ბიესაში გუგუას გელა ფიჩიაური ჰქვია. მაგრამ დანარჩენები? დანარჩენები იგივე ხალხია, რომლებიც ყაზბეგის მოთხრობაში მოქმედებენ, მაგრამ რადგანაც ყაზბეგი დიდი მხატვარი იყო და იცოდა, რომ პერსონაჟისათვის სახელის დარქმევა მის ხასიათად ქცევას ნიშნავს, ხოლო ხასიათები, გარდა ამ ოთხისა, ხელს შეუშლიდნენ სიუჟეტის განვითარებას, დაარღვევდნენ მოთხრობის კომპოზიციას, არ მოიხსენიან სხვა სახელები. განა ღირს თავის მოწონებად: ის გაეყავით, რაც ყაზბეგს არ გაუეყოლებია და არც უნდა გაეყავით? ამას არ ვიტყვით, რომ შანშაშვილი პრესაში ახალი ხასიათების შემოყვანას არ გვაყვედრიდეს. ეს არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

ახლა ის ვკითხოთ, რა სიხალეა შტეინლი ინსტერვიუზე ბიესაში. პირველი სურათი, რომელშიც ამხანაგის დახმარებით ონისე ნუგზარ ერისთავის კაცების მიერ მოტაცებულ ძიძიას გადაარჩენს. მათ შორის ამ სახელისწერო ქორწილამდე იმეზება სასიყვარულო ინტრიგა.

ამ საკითხის გასარკვევად კვლავ მოთხრობისა და ბიესის თემას დავუბრუნდით. რაა ეს თემა? ვერ გამოვავიკითხებ, გამოვჩორჩნი. ესაა შეუვალაობა ხალხის შერე წმინდად აღიარებული ადათებისა. რა არის ადათი? ადათი ხალხის ნებისყოფის გამოხატულებაა. შეიძლება თუ არა გაავივიკეთ ხალხი და მისი ცალკეული წევრი, პიროვნება? ცხადია, არა! შეიძლება მოხდეს ისე, რომ პიროვნება ადათის, კანონის, ხალხის ნებისყოფის პირისპირ აღმოჩნდეს? ცხადია, შეიძლება, მაგრამ ეს, უმრავლეს შემთხვევებში, პიროვნების დაღუპვით მთავრდება. ესაა მოთხრობაში ონისეს ხაზი. ამას ეხლართება პატრიოტიზმის თემა, რომელიც იმავე ადათის ერთი პუნქტთაგანია, რითაც გოჩას და ონისეს ტრადელია მონოლიტურ მთლიანობას აღწევს მოთხრობაში და თემის ამ ერთმანეთში შემავალი ორი ნაკადის ცალკე ცალკე დახასიათება მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება, რადგან ამას რომ მიჰყვე, ნაწარმოები ხელში შემოგადნება და იძულებული გახდება ისევე თავიდან დაიწყო ყველაფერი.

საიდანაც არ უნდა მიუდგეს კაცი, ქალ-ვაჟის პირველი შეხვედრის ყაზბეგისეულ ვერსიასა და შანშაშვილისეულ ვერსიას შორის არსებით გან-

სხვაებას ვერ ნახავს, რადგანაც მწერლის ჩანაფიქრისათვის აბსოლუტურად სულ ერთია ქორწილამდე დაიბადება ეს ნაძრახი სიყვარული თუ ქორწილში, მხოლოდ მთავარია, რომ დაიბადოს, თუმცა ამის გარეშე მოუფრო დაწერილებით ქვემოთ ვილაპარაკებ. მაგრამ ახლა სხვა-ნაირად შევეტრიალოთ საკითხი. ქორწილის შემდეგ რომ შეყვარებოდა ქალ-ვაჟს ერთმანეთი? თუ ყველაფერს უცვლელად დავტოვებთ მოთხრობაში და მხოლოდ ამას გადავავითებთ ასე, რა გამოვა? არაფერი, უზუნოვა გამოვა მხოლოდ, უმნიშვნელო, შინაბერების ამტკრემლებია ელოდრამა, რომლის შემდეგაც კარგი იქნება თუ მოვა ახალი შექსპირი, ყველაფერს ხელახლა გაიზარებს და დასწერს სწორედ ისე, როგორც ყაზბეგმა დასწერა, რათა ამ „მცირეოდენი“ შესწორებით ზოგადსაკაცობრიო ტრადელია შექმნას და ძლიერი პიროვნების ცალკეობა, მაგრამ სიყვარულის ზეიმი გვაჩვენოს.

წარმოვიდგინოთ, პირიქით, როგორც ბიესაში: ონისე და ძიძია ქორწილამდე შეხვდნენ ერთმანეთს და იმ წასვე დაიბადა სიყვარული. ამის წარმოდგენა ერთია და ათასი შესაძლებელი ვარიანტი ამოტრეკივდება ზედაპირზე. თუ სიყვარული იმ ძალისა, როგორიც ყაზბეგის მოთხრობაში გვაქვს, ონისე უეჭველად ქორწილამდევე დაუახლოვდებოდა ძიძიას და ამით გათავდებოდა ყველაფერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყაზბეგს სხვა მოთხრობა უნდა დაეწერა, ხოლო თუ დიდი, ზეადამიანური სიყვარულის მაგივრად, ქალ-ვაჟს შორის მხოლოდ უბრალო მოწონება იყო, თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა ტრადელის საფუძვლად გამოდგებოდა იგი.

მაშასადამე, მათ შორის ან დიდი სიყვარული უნდა იყოს, რათა გუგუას ქორწილამდე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რითაც ყაზბეგის მოთხრობაც იხსნება და შანშაშვილის ბიესის ტრადიულობაც, ანდა მხოლოდ მოწონება, რაც, ცხადია, არ გამოდგება ტრადელის საფუძვლად.

როგორც ვხედავთ, შანშაშვილისეულ ვარიანტში დიდი ალბათობაა დაშვებული, იმ დროს, როდესაც ყაზბეგი აუცილებლობის წინაშე აყენებს თავის გმირებს. მოთხრობაში ისეა, რომ არც ონისეს და არც ძიძიას არავითარი მორალური საბუთი არ გააჩნიათ გამოაშკარავებულ სიყვარულის უფლების მოსაპოვებლად. ყველაფერი იმგვარ ვითარებაში დატრიალდა, რომ ყველა გზა წინასწარვე აბსოლუტურად მოკრილი აღმოჩნდა.

ეს სწორედ იმის მაგალითად გამოდგება,



რა დიდი მწერლები იყვნენ ჩვენი კლასიკოსები და როგორ საეალალო მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეთ, თუკი მათ „შესწორებას“ და „გაპეტითშობილებას“ მორიდდებიან.

მაშ რა უქნია პატივცემულ მწერალს? მორჩენებითი სცენიურობის გულისათვის თვითონვე მოუსპია „გამოსავალი წერტილი“, რომელსაც შემდგომ უნდა დაყრდნობოდა, ანდა, სხვანაირად, მოუტრია ის ტოტი, რომელზედაც მდგარა.

ჟღერე რა არის ახალი პიესაში? ნუგზარ ერისთავი საბაბად გამოიყენებს თავისი კაცების დახოცვას და ომს უცხადებს მოხვედრის ცხადია, რომ ამ „სიახლესაც“ არა აქვს არავითარი არსებითი მნიშვნელობა. მთავარია ომი, ვ. ი. ის გა არ ე მ ო ე ბ ა, რომელიც ყაზბეგს ესაჭიროება კვანის გასახსნელად და განა ავტორის ჩანაფიქრისათვის სულ ერთი არ არის, რა საბაბს გამოიყენებს დამპყრობელი თავადი? არ ს ე ბ ი თ ი აქ თვით გა არ ე მ ო ე ბ ა ა, ომია და არა ის, რად და როგორ დაიწყო იგი. მაისელონი რომ კვანში ს ხ ვ ა გა არ ე მ ო ე ბ ი ს მოშველიებით გახსნილიყო, სხვა იქნებოდა, თორემ ახლა ერთი ნაბიჯითაც ვერ დაეცილდით ყაზბეგს და კარგადაც ვქენით.

კულტურის სამინისტრომო, — წერს ს. შანშიაშვილი, — ყაზბეგს „მიაწერა არა მარტო ლექსი, არამედ თვით გამოწავლიც და მოქმედებანიც, სიტუაციებიც და ტიპაჟიც, ამასთან ერთად ის იდეებიც, რომლებითაც მე რაკოშეტი ეურტყამიდი ფაშისტებსა“.

ახლა ისიც ვნახოთ, რა იდეები მიაწერეს ყაზბეგს.

გოჩას წარგზავნილი კაცები ატყობინებენ მთიულეტს, ვერაგ თავადს უნაშუსოდ მოუტყუებინათო. მოთხრობაში არის ამაღლებული სცენა, სადაც მთიულეები თავადს უარს ეუბნებიან დახმარებაზე. გამძვინვარებული ნუგზარი მიინც ესხმის მოხვედრებს, მაგრამ ამაჯერად მისი ლაშქარი უცხო ტომებისაგან შესდგება. ს. შანშიაშვილს უფიქრია, ვითუუ ეროვნული შუღლის მებაიარატრობა დაამწამონო და პიესაში სულ არ უხსენებია ეს უცხო, დამპყრობელი ტომები. ხსენებული ტომები ახლა ჩვენი ძმები არიან, მაგრამ იმის მიხედვით, რაც დღესაა, ხომ ვერ შევასწორებთ წარსულს! რაც იყო, იყო! აწ გარდასული და დრომოქმული სრულებითაც არ უშლის ხელს ჩვენი თაობების დღევანდელ მეგობრობას. და რა გამოვიღო? გამოვიღო, რომ არა უცხო მეგობრენი, არამედ მთიულეები დაესხნენ თავს მოხვედრებს. განა დღესათვის ნათელი არ არის, რომ აქედან არავითარი „რიკოშეტი“ არ მოხვდება ფაშისტებს? განა პატრიოტიზმი, რომლითაც ყაზბეგის მოთხრობაა გაყენებული და რისკენაც

ინსცენირებული პიესაც ისწრაფვის, მოსატანია ძმთამყვლები ომთან? აქ შეიძლება სხვა რომ მამობრავებელი ძალა იყოს, მაგრამ პატრიოტიზმი არავითარ შემთხვევაში ყაზბეგის კონცეფცია ერთის მხრივ, და შანშიაშვილის კონცეფცია, მეორეს მხრივ, ორი სხვადასხვა რამაა პოლიტიკური თვალსაზრისით, მხატვრული თვალსაზრისით კი, ამ შემთხვევაში, არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, თუ უფრო ღრმად არ გავიხილავთ საკითხს და პიესის მხატვრული მხარისათვის მეტად საზიანო დასკვნამდე არ მივალთ, რაც, ადგილი რომ ხელს გვიწყობდეს, ძალზე იოლი საქმეა.

„სიტყვიერი მასალა სულ ჩემიაო“, — ირწმუნება ს. შანშიაშვილი. რადგანაც ასე ავიშალთ საღრღელი მე — წერისა და თქვენ — კითხვისა, მოდით, ნურც ამ საკითხს დავტოვებთ გულნაკულად.

მოთხრობაში ხუთი მუხლია, ხუთი უღლებილი, რომელთა საშუალებით ნაწარმოების მთელი დამატურგია შენდება. 1. ონისეს და ძიძის შეხვედრა ქორწილში, სადაც ხელისმომკიდემ ძმობის ფიცი უნდა დადოს; 2. ჯვრისწერა; 3. გოჩას შეფიქრანება და დილოგია შვილთან; 4. ძიძის და გუგუას უკანასკნელი შეხვედრა; 5. უხუცესთა სამსჯავრო.

მოთხრობისა და პიესის ეს ხუთივე ურთიერთშესატყვისი ადგილი მომავს აქ ორივე მთავანის მეტირეოდენი, ზოგან კი საგრძნობი შემოკლებით.

1. ყაზბეგი, გვ. 9\*:

— ონისე! აბა, ჩაგვიბარებია ქალი წრფელი და შეურცხვენილი... დღეის ამას იქით შენ აგვირჩევიხარ ამის ძმად... აბა, შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც დღეის ამას იქით მოუვლი და უპატრონებ... თქვენს სოფელში შენს მეტი პატრონი არავინ ეყოლები, შენ უნდა გაუწიო ძმობა.

— აბა, დემროს არ მოეტყუების, რომ თავს დავდებ მაგისთვის.

მოხუცი მივიდა, წყნარად ასწია პირბადე სწორედ იმ დროს, როდესაც ონისე ამბობდა:

— ეგ და — მე ძმა...

მაგრამ სიტყვა ნახევარზე გაუწყდა...

— რაი მოვივიდა? — მიეშველა მოხუცი.

— არც-რა, არც-რა, დამცხა, თავბრუ რამე დამეხვა...

— ბევრი თუ არა სვი? მაიტა-ლა წყალი...

— არ მინდა, შენაი ქირამე...

\* ციტატები მოყვანილია: ალ. ყაზბეგი — „ნევისბერი გოჩა“, საბლიტგამი, 1953; ს. შანშიაშვილი — „ნევისბერი გოჩა“, საბჭოთა მწერალი, 1945.



1. შანშიაშვილი გვ. 18:

სახუ: შეილო ონისე! ჩაიბარე ჩემი ასული შეურცხვენელი, წრფელი, სანდო და ქმრის იმედის ავგირჩევიხარ შენ ამის ძმად, შენ უბატრონე! როგორც მოუვლი, შენ იცოდე, შენმა აცობამ!

ონისე: იყოს თავდები მალა ღმერთი, ძირს დედამიწა, რომ მე ძმასავით... (ამ დროს პატარძალს პირბადეს ახდის. ონისე... თითქოს თავში დაკარა... წაბარბაცდება).

გოჩა: ბიჭოუ!  
მათია: იყუჩე!  
ხადია: რა მოგივიდა?  
გონჯილა: ავად ხომ არა ხარ?  
მათია: ალბათ დაღალა ცხენზე ჯირითმა?...  
ონისე: არაფერია! ჩემს უნებურად... ალბად ვამივლის...

2. ყაზბეგი, გვ. 21:

ქალმა თავი დაღუნა და მის მაგივრად სხვა დედააკებმა, ყოველთვის სხვის მაგიერ მობასუხეთ, ყაყანი დაიწყეს:

— ჰაი, ჰაი, რო სურს!.. რაილა კითხვა უნდა?... თუ არ სდომოდა, აქ რაღად მოვიდოდა?  
— მაშ შენის ნებით იწერ ჯვარსა? — ვანიმეორა მღვდელმა.  
— თავის ნებით იწერს, ჩემო ყველა, თორემ მოძალადე ვინა ჰყავს?

2. შანშიაშვილი, გვ. 18:

(წყვდ-დედოფალს გოჩა ფოჩებთან გვირგვინს ადგამს (თუმცა ის სრულებითაც არაა მღვდელი, რ.ა.ჯ.) სანთლებს ანთებენ, გოჩა ლოცავს).

გოჩა: სურვილით, მისდევ გელას ცოლად!  
ქალები: სურვილით! სურვილით! რომ არ სდომოდა, არც მოვიდოდა.

3. ყაზბეგი, გვ. 23:

ონისემ.. მოიფშენიტა გახურებული თვალე-ბი და სიტყვებით: „არ იქნების, არ მოხერხდების!“ ჭარბისაკენ გაქანდა.

— სად მიხვალ? — იქვე შეაყენა ვილიცის ხმამ... ზღურბლზე გამოჩნდა გოჩა, რომელსაც ანთებული კვარი ხელში ეჭირა.  
— გოჩა! — წამოიძახა ონისემ და შედგა.  
— დაიქი, კედელში გაამაგრე... სად მილი-ოდი?

— არც სადა...  
— ვგ პასუხი არაა.  
— ქორწილში ვაბირებდი წასვლას...

— რაილა ქორწილისა, ახლა იქ ვალეკებუ-ლი ხალხის მეტი ვინლა?

— მთები ჩამოთოვლა და ნადირს ქვეით ჩამოჰყრიდა; ვამბობდი, ქორწილში ვინმე მონადირე იქნებოდა, ნამგლად ვავიხდიდი და სანადიროდ ერთად წაიდლოდი.

— ბალო, რას ხუმრობ?  
— რაისთვი ვხუმრობ?  
— ამ ფიფქს თოვლში სანადიროდ საით ვისკლებს? ზოგმა სადმე ჩავმარხოს, ის თუ ვინდა?

— რაისთვის?  
— იყუჩე, ბალო! შენ ცხო რაიმე გაქვს გულში.  
— რაი უნდა მქონდეს?  
— არ ვიცი და მაგას არცა ვკითხავ. შენ ისა თქვი: იცი, ვისი გორისა ხარ?

— ჰაი, ჰაი, რო ვიცი!  
— აბა, მაშ მაგას ნუ დაივიწყებ, ვინძლო ქვეყანა არ გააცინო... აბა, მაშ, წადი, წადი, სადაც გინდა, ოღონდ ჩემს სიტყვას ნუ დაივიწყებ... ვახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი ტანჯვისათვის არის ვაჩენილი.

3. შანშიაშვილი, გვ. 22:

ონისე: ოხ, ეს არ მინდა! იგი სხვისია! რად უნდა იყოს იგი სხვისი? (მიეშურება, კარებში შეხედება გოჩას).

გოჩა: საით?  
ონისე: ვოჩა!  
გოჩა: მთვრალი ხომა არა ხარ? შენი თვალეზი ამღვრეულია(?) და გულიც გიცემს(?)

ონისე: არაფერია, მამაჩემო!  
გოჩა: გულში რას ფიქრობ(?)  
ონისე: არაფერს, მამავ, გეფიციები?!  
გოჩა: ფიცი ნუ გინდა! ვაქაცს არ ფერობს გაოგნება, აზრის დაფანტვა... გულის აყოლვა(?)!

კაცს უღვამო აქვს და ქული ხურავს. აბა, პირდაპირ შემომხედე... ვანა ვერ ვატყობ, გულში რაღაც გაქვს...

ონისე: რა უნდა მქონდეს?  
გოჩა: შენ თვითონ იცი, მაგრამ მეორედ მე აღარც ვკითხავ... შენ ის თქვი: იცი, ვისი გვარის ხარ?

ონისე: ჰაი, ჰაი, რომ ვიცი!  
გოჩა— აბა, მაშ მაგას ნუ დაივიწყებ! ვინძლო ქვეყანა არ გააცინო, მუდამ ვახსოვდეს, ვისი გვარის ხარ! ეს მოგცემს ძალას!.. ხოლო კაცი კი, კაცი ტანჯვისათვის დაბადებულა...

4. ყაზბეგი, გვ. 60:

ორნივე გაუსწორდნენ ონისეს და დასასვენებლად ქვაზე ჩამოსხდნენ.



— ქალაუ, — დაიწყო კაცმა, — ღვთის მადლმა რომ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან! ჩამოვდნი, დავილიე შენის ლოდინითა და შენი გული ვერ ვალბევა.

— რაი ექნა, თუკი არ მიყვარხარ?

— ვითმენდი და აბა... აქამდის ზღვას და-ამრობდა, რაც გულში ცეცხლი მენთების. მოვმეკვდარიყავ მიანიც, გზა მოგვემოძღვოს.

— რაისთვი თავს არ მანებებ?... რაი გინდა ჩემგან?... ძალად ხომ ვერ შეგიყვარებ.

— თავი საით დაგანებო? ცოლი ხარ, ქვეყანაში მეც ქუდი მხურავს.

— მაშ, რაი გიყო?

— რაი მიყო და ცოლობა უნდა გამიწიო.

— კარგი-ლა, ღვთის მადლსა, ბიჭაუ!.. გითხარ, არ მიყვარხარ-მეთქი და გათავდა!

— იყუჩე, ქალაუ!.. შენი თავი მიანიც შეიბრაღე, თუ მე აღარ გებრალდები.

— შესაბრალებელი რაი მაქვს? — მომკლავ და გული დამიმშვიდდების...

— მაშ აღარ იქნებხარ?... არც როდის არ და-მბრუნდები, არ შემიყვარებ?

— არა.

— მაშ, იმისი უნდა იქნე? გგონია, რომ და-განებებ? დავითომბ იმას? ღვთის მადლმა, შენც მოგკლავ, იმასაც, ჩემს თავსაც ზედ და-გაკლავთ და შენით კი არავის ეახარებ!

— აი, მომკალ! ცხეებს რაისთვი ექაიდი, რას ემართლები?

— მაშ, სიკვდილი გინდა? კარგი, მოგკლავ, მაგრამ მოგკლავ მაშინ, როდესაც იმის თავს მოგირან...

— გუგუაუ, გუგუაუ! ნუ დამლუბავ, რას სჩადი ვაიმე დაღუბულს!

4. შანშაშვილი, გვ. 40:

გელა: ქალაუ! აღარ შემიძლიან მეტის მოთმენა! კაცი აღარ ვარ ამდენ ლოდინით... ასე მგონია, გონს მოხვიდოდნი(?) მაგრამ, არ იქნა, გული ვერ ვალბევა...

ძიძია: ბიჭე, რაი ექნა, თუ არ მიყვარხარ?

გელა: ოხ, მოვმეკვდარიყავ და მაშინ გზა მოგვემოძღვოს... დღეს ცოცხალი ვარ... ჩემი ცოლი ხარ... ამ ქვეყანაში მეც ქუდი მხურავს...

ძიძია: მე რაი გიყო? არ მძულხარ, მაგრამ შენ არ მინდებარ(?)... შენი ცოლობა აქ შემიძლიან...

გელა: ძიძია, თავი შეიბრაღე...

ძიძია: რას მემუქრები? თუ მომკლავ, გული დამიმშვიდდება.

გელა: მაშ არაოდეს დამიბრუნდები? ონისე ვიყვარს. ღვთის მადლმა მოგკლავ შენც და იმასაც! მერე თქვენს გვამზე(?) ჩემს თავს და-ვაკლავ(?)

ძიძია: აი, ეს გული! ონისეს სიკვდილითა ემართლები! მას რა ბრალი აქვს? აი, შენ მომკალ!

გელა: სიკვდილი გინდა? მაშ, აგრე იყო! მოგკლავ, როდესაც ონისეს თავს შენ ძღვნად მოგართმევ(?)... ოხ, არ დავზოგავ(?)...

ძიძია: გელა, რას სჩადი? დაბრუნდი, გელა! თავს არ ვიცოცხლებ!

5. ყაზბეგი, გვ. 75:

— მოიყვანეთ გუგუა! — (ბრძანა გოჩამ).

რამდენიმე კაცი მიუახლოვდა გუგუას. გაუხსნეს ხელები და წინ წაყენეს...

— გამართლეთ თავი, თუ შეგიძლია!

გუგუა მობრუნდა მსაჯულებისაკენ და მწუხარებისაგან დაღრუჯილი სახე შეაქცია.

— თუკი, თუ სათქმელი რაიმე გავცეს! — გაიმეორა გოჩამ.

— რაი ვთქვა, რაი ვითხარო? უფალმა იცის, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ მტრის წინ მომძლოლი მნახეს და ვინ დამიჯერებს? რაისთვისლი მაწყალებთ, რაისთვი მალაპარაკებთ? მომკალით და თქვენიც მოისვენებთ!

— ბალო, სიკვდილი ძნელი არაა!.. მაგრამ გულს არა სჯერა, რომ ხევის მიწა-წყლის კაცი, ხევის ქუძუთი გაზრდილი, მოძმეთა უღალატებდა, ამხანაგთ გაყიდა, მიწას შუარყევდა და ცას ჩამოანგრევდა!..

— გოჩა, უფლის მადლმა, ვფიცავ ყმაწვილკაცობის სიყრმეს, ვფიცავ შენს სახელსაც, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ თავს ევრათურით ვიმართლებ და უნდა დავისაჯო, უნდა მოვეკვდ.

— მტრის ჯარში საიდან ვანდი?

— საიდან? გინდა ყველაფერი მათქმევიწიო? თავი დამანებე, გოჩა, ნუ მალაპარაკებ, ხომ ხედავ, რომ მაპარაკი მიძნელდების?

— ჩემი გულიც არ არის მოსვენებული, გუგუა, უწყის უფალმა. ყოველ სიტყვაზე, ყოველ კითხვაზე ლახვარი მიტრიალებს გულში, მაგრამ თემი და მისი საქმე შენზედაც დიდია და ჩემზედაც... მაშ, ვითხარ ყველაფერი.

— ვითხარო? კარგი!

(აქ გუგუა მოპყვება, მაგრამ მთავარს გამოსტოვებს).

— მთაში რაი გინდოდა?

— საქმე მქონდა.

— მართო იყავ?

გუგუამ არა უპასუხა-რა.

— მართო იყავ?

— რაი ბედენაა, მართო ვიყავ თუ არა. თქვენთვის იმის გამოკითხვა იყო საჭირო, რომ გაეცოდეთ თუ არა...

(ამას მოსდევს ხევისბერის ლოცვა, წყევლა, განაჩენი და ონისეს გამოვარდნა).

— შესდექ! შესდექ, ხევისბერო! გუგუა მართალია! — დაიძახა ონისე, — გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასჯით გუგუას და მე მიზეზი გვაქვს, ერთმანეთის მოსისხლენი შეგქმნილიყავით... ეგ მთიდან რომ მოდიოდა, ბილიკებზე იმად დაეშვა, რომ მე მოვეკაღ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოლაღატრობას ტყუილად სწამობთ.

— ეგ ვინღამ გაამბო? — წამოიძახა გუგუამ და თვალები აფნით.

— ჩემის ყურით გავიგონე... როდესაც შენ ლაპარაკობდი, მე გზის იქით ვიყავ ჩასაფრებული... რაღა დავმალე? მომძეთ ცოდო მე მაქვს კისრზედა, ჩემი ბრალია იმათი გაწყვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომებარა... გუგუა უბრალოა.

ზარდაცემული მოხუცი მთლად კანკალებდა და კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო.

— მაშ, ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყუთლიმც იყავ, ყველასაგან მოძულებული, დედ-მამის საფლავიდან ამომგდებო! რა სასჯელი არის, რომ შენ გადავიწყვიტოთ... მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხუნებებს და სამართალს ითხოვს, გადაწყვიტე, თემო!

— გოჩაჲ, შენს შეილს ხევი არ გაუყიდინა... მხოლოდ ყმაწვილაცობას გაუტაცინა და თვდავიწყებამი ჩაუტადია...

— მით უფრო მეტი საბუთია, რომ მკაცრად გადახდეს. კაცს უღვაში ნამუსისათვის გამოუვა. ონისე ახლავე მკედარია... მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა.

— გოჩაჲ!

— უნდა მოკვდეს, მოკვდეს შეუბრალებლად... და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ სამართლიანად მოექცეთ... მე მიყურეთ... მოძმეთ მოლაღატე სიცოცხლის ღირსი არ არის!

— გოჩა!

— ჰაი! — ანგარიშმიუცემლად წამოიძახა მოხუცმა და მიხედ-მოიხედა შეშინებული თვალებით... ის დაეკონა შეილს და რამდენჯერმე წყნარის ხმით წარმოთქვა:

— შეილო, შეილო! — და ზედ გაეკრა.

### 5. შანშიაშვილი, გვ. 45:

(შემოჰყავთ ხელბეშეკრული გელა)

გოჩა: გაუხსენით პირშავს ხელეები (ხელებს უხსნიან)... თავი იმართლე, თუ შეგიძლიან (გელა სდუმს) სთქვი, თუ სათქმელი რამე გაქვს, ვაჟო!

გელა: რა უნდა გითხრათ? უფალმა იცის, დამანაშევე არაფერში ვარ, მაგრამ მე მნახეს მტრის წინ მავალი(!?)

გოჩა: მტრის წინ მავალი მაინც გნახეს?

გელა: მნახეს.

გოჩა: და რატომ გნახეს? რა საქმე გქონდა?

გელა: ღვთის გულსათვის, მომკალით და ნული მაწვალდებთ.

გოჩა: ბალოო, სიკვდილი ძნელი არ არის. ამ სატილო გულსაც არ სჯერა, რომ ხევისკაცი, გამოზრდილი ხევის ძუძუთი, უღალატებდა თავის მშობელს, ტოლამხანაგებს, საკუთარ მიწას შეღებავდა მოძმეთა სისხლით! მე თვითონ მინდა, გულით მინდა მართალი იყო...

გელა: გოჩაჲ! მამობრივ მზრუნველობას ვაფასებ შენსას, ვფაცავ ჩემს სიყრმეს, ყმაწვილკაცობას, ვფიცავ შენს სახელს, მოლაღატე არა ვარ თემის, მაგრამ ვერაფრით დაემატიცებ და ველი სასჯელს.

გოჩა: მტრის ჯარში მაინც საიდან განჩნდი?

გელა: საიდან? ყოველთვის კეთილს დღეს რათ გინდა ჩემი წამება?

გოჩა: ბიჟო! არც მე ვარ მოსვენებულის უწყის უფალმა, ყოველ სიტყვაზე, ყოველ კითხვაზე გულში ლახვარი მიტრიალებს და თუ მართალი ხარ, ბედნიერებას მომანიჭებ სამართლისოდ. დღეს თუ სიმკაცრეს ჰხედავ ჩემში, ჰხედავ მას მიტომ, რომ ჩვენი თემი და მისი საქმე შენზეც დიდია, ჩემზეც დიდი, მამ გეთხარ, შეილო...

გელა: მაშ, კარგი, გეტყვი...

(და გელა მოჰყვება ყველაფერს, ოღონდ მთავარს გამოტოვებს).

გონჯილა: მთაში რად იყავ?

გელა: იქ საქმე მქონდა.

გონჯილა: მართო იყავ? (გელა სდუმს). გელა, ხომ გესმის რას გეკითხები? მართო იყავ?

გელა: რა ბედნეაა, მართო ვიყავ თუ ვინმე სხვასთან... ლალატი მკითხე (?), სხვას რას დაქებ?

(ამას მოსდევს ხევისბერის ლოცვა, წყევლა, განაჩენი და ონისეს გამოვარდნა).

ონისე: შეჩერდი, მამავ! ხევისბერო! გელა მართალია! ნურც დასჯით ტყუილუბრალოდ! ჩვენ გვაქვს მიზეზი მოსისხლე მტრებად შეგქმნილიყავით, ეგ რომ ვაკეზე დავშვა მთიდან, მიტომ დაეშვა, მე შექებდა და მოკვლა ჰსურდა! მაგრამ მტერს შეხვდა...

გელა: ეგ ვინ გაამბო?

ონისე: თვით გავიგონე, როდესაც შენ ჰლაპარაკობდი! გზის იქით ვიყავ ჩასაფრებული! მე შენ წინასწარ პირობა გქონდა... იქ შეხვედროდი... (?)

ონისე: რაღა დავმალე? მოძმეთა ცოდო მე მაქვს კისრად! ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა.

გოჩა: ღმერთო, რა მესმის?

ონისე: დავკარგე გონი! მტერი მიტომ გა-





მომეპარა! გელა არ არის მოლაღატე, ის უბრალოა!

გონა: მაგრამ შენ თვითონ? ვისი გვარის ხარ? წყევულმც იყავ, ყველასაგან მოძულე-ბულა! რა სასჯელია, რომელსაც შენ დღეს იმსახურებ? მოძმეთა სისხლი ტას შეჭლაღატებს, სამართალს ითხოვს... გადასწყვიტეთ თემის მსაჯულნი!

ხადილა: დამშვიდდი, გონაუ!

გონა: შენ შეილს ზევი არ გაუციია!

ხადილა: ყმაწვილკაცობას გაუტაცნია!

ხადილა: თავდავიწყებას მისცემია!

ცქიფა: წუთიერ ტრფიალს მახე უგია!

ყველანი: მაღლურ ცხოვრებას საღლაღატ მახე აქვს და ღრმა უბსკრული!(?)

გონა: რას უზნობთ, ვაჟნი! ნურც გამაგონებთ! კაცს უღვაში აქვს ნამუსისათვის — მას არ ჰქონია, მით უფრო მკაცრად უნდა გადაჰხდეს!

ყველანი: გონაუ!

გონა: უნდა მოკვდეს შეუბრაღატებლად!

ყველანი: რა განვიზრახავს?

გონა: სამართლიანად თქვენ არ ექცევით (ხანჯალს იშიშვლებს)

ონისე: მამე! (გონა ხანჯალს ჩასცემს).

ყველანი: გონაუ, საბრაღატე!

გონა: თ! შეილის სისხლი! საღ არის შეილი?

ჩათავეებს ამას და — „ღარ გათავდა?“ — წამოიძახებს მკითხველი. ჰაი, ჰაი, რომ არა, მთავარი კიდეც წინაა! და რა არის მთავარი? შანშიაშვილის შეკითხვა: „რღა დარღა ყაზბეგისეული“, მაგრამ ნუ გაირღებთ, პასუხიც

იქვე სწერია: „ღარღა სიყვარულის სცენა და კიდეც ერთი სცენა, რომელშიაც მამა კლავს შეილს, როგორც სამშობლოს მოღალატეს“.

კეთილი, მაგრამ... ეს მოთხრობა ზომ სისხლით აქვს ნაწერი ყაზბეგს. მას ზომ სხვა მისწრაფება არა ჰქონდა-რა, გარღა იმისა, რომ თავისი ჰუმანური გრძნობები, თავისი სიყვარული აღამიანისაღამი, სამშობლოსაღამი თანამემამულეთა გრძნობებღატ ექცია. განა შეიძლება აქ გულგრილად ლაპარაკი?

ვერა და ვეღარ ვწერ მომღვენო სტრიქონს... „რასაკვირველია, მწყის, რომ მძარცვავენ, — ჩივის ს. შანშიაშვილი, — ვყვირი, მიშველეთ! კაციშვილი არ ინძრევა“. აკი ვამბობდი, სასაცილოდღან სატირელამღატ ერთი ნაბიჯი-მეთქი? „მეო, იმასო (კულტურის სამინისტროს), განგრძობს ქვემოთ, წინაღღატე მივეცი, მოხსნან პეისიღან ყოველივე ის, რაც ჩემს მიერ არის შექმნილი და დასტოვონ მარტო ინსცენირებღაო“. მე კი პირიქით ვფიქრობ: „მოვხსნათ“ პეისის ყვეღატერი ის, რაც ყაზბეგს ეკუთვნის და იქნებ პატივეცემულღამა შანშიაშვილღამა, მამინ დასწეროს თავისი ღრამატიული პოემა „მთების კანონი“.

საქართველოში, ისევე, როგორც ყოველ კულტურულ ქვეყანაში, მოწიწებით ინახავენ გარღატეკლიღატა სახელს. მიცვღატებულღებღი რას გაიგებენ, ცხადღა, მაგრამ ეს ჩვენი საკუთარი რწმენის პატივისცემა, იმ სიყვარულის პატივისცემა, რომელიც ცოცხლებიღამი გექონდა. ისინი წვიღინენ, სიყვარული კი ჩაგვიტღვენს გულში, სიყვარული ჩაგვიტღვენს, მაგრამ განა მარტო სიყვარული?



## გიორგი შაგხაკაშვილი

### ღმისი და სახლი

ამ რამდენიმე თვის წინათ ერთმა არც თუ ისე ახალგაზრდა კაცმა ხუთიოდე ლექსიმოძი-  
ტანა რედაქციაში...

ჩემსა და იმ კაცის ნაცნობობას თავისი  
პატარა ისტორია აქვს.

მე მას კარგახანია ვიცნობ: მისმა პირველმა  
ლექსებმა ჩემი ყურადღება მიიქცია. მახსოვს,  
ცუდი დაუწუნე, კარგი შევეუქე, გავამხნევე  
და დახმარებაც აღუთქვი, თუ უკეთესს დას-  
წერდა.

მაშინ ის სიცოცხლით სავესე ჰაბუკი იყო,  
მკვირცხლი და მიხედრილი. საიმედოდ მეჩი-  
ვენა და იმიტომაც შევპირდი.

ჰაბუკი კარგა ხანს არ გამოჩენილა... ხანდა-  
ხან გამახსენდებოდა ხოლმე და მიკვირდა,  
სად დიკარგა, რატომ ლექსი აღარ მოაქვს,  
ალბათ სხვა გზას დაადგამეთქი.

მაგრამ ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგ იგი  
ისევ გამოჩნდა.

ცნობილია, რომ ლექსის ჭია აგრე ადვილად  
არ ეშვება თავის საკბილს.

ჰაბუკი გარეგნულად შეცვლილიყო. ადრინ-  
დელი სიმკვირცხლე და სითამამე, იმედიანი  
გამოხედვა აღარ ჩანდა მის თვალებში. სევდა  
და ეჭვი შესწრვევოდა მის ჰირინახულ თვალს,  
ცხოვრება ენახა, მოკლე ხანში ღიმი გზა  
გაველო, საფეთქლებთან პირველი ჰადარაც  
შეპარვოდა... ამან დამამიგდა და მისი ლურჯი  
რვეული ინტერესით გადავფურცლე.

ჰაბუკი შეცვლილიყო, მაგრამ მისი ლექსი  
უცვლელი იყო. იგივე თემა, იგივე აზრი, ფერი...  
წინსვლა არ ჩანდა.

მაშინ, როცა იგი სრულიად ახალგაზრდა  
იყო, მისი სიტყვა იმედის აღმძვრელი მეჩვენა.  
ახლა კი, როცა მათ ავტორს უფრო მეტი  
მოთხოვებოდა, გული მეტყინა.

არ დავეუფარე და გულახდილად გამოვუტ-  
ყედი.

ჩემი აზრი უფრო დატუქსავს ჰგავდა და  
ჩვენ დამდურებულბივით დაეშორდით.

ხშირად ცუდ ღღეში ვარდებიან ხოლმე  
მწერლები და რედაქციის მუშაკები: არა  
ერთი დამწყები მწერალი ჯიუტად თხოულობს  
ასეთ კითხვავ პასუხის ვაცემას.

ვამოგა თუ არა რამე ჩემგან?

ეს კითხვა ბუნებრივად ებადება ყველას,  
ვის კალამსაც წინააღმდეგობა შეხედება.

ეს კითხვა ქვეყნად პირველი შემოქმედის  
გაჩენიდან არსებობს და აწვალებს ადამიანის  
მაძიებელ სულს. უამკითხვოდ თვით დიდ  
შემოქმედებსაც კი არ უტხოვრიათ.

რა პასუხი უნდა გავცეთ ამ კითხვავ?

ნათქვამია: სახარე ხბოს სასკორავზე შეეტ-  
ყოზო.

ჰოდა, თუ ეტყობა, რომ დამწყები მწერალი  
„სახარედ“ ან „სამამულე რქად“ არ გამოდ-  
გება, პირდაპირ უნდა უთხრა, უნდა აარიდო  
გამოუცდელი კაცი იმ მაცუთუნებელ გზას,  
სადაც იგი უსათუოდ დამარცხდება... ხშირ  
შემთხვევაში დიაგნოზი მართლდება: დამწყები  
ანებებს თავს ლექსის წერას და სხვა დარგის  
სახელოვან მუშაკად გვევლინება.

თუმცა რა ვიცით, აბა, თავი არ დაენებები-  
ნა წერისათვის, ჯიუტი შრომით და ნებისყო-  
ფით, ვინ იცის, ვინ მიაღწევდა!

ზოგჯერ, თუ არ გეითქვამს, გვიფიქრია  
მაინც — ამა და ამ კაცისგან არაფერი გამო-  
ვაო, მაგრამ გასულა დრო და იმ ხბოს, რო-  
მელსაც „სასკორავზე“ საიმედობა არ ეტყო-  
ბოდა, შემდეგ „ხარობაც“ გაუწყვია.

ეს რა თქმა უნდა, გამოინაქლისია, ერთია  
ათასიდან, მაგრამ მაინც არის, ამიტომ სახი-  
ფათოა ერთბაში სიტყვა...

ფიქრობ: უთხრა თუ არა?

ამ საკითხზე კარგად იხუმრა ლიონ ფეიხტ-  
ვანგერმა თავის ავტობიოგრაფიაში („Писатель,



П. Ф., его жизнь и эпоха. Балане одной жизни“).

ამ დღის ჰუმორითა და სარკაზმით დაწერილ ნოველა-ბიოგრაფიაში მწერალი თავის თავს დიდ დამსახურებად უთვლის იმას, რომ — „მან გადაარჩინა 1 ქალშვილი — დახრახობას,

2 ჰაბუკი — მსახიობობას,

6 არც თუ ისე უნიჭო ახალგაზრდა — მწერლის პროფესიას, თუმცა, 106 მსგავს შემთხვევაში იგი უძლური აღმოჩნდა.“

ჰოდა, მეც, მგონი, რაღაც ამის მსგავსი ვუთხარი ჩემს ახალგაზრდა ნაცნობს და ჩვენ ნამდურავედებით დავშორდით.

დრო გადიოდა. ჰაბუკი აღარ ჩანდა. ალბათ საბოლოოდ, ვფიქრობდი მე, ალბათ დარწმუნდა.

მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, გამახსენდება თუ არა ზოგჯერ ჩემი ძველი ნაცნობი, ის ჰუბა, წელან ლექსის ჰუბა რომ დავარტყვი, ჩემს თვალწინ გაივრავნებოდა ხოლმე და მე ველოდი მის მესამედ მოსვლას.

აჰა, მოვიდა კიდევ...  
მაგრამ მე ის ველარ ვიცანი.

ჩემს წინ კარგად შექალაქავებული გამხდარი ვეკაცო იჯდა და მორცხვად იდგმებოდა.

„რა ექნა, ვერ მოვეში, მიყვარს და...“ — ჩაიდუღუნა მან, როცა ჩემი გოცებული სახე დაინახა.

ის ვერც კი მიხვდა, რომ მე მისმა შეცვლილმა სახემ და უღრთო ჰუბარამ გამოაცა, მოსვლამ კი არა.

ისევ ისეთი ლურჯი რვეული, ისეთივე ხელი... ვტყობა, ამ ხელს სიჭაბუკის შემდეგ აღარ უვარჯიშია.

მაგრამ ხელი სხვაა და ნახელავე სხვა. ვნახოთ.

მაგრამ არა, ჯერ ლექსებს არ წავიკითხავ... ჯერ გამოვკითხავ, როგორ ცხოვრობს, რით ცხოვრობს.

დაცოლშვილებულა, სამი ვაჟიშვილის მამაა. ამ ზაფხულს ხუთი თვალი სახლი აუშენებია. სახლი...  
სახლის აშენებაზე იტყოდნენ: სახლი ააშენე, ოჯახი დაჰქვიო!

ვიცოდი, რომ იგი დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იყო და ხელმოკლედ ცხოვრობდა თბილისის მახლობელი ერთ-ერთი რაიონის სოფელში... როგორ ააშენა, რით? ისიც „ამ ზაფხულს“?

დასამალი არ არის, რომ ახლაც კი ზოგი არაკეთილსინდისიერი გზით აშენებს და ცხოვრობს.

ესეც ხომ არ...

არა, ჩემი ეჭვი არ გამართლდა, ჩემმა ნობმა საოცარი რამ მიაშობ.

ის ხუთთახიანი სახლი ამ ზაფხულს მხოლოდ მას, მარტოს აუშენებია. ქვის მტეხავიც თვითონ ყოფილა, ქვიშის და კირის ამრევიც, კალატოზიც, მიმტანიც; დურგალიც და... ერთი სიტყვით, ყველაფრის ოსტატობა გაუწევია. თარაზიც თვითონ უზმანებია, ჰაფხაც თვითონ სპერია, ხერხიო და ხელწრიც, მსხვილ ქვასაც თვითონ ეზიდებოდა, მუშტასაც და კენჭასაც! მაგრამ ლექსი, ლექსისთვის როდისღა მოიცალა?

ძველი ლექსები ხომ არ გადასწერა ახალ რვეულში?

არა, როგორც ჩანს, ლექსისთვისაც მოუცლია. ლექსები ახალია.

მიინც ვერ არ ვკეთხულობ, მინდა მისი ლექსები კარგი იყოს, ის ამის ღირსია. ბევრი რამ არის მოსალოდნელი ასეთი ნებისყოფის კაცისგან. მან ხომ მარტოდმარტომ, სხვის დაუხმარებლად ააგო ახალი სახლი. მისი მტკიცე, ენერგიული გამოხედვა ბევრი რამის მოქმელია. რა გახდა ერთი კარგი ლექსის დაწერა, უკანასკნელად რომ ლექსები მომიტანა, სახლის აშენებაც ხომ არ იცოდა!

ლექსის ნიჭი ადრე გამოიჩინა, ჰა და ჰა, მათ გამოჰვეყნებას და საბოლოო მოწონებას ცოტადა აქლდა... რა გახდა ერთი კარგი ლექსი?

არ მინდა ამ რვეულში ცუდი ლექსები იყოს... ვკეთხულობ და ვფურცლავ, ხელახლა ვკითხულობ, ვკითხულობ და მძლავრ ვერ ამიხედვას, არ მინდა თვალეზში შევხედო ლექსების ტრფიალში გაჰალარავებულ კაცს, რომელმაც გაუფრინარი ნებისყოფით და შრომით მარტომ ააშენა თავისი სამი ვაჟიშვილისთვის ხუთი თვალი სახლი. მეშინია, მის თვალეზში ცრემლი არ დაეინახო... მის ხომ ხუთი კარგი ლექსი ერჩინა იმ ხუთთვალა სახლს.



მასხენდება სვეტიცხოვლის კედელზე დაკიდებული მარჯვენა უბადლო ოსტატისა.

ნეტავ რომელმა მეტი ღონე შეაღია თავის სიქმეს, სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარმა თუ ხუთთახიანი სახლის კალატოზმა?

თუ ფიზიკურ ღონეზე ვიტყვით, იქნებ ადრე გაჰალარავებულმა დამწყებმა პოეტმა უფრო მეტი ძალა დაახარჯა თავის პატარა სახლის მშენებლობას.

სვეტიცხოვლის მშენებელი შთაგონებული დირიჟორი იყო და, ალბათ, მხოლოდ თავის სულიერ ძალას აქსოვდა მცხეთის ტაძრის ცისფერ კედლებს.

სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრის შემ-

ქმნელთა მიმე უღელს ტოლს არ დაუდებდა ბარათაშვილის მიერ დახარჯული ღონე, როცა იგი „მერანს“ ჰქმნიდა. მისი ძლიერი სულის ნებისყოფა ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში ნიადაგარით მიედინებოდა მხოლოდ ერთი მიმართულებით — ლექსისაკენ!

აღბათ ამიტომ ვერ ააგო სახლი მიუსაფარმა, არაპრაქტიკულმა ბარათაშვილმა და აღბათ ამიტომ ჩამორჩა პირადი ცხოვრების მოწყობაში ყველა ჯურის „ხახვის ფრანტებს“, რომელნიც თავის სულიერ ძალას მხოლოდ თანამდებობის მაღალ კიბეზე ასვლაში ფლანგავდნენ და ბრწყინვალე სასახლეებს იშენებდნენ.

ელავდნენ მუნდირები, ჟღრიალებდნენ დეზები რჩეულთა. ყველა მათ შეჰყურებდა და მოხიბლული უსმენდა, ბარათაშვილის ბრწყინვალე ნიჭი და განათლება კი საჭირო არ აღმოჩნდა მაშინდელი საქართველოსთვის, ის ვერც კი შეამჩნია საქართველომ.

\*

ჩვენმა დამწყებმა პოეტმა უთუოდ დიდი სულიერი კმაყოფილება განიცადა, როცა თავისი ხუთთახიანი სახლის მშენებლობა დაამთავრა, დაბინავდა და ჰერი დალოცა... ეს აღბათ ყველაზე ბედნიერი წუთი იყო მის ცხოვრებაში. შეება იგრძნო მისმა გულმა, დაისვენა მისმა მარჯვენამ.

მაგრამ განა მისი კმაყოფილების მისტაბი ოდნე მაინც შეედრება სვეტიცხოვლის ამშენებელი ოსტატის ან ბარათაშვილის გრძნობას, როცა მათ თავისი ქმნილებანი დაამთავრეს და განცვიფრებით შეავლეს თვალი?

სახლის აშენების შემდეგ დამწყები პოეტის

მარჯვენამ დაისვენა, სვეტიცხოვლის კი მარჯვენა მოჰკვეთეს...

არ გვინდა ვისურვოთ, დამწყები პოეტის ცხოვრებაში ის წუთები დარჩეს ბედნიერების მწვერვალად, როცა მან თავისი სახლის აგება დაამთავრა... ნამდვილი პოეტისათვის ყველაზე ბედნიერი ის წუთია, როცა იგი საუკეთესო ლექსს დაამთავრებს.

მაგრამ, სახლი?... იგი ხომ აუცილებელი!

სახლი ყველას უნდა ჰქონდეს, რადგან არ არის ჩიტი, რომ ბუდე არ ჰქონდეს, არ არის ქვეწარმავალი, რომ სორო არ ჰქონდეს, არ არის თევზი, რომ დარანი არ ჰქონდეს... სახლი ყველას უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს ჩვენს დროში, მაგრამ აქ პოეტური ენერჯის სწორ განაწილებაზე ლაპარაკი: სახლისთვის ზრუნვამ არ უნდა დააჰკნოს ლექსის ყვავილი.

ვინ იცის, ჩვენს დამწყებ პოეტს იმდენი დღემუდამი შრომა, გაუგონარი უჯიათობა და სულის ძალა რომ შეეწირა ლექსისათვის, რამდენი ფიზიკური ღონეც თავის ხუთთახიან სახლს დაახარჯა, ეგებ კარგი ლექსი შეექმნა. ერთი კარგი ლექსის დაწერა კი მხოლოდ პოეტს შეუძლია.

პოეტის ოცნება ისეთი ლექსის დაწერა უნდა იყოს, რომ მისი მარჯვენა მოკვეთის ღირსი გახდეს.

ნურავის შეაშინებს ეს ნათქვამი!.. ამას მეშურნეთაგან და ბოროტთაგან ხელის ფიზიკურ მოკვეთაზე არ ვამბობ... აქ აღამიანის ძლიერი მარჯვენის დაფასება და მისი სვეტიცხოვლის სიმადლეზე ატანა იგულისხმება.



## ნიკო ყიასპაშვილი

### შექსპირის ავტორობის შესახებ

„შექსპირის ავტორობის პრობლემა“ იმ დღიდანვე იყო განწირული უპერსპექტივობისათვის, როცა პირველად გამოთქვეს ეკვი — სტრეტფორდელი უილიამ შექსპირი რამდენიმე ათეული საექვეყნოდ ცნობილი პიესის ავტორი არ ყოფილაო. დილეტანტურ მეცნიერულ წრეებში გავრცელებული სხვადასხვა თეორია, რომელთა მიზანია შექსპირის თხზულებათა „ნამდვილი“ ავტორის ძიება, სერიოზულმა, საქმეში ღრმად ჩახედულმა შექსპიროლოგებმა არ გაიზიარეს.

მიუხედავად ამისა, დღემდე ამ თეორიების მიმდევარნი ფარხმალს არ ყრიან და თავიანთ წინამორბედთა ჰიპოთეზებისა თუ მოსაზრებების განვითარება-დამუშავებას განაგრძობენ. მართალია, არ არსებობს სერიოზული სამშრობო იმისა, რომ შექსპირის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის შემსწავლელი მეცნიერება დანაგვიანდეს ამგვარი დილეტანტური თეორიებით, მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ შეიძლებოდეს მათთვის სრული დემოლით გვერდის ავლა. თავიანთი უაღრესად დახარბებული და საიდუმლოებით მოცული სენსაციური შინაარსის მეოხებით ისინი მაინც ახერხებენ შექსპირის მოყვარული მკითხველი საზოგადოების გარკვეულ წრეებში ფიქსის მოკიდებას. ეს იქმის, კერძოდ, ქართველი მკითხველის მიმართაც. ქართული შექსპირული კრიტიკის ხილარების გამო ჩვენშიც ათეული წლების მანძილზე ზოგიერთები იზიარებდნენ იმ ყალბ ვერსიას, რომლის თანახმადაც „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“ და სხვა ცნობილი პიესები შექსპირის კალამს არ ეკუთვნის. ამას დღიად შეუწყოა ხელი ქართველი რეჟისორის ვინტანგ გარბის (ვანჩაძე) წიგნი: „თეატრი“ (მირველი ნაწილი), რომელიც შიშულონის მიერ ვაღმოცემული დანბლონის თეორიის საქართველოში პოპულარიზაციას ემსახურებოდა. ხშირად შეხვედებით ინტელიგენტს, სტუდენტს, რომელიც შექსპირის კუშმარტი ავტორობის აღიარებულ აზრს აკადემიური მკვლევარების „ოფიციალურ“ თვალსაზრისად

თვლის, ხოლო „ბეკონიანელების“ ანდა „რეტლენდლების“ არგუმენტები საინტერესოდ და დამაჯერებლადაც კი მიაჩნია.

ე. წ. „ანტიშექსპირისტთა“ მრავალრიცხოვანი ბანაკი, მოყოლებული დელია ბეკონიდან (რომელმაც პირველმა სცადა დაესაბუთებინა ფრენსის ბეკონის ავტორობა) ელვინ ბორმანის, იგნაციუს დონელის, დანბლონის და სხვათა ჩათვლით, ვიდრე დღევანდელ „ბეკონიანელებამდე“ თუ „ოქსფორდელელებამდე“ შეიძლება ძირითადად სამ კატეგორიად დაიყოს:

ერთნი. ფანატიკურად არიან ატაცებულნი თავიანთი იდეით, გულწრფელად სწამთ, რომ სტრეტფორდელი მეხელთათმის შვილი ვერ დაწერდა „ჰამლეტს“, და საქმოდ საინტერესო (თუმცა სუსტი მეცნიერული არგუმენტაციის შემცველი) მოსაზრებებით ცდილობენ დაასაბუთონ შექსპირისა და თუნდაც ბეკონის იგივეობა უმოთხერხად მათ თხზულებების ანალიზის საფუძველზე (მაგალითად, დელია ბეკონი).

მეორენი, არანალებად ფანატიკურად განწყობილი, თხზვენი თეორიებს, რომელთა დასაყრდენს ძირითადად ბიოგრაფიული ფაქტები შეადგენენ და რომელთა მიზანია შექსპირის პიესების სავარაუდებელი ავტორის ამა თუ იმ ბიოგრაფიული მომენტის „გენსაციფერებელი“ დამთხვევით პიესების დაწერის თარიღთან თუ პიესებში აღწერილ სხვადასხვა ამბავთან გარკვეული შთაბეჭდილება მიახდინონ მკითხველზე (მაგალითად, დანბლონი).

დაბოლოს მესამენი — დილეტანტები და ზოგჯერ მოავანტურისტო „მეცნიერები“ — ფაქტებზე აშკარა ძალბანებისა და ელემენტარული ლოგიკური თუ ფსიქოლოგიური ანალიზის უგულვებელყოფის გზით, ფანტასტიკურსა და ამავე დროს მეტად მსუბუქ სენსაციურ „თეორიებს“ ქმნიან თითქოსდა შექსპირის თხზულებებში ჩაქსოვილი ბეკონის საიდუმლო შფერის შესახებ (მაგალითად, იგნაციუს დონელი).

შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

შემსწაველი თანამედროვე ლიტერატურის-  
მეცნიერება ხელაღებით და კატეგორიულად რო-  
დი უარყოფს ყველაფერს, რაც კი ე. წ. „ანტი-  
შექსპირისტებს“ გაეკეთებიათ. როგორც შუა  
საუკუნეების ალქიმიამ, მიუხედავად თავისი  
არამეცნიერული ხასიათისა, განავითარა გარკვე-  
ული საექსპერიმენტო ტექნიკა, რასაც ახლანდელ-  
ი ქიმია საკუთარი მეცნიერული მიზნებისა-  
თვის იყენებს, ასევე „ანტიშექსპირისტ“ მკვლევ-  
ართა არსებითად ანტიმეცნიერულ ჩხირკედლ-  
ელობაში რაღაც შუა საშუალო მაინც გაკეთდა.  
ბევრმა დილტანტმა მეცნიერმა, რომელმაც  
ცხოვრების მიზნად ლიტერატურული კურონოზე-  
ბის გამოჩნრეკა დაისახა, ზოგი ისეთი მასალა  
დააგროვა, რომელიც შემდგომ სერიოზული  
კვლევის ობიექტად აქცია. ბევრი საინტერესო  
და საყურადღებო ისტორიული დოკუმენტი იქ-  
ნა მოძებნილი სხვადასხვა სავაიერულო არ-  
ქივსა და კერძო ბიბლიოთეკაში. მაგრამ, რასა-  
კვირველია, მსგავს მკვლევართა ობიექტური ღი-  
რებულება ამ შუა საშუალოს შესრულებით თუ  
ამოწურება (და ისიც ნაწილობრივ, მხოლოდ  
იმ შემთხვევაში, როცა ისინი სუბიექტური მიდ-  
ვამით არ ამახინჯებდნენ ისტორიულ ფაქტებს).

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია თანამედ-  
როვე შექსპიროლოგიისათვის იმ კატეგორიის  
შრომები, რომელთა ავტორები არ მისდევენ  
სენსაციური ფაქტების ძიებას და, მაგალითად,  
ბეკონის ავტორობის დასამტკიცებლად ამ დიდი  
ინგლისელი მოაზროვნისა და შექსპირის ნაწარ-  
მოებთა სერიოზული ანალიზის ცდას იძლევიან.  
მაგრამ, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, აქაც  
ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ შუა საშუ-  
ალო კეთდებოდა ხოლმე. თანამედროვე შექსპი-  
როლოგის შეიძლება გამოადგეს ამგვარ მკვლევ-  
ართა ცალკეული გონებამახვილური მიგნებე-  
ბი, ცალკეული სწორი გაგება შექსპირის ამა თუ  
იმ ნაწარმოებისა, ანდა შექსპირისა და ბეკონის  
მსოფლმხედველობის ნათესაობისა; მაგრამ მათი  
ძირითადი დებულება — რომ შექსპირის თხზუ-  
ლებითა ავტორი ბეკონია (ანდა, სხვა შემთხვე-  
ვებში — რეტლენდი, ოქსფორდის გრაფი და  
სხვ.) — მაინც სრულიად მიუღებელი რჩება.

სხენებული თეორიების დეტალური გარჩევა  
და მათ წინააღმდეგ კონტრარგუმენტების წამო-  
ყენება ძალიან შორს წაგვიყვანდა. შევიჩერდეთ  
მხოლოდ რამდენიმე ძირითად მომენტზე.

„ანტიშექსპირისტების“ ერთ-ერთ მთავარ არ-  
გუმენტსა და ძირითად ამოსავალ წყაროს წარ-  
მოადგენს ის ფაქტი, რომ შექსპირის ცხოვრე-  
ბის შესახებ დღევანდელმა შექსპიროლოგიამ  
ძალიან ცოტა რამ იცის. მათ თვალში ამ ფაქტს  
არგუმენტის ძალა აქვს იმედნად, რამდენადაც,  
მათი აზრით, შექსპირის ბიძების ავტორი რო-  
მელიმ ბრწყინვალე, ღრმად განათლებული  
პროსტოკრატია უნდა იყოს, და უბრალო აქტი-

ორის შესახებ კი (რომელიც თითქოსდა გერ და  
წერდა ამ ბიესებს), რასაკვირველია, არავითარი  
ლირსშესანიშნავი დოკუმენტური მასალა არ შეი-  
ნახებოდა ისტორიისათვის. ხოლო თვით ფაქტი  
ამ მასალის სიღარიბისა ანტიშექსპირისტებს  
ფართო ასპარეზს უხსნის სხვადასხვა საგარე-  
უღებელი ავტორის ბიოგრაფიების დასაკავში-  
რებლად შექსპირის შემოქმედებასთან.

შექსპირის ბიოგრაფიული ფაქტების სიღარიბე  
ძირითადად მართლაც იმით არის გამოწვეული,  
რომ დიდი ინგლისელი მწერლით დაინტერესე-  
ბა და განსაკუთრებით მისი ცხოვრების მეცნი-  
ერული შესწავლა შედარებით გვიან დაიწყო.  
ამ დროისათვის კი უკვე ძნელი-შეიძენა იმ მასა-  
ლორის თავმოყრა, რომელთაც არავინ უფროთხილ-  
დებოდა, რომელთა დაცვასა სპიროდ არავინ  
მიიჩნევდა. ამიტომ შემორჩენილ საბუთებს შემ-  
თხვევითი ხასიათი აქვთ. თანაც მათი უმრავლეს-  
სობა ოფიციალური დოკუმენტებია, რომელთა  
დაცვა სამრევლო და ნოტარიალურ დაფთვებში,  
ასე ვთქვათ, მექანიკურად ხდებოდა. ერთ-ერთი  
ასეთი დოკუმენტი, მაგალითად, შექსპირის ან-  
დერძი, რომლის ავთენტურობაშიც არც ერთ  
შექსპიროლოგს ეჭვი არ შეუტანია. ეს ანდერძი  
მოცულობით დიდია, მაგრამ ჩვენთვის საკმარის  
უინტერესო, როგორც წმინდა ოფიციალური,  
ნოტარიალური დოკუმენტი, საიდანაც პოეტის  
სულიერი ცხოვრების შესახებ ვერაფერს ვე-  
ბულობთ.

საერთოდ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღე-  
ბული, რომ შექსპირის დროს თვით „ბიოგრა-  
ფია“, როგორც ვარკვეული ლიტერატურული  
ჟანრი დღევანდელი გაგებით, არც არსებობდა.  
ცნობილ პიროვნებათა და მწერალთა ცხოვრე-  
ბის მეცნიერული აღწერა უფრო გვიანდელ  
მოვლენაა. შექსპირის თანამედროვის ტომის  
პეფეულის მიერ დაწყებული „ყველა პოეტთა  
ცხოვრებანი“ დაუმთავრებელი დარჩა და ნამ-  
დვილი ბიოგრაფია მხოლოდ საუკუნუნახევრის  
შემდეგ დაიწერა. ის იყო ჯეიმს ბოსუელის მიერ  
აღწერილი ცხოვრება დოქტორ ჯონსონისა.  
ყოველზე ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ  
შექსპირი, ისევე როგორც მისი მრავალი სხვა  
ბრწყინვალე თანამოკალმე, არც თუ ისე „დიდ“  
და „ღირსშესანიშნავ“ პიროვნებად ითვლებო-  
და იმ დროს და თვით მწერლის პიროვნებაც,  
როგორც ცნობილია, სახარბილოდ არ იყო  
მიჩნეული.

ამრიგად, „ანტიშექსპირისტებს“ არც ეღვები-  
ან იმის გამო, რომ შექსპირის ელსაბედის ეპო-  
ქაში არავინ დააყენებდა რომელიმე ბრწყინვალე  
საუთუპემტონის ანდა რეტლენდის გვერდით. სა-  
კითხი ეხება იმას, რომ საერთოდ იმ დროს  
ღრამატურგს არა მართო საზოგადოებაში, არა-  
ხედი თვით თეატრშიაც კი მეორეხარისხოვანი  
აღვლი ეჭობა. აქედან მომდინარეობს სწორედ  
არა მართკ შექსპირის, არამედ მისი ბევრი სხვა



ცნობილი თანამედროვე დრამატურგის ბიოგრაფიულ ცნობათა ნაკლებობა<sup>1</sup>.

მეიღელ ისეთი სურათი, რომ „ანტიშექსპირისტების“ ხელთ თვით შექსპირის ბიოგრაფიასთან შედარებით უფრო მეტი ფაქტური მასალა აღმოჩნდა ამა თუ იმ საფარადღებელი ავტორის ცხოვრების შესახებ. ეს გარემოება კი ხელშეწყობს უხსნის მკვლევარს, რომელიც გადაწყვეტს შექსპირის პიესების ავტორობის საკითხს. „კანდიდატის“ ცხოვრებიდან (რომელიც ასე თუ ისე ცნობილია) ამოკრიფოს ისეთი მომენტები, რომელნიც გაამართლებენ მეს თეორიას და რომელთა გაბათილება ზოგჯერ ძნელდება, რადგან თვით შექსპირის ცხოვრების ანალოგიური მომენტები არც არის. ამიტომ იყო სწორედ, რომ ფრთა შეისხა „რეტლენდლების“ თეორიამ, რომლის მიხედვით უპირაძე ფაქტი რეტლენდის გრაფის ბიოგრაფიიდან „ნათელყოფდა“ მის ავტორობას. ამ მართლაცდა საოცარ ფაქტებს (რომ რეტლენდის მოგზაურობა იტალიაში ემთხვევა იტალიურ ცხოვრებაზე შექმნილ შექსპირის პიესების დაწერის თარიღებს, ელსინორში ყოფნა — „ჰამლეტის“ დაწერას და სხვა) შემდგომში მივბრუნდებით. ოქსფორდის გრაფის „კანდიდატის“ მომხრეთა მიერ აღმოჩენილი არანაკლებ საოცარი დამოხვევები, მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ტომას ლუნესი წიგნი „Shakespeare Identified in Edward de Vere, The Seventeenth Earl of Oxford“, რომელიც პირველად 1920 წელს გამოვიდა ნიუ-იორკში და შემდეგ რამდენჯერმე გამოვიდა ხელახლა (1948, 1949 წწ.). არკვევა, რომ ოქსფორდის გრაფი თანამედროვეებში პოეტად და გამოჩენილ დრამატურგად იხსენიება, რომ მისი ლიტერატურული ფსევდონიმი უილი (!) იყო, რომ იგი თეატრალი და მსახიობიც კი ყოფილა.

სწორედ ის გარემოება, რომ საოცარი დამოხვევები გვხვდება არა მარტო რეტლენდისა თუ ბეკონის ავტორობის მტკიცებისას, არამედ ავტორობის თითქმის ყოველი ახალი „კანდიდატის“ ძიების დროს, მოწმობს იმას, რომ ეს სურულიად შემთხვევითი დამთხვევებია და მათი „სისურული“ ხასიათი განპირობებულია მსგავსი თეორიების ავტორთა სუბიექტური განზრახვით — წინა პლანზე წამოაწიონ ასეთი მომენტები

და მიჩქმლონ სხვა, მათი მოსაზრებისათვის არახელსაყრელი და სწორად აშკარად მიუღებელი ისტორიული თუ ბიოგრაფიული ფაქტები.

იგივე „ოქსფორდლები“, მსგავსად „რეტლენდლებისა“, თანდათანობით მივიდნენ ისეთ აბსურდებამდე, რომლებიც შიგნიდანვე აფეთქებენ, ხსნიან მათს ძირითად დებულებას.

მაგალითად, მონტეგიუ დუგლასი და პერსი ალენ<sup>2</sup> მთელი სერიოზულობით ცდილობენ დასაბუთონ, რომ ლე ვერის ცნობილი პორტრეტი (Welbeck Portrait) და შექსპირის ერთი პორტრეტი (Ashbourne) ერთი და იგივე პიროვნებას გამოსახავს სხვადასხვა ასაკში. ეს მკვლევარები ისე სერიოზულად და გულმოდგინედ აღარებენ ერთმანეთს სხელებულ პორტრეტებს, თითქმის თვით ამ პორტრეტების ავთენტურობის საკითხი გადაწყვეტილი იყოს. სინამდვილეში მეცნიერებამ ჯერ მიახლოებითა კი ვერ დააზუსტა მათზე გამოსახულ პიროვნებათა ვინაობა (ისინი მხოლოდ პირობით არიან მიჩნეული ოქსფორდის გრაფისა და შექსპირის პორტრეტებად).

ჯერალდ ფილიპის აზრით<sup>3</sup>, ბეკონი, დრბი და ოქსფორდი შეთქმულები იყვნენ და ფსევდონიმად არჩეული ჰქონდათ „შექსპირი“. ამბოგან შექსპირის ცნობილი პიესების ავტორად მას ოქსფორდის გრაფი მიიჩნია. ფილოზოფი იქვეა სონეტების ახლებურ ინტერპრეტაციას და ამტკიცებს, რომ მათი უმრავლესობა მიძღვნილია არა მეგობრის, არამედ ბავშვისადმი, პოეტის საკუთარი ბავშვისადმი, ხოლო სონეტების სატრფიალო ხასიათი, ავტორის აზრით, აიხსნება იმით, რომ მამა-შვილს შორის მეტად სპეციფიკური ურთიერთდამოკიდებულება იყო: ავტორის ისე ღრმად შეუტოპავს თავის შიშოთუხაში, რომ ახვადებს — სონეტების დიდი ნაწილი ოქსფორდის გრაფმა მიუძღვნა თავის უკანონო შვილს, რომელმაც არ იცის, ვინ არის მისი მამა და რომელიც გრაფის სასახლეში პაუზ მიუწვევიათო.

შესაძლოა ასეთ მელოდრამატულ თხზულებებსაც ჰყავდეს თავისი მკითხველი, მაგრამ ძნელი სათქმელია, თუ რა კავშირში შეიძლება იყოს ავტორის ეს ფანტაზია პოეტ უილიამ შექსპირის პიროვნებასთან, ან თუნდაც თვით სხელებული სონეტების ქეშპირიტ შინაარსთან. ამ თეორიაში ფაქტიურად ყოველგვარი მსჯელობის ამოსავალი წერტილი მშრალ ვარუდზეა დამყარებული.

<sup>1</sup> Montague W. Douglas, Lord Oxford was Shakespeare, London, 1934.

<sup>2</sup> Percy Allen, The life Story of Edward de Vere in William Shakespeare, Oxford, 1932.

<sup>3</sup> Gerald phillips, The Tragic story of Shakespeare, London, 1932.

<sup>1</sup> რაც შეეხება შექსპირის განსწავლულობას, უნდა ითქვას, რომ იგი არც ისეთი „ავადმეიური“ა, რომ ამისათვის საჭირო იყოს უნივერსიტეტდამთავრებული „ავტორობის კანდიდატის“ მოძებნა. მეორეც ერთი, ხშირად ავიწყდებათ, რომ შექსპირი არისტოკრატიული-ლიტერატურული სალონების მაღალი რენესანსული კულტურის „აქადემიას“ ეზიარა, რამაც უდავოდ გააღრმავა მის მიერ კლასიკურ სასწავლებელში მიღებული ცოდნა.

ლი. არ კმაროდა ავტორის შექსპირის სონეტებში დაენახა პოეტის შვილის თემა, — ისიც საჭირო შეიქმნა, რომ ოქსფორდის გრაფს ნამდვილად უკანონო შვილი ჰყოლოდა.

თავის მეორე წიგნში<sup>1</sup> ჯერალდ ფილიპსი ვარაუდობს სამი შექსპირის არსებობას. ერთი ნამდვილი შექსპირი, დიდი შექსპირი, რომელიც ატარებდა ფსევდონიმს „შექსპირი“ და სინამდვილეში კი იყო ოქსფორდის გრაფი დე ვერი, მეორე — მისი შვილი უილიამ შექსპირი და მესამე — სტრეტფორდელი შექსპირი. თავი-სი დახალართული ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ავტორი იძულებულია ისტორიული ფაქტების ფანტასტიკურ ინტერპრეტაციას მიმართოს. ასე, მაგალითად, ბენ ჯონსონის ცნობილ ლექსში, რომელშიც შექმნილია შექსპირი, იგი ხელდასისევ და ისევ სამ შექსპირს. და რადგან, მისი აზრით, სტრეტფორდელი შექსპირი არ არის პოეტი, ამიტომ ბენ ჯონსონის ცნობილ სიტყვებს ევივონის გედის შესახებ მიიჩნევს ირონიულ (აბა მფრინავი გედი რას ჰგავსა) (?) და სხვა.

თუ ოცდაათიან წლებში დანბლონის სენსაციური თეორია რეტუნდის ავტორობის შესახებ ერთ ხანს შეცვალა ოქსფორდის გრაფის ავტორობის არა ნაკლებ სენსაციურმა ჰიპოთეზამ, დღევანდლამდე მაინც ბეკონის ავტორობის ყველაზე სიცოცხლისუნარიანმა თეორიამ მოაწია.

ამ მხრივ აღსანიშნავია 1944 წელს გარდაცვლილი მეღსომის მოღვაწეობა. მისი წიგნის<sup>2</sup> წინასიტყვაობაში მეორე თანამედროვე შექსპიროლოგი — ბეკონელი როდრიკ იგლი აღნიშნავს, რომ მეღსომი 1940 წელს გახდა საცეცხლე ბეკონის ორგანოს „ბეკონიანას“ რედაქტორი, ხოლო 1942 წელს — ბეკონის საზოგადოების პრეზიდენტი. მარტო ამ თანამდებობათა ჩამოთვლა ნათელს ხდის, თუ როგორაა გავრცელებული ეს თეორია ჩვენი საუკუნის აზრომცდაათიან წლებშიც. მაგრამ არგუმენტაციისა და, საერთოდ, მეცნიერული ღონის თვალსაზრისით თანამედროვე ბეკონელები თუ არ ჩამორჩებიან, ყოველ შემთხვევაში, წინ ვერ უსწრებენ ამ თეორიის გასული საუკუნის წარმომადგენლებს. იგივე მეღსომი დღეა ბეკონზე გასულებით უფრო ზერეულდ იცნობს ბეკონის ფილოსოფიასა და შექსპირის შემოქმედებას (მეტად დამახასიათებელია, რომ მსგავსად „ანტიშექსპირისტთა“ უმრავლესობისა, მეღსომიც დიდეტანტია: იგი განათლებითა და სპეციალიზით ქირურგი-გინეკოლოგია). მისი უსუსური არგუმენტაციის ნიმუშად შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი მსჯელობა:

„ბიბლიის თარგმნისს ბეკონი ხშირად თავად აღგენდა ტექსტს. თუ იგი მიიჩნევდა, რომ არსებული თარგმანი არ გამოხატავდა იმას, რასაც ძველი ებრაელები გულისხმობდნენ, იგი საკუთარ თარგმანს იძლეოდა; და ზოგჯერ ბეკონი იმას კი არ გვეუბნება, თუ რას ამბობდა სოლომონი, არამედ იმას, თუ რას გულისხმობდა, მისი აზრით, სოლომონი. ასეთ რამეებში შექსპირი მისდევს ბეკონს სპანიელივით!, რაც ყველაზე ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ეს ორი ადამიანი ერთი და იგივე პიროვნებაა“.

რენესანსულ ლიტერატურასა და ფილოსოფიურ აზროვნებაში შემუშავებული თავისებური გაგება ბიბლიისა, რასაკვირველია, ბეკონისა და შექსპირის გარდა ბევრ სხვა მწერალსაც საერთო ჰქონდა, მაგრამ მეღსომს ეს უდავო ფაქტი, რამომლოდ, მაინცდამაინც თავისი თეორიის გასამტკიცებლად არგუმენტად მიიჩნია.

რენესანსის დროინდელ მთაზროვნეებსა და მხატვრებს ერთმანეთთან აკავშირებთ საერთო, ეპოქისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური ატმოსფერო. ამიტომ სერიოზულ მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია იმ მკვლევართა მსჯელობა, რომლებიც ცდილობენ დამტკიცონ, რომ, მაგალითად, ჰამლეტი პოლონეთთან საუბრის ცნობილ სცენაში კითხულობდა ბრუნოს, მონტენს, იუვენალსა თუ ჯონ ლილის, და ამ გარემოებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. არასერიოზულად, მაგალითად, მონტენის ფრაზის — „ყოველთვის ფეხთ უნდა გეცვას და მზად იყო წასასვლელად“ — შესატყვისის მოძებნით შექსპირთან, ამ უკანასკნელის „ფილოსოფიებზე“ მონტენის გავლენის შესახებ მსჯელობა. მით უფრო საკვირველი იქნებოდა ამ ორი ავტორის მიერ ერთნაირი ფრაზების ხმაურების საფუძველზე მათი ერთი და იგივე პიროვნებად წარმოდგენა.

მეტად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჩვენი საუკუნის 40-იან, 50-იან წლებამდე შექსპირ-ბეკონის თეორიამ ძირითადად მაინც იმ ამასურდულთ და უკიდურესობამდე მისული დილტანტური ფორმით მოაღწია, რომლის შემქმნელი მეცხრამეტე საუკუნეში იყო ამერიკელი იენატიუს დონელი<sup>3</sup>. 1941 წელს ლინდონში გამოვიდა ალფრედ ლოდის წიგნი „შექსპირის საინტელექტუალური“<sup>3</sup>. ავტორს მოაქვს ნაწყვეტები შექსპირის პიესებიდან და სტრუქტურების დასაწყის ასოებს რაღაც მაგიურ შინაარსს ანიჭებს. მსგავსი „კვლევა“, რასაკვირველია, ვერავითარ სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს. შექსპირის

<sup>1</sup> სანადირო ძალის ჯიშია. — ნ.ყ.

<sup>2</sup> Ignatius Donnelly, The Great Cryptogram: Francis Bacon's Cipher in the So-called Shakespeare plays, 2 ტომად, ლონდონი, 1888.

<sup>3</sup> A. Dodd, The Secret Shakespeare.

<sup>1</sup> Lord Burghley in Shakespeare, London, 1936.

<sup>2</sup> W. S. Melsome, The Bacon—Shakespeare anatomy, London, 1945.





მიერ დაწერილი უამრავი სტრიქონიდან აღვივალად შეიძლება შეირჩეს ასოების ისეთი შემთხვევითი თანმიმდევრობა, რომელიც რაიმეს „გაშიფრვის“ საშუალებას მოგვცემს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგივე ალფაბედ დოლი არავითარ მკაცრ და ლოგიკურ თანმიმდევრობას არ იჩენს ასეთი ასოების მოძებნისას (გარდა იმისა, რომ ნებისმიერად გამოაყოფის კურსივით მისთვის საჭირო ასოებს), მაშინ შეიძლება მის მიერვე მოტანილ მაგალითებში დაიძებნოს სხვადასხვა შინაარსის შემცველი ფრაზების მრავალნაირი ვარიანტი. რაც მთავარია, ყოველივე ეს სრულიად უცხო და შეუფერებელია შექსპირის ღრმა შინაარსის შემცველი შემოქმედების ხასიათისათვის (მით უმეტეს, ცნობილია, რომ ანაგრაფების წერა ვერ ჩაითვლება მაღალ ხელოვნებად, განსაკუთრებით კი დრამატურგიაში, სადაც თვით ქანის სპეციფიკა გამორიცხავს ასეთ „ტვიინის ტყუილას“).

ამრიგად, სტრეტფორდელ შექსპირზე „ანტი-შექსპირისტების“ თავდასხმაში იგრძნობა არა მარტო უნდობლობა ხალხიდან გამოსული მწერლისადმი, არამედ თვით ამ მწერლის შემოქმედების სრული უტოლინარობა. ასეთი მკვლევარების შესახებ შეგვიძლია ვავიმეოროთ ჰენრი ირვინგის სიტყვები, რომლითაც იგი ამთავრებს საინტერესოდ დასაბუთებულ წერილს „შექსპირი და ბეკონი“:

„მე მეტად დიდ პატივსა ვცემ შექსპირს საიმისოდ, რომ ვიგულისხმო, თითქოს მას ესაქვირობოდეს დაცვა უვიციობისა და ღვაძლისაგან“<sup>1</sup>.

უქანსკენლ ხანს კვლავ იფეთქა შექსპირის ავტორობის ახალმა სენსაციურმა ვარიანტმა. ამჯერად „ჰამლეტის“, „ოტელოს“, „მაკბეტისა“ და სხვათა ავტორად გამოაცხადეს შექსპირის წინამორბედი დრამატურგი ქრისტოფერ მარლოუ. ამ თეორიის ავტორია ამერიკელი კალვინ ჰოფმანი<sup>2</sup>.

ჰოფმანის ძირითადი არგუმენტია შექსპირისა და მარლოუს შემოქმედებათა შინაგანი ნათესაობა, რაც აქამდისაც კარგად იყო ცნობილი ლიტერატურისმცოდნეობისათვის. მაგრამ ავტორი იფიქრებს, რომ ქრისტოფერ მარლოუს შემოქმედებას საკუთარი დებადებისა და კულმინაციის წერტილები, განვითარების საკუთარ, შექსპირის შემოქმედებისაგან განსხვავებულ და დამოუკიდებელი გზა გააჩნია. თუ წარმოვიდგინოთ კიდევ, რომ მარლოუს არ მოუკლავთ 1593 წლის 1 ივნისს, ე. ი. შექსპირის დრამატურგიული მოღვაწეობის დაწყებამდე<sup>1</sup> და რომ თითქოს მას „ფაუსტის“ შემდეგ დაეწეროს „ჰამლეტი“, ყოველ შემთხვევაში ცოტად თუ ბევრად საქმეში ჩახედული ლიტერატორისათვის სრულიად აშკარაა, რომ „ფაუსტის“ ავტორის კალამს არ შეიძლება ეკუთვნოდეს „შეცდომათა კომედია“ ან „ორი ვერონელი ჯენტლმენი“. ეს კომედიები „მალტივილი ებრაელისა“ და „თემურ-ლენგის“ ავტორის შემოქმედებითს ევოლუციას კი არ გამოხატავს, არამედ მეორე, სხვა დრამატურგის (შექსპირის) შემოქმედების საწყისი ეტაპის ამსახველი ნაწარმოებებია. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მრავალი რამით მონათესავე, მაგრამ ასევე მრავალი რამით განსხვავებული ორი დრამატურგის შემოქმედებასთან. ერთი — მეორის მოსამზადებელი ეტაპია და მათ შორის იგვეგობის ნიშნის დასმა საკითხის სრული გაუგებრობა იქნებოდა.

რაც უნდა მოსაწყენი იყოს შექსპირის ცხოვრების აღმწერ ავტორთათვის ერთი და იგივე დარბი ბიოგრაფიული ფაქტების გადმოცემა, მათ შექსპირის, ე. წ. „ტრადიციული ბიოგრაფიის“ იქით ჯერჯერობით გზა არსით აქვთ. სენსაციური ამბებით გატაცებას კი შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ და მხოლოდ ყოველგვარ მეცნიერულ დირებულებას მოკლებული ახალი, უკეთეს შემთხვევაში „ლამაზი“ პიპოთეზის შეთხზვა.

<sup>1</sup> Sir Henry Irving, Shakespeare and Bacon, წიგნში—The Complete works of Shakespeare, ნიუ-იორკი, 1926.

<sup>2</sup> იხ. ასია ტრილინგის წერილი „შექსპირი თუ მარლოუ“ („В защиту мира“, 1956 წ. სექტემბერი, № 64).

<sup>1</sup> თუმცა ამის დასაშვებად საჭიროა ისეთი სოლიდური მონოგრაფიების უგულვებელყოფა, როგორცაა John Bakeless, The Tragical History of Christopher Marlowe, 2 ტომი, კემბრიჯი, 1942; Charles Norman, The Muses, Darling, ნიუ-იორკი, 1946, და სხვ.



## კოგნიტური

# უიარაღო მებრძოლი

(კონდრატე თათარიშვილის (უიარაღოს) თხზულებათა პირველი ტომის გამოცემის გამო)

1912 წლის ივნისის 15-ს, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ჩრდილოეთის სადგურის ბაქანზე, მესამე კლასის ვაგონიდან გადმოვიდა საკმაოდ შელახულ ნაცრისფერ საწვიმარში გამოწყობილი, თავშიშველა, ქერათმიანი და პატარა წვერიანი, ცისფერთვალემა ვაკეკაცი, რომელიც ცნობისწადილით, ყურადღებითა და ხალისით ათვალიერებდა თანამგზავრებს, სადგურის შენობას, სადგურის წინ გაშლილ მოედანს...

მცირე რამ ფუთა გვირა. ეს იყო მთელი მისი აგადადიება. ჯიბიდან ქაღალდის ნახევე ამოიღო და პირველივე შემხვედრს მიმართა — მისამართის გასარკვევად. უცხო ენის სიტყვების მცირე მარაგის შესავსებლად ხელები და მიმიკა დაიხმარა. მალე მათ გარშემო რამდენიმე კაცი შეიკრიბა, გაიმართა თათბირი. ერთმა ახალგაზრდამ იკისრა უცხოელის დახმარება და იმავე საღამოს კონდრატე თათარიშვილი, ანაფორაგანდის „ურწმუნო მღვდელი“, და ნიჭიერი ბელეტრისტი, ესლა-კი სამშობლოდან დევნილი და უცხოეთში გადმოხვეწილი, უკვე მეგობრების წრეში იყო. ამ დროს ბრაუსელში ქართველების საკმაოდ მრავალიცხოვანი ჯგუფი ცხოვრობდა. მათ შორის იყვნენ თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე, დავით კასრაძე, პალკო ყიფიანი.

ახლად ჩამოსულს ბევრი რამ ჰქონდა მოსაგვარებელი: ბინა უნდა ეშოვნა და, რაც მთავარია, უნივერსიტეტში უნდა ჩარიცხულიყო. მეგობრების დახმარებით კონდრატე დასახლდა ვიწრო და ერთმანეთზე მიყრილი ოთხსართულიანი სახლებისგან დაბნელებულ ქუჩაზე, რომელსაც ქართველთა ქუჩას უწოდებდნენ, პატარა ოთახში, რომელიც მიწის ზედაპირს ძლივს სცილდებოდა. ფანჯრები უკანა შესახვევში გადიოდა. ახალი მდგმური მეტად უცნაური გამოდგა. შესახლდა თუ არა, მაშინვე სახლის პატრონს ფანჯრის ჩარჩოების ამოღების ნებართვა სთხოვა,

ჩარჩოები ამოიღო და ასეთ გაფარდასაგებულ ოთახში ცხოვრობდა. ზამთარ-ზაფხულ უქულოდ დაიარებოდა, ოღონდ ყოველგვარ ამინდში ილიაში ამოჩრილ ძველ შავ ქოლგას არ იშორებდა. ტანზე მუდმივ ერთი და იგივე ლურჯი კოსტუმი ეცვა, უამინდობაში — საქართველოდან ჩამოყოლილი ნაცრისფერი საწვიმარი, რომელიც ათი წლის შემდეგ უკანვე წაიყოლა. სახლის პატრონმა და მეზობლებმა ჯერ იუცხოვეს, გაიკვირვეს, მაგრამ გაციდა თვეები, მერე წლები, და ყველანი შეეჩვივნენ და შეიყვარეს ეს უცნაური მდგმური. ერთი სისუსტე ჰქონდა — ბავშვები უყვარდა; ჯერ სანამ ფრანგულს ისწავლდა და ენას გაიტეხდა — მხოლოდ თავზე ხელის გადასმით თუ მოეფერებოდა სახლის პატრონის პატარა გოგონებს, მაგრამ მერე-კი, როცა ენა შეისწავლა და ბავშვებიც შეეჩვივნენ, სწორად გაკეთილებების მომზადებასა და მეცადინეობაშიც ეხმარებოდა.

ოთახი მყუდრო ადგილას იყო — პატარა კარადა, მაიდა და საწოლი შეადგენდა მის შორთულობას, იაფი იყო და საერთოდ ყოველმხრივ მოსახერხებელი გამოდგა — ოღონდ ერთი გარემოება სწორად აფერხებდა ხოლმე სტუდენტს: ოთახში გაზის განათება იყო. 25 სანტიმანი მინეტი უნდა ჩაეგლო გაზის ნათურის ქვეშ გაჭრილ პატარა ხვრელში და გაზი იწყებდა დენას... მაგრამ მეცადინეობაში გართულ სტუდენტს სწორად ავიწყებოდა მეორე მონეტის ჩაგდება და მაშინ ნათურა ჯერ აბუტდებოდა ხოლმე, ხოლო მერე სულაც ქრებოდა, ავიწყდებოდა, უფრო სწორად კი არაფერი ჰქონდა ჩასავდები და ამიტომ დღიური განაწესა ისე შეადგინა, რომ გათენებისას ამდგარიყო და დაღამებამდე მოეთავებინა საქმეები. მაგრამ ეს ყოველთვის როდი ხერხდებოდა. მეგობრების დახმარებითა და ხელშეწყობით, მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო სემინარია დაემთავრებო-



ნა და საერთო საშუალო განათლება არ ჰქონდა, მინც მოახერხა ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში შესვლა, გამოყენებითი მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

ახალწარმოებულ სტუდენტს ბევრი მეცადინეობა უხდებოდა — ის ხომ სემინარიელი იყო და მრავალი რამ არ იცოდა. თავის მეგობარს ვასო გადულისას სწერდა: „ვინ ჩემი ცოდვა, როგორ შეუქამივართ უმეცრებას! არა თუ ცოდნა, რამე გამოსადეგი საქმის წარმოდგენაც არ მქონია, მაგ ჩემი ცოდვით დატვირთულებმა 14 წელიწადი აბრაამისა და ისაკის ზღაპრები მიზეპირებინეს და ის კი არ დამასწავლეს, თუ წყალი რისგან შესდგება“... მაგრამ ორმოცი წლის სტუდენტს სულაც არ უშინდება ამ გარემოებას და იქვე დასძინა: „მაგრამ არა უშავს რა. თუმცა გვიან, მაგრამ მინც წინ და წინ. ერთადერთი ჩემი ნუგეში ისაა, რომ ენერჯია და სწავლის ხალისი კარგი მაქვს“. ენერჯია მართლაც დიდშურტელი ჰქონდა. „თავისი ობტემიზმით და სიცოცხლის სიყვარულით ის საუკეთესო წარმოდგენას ჰქვნიდა ქართული ხალხის ენერჯიზზე. ბრიუსელის ქუჩებზე ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, გეგონებოდათ ენგურის ნაპირას ღვას და ცდილობს ხმა მიამწვინოს მეორე ნაპირზე მდგომ ადამიანს“, — ივანეს გერანტი ქიქოძესამთო ინიყნერი აღ. სხირტლაძე, რომელიც ამბავს წლებში სწავლობდა ბრიუსელში, გვიამბობს, თუ როგორ შეზღუდა კონტრაქტე თავისი ცხოვრება და იძულებულ ხელმოშორებასთან ერთად სრულიად აღიკვეთა ყოველგვარი „ზედმეტბანი“. თუთუნს არ ეწეოდა, სასმელს არ ვარებოდა, თუ სტუდენტობის შეყარვლობაში მოუხდებოდა მონაწილეობა, დიდი თხოვნის შემდეგ — უშაქრო და უფერო ცხელ წყალს დაღვავდა, მაგრამ საერთო მხიარულებასა და საუბარს არ გამოაკლდებოდა და სულაც არ იმჩნევდა მარტობას შექვიფიანებულ ამხანაგებში. დღესასწაულებზე ატარებდა სტუდენტურ ქულს, რომელზედაც დამატებული იყო ვარსკვლავები. ეს ვარსკვლავები უნივერსიტეტში გატარებულ სემესტრების რაოდენობას აღნიშნავდნენ... ბევრმა არ იცოდა, რომ ახალწამოსული გეგაკაცი, რომელიც უწყვეტულგამო სტუდენტებთან ერთად იჯდა სტუდენტურ მეჩხზე, უკვე მიძიმე და მეტად მტულებარე ცხოვრება გამოვლიდა ადამიანი იყო, რომ სამშობლოში იგი უკვე საკმაოდ ცნობილი მწერლის სახელს ატარებდა... ბევრმა არ იცოდა, რომ ამ ზედმეტად მორიდებულ, ყოველთვის თავიზიანასა და თავმდაბალ ადამიანს არაჩვეულებრივი გამბედეობა და სიმამაცე შესწევდა, რომ იგი წინაღულდა უშველდებლად იმპერატორის წეს-ადათებს, დაჰკმო თავისი სასულიერო ხარისხი, უარი თქვა მშვიდსა და კეთილმოწყობულ ცხოვრებაზე, მარტოლმარტო შეებრძოლა სამღვდლოების იერარქებს და ორმოცი წლისამ

არ ითაკილა ხელახლა დაიწყო ცხოვრება სწავლას შედგომიდა.

კონტრაქტე დავითის-ძე თათარიშვილი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა სიცოცხლის ერთი თვისი ვადავლებაც კი გაკვირებასა და პატივისცემას იწვევს.

იგი დაიბადა 1872 წელს სამეგრელოში, სოფ. აბასთუმანში. შვიდი წლისა უკვე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიბარეს, თხოთმეტე წლისა თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. სემინარიის კედლებში ჯერ არ იყო მომწყვდარი „სტავროპოლის ტრადელის“ (დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა) გამოძახილები. სემინარია დღულდა და ღელავდა. ფართოდ იყო გავრცელებული არალეგალური და აკრძალული წიგნების კითხვა. საქმე იქამდისაც მივიდა, რომ სემინარია დახურეს და სწავლის დასამთავრებლად კონტრაქტეს კიევში მოუხდა გამგზავრება.

ოფიციალური კურსის საგნების შესწავლაში დიდი ნიჭი არ გამოუჩინია, სამაგეროდ ჯერ კიდევ სემინარიაში დაიწყო საიდუმლოდ ვრცელი მოთხრობის წერა. ეს მოთხრობა („მშვიდობით“) 1895 წელს გამოქვეყნდა ქურნალ „მოთხრობებში“. ილიას „ივერია“ უმაღლეს გამოუხმალურა ამ მოთხრობის გამოქვეყნებას. გაზეთი წერდა, რომ დაწვრილებით გვაქვს აღწერილი ჩვენი ქვეყნის ყველა ნუთხის ცხოვრება და სამეგრელოს ცხოვრებას კი არავინ შეხებია, რაც ამ მშვენიერი მოთხრობით იწყება. სწავლადამთავრებულმა კონტრაქტემ ვადასწყვიტა მღვდლად კურთხებულაყო, ამას მატერიალურ მოსაზრებებთან ერთად იმითაც ასახულებდა, რომ უნდოდა ხალხთან ახლო ყოფილიყო, გაეზიარებინა მისი ჰირ-გარამი და შეძლებისდაგვარად დახმარებოდა. თავის ამგვარი მისწრაფება მან ნათლად გამოხატა გურიის-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსის კანცელარიაში მმართველის, ცნობილი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის სახელზე მიწერილ წერილში. 24 წლის კონტრაქტე მღვდლად აკურთხეს და სოფელ კიცხში გაამწყესეს. ია ვკალოძე წერს: „კონტრაქტე არ იყო მორწმუნე მღვდელი, თავის თავს იგი „დაჭირავებულ მონას“ ეძახდა და თუ მაინც მამურობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ წვრილშვილი ერჩინა“. იპოლიტე ვართავგვა იხსენებს, თუ როგორ შესჩივლა მღვდელმა ბესარიონ შუშანიამ კონტრაქტეს „სამწყუხართ და შემარსცენელი საციკელი“: თურმე კონტრაქტე „... დილიდას საღამომდე პერანგას ამარა, როგორც ყოველი გლეხი, ყანაში მუშაობს, სახალხო დღეობებში დადის, ცრუმორწმუნე სოფლელებთან დამის თევსაც არ თაკილობს... მღვდელმსახურების შესრულებისათვის ვასამრჯელოს არავისგან იღებს... ერთი სიტყვით, ის თქვენი ნაქმე კონტრაქტე, უკაცრავად პასუხია, თავს იგდებს და სამღვდლოებასაც სახელს გვიტყესო“.

ასე დაიწყო კონტრაქტეს ცხოვრების „მღვდლო-

საქართველო

ბის“ პერიოდი, რომელიც საესეა დრამატული ეპიზოდებით: სიფე, კიციხიდან გაქევება და მთის სიფელ ლიში გამწესება, განუწყვეტელი დევნა, 1902 წელს თბილისში გადაყენა, აქ ინტენსიური პედაგოგიური და ლიტერატურული მუშაობა, აქტიური მონაწილეობა რევოლუციური მოძრაობაში, მგზნებარე პუბლიცისტური გამოსვლები და, ბოლოს, ამ პერიოდის მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დამაგვირგვინებელი ეპიზოდი — სამღვდლოების კრებაზე პრეტესტით გამოსვლა 27 სიფვილიმისჯილი ჯარისკაცის სიფვილიმისაგან გადარჩენის მიზნით, ამ კრებაზე შედგენილი პეტეციის ხელის მოწერა, ამ ამბის გამო ვანრისხეზული ეგზახორისისათვის პატიების თხოვნაზე უარის თქმა და უკანასკნელი, უკვე კომპიუტრი ეპიზოდი: კონდრატე არ უცდის, სანამ მას ეკლესიიდან მოკევეთენ, სადალაქოში შეუცდის, თამასა და წვეერს იპარსავს და სათანადო წარწერით ეგზახორის ნიკონს უგზავნის ნობათად.

მას შემდეგ თითქმის არალეგალურ მღვდომა რეობაზეა გადასული, იგი გაუფრთხელ ბძოლას აწარმოებდა მღვდელთმთავართა და ქვეყნის მეუფეთა წინააღმდეგ. წარმოიშვა მისი ფსევდონიმი „უიარალი“. იგი მართლაც უიარალოდ იბრძოდა — ერთადერთი „იარაო“ კალამი იყო. მაგრამ ამ მცირე იარაღს იგი მოხერხებულად და დაუფლავად იყენებდა.

1906 წელს დაზუთ „მეგობარში“ დაიბეჭდა ბიბლიურ თემაზე დაწერილი მოთხრობა „რაბი იიშუ“, რომელსაც „უიარალი“ ჰქონდა ხელმოწერილი. ეს ფსევდონიმი საკმაოდ პოპულარული გახდა, მაგრამ ნამდვილი პოპულარობა მოუტოვა მას ვრცელი მოთხრობამ „მამელუკი“, რომელიც 1912 წელს გამოქვეყნდა.

ამგვარად, 1912 წელს ბელგიაში ჩავიდა საესებით ჩამოყალიბებული მსოფლმზიდველობის ადამიანი, ბელეტრისტი, რომელსაც უკვე დაწერილი ჰქონდა სამი ვრცელი ნაწარმოები („მშვიდობით“, „მამელუკი“, „მამიებელი“), დაწერილი ჰქონდა ბიბლიური მოთხრობებისა და საყოფაცხოვრებო და ამკარად ანტიკლერიკალურად განწყობილი სატირული მოთხრობების სერიები, მრავალი პუბლიცისტური წერილი და ნარკვევი. მაგრამ, ყოველივე ეს მის განვლილ ეტაპად მიაჩნდა და ახალგაზრდული ენერგიით მოჰქადა ხელი მისთვის სულ ახალისა და თითქმის უცნობი მეცნიერების შესწავლას. ღირსშესანიშნავია კონდრატე თათარიშვილის ერთი ფრიად დამახასიათებელი თვისება — იგი აქტიური მოქმედების ადამიანია. იგი არასოდეს არ კმაყოფილდება დეკლარაციითა და თავისი მისწრაფებისა და სიმპათიების გამოთქმით, ყოველთვის მოქმედებით და საქმით ამტკიცებს მათ.

ასე იყო საქართველოში, ასევე იყო ბელგიაშიც, რომელსაც იგი თავის მეორე სამშობლოს

უწოდებდა. ერთი ნაკლებად ცნობილი ფაქტი საესებით ნათელჰყოფს ამ დებულეზას (ეს ფაქტი ჩვენ სამთო ინენერმა ალ. სხირტლადემ შეგებულობინა):

1914 წელს გერმანელებმა არაფრად ჩაადგეს ბელგიის ნეიტრალიტეტი და შეიკრნენ ამ პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე. ბელგიაში 23 დღე (4 — 27 აგვისტო) გაუწია წინააღმდეგობა ვერმანის ჯარებს და იძულებული გახდა იარაღი დაეყარა. მთავრობა საფრანგეთში გაიქცა, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის მესვეურებმაც დასტოვეს სამშობლო და ევკუაციის წინ უნივერსიტეტის შენობისა და ქონების მეოვალურობა კონდრატე თათარიშვილის დაავალეს. კონდრატემ ეს დაავლება მიიღო და უმაღლე შეუდგა მის შესრულეზას. რა წამს ქალაქში გერმანელთა ჯარი შემოვიდა, გუბერნატორად ვილაც გენერალი დაინიშნა. კონდრატე მივიდა მასთან, აუხსნა თავისი მღვდომა რეობა და მისთხოვა, რომ მიეცათ საშუალება დეკარებული მოვალეობის პირნათლად შესრულეზისა. გაურკვეველია, რამ იმოქმედა გერმანელ გენერალზე — უცნობი ქართველი ხანდხმული სტუდენტის ესთღენმა გამბედაობამ (იქნებ კანდიდრამ?) თუ მისი მოთხოვნელების უცნაურობამ, მაგრამ ფაქტი კია, რომ გენერალმა სათანადო განკარგულეზა ვასცა და უნივერსიტეტი ხელუხლებელი დარჩა. კონდრატე შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულეზას; უფლდა უნივერსიტეტს ოკუპაციის წლების განმავლობაში და ერთი დღითაც კი არ შეუწყვეტია მეცადინეობა, ქალაქის მიდამოებში კოლექციების შეგროვება და გეოლოგიის შესწავლა. მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როცა უნივერსიტეტის გამეგობა დაბრუნდა ევკუაციითადა, კონდრატემ უკლებლივ ჩააბარა მოვალეობა და ნაპატრონევი ჰქონდა. მიღლობის ნიშნად იგი გაანათავისტულეს სწავლის ფულის გადახდისაგან, გამოუყვეს სამეცადინოდ საგნები, ოთახი და მცირე სტიპენდიაც დაუნიშნეს. კონდრატე ხშირად მოგზაურობდა ბელგიაში, მას შეუყვარდა ეს ქვეყანა, მისი მთა და ბარი, მისა შრომისმოყვარე და გამრჯე ხალხი, მაგრამ ყველგან და ყოველთვის ახსოვდა თავისი სამშობლო და მასზე ფიქრობდა. და აი, დადგა დრო და გულმა გაუწია თავის განახლებული სამშობლოში, თანაც ყველა საქმე უკვე მოითავა — ყოფილი მღვდელი, მწერალი, აწკი გეოლოგიის ოქტობრი ბრუნდება სამშობლოში. „1922 წლის ოცდა ოთხ აპრილს, საღამოს 9 საათზე, ბრიუსელის ჩრდილოეთის სადგურს ვუახლოვებოდი. აი, ის მიმდინარე, სადაც ამ ათი წლის წინათ პირველად ჩამოვტრითილისიდან ლტოლვილი. მაშინ ეს ქვეყანა და ხალხი სრულიად უცნობი იყო ჩემთვის. რამდენი ცვლილება მოხდა მას შემდეგ როგორც საერთაშორისო ცხოვრებაში, ისე კერძოდ, პირადად ჩემს მღვდომა რეობაში ახლაკი ეს მხა-

რე ჩემი მეორე სამშობლო ვახდა. აქ ბევრი გამოვცადე ამ ხნის განმავლობაში, ავიც და კარგიც. მსოფლიო ომის სიღუპურის მოწმეც ვიყავი. სულელოვად ვანახლდი. შევეჩვიე აქაურობას, მაგრამ დრო იყო უკან დაებრუნებულეყავი, კვლავ მენახა ჩემი პირველი სამშობლო, ჩემი ტურფა საქართველო“ („ბრატისელიდან საქართველომდე“).

დაიწყო ახალი პერიოდი კონდრატის ცხოვრებისა. იგი თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგის კათედრაზე იწყებს მუშაობას და პროფესორ ალ. თვალჭრელიძესთან, პროფ. ალ. ჯანელიძესთან, პროფ. ილ. ყიფშიძესთან ერთად ხდება ფუძემდებელი უმაღლესი გეოლოგიური განათლებისა. არც ლიტერატურულ მუშაობას ანებებს თავს და სიკვილიამდე არ ავლებს ხელიდან კალამს.

კონდრატე თათარშვილი 1929 წელს გარდაიცვალა. მას შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა „მამელუკი“, „მნათობი“ დაიბეჭდა „მამიებელნი“, მაგრამ მისი თხზულებები ერთად თავმოყრილი არასოდეს არ გამოცემულა.

მხოლოდ ეხლა, როდესაც სოლომონ ცაიშვილის შრომითა და გარჯით, გამოცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ სიყვარულითა და მონდომებით გამოისცა უიარაღოს თხზულებათა სრული კრებულის პირველი სქელტანიანი წიგნი, სადაც თავმოყრილია ორმოცამდე მოთხრობა, ნარკვევი და წერილი, შეგვიძლია გადავხედოთ ამ შესანიშნავი ადამიანის სამწერლო გზას და შევაფასოთ მის მიერ შექმნილი თხზულებები.

ამაში გვეხმარება სოლომონ ცაიშვილის მიერ გულდასმითა და მონდომებით შეგროვილი აქამდე უცნობი მრავალი ბიოგრაფიული მასალა, რომელიც გაშუქებულია ვრცელ ბიოგრაფიულ ნარკვევში.

უპირველეს ყოვლისა, ამ წიგნის წაკითხვის დროს იბადება სინანულის გრძნობა, რომ აქამდე ჩვენ არ ვიცნობდით და მხოლოდ ეხლა მოგვეცა საშუალება სრულად გავცნობოდით ამ მეტად თავისებურსა და საინტერესო მწერალს, როდესაც მხოლოდ მისი შესანიშნავი „მამელუკი“ ვიცნობდით. არიან „ერთი ნაწარმოების მწერლები“, რომელნიც ერთ შესანიშნავ თხზულებას შექმნიან, და ამით ამოიწურება მათი შემოქმედებითი პოტენცია. უიარაღო მთარიცხეს არ ეკუთვნის. როდესაც კითხულობთ საუბრო მოთხრობას „მშვიდობით“ და სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების ამსახველ სხვა მოთხრობებს, საყვებით ცხადი ხდება, რომ „მამელუკი“ არ არის „ობოლი მარგალიტი“, — იგი დაგვირგვინება მწერლის მრავალწლიანი შემოქმედ-

ებით მუშაობისა, რომელიც მისი პირველი-მთავარი ხრობით („მშვიდობით“) დაიწყო და „მამელუკით“ დამთავრდა. ეს ციკლი მოთხრობებისა-ციკლადეა დაწერილი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით — ჩვენ წინ მართლაც ციკლებივით დგება ბატონყმობის გაუქმების შემდეგდროინდელი სამეგრელოს ადამიანების მთელი წყება.

ერეკლ მოთხრობას „მშვიდობით“, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით კონდრატე თათარშვილმა ქვესათურად მიუწერა „სურათები სამეგრელოს ცხოვრებიდან“. მაგრამ ჩვენ წინ სიუჟეტურად შეკრული, საყვებით დასრულებული ამბავია, მის ახასიათებს-ცამკრიანთევალით დანახული მრავალი ყოფა-ცხოვრებით წვრილმანი, ცოცხალი დიალოგები, სახალისო და დაძაბული ფაბულა, ყოველგვარ „ლიტერატურულ სილამაზეებს“ მოკლებული ლაღი და თავისუფალი თხრობა, მთელი მოთხრობა ბუნებრივი სუბორითა და ადამიანისადმი სიყვარულითა გამოტარი. მაგრამ უიარაღო ყოველივეის როდია ასე უწყინარად განწყობილი და იუმორისტულ სცენებს როდი სჯერდება. მრავალი მისი მოთხრობა (განსაკუთრებით ანტიკლერიკალური შინაარსის) სასტკადაა დაწერილი და სატირის სიმალემდე აღის (ასეთია, მაგალითად, „წესდება“, „მღვდელი და დიაკანი“ და სხვ.). განცალკევებით დგას „ბიბლიურ ჰანგუნ“ დაწერილი ნოველების სერია, რომელშიაც უიარაღოდ ეპიოთ თხრობის უტყუარი ნიჭი გამოავლინა.

თხზულებათა პირველ ტომში ცალკეა გამოყოფილი ნარკვევები და პუბლიცისტური წერილები. კ. თათარშვილი არასოდეს ყოფილა უდრტინეველი დამკვირვებელი, თავისი დროის ყველა მოვლენას იგი „ქმედიოდალ“ ეხმარებოდა. პუბლიცისტური სიმბავილით დაწერილი მისი ნარკვევებია და წერილებში ბევრი საინტერესო დაკვირებაა. იგი გვევლინება როგორც მგზნებარე პოლემისტი და დიდი პატრიოტი.

უიარაღოს თხზულებათა პირველი ტომის გამოსვლა დიდი მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. შეიძლება ითქვას, რომ შეგვემატა კიდევ ერთი მწერალი, რომლის მხატვრული სიტყვადესაც ძლიერად ედერს, რომელიც დღესაც იბრძვის ყოველგვარი უმეცრების, შეუგნებლობის, კაცთმოძულეობის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანის სიყვარულით, ერთა შორის მშვიდობისა და მაღალი პატრიოტული გრძნობების ქადაგებით ეხმარება თანამედროვეობას და ნათელი მომავლისაკენ გვეძახის.



## ჯუმაბეკ ჭუმბუკიძე

# გიორგი ერისთავი ა. ბესტუჟევ-მარლინსკის შესახებ

ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის თვალსაზრისით თავისი დროისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილი დეკაბრისტის ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკის (1797—1837) მხატვრული პროზის თარგმნას ჩვენს ენაზე. მარლინსკის შემოქმედება თავისი თემატიკით მკიდროდ იყო დაკავშირებული კავკასიასთან. რუსი რომანისტის მრავალი პოპულარული ნაწარმოები ასახავდა კავკასიელი ხალხის ცხოვრებას და, თუმცა ყოველივე ამას ეგზოტიკის ხასიათი ჰქონდა, ერთ დროს მკითხველს მაინც იტაცებდა თემის სიახლე, თავისებური პათოსი და ის უცნაური ეფექტები, რაც ასე დამახასიათებელი იყო ე. წ. „სამინე-ლებათა რომანტიზმისათვის“ (რამაც რუსეთში „მარლინისის“ სახელწოდება მიიღო). დიდხანს მარლინსკი აღიარებული იყო „რუსეთის პირველ პროზაიკოსად“, ვიდრე 1840 წელს, ჟურნალში „ოტჩინესტენნიე ზაპისკი“, არ გამოჩვენებულა ბ. ბელინსკის სტატია, რომელმაც შეარყია მარლინსკის ავტორიტეტი. მაგრამ შემდეგშიც, კარგა ხანს, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი საკმაო პოპულარობით სარგებლობდა, კერძოდ კი საქართველოში, როგორც ამას მიხეილ თუმანიშვილიც ადასტურებს: „იმ დროს დიდ მონაწილეობას იღებდა მარლინსკის, რომელიც კავკასიის ცხოვრებიდან გამოკრულად თავიანთ მნიშვნელობას საგნებსა— უმეტესად მარლინსკი და იმის მიმბაძავი კამენსკი“ („დროება“, 1867, № 21).

ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ქართველ მკითხველს მარლინსკის შემოქმედება გააცნო, იყო გიორგი ერისთავი. მას მონაწილეობა მიუძღვის „ამაღათ-ბეგისა“ და „მულა-ნურის“ თარგმნაში და აღნიშნული მოთხრობები კიდევ დაუბეჭდავს თავის ჟურნალში (იხ. ცისკარი, 1852, № 1—8). „ცისკარშივე“ მოათავსა გ. ერისთავმა მარლინსკის მოთხრობა „ღამე

ხომალიში“, თარგმნილი ლუკა ისარლიშვილის მიერ (იხ. „ცისკარი“, 1853, № 3).

ინტერესი მარლინსკისადმი, როგორც ჩანს, 50-იან წლებზე გაცილებით ადრე ვალდებებიან გ. ერისთავს. ამას მოწმობს გ. ერისთავის წერილი მარლინსკის გარდაცვალებაზე. ეს საინტერესო დოკუმენტი დატულია აკად. ს. ჯანიშინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (მიხეილ თუმანიშვილის არქივი № 8, საქმე № 524); დაწერილია იგი რუსულად და, როგორც სათაურშივეა აღნიშნული, თარგმნილია ქართული ენიდან (საფიქრებელია თვით მიხ. თუმანიშვილის მიერ); უნდა ვივარაუდოთ, რომ დაწერილია 1837 წელს, როდესაც ა. ბესტუჟევ-მარლინსკი მოკლულ იქნა დაღესტნელების მიერ აღღერთან ერთ-ერთი შეტაკების დროს.

ამ დროს გ. ერისთავი თავად გადასახლებაში იმყოფებოდა და, ბუნებრივია, ცნობილი რუსი რომანისტის, კავკასიაში გადახვეწილი დეკაბრისტის ტრაგიკულმა ბედმა მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამ პათეტიკური წერილის ქვეთქსტში იტანება თვით ქართველი მწერლის მიმე სულიერი განწყობილება და პროტესტი არა მარტო დაღესტნის ტომების, არამედ, რაც მთავარია, რუსეთის ხელისუფლების მიმართაც.

ცნობილია, რომ კავკასიაში გაღმოსახლებული დეკაბრისტი მწერალი, რომელიც ჯარისკაცად იქნა განწესებული მოქმედ არმიასში, მიუხედავად ბრძოლებში დიდი სიმამაცის გამოჩენისა, ხელისუფლების მხრივ მუდმივ შევიწროებასა და შეურაცხყოფას განიცდიდა. ამიტომ ისეთი ადგილები გ. ერისთავის წერილიდან, როგორცაა: „იგი თვითონ ემსხვერპლა, შენ აღასრულე მისი სულის წადილი... მას სული ეხუთებოდა აქ,— ბევრ რაიმეს ანიშნებენ ერთხველს.“

ასევე შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გ. ერისთავი პუშკინის სახელს უკავშირებს მარ-



## „ვედტიბიუნე“ „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანის შესახებ

როგორც ცნობილია, დემოკრატიული ბერლინის გამომცემლობამ „როუტენ უნდლენინგმა“ გერმანულ ენაზე გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი, შესრულებული ავსტრიელი პოეტის ჰუგო ჰუპერტის მიერ. ამასთან დაკავშირებით ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ვედტიბიუნე“ (ვდრ) გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი, რომელშიც განხილულია პოემის გერმანული თარგმანი, შესავალი წერილი და მხატვრული გაფორმება. წერილის ავტორია ცნობილი ავსტრიელი მწერალი და პუბლიცისტი ბ რ უ ნ თ ფ რ ა ი. წერილს დაქვეყნებთ მცირეოდენი შემოკლებით.

ჰუგო ჰუპერტმა, რომელიც საქართველოში რამდენიმე წლის ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, გერმანულ ენაზე მკითხველთა კულტურის სფერო გაამდიდრა კიდევ ერთი პოეტური ნაწარმოებით — ესაა ძველი ქართული პოემის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი. ამით დასაველეთ ევროპის მკითხველთათვის ხელმისაწვდომი გახდა მსოფლიო ლიტერატურის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები.

„ვეფხისტყაოსანი“ არის სარაინდო რომანი ლექსად, რომელიც გარეგანი ფორმით შეიძლება შევადაროთ ვოლფრამ ფონ ეშენახის „პარცივალს“. ავტორის შესახებ არსებობს მეტად მცირე ცნობები, ისიც თვით პოემაში მოცემული ავტობიოგრაფიული მითითებების სახით. ეს ნაწარმოები შეიქმნა XII საუკუნის დამლევისა და XIII საუკუნის დამდეგს შრავალგზის ქებული მეფის, თამარის დროს. პოემა ხოტბას ასხამს მეგობრობას, უმღერის სიჯიარულს, ნათელ ფერებში ასწერს ქალაქებისა და სამეფო კარის ცხოვრებას. პოემის ღრმა აზროვნის სტროფები ჩვენ წინ აცოცხლებს პოეტსა და მოაზროვნეს, რომელმაც სამყაროს ცოდნა პოეტურ სიმბოლურად აღამაღლა. „ვეფხისტყაოსანი“ არის „ახალი დროის ადრეული ჰუმანისტური ნაწარმოები, ებოთი ადამიანის ბედისა და დანიშნულების შესახებ, ადამიანის ბრძოლის შესახებ ბედნიერებისა და ღირსებისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის“.

„ვეფხისტყაოსანმა“ საუკუნეების მანძილზე გამოატარა და შემოინახა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება. სწორედ ეს მოწოდებს

ნაწარმოების ცხოველყოფილობასა და ძალის. ადრეული რენესანსის ბევრი ოსტატის შემოქმედებას ჯერ ისევე მხოლოდ ლიტერატურისმცოდნეთა ერთი პატარა ჯგუფი იცნობს. ბევრი რამ, რაც რუსთაველის დასავლეთ-ევროპულ თანამედროვეებს (დანტეს გამოკლებით) შეუქმნიათ, ახლა მხოლოდ მუზეუმებსა და სალექციო მასალებში შეიძლება ნახოთ.

საქართველო, აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვარზე მდებარე ეს კლასიკური ქვეყანა, ბევრი ისტორიული აღმოვლობისა და კატასტროფის მომსწრეა. ამ ქვეყნის ხალხმა რენესანსის ებოქის თავისი კლასიკოსის ხალხური, ლეგენდარული ფიგურა შექმნა და საკარო ებოქის ხალხურ წიგნად აქცია. საქართველოში დღეს ბევრმა, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ, ზემირად იცის მთელი თავები პოემიდან, ხოლო გრძელწევრა მოხუცი სახალხო მთქმელები დღესაც ამღერებენ რუსთაველის წარწერა სტრიქონებს.

პოემის მკითხველს ანცივიტრებს ცხოვრების სიბრძნისა და გამოცდილების გამოშხატველი აფორიზმები, რომლებიც მიმოხეულია პოემის თხზმავად შერიგებულ სტროფებში და ლოგიკურად ასრულებენ აღწერილი მოქმედების რეალისტურ სურათებს. გონებამახვილური სიტყვა-თქმანი ისე აშუქებენ მთელი პოემის სიტყვიერი სამოსელიდან, როგორც მოკაიფე მარგალიტები...

რუსთაველი, როგორც ფილოსოფოსი, აქტიურად მონაწილეობს შეხედულებათა ბრძოლაში, ხოლო როგორც თავისი დროის კლასობრივ ურთიერთობათა პოეტურად აშხაველი რეალისტი ხელოვანი — საკარო-სარაინდო ზნე-ჩვეულებებს უპირისპირებს ბაზრებისა და ნავსად-





გურების მრავალფეროვან ცხოვრებას. პოეტური შემოქმედება მისთვის ნიშნავს „ცხოვრების სიბრძნის აღმართა საზოგადოებაში, მოწოდებას მოქმედებისკენ ამქვეყნიური ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის“...

ჰუგო ჰუპერტმა შესძლო მთელი მშენებლობითა და სიღრმით გადმოეტანა გერმანულ ენაზე ეს დიდი და რთული ნაწარმოები თავისი 54 თავისა და 1671 თხზულებიანი სტროფით. ეს როდია ისეთი თარგმანი, რომელსაც დამქანცველი სიტყვისმკებნელობის შედეგად მიიღებენ ხოლმე; ესაა გერმანული თარგმანი (Jn-Deutsch Setrynd), რომლის ყოველი ტაეპიც პოეტმა გერმანულ ენაზე ახლად გაიზარა და შეიგარძნო...

გერმანულ ენაზე აქამდე პოემის მხოლოდ ნაწყვეტები მოიპოვებოდა, ისიც XIX საუკუნის დროინდელი. არსებობს აგრეთვე არასრული პროზაული თარგმანები ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მრავალრიცხოვან რუსულ თარგმანებს, მაშინ პეტრის თარგმანი იქნება პირველი სრულფასოვანი თარგმანი ევროპულ ენებზე არსებულ თარგმანთა შორის. მთარგმნელის შრომის წარმატება განაპირობა იმ ბედნიერმა გარემოებამ, რომ ჰუგო ჰუპერტი, რომელიც აქამდე ცნობილი იყო მთავრების ლექსების თარგმნით, რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა და მუშაობდა საქართველოში, სადაც მას დიდად ეხმარებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამეცნიერო დაწესებულებები და ცალკეული პირები.

შესავალი წერილი, რომელიც თან ერთვის პოემის გერმანულ თარგმანს, საყურადღებო ნაშრომაა თავისთავად. მასში მოკლედ, მაგრამ საქმის ცოდნითაა გადმოცემული ქართული კულტურის ისტორია.

წერილი თარგმნა და შენიშვნა დაურთო **ზურაბ შარხალაშვილი**



### ამსტრალია

#### საპუტარი ჯიბიდან

სიღნეღის უნივერსიტეტის პროფესორმა მარი მეხელმა, ავსტრალიაში სამეცნიერო და ტექნიკური კადრების თაობაზე ლაპარაკისას, განაცხადა: ყოველად აუტანელია ის მდგომარეობა, რომ პროფესორები და მასწავლებლები საკუთარი ჯიბიდან იხდიან ფულს თავიანთი გადასადგმისათვის. მან მოიხვედია საბჭოთა კავშირის მაგალითი, სადაც სახელმწიფო მეტად ფულუხვია ასეთ საქმეებში. „საბჭოთა კავშირი, — თქვა მან, — იმდენ თანხას ხარჯავს საამისოდ, რომ მალე უკან მოიტოვებს დასავლეთის ყველა ქვეყანას“, და ბოლოს აღნიშნა: „ჩვენ ან ხასწრაფოდ უნდა შევცვალოთ ჩვენი სწავლების ხისტი, ანდა უნდა შევიცვალოთ რუსული ენა...“

#### შეგარკვებული ფულით

ავსტრალიაში არაა ოპერის თეატრი. მრავალი წელია პარლამენტში დაუსრულებლად იხილავენ ამ საკითხს. კერძო ფირმებს არ სურთ ხელი მოა-

კიდონ თეატრის აშენებას. ხოლო მთავრობას საამისო ფული არა აქვს. ამიტომ სიღნეღის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე დადგეს ქვის ურნა, რომელშიც გამვლელებმა უნდა ჩაუარონ ფული ეროვნული ოპერის ასაგები თანხის შესაგროვებლად.

#### ღირსეული პასუხი

ვენის რადიო გამოცხადურა დისკუსიას, რომელიც გაიმართა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა მეორე თანამგზავრით კოსმიურ სივრცეში გაუშვა ძალიან „ჰაიაკა“. რადიომ გადმოსცა ფიზიკოს შვარცის საუბარი ცხოველთა დაცვის ლოგის წარმომადგენელთან, პროფ. მარი-ნელთან, რომელიც საუბრისას სულ უტრიალებდა პრობლემას: ღირს თუ არა საცოდავი ძაღლის, წვადებაო; შვარცმა დისკუსია ახე დაასრულა: „თუკი ამდენი სწავლული ძაღლურ ცხოვრებას ეწევა, რატომ არ შეიძლება, რომ ძაღლმა თუნდაც ერთხელ იგემოს სწავლულის ცხოვრება?“

### აშშ

#### ჯიშობი ირლანდიელი

გამოქვეყნდა ცნობილი ამერიკელი დრამატურგის იუჯინ ო'ნილის ანდერძი, სადაც მწერალი უარს ამბობს თავის ქალზე, უნაზე, რომელიც დიდი ხნის წინათ, მამის სურვილის წინააღმდეგ, ცოლად გახვდა ჩარლი ჩამლინს. როდესაც უნას აცნობეს ეს ამბავი, მან თქვა: „მამაჩემი ირლანდიელი იყო, ხოლო ჩვენ, ირლანდიელები, ჯიშობი ზაღის ვართ“. **„მირიმიზი ოპერის“** აღსასრული

ვანთქმული ამერიკელი დასო „ევერემინ ოპერა“, რომელმაც ასეთი წარმატებით იმოგზაურა ამერიკასა, ევროპულ ქვეყნებსა და სამხრეთ ამერიკაში თავისი ოპერით — „პორგი და ბესი“, დაიშალა, რადგან მსახიობთა უმრავლესობამ ვერ მიიღო ანგაჟემენტი. მსახიობი ეტილი სოლიან წუაღს ჰეიდის, ხოლო ირვინ ბერნსი ფოსტალიონია. არავის სურს ფული გაიღოს ზანგების თეატრისათვის, განაცხადა დასის ხელმძღვანელმა რობერტ ბრინმა.

### ჩაპლინი და როზონი

უდიდესმა მსახიობმა ჩარლი ჩაპლინმა თავის მომავალ ფილმში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლად მოიწვია პოლ როზონი. როზონმა თანხმობა განაცხადა, რამაც ამერიკულ პრესაში გამოიწვია ცილისწამებათა ახალი აზვირთება როგორც როზონის, ისე ჩაპლინის წინააღმდეგ. „ნიუ-იორკ ტრიბიუნ“ ამბობს, ეს თანხმობა აშკარა გამოწვევა სახელმწიფო დეპარტამენტისა, რომელმაც რამდენჯერმე განაცხადა, როზონს არ მივცემთ საზღვარგარეთ წასასვლელ ვიზას.

### არისტოფანე „უხნომ“ ქოვილა და...

ამას წინათ სენსაციის დახარბებული ამერიკული საზოგადოება რამდენიმე კვირა ტყუილად ამადლეებელი სკანდალური პროცესით, რომელიც ადრტეს ზოლიფუდელმა კინოვარსკვლავებმა ნიუ-იორკის შურნალის „კონფიდენსელ“-ის წინააღმდეგ. შურნალს ბრალად ედება სასკანდალო ცნობებისა და ქორების გავრცელება მსახიობთა პირადი ცხოვრების შესახებ. პროცესზე გამოირკვა, რომ შურნალმა კინოქალაქს შეუსია თავისი ჯაშუშები, მამბერები და რეპორტიორები, რომლებიც შორსმოქმედი ფოტოაპარატით უდარაჯებდნენ სახელგანთქლებულ კინოვარსკვლავებს, ფარულად დაგმდნენ მათს ბინაში ხმისჩაწერ აპარატებს, აყურადებდნენ ტელეფონით ლაპარაკს და სხვ. გარდა ამისა, მიგვაწვილი ჰყავდათ შურნალის აგენტები, რომლებიც უმეგობრდებოდნენ მსახიობებს, იმსახურებდნენ მათს ნდობას და ამით ტყობილობდნენ მათი პირადი ცხოვრების ყოველ წიგრომანს. შემდეგ, ამ ცნობებისა და უსიარცხილო ფანტაზიის საფუძველზე, სენსაციის მოყვარულ მკითხველთა გაბართობად, შურნალში იბეჭდე-

ბოდა კინოვარსკვლავთა ცხოვრების სასკანდალო ინტიმური ამბები. შურნალის დირექცია პროცესზე მეტად თავდაჯერებით იქცეოდა და აცხადებდა, შურნალი ანორციილებს „მორალურ“ ფუნქციას, როცა ამხილებს კინოვარსკვლავთა უსწეობასა და ვარყვეილებას, რადგან ამ მსახიობებს დიდი გავლენა აქვთ მაყურებლების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, მორალურ დონეზე. ამასთან ამტიციებდნენ, ყოველ „მხილებში“ „სინარტლის მარცვალი“ მინც ურევიაო. ეტყობა, ასეცაა, რადგან პროცესის დროს ზოლიფუდელი სახელგანთქმული მსახიობები აშკარად დამფრთხალები იყვნენ. პროცესი დამთავრდა ისევე სკანდალოზად, როგორც დაიწყო, რადგან ზოლიფუდის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ამერიკული კანონების მიხედვით მას შეუძლია გაასამართლოს მხოლოდ თავისი შტატის მოქალაქენი, „კონფიდენსელში“ კი ნიუ-იორკის გამოცემაა. ამასობაში შურნალის ტირაფი 4 მილიონიდან 8 მილიონამდე ავიდა და მის მფლობელს უზარმაზარი მოგება მისცა.

საინტერესოა, რომ ამერიკული ცენზურა, რომელიც კრძალავს არისტოფანეს, ვოლტერისა და ჰიუგოს ნაწარმოებებს, როგორც „უხნომს“, ნებას რთავს 8 მილიონ ეგზემპლარად გამოვიდეს უგამური სასიყვარულო სკანდალების გამავრცელებელი შურნალი!

### დროის დაზოგვაა თუ ახირება?

ფლორიდის ერთ-ერთმა გამოცემულმა გამოსცა საგანგებო წიგნი იმათთვის, ვოსაც აბაზანის მიღების დროს უყვარს კითხვა. წიგნი დაბეჭდილია წყალშეუვალ ქაღალდზე; ყდა რეზინისა და იბერება, ასე რომ წიგნს შეუძლია წყლის ზედაპირზე ცურვა.

### „უხნივ“

ორსონ უელსმა, ამერიკული კინემატოგრაფიის „ახირებულმა კაცმა“, დაიწყო „დონკინოტის“ გადაღება. გადაღება მიმდინარეობს ჩრდილოეთ კალიფორნიის ერთ პატარა კინოსტუდიაში და დიდი საიდუმლოებითაა მოცული. ზოგთა მტიციებით, უელსს უნდა დასწროს მიკ ტოდს, რომელიც იღებს „დონკინოტს“ ფართო ეკრანისათვის (მთავარი როლს ასრულებს ფრანგი კომიკოსი ფერნანდელი). უელსს, რომელიც პრინციპულად წინააღმდეგია ფერადი ფილმებისა, ამჯერადაც შვე-თერა ვარიანტს აწვადებს.

### უჩაქულო ფილმი

ამერიკულმა კინოკომპანიამ „კოლუმბიამ“ შექმნა ფილმი „სამეგრელო ფაბრიკების ჯუნგლები“, სადაც ნაწვენებია ნიუ-იორკელ მკერავ ქალთა და სამეგრელო ფაბრიკების მუშათა შორის ატეხილი სასტიკი ბრძოლა. ფილმის გმირია პროფკავშირის რწმუნებული, რომელსაც ქალავს განგსტერი, რადგან რწმუნებულს უნდა ცხოვრება შეუმსუბუქოს მკერავ ქალებს. ეს ფილმი გადაიღო ვინსენტ შერმანმა.

### ყველაზე უფრო პოპულარული

ნორმან მეილერის რომანი „გაშინებულნი და მკვდარნი“, რომელიც დაიწერა 1948 წელს და სატავს ამერიკული არმიის შემპარწუნებელ სურათს იაპონიასთან ომის დროს, ამერიკელ მკითხველთა ყველაზე უფრო პოპულარული და საყვარელი წიგნია უკანასკნელ წლებში. რომანი 9 მილიონი ტირაფი გამოვიდა და 13 ენაზეა თარგმნილი. მწადდება მისი ეკრანიზაციაც. ფილმის რეჟისორი იქნება რ. უოლში.

### 5 მილიონი ფლანკონით

ვირჯინიის შტატის ქ. ნორფოლკში, მდ. ლაფაიეტის ნაპირზე, წყალმა გამოირყა ვეშა-



პის ჩონჩხი, ვეშაბი ნნ მილიონი წლის წინანდელი უნდა იყოს. მისი კიდურები მოწმობენ, რომ ამ სახის ვეშაბი სწორედ იმ ხანებში ეჩვეოდა წყალში ცხოვრებას, რადგან მისი ფეხები გერ მთლიანად არ გადაქცეულა ფარფლებად.

### ფილმი ომარ ხაიამაშვი

უკანასკნელ ხანებში პოლიფილმმა პროდიუსერებმა, რომლებიც მტკნოდ კვებობის ცხოვრებას იღებდნენ, „აღმოსავლურ თემატიკას“ მიაშურეს. მათს ფილმებში თავზენებლადეული კვებობები ლამაზაა საკუთრივლიანმა მამაცმა შემოგრებმა შეცვალეს, ხოლო შერადები — ხუთონებმა. ლამაზი ქალწულები, ოდალისკები, მთავრის ასულები და მხეველები მიმწიდეველ, თუმცა მხატვრულობას მოკლებულ ხანახაობას წარმოადგენენ. ამას წინათ რეჟისორმა უილიამ დიტერლმა გადაიღო ფერადი ფილმი ომარ ხაიამაშვი. ფილმში XII საუკუნის ეს განთქმული ირანელი პოეტი, მათემატიკოსი და ასტრონომი გამოყვანილია, როგორც სამიჯნურო ინტრიგებისა და თავგადასავლების ადამიანი.

### ბელგია

#### თილისკეპის გამოფენა

ანტერპენში გაიხსნა „თილისკეპის საშუალებათა“ გამოფენა. აქ წარმოდგენილია უძველესი ავგაროზები, ინდური ჯადოსნური ჩანთები, შუასაუკუნეობრივი ეშმაკთა განმდევნელი საშუალებანი და, დახასრულ, „ილბოანინი“ სხვადასხვა ნივთები, რომლებსაც დღესაც ატარებენ ზოგი ქვეყნის ცრუმორწმუნე ადამიანები.

### ბრაზილია

#### ზოლოტოვის რომანები

პორტუგალიურ ენაზე გამოვიდა მიხეილ შოლოხოვის რომანები

მანი „გატეხილი უამირი“. „წყნარი დონი“ ბრაზილიაში ამ რამდენიმე წლის წინ გამოიცა.

### ბერმანია

#### ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

#### ახალი გერმანული ბალეტი

ალბერტ ბურკატმა დაწერა ლიბრეტო ვიქტორ ბრუნსის ბალეტისათვის „ახალი ოდინეა“. ბალეტი მკურთხეულს მოუთხოვს უკანასკნელი ომის ტყვეობიდან დაბრუნებული ადამიანის ბედობლაზე. „ახალ ოდინესა“ დიდი წარმატება ხვდა ბერლინის სახელმწიფო ოპერაში (დამდგმელი და ქორეოგრაფიული ლიბრეტოს ავტორია ლილო გრუბერი). კრიტიკის აზრით, ახალი ბალეტი მრავალი თეატრის სცენას მოივლის.

#### გაერთიანებული გამოცემა

გერმანულმა „ვენ-კლუბმა“, ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს გერმანიის ორივე ნაწილის მწერლებს, გამოსცა 500-გვერდიანი აღმანახი, სადაც მოთავსებულია გდრ-ს და გფრ-ს მწერალთა ნაწარმოებები. აღმანახი შედგება სამი ნაწილისგან — პროზა, ლირიკა და ლიტერატურული პუბლიცისტიკა, და მოიცავს 50 თანამედროვე გერმანელი მწერლის შემოქმედებას. აქ დაბეჭდილია დამახასიათებელი ნაწევრები ლეონჰარდ ფრანკის, კლაუს ჰერმანის და სხვ. რომანებიდან, ბერთოლდ ბრეტის, ვილი ბრედელის, ალფრედ დებლინის, ლიონ ფოიხტვანგერის, ანა ზეგერის, ბოლო უზეს და სხვ. მოთხრობებში, ოპანეს ბეხერის, ფრანც ფიუმანის, მაქს ციმერინგის და სხვ. ლექსები, ბრუნო ფრეის, ერნსტ ბლოხის, კარლოლუდვიგ ოპიცის, ერნსტ შუ-

მახერის, არნოლდ კეფლის გიუნტერ ვეიზენბორნის და სხვ. ტეატრები.

### მსოფლიოში უდიდესი

დრეფენის ფოტოების გამოფენის დარბაზში მოთავსებულია მსოფლიოში უდიდესი ფოტოტურათი, რომელზეც გამოხასხურია ნეაპოლის ნავსადგური. სურათი, რომელიც მმეტრი სიმაღლისა და 16 მეტრი სიგანისაა, გადაღებულია ქალაქის უმაღლესი წერტილიდან — ხან-მარტინოს კოშკიდან.

#### ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

#### „შავი ანგელოზი“

გამოვიდა ვერნერ კრაუტხის რომანი „შავი ანგელოზი“, სადაც აღწერილია ცნობილი ზანგი მომხდარი და მოცეკვავე ქალის უოზეფინა ბეიკერის ცხოვრება. ბეიკერმა ამერთი წლის წინათ დასტოვა სცენა. მსოფლიოში ამ სახელმწიფეილომა შესაბამისა ქალმა იშვილა ოთხი სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა კანის ფერის ბავშვი და სურს აღზარდოს ისინი იმგვარად, რომ მათ არ იცოდნენ რასობრივი დისკრიმინაცია, რომლის გამოც ასე იტანჯებოდა მთელი თავისი სიცოცხლე ეს დიდი მსახიობი. კრაუტხის რომანი ასახავს 20—30-იანი წლების პარისს.

#### დამავაშვ ჩოჩოლი გამოცემა

როგორც ცნობილია, ლიონ ფოიხტვანგერმა საბჭოთა მთავრობას გამოუგზავნა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის მოხალცი დღეშა. ამ ამბავმა დასავლეთში მოულოდნელი ჩოჩოლი გამოიწვია. ფოიხტვანგერი დააკავს ამერიკის ორგანოებმა და ნება არ მისცეს წასულიყო მიუნხენში, სადაც იქაური მუნიციპალიტეტის მიერ მინიჭებული ლი-

ტერატორული პრემია უნდა მიეღოს. თვით მიუნხენის მუნიციპალიტეტში ფოიხტანგერის დეპუტატი გამოიწვია ვაცხოველებული კამათი, რაც იმით დასრულდა, რომ განაცხადეს, პრემიის მინიჭების დროს ჩვენ მხედველობაში ვვყავართ მწერლის მხატვრული მოღვაწეობა, მაგრამ პოლიტიკურად კი მასთან საერთო არაფერი გვაქვს.

გრაფიული რომანი — „მარცხნივ, ხადაც გული ძვარს“, რომლისთვისაც 1955 წელს მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პრემია. მწერალი-პუშმანისტი განაგრძობს თავის კეთილშობილ საქმეს, იგი დასავლეთ გერმანიის ყველაზე უფრო პროგრესულ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება.

ზემოდან მითითებითი პრემია აღნიშნავენ, რომ, რა თქმა უნდა, ასეთი დამოკიდებულება ვერაფერს დააკლებს პიკასოს — მას მრავალი ახალი შემოქმედებითი ჩანაფიქრი აქვს. ამჟამად მხატვარი ამაღლებს ტილოს, რომელიც იქნება ველასკესი ვანიჭებულ „ხეფე-ქალთა“ თავისებური ვერსია.

**მშობლი-პუშმანისტი**

დასავლეთ-გერმანელ მწერალს ლეონარდ ფრანკს 75 წელი შეუსრულდა. ფრანკი დაიბადა ვიურცბურგში, ღარიბი დურგლის ოჯახში. მან ცხოვრების დიდი და მძიმე გზა განვლო, მრავალი ხელობა გამოიცვალა, ბევრი უსამართლობა გადაიტანა და ცხოვრების მთელი მდიდარი გამოცდილება თავის წიგნებში გადაიტანა. ავტორს სახელი ვაუთქვა პირველივე რომანმა — „ყაჩაღები“, რომელიც 1914 წელს გამოვიდა და ხატავდა, თუ როგორ თანდათან ჰპარგავდა ყოველგვარ ილუზიებს ომისწინა წლების ახალგაზრდობა. მალე მოხუცდა ემიგრაციაში წასვლა, რადგან საქვეყნოდ სილა აქამა ერთ ლაქლაქა შიდიტარისტს, რომელიც ქებადიდებს ასხამდა ვებერთელა სამეზავრო ხომალდის „ლუზიტანიის“ ჩაძირვას, როგორც უდიდეს გმირობას. ომის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ფრანკი, ნაციზმის გაბატონებამდე, ნაყოფიერად მუშაობდა ლიტერატურაში, აგრძელებდა გერმანულ ლიტერატურის პუშმანისტურ ტრადიციებს. მერე ისევ განდევნა — შვეიცარია, ინგლისი, საფრანგეთი, ბრეტანის საკონცენტრაციო ბანაკი, იქიდან გამოკეცვა და პორტუგალიის გავლით ჩასვლა ამერიკაში, სადაც ცხოვრობდა 1950 წლამდე. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფრანკი დასახლდა მიუნხენში, სადაც დაწერა რამდენიმე მხედრილი პიესა და ავტობიო-

**ერაყი**

**კმელი ბაბილონის თეატრი**  
განთქმული გერმანელი არქეოლოგი, პროფესორი ლენგენი შეუდგა ძველი ბაბილონის ერთ-ერთი თეატრის აღდგენას, რომელიც ახლანდელი ერაყის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ეს უძველესი თეატრი ჯერ კიდევ აღქვანდრე დიდმა ააშენა. ერაყის საზოგადოებრიობას იმედი აქვს, რომ თეატრის შენობის აღდგენა ხელს შეუწყობს ამ ქვეყნის უძველესი თეატრალური კულტურის აღორძინებას.

**ესპანეთი**

**„მშობლიურ“ ესპანეთში**  
ოფიციალური ესპანეთი არ სცნობს დიდ ესპანელ მხატვარს პაბლო პიკასოს და მის ხელოვნებას. თუმცა, მეგობართან დაუთინებთ, პიკასო დათანხმდა მოეწყო თავისი ნამუშევრების გამოფენა მადრიდში — ამ ორმოცი წლის განმავლობაში ეს უნდა ყოფილიყო მისი პირველი გამოფენა მშობლიურ ესპანეთში — მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფალთ ეს ამბავი მეტად სახიფათოდ ეჩვენათ და გამოფენის მოწყობას იმდენი დაბრკოლება გადაუღობეს, რომ ჩაშალეს. ამის ნაცვლად ბარსელონის ერთ-ერთ მაღაზიაში გამოფენეს მისი ნამუშევრების მცირე კოლექცია, რომელსაც ესპანეთის პრესა დუმილით შეხვდა, — უთუოდ ესებ

**იპპონია**

**ვიფელზე მაღალი**  
შვიას პარკში (ტოკიო) აგებენ ვეება, 328 მეტრი სიმაღლის, ე. ი. ეიფელის კოშკზე მაღალ, ლითონის კოშკს. მსოფლიოში ამ უდიდეს კოშკს გამოიყენებენ სატელევიზიო გადაცემებისათვის, რომელითა მიღებაც შესაძლებელი იქნება 90 — 100 კმ რადიუსზე.

30.000

1868 წლიდან მოყოლებული დღემდე იაპონურ ენაზე თარგმნილია მსოფლიო ლიტერატურის 30.000 ნაწარმოები. თარგმანებს შორის პირველი ადგილი უკავიათ ფრანგ ღარუს მწერლებს. მათ მსდევს ინგლისელი, გერმანელი და ამერიკელი მწერლების ნაწარმოებები.

**ინგლისი**

**სმტ-ჯეიმისის თეატრის ბედი**  
სახელგანთქმული მსახიობი ქალის ვივიენ ლის გმირული ბრძოლა ლინდონის უძველესი თეატრის სმტ-ჯეიმისის გადარჩენადა მარცხით დამთავრდა. თეატრის დახისა და დირექციის სხდომაზე გამოიკვია, რომ თეატრი განწირულია და უნდა დაიხრეს; თეატრის შესაკეთებლად საკმარისი იქნებოდა ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი, მაგრამ ამ თანხის შეგროვება ვერ მოხერხდა. ვაზეთები იუწყებთან, რომ დახის სხდომაზე ვივიენი მძიმე ძაბეში მოვიდა.



### კინოს გულგოდგინე მამურობელი

ლონდონის ერთ-ერთი კინო-თეატრის დირექციამ ვინმე ელიზაბეტ ბრატს მიაართვა ფაიფურის ჩაის სერვივი და თიბგული. თურმე ე. ბრატს ამ კინოთეატრის გახსნის დღიდან — 27 წლის მანძილზე — არ გამოუტოვებია არც ერთი ფილმი: გულგოდგინე მაყურებელმა დირექციას წარუდგინა წლების მანძილზე ამ კინო-თეატრში ნაყიდი 8.000 ბილეთი.

### თეატრი ბორბლებზე

ინგლისური თეატრი „სენწერი“ მოთავსებულია ვაგონებში, რომლებიც ეზიდებიან არა მხოლოდ მსახიობებს, არამედ დეკორაციებს და რეკვიზიტებს. ამ ვაგონებზე შეიძლება სახელდასებლოდ და სწრაფად მოეწყოს სცენა და მაყურებელთა დაზარაბი თავისი ფიციით და ბუფეტით. „სენწერი“ მოგაუაროს ინგლისის სოფლებში თანამედროვე და კლასიკური რეპერტუარით. თეატრს განწარხული აქვს მთავალ სეზონში მოიაროს ევროპა.

### რუმინის უცნობი სურათი

ერთ-ერთ სააუქციონო დარბაზში აღმოჩნდა რუმინის უცნობი სურათი „სენეკა და ნერონი“, რომელიც, როგორც ფიქრობენ, უნდა დათარიღდეს 1601 წლით, ე. ი. იმ დროით, როცა უდიდესი ფლამანდრიელი ოსტატი რომს ეწვია. სურათის ზომაა 71x88 სმ. სენეკას პორტრეტი აღებულია ბრინჯაოს ბიუსტიდან, რომელიც ამჟამად ნეაპოლის ერთგულ მუზეუმში ინახება. სპეციალისტების აზრით, რუმინის კარვად იცნობდა ამ ბიუსტს, რადგან მან რომში ნახა სენეკას ბიუსტის პირველი მფლობელების, ფარნეზების კოლექცია. ნერონის სახეც მხატვარს აუღია ქანდაკებიდან, რომელიც ამჟამად განაწილებული აქვს ორ ქვეყანას: ქანდაკების თავი დაცულია ვატკანში, ტორსი კი ბრიტანეთის მუზეუმში.

მელიც ამჟამად განაწილებული აქვს ორ ქვეყანას: ქანდაკების თავი დაცულია ვატკანში, ტორსი კი ბრიტანეთის მუზეუმში.

### ინგლისური რომანის დაცემა

გაზეთ „ტაიმის“ ლიტერატურული კრიტიკოსი ოლივერ ელუარდის გამოთქვამს მოსაზრებებს ინგლისური რომანის დაცემის მიზეზების თაობაზე. ის ამბობს, რომ ინგლისში რაოდენობრივად სულ უფრო და უფრო იზრდება ბელეტრისტიკის გამოცემა—კვირაში დაახლოებით 40 ახალი სახელწოდების წიგნი გამოდის. მაგრამ ეს მეტწილად ისეთი ლიტერატურაა, რომელიც არც მკითხველს დაინტერესებს და არც ლიტერატურულ კრიტიკოსებს. ელუარდის ჩრდობა იმ ფაქტზე, რომ ინგლისური უურნალების ლიტერატურულ დამატებებში მოთავსებული რეცენზიები მეტწილად ეხება ბიოგრაფიულ და პოლიტიკურ ლიტერატურას ან მოგზაურობებს, ბელეტრისტიკას კი მხოლოდ მცირე შენიშვნას ან გულგრილ რეცენზიებს თუ უთმობენ. „რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დროებაზე, როცა დიქსონის, თიერის ან ტროლონის არამეტუ ახალი ნაწარმოებები, არამედ მათი რომანების გაგრძელებაც კი მოვლენა იყო ხოლმე, დღეს აღარაა თუნდაც ის მდღევანება, რომლითაც მოვლდებოდნენ მერედითის, კონრადის ან თუნდაც უელსის ადრეულ ნაწარმოებებს“.

ელუარდის აზრით, საქმე მარტო იმაში როდია, რომ ამჟამად ცოცხალი აღარაა არც ერთი დიდი რომანისტი, არამედ იმაში, რომ საზოგადოება სულ სხვა ეპოქაში ცხოვრობს. დიდი რომანისტების ეპოქაში მოსალოდნელი იყო დიდი ცვალებები. „მანის არსებობდა საყოველთაო შეგრძნება, რომ ქვეყნიერება უახლოვ-

დება რაღაც სხვას, და არა უზარმაზარ კატასტროფას. საზოგადოება არ იყო ახლანდელივით ერთიანად სასოწარკვეთილი და შეშინებული იმით, რაც შესაძლებელია მოხდეს. იქნებ თქვას, ახალი ფილდინგს ან ახალი ჰარდი დასძლევდნენ ყოველივე ამასო. მაგრამ განა საერთოდ შესაძლებელია მათი გამოჩენა, ვიდრე არ მომწიფებულა საიმით დრო?“—ასე ამოთარებებს თავის სტატიას ანგლისელი მოწინავე კრიტიკოსი.

### ბერნარდ შოუს წირილები

ყოფილმა მსახიობმა ქალმა ელენორ როლსონმა გამოცვა თავისი მოგონებები, აქვეა წეროლები, რომლებსაც ბ. შოუ სწერდა მას ახალგაზრდობაში, როგორც მსახიობს. როგორც ცნობილია, შოუმ თავისი პიესა „მაიორი ბარბარა“ როლსონისთვის დაწერა.

### რას შეიძენდნენ

გაზეთმა „დეილი შერალდმა“ თავის მკითხველებს მიმართა ასეთი შეკითხვა: „რას შეიძენდით, 30.000 გირვანქა სტერლინგი რომ მოგეცათ?“. პასუხის საინტერესო სურათს იძლევა: არც ერთ მკითხველს არ დაუსახებლბია ფუფუნების რაიმე საგანი, რაც დადასტურებდა მათი ცხოვრების აშკარად მაღალ დონეს. პირიქით, ისინი ოცნებობენ ელექტროგაყვანილობაზე, წყლისნაიონ-სასმელიან საპირფარეშოზე, აბაზანაზე, თბილ წყალზე, სამზარეულოში პირსახანი მოწყობილობის დადგამზე, შალის კაბაზე (რომ შეიძლოს პალტოს გახდა, როცა სადმე მივალ), ლიბზე და ა. შ. ტელევიზორს ნატრულობს მხოლოდ ერთი ადამიანი, ხოლო ავტომობილი, წიგნები და სურათები საერთოდ არავის უხსენებია.

### დემიტური რომანების აპტორი

გარდაცვალებული დემიტური რომანების ყველაზე პოპულარული ავტორი, 64 წლის მწერალი ქალი დოროთი ლ. სეიერსი, სეიერსის რომანებისთვის — ე. წ. „არისტოკრატიული დეტექტივებისთვის“ — დამახასიათებელია კარგად მოფიქრებული სიუჟეტი და ხასიათების საუცხოო დახატვა. საინტერესოა, რომ ამ ნიჭიერი მწერლის უკანასკნელი ნაშრომი იყო დანტეს „დეთაბრივი კომედია“ ინგლისური თარგმანი.

### იტალია

#### ფილმი ინდოეთში

ცნობილი კინორეჟისორმა რომბერტო როსელინიმ შექმნა სრულმეტრაჟიანი ფერადი დოკუმენტური ფილმი — „1957 წლის ინდოეთი“. ფილმი გადაღებულია უსცენაროდა და უმხახიბოდ, რადგან რეჟისორს უნდოდა აესახა ინდოეთის ნამდვილი ცხოვრება.

#### ქალბავის წიგნები

რომში, ბარბერინის სახსლემში, მოეწყო მეტად საინტერესო გამოფენა — წარმოდგენილი იყო 1.000-ზე მეტი წიგნი, რომელთა ავტორები არიან ქალები — სულ 700 ქალი. რომანებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ავტორები მეტწილად გერმანელი მწერალი ქალები არიან, ფსიქოლოგიური ეტრუდები ძირითადად შექმნეს ინგლისელმა ქალებმა, მოდეები და კულინარია ფრანგი ქალების სფეროა, ამერიკელმა ქალებმა პირველი ადგილი დაიკავეს ფიზიკური კულტურის დარგში.

### კოლონეთი

#### ოსპინციმის მსხვერპლის წიგნი

ანტიფაშისტ მებრძოლთა კავშირის გამომცემლობამ 1951

წელს გამოსცა პოლონელი ქალის კრისტინა უიფულსკიას წიგნი — „მე გადავიტანე ოსვენციმი“. ამ წიგნმა მკითხველთა დიდი ყურადღება დაიმსახურა არა მარტო პოლონეთში, არამედ საფრანგეთში, ამერიკასა და კანადაში, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. წიგნი უკვე მრავალენაშენ ითარგმნა და გამოიცა კიდევ.

#### მიგანტური საკრავი

პოლონური ნავსადგურის გდანსკის მახლობლად, ზღვის პირას, მდებარეობს თავისი 800-წლიანი ტაძრით განთქმული პატარა ქალაქი ოლივა. ორასი წლის წინათ აქ დადგეს ორდანი, რომლის შექმნასაც ოსტატმა იან ვულფმა 25 წელიწადი მოახლოდა. ამ მუსიკალური ინსტრუმენტის მსგავსი რამ ევროპაში არ მოიპოვება. ორდანი ასწლიანი ხის ფესვებს წაგავს. შიგაა რამდენიმე ათასი. საყვირი, რომელთაგან ყველაზე დიდი საყვირები ტაძრის გუმბათს უწევენ.

### რუმინეთი

#### მხატვარი-რეჟისორი

რუმინელი მხატვარი ზიგფრიდი ხელოვნების მეტად მრავალმხრივი მოღვაწეა. ამას წინათ პარიზში გაიხსნა მისი ნამუშევრების გამოფენა — აკვარელი, ფაუზა, ზეთი. ზიგფრიდი შედარებით ახალგაზრდა კაცია; ის თეატრშიც მოღვაწეობს — პარიზის ეროვნულ თეატრში დადგა თავისი თანამემამულის სემასტიანუს პიესა — „უსახელო ვარსკვლავები“.

#### ახალი რომანი

დიულა საბომ, რუმინეთში მცხოვრებმა უნგრელმა მწერალმა, დაწერა თავისი პირველი რომანი — „გლანდასების ოჯახი“, რომელმაც მკითხველთა ყურადღება დაიმსახურა და უკვე ითარგმნა რამდენიმე ენაზე.

### საბერძნეთი

#### გარდაცვალებული ქაუნაქიანი

72 წლის ასაკში გარდაცვალა საბერძნეთის უდიდესი მწერალი ნიკოს ქაუნაქიანი. მისი რომანები — „ბერძენი ზარბა“, „ქრისტე კიდევ ერთხელ ჯვარს აცვეს“ და „თავისუფლება და სიკვდილი“ მრავალ ენაზეა თარგმნილი, ხოლო მისი რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი — „ის, ვინც უნდა მოკვდეს“ (ცნობილი ფრანგი რეჟისორის უიულ დანენის მიერ არის გადაღებული) კრიტიკამ ერთ-ერთ საუკეთესო ფილმად აღიარა. ეს პროგრესული მწერალი შარშან დაჯილდოებული იქნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საერთაშორისო პრემიით. პრემიის მიღებისას ქაუნაქიანმა თქვა: „თავისუფლება და მშვიდობა როდია ბუნების ნაბოძები რამ. ეს — კაცთა ოფლისა და ცრემლის შვილებია. ვიღერ ქვეყნად ცხოვრობს ადამიანი, ჩვენ დავრჩებით მშვიდობის ერთგული მიმდევარი და მთელი ძალით დავიცავთ ამ ჩვენს შვილებს“.

### საფრანგეთი

#### „ხვალ ჩვენ შევიწყვარებთ მართანეთს“

გამოვიდა ცნობილი ფრანგი მწერლის, ვაზეთ „იუმანიტეს“ მთავარი რედაქტორის ალდერ მტოლის ახალი რომანი — „ხვალ ჩვენ შევიწყვარებთ ერთმანეთს“. რომანი გვიხატავს იმ ზნეობრივ დაბნეულობას, რომელმაც მოიცვა ფრანგი ახალგაზრდობა ალჟირის ომის გამო.

#### სიკვდილის შემდეგ

ამას წინათ სობოლის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე, რამდენიმე ათასი მეცნიერის თანდასწრებით, ჩატარდა ამაღლებული ცერემონია: ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მათემატიკურ მეც-



ნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა შორის ოდენს, ფრანგული მეცნიერების იმედს, ახალაზრდა ფრანგ მათემატიკოსს, რომელიც ალუბის უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებმა ალუბის შარშან იგლისში მოულოდნელად დააბატონეს პროგრესული ახალგაზრდა მეცნიერი და მას აქვე მისი მნახველი აღარავინაა. ოდენის ცოლს აცნობეს, გაიქცა და უგზოუკვლოდ დაიკარგა, ხოლო მისი კოლეგებისა და სტუდენტების მასიურ პეტციას განათლების მინისტრის, პროკურორისა და მთავრობის სახელზე დუმილით უპასუხეს. ცხადი იყო, რომ ოდენი პოლიციელების მსხვერპლი გახდა იმე, რომ არც რაიმე ბრალდება წაუყენებიათ და არც განაჩენი გამოუტანიათ.

ოდენისთვის სიკვდილის შემდეგ დოქტორის ხარისხის მიანიჭება, რომელიც მისი ხსოვნის პატივსაცემი დუმილის წუთით დაარულდა, მთელი ფრანგული სამეცნიერო საზოგადოებრიობის საპროტესტო დემონსტრაციაა.

**სოციალური ფრანკონი**

ფრანგმა არქეოლოგმა ანრი ლიოტემ საპარაში, ტახილის რაიონში, აღმოაჩინა გამოკვებული, სადაც კედლის მხატვრობას წააწყდა. სხეციალისტების აზრით ეს ფრესკები 8—9 ათასი წლის წინანდელი უნდა იყოს. უთუოდ პავთია და განსაკუთრებული გეოლოგიური პირობებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ფრესკები ასე კარგადაა შენახული. ფრესკების პიჩები გამოფინეს პარიზის ხელოვნებათა მუზეუმში.

**ახალი ვოლტერი**

საფრანგეთსა და ინგლისში დიდი ინტერესი გამოიწვია ფრანგი მწერლის როჟე ბერიეფის რომანმა—„წმ. პეტრის გახალისება“. ესაა ხატირა

ვატიკანზე, პაპობაზე და კათოლიკურ ეკლესიაზე. კრიტიკა ამ რომანს ვოლტერისა და სტენდალის საუკეთესო ნაწარმოებებს ადარებს.

**როჟე ვინი მარანე**

ცნობილი კინორეჟისორმა უიულ დასენმა რამდენიმე სცენარიდან, რომელიც მას შესთავაზეს, ამოარჩია სცენარი როჟე ვინის რომანის „კანონის“ მიხედვით, რომელმაც ამას წინათ პრემია მიიღო. ფილმის გადაღებას აპირებს დიოწეზენი.

**ტაივანი**

**კულტურის მდგომარეობა**

სინხუას სააგენტო აქვეყნებს საინტერესო ცნობებს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია კულტურა კუნძულ ტაივანზე ამერიკული ოკუპაციის პირობებში. მრავალი კულტურული დაწესებულება, რომლებსაც აქ, ისევე როგორც მთელს ჩინეთში, დიდი ტრადიციები ჰქონდა, ამჟამად იკეტება. შარშანდლიდან თეატრალური დასების რაოდენობა ერთი მეცამედით შემცირდა, 100 დასზე მეტი საერთოდ აღარაა, თეატრის 80 შენობა დაიბურა. კინოთეატრებში ნარევენები ფილმების 70% ჰოლივუდის პროდუქტია. ბილიეტების ფასი თითქმის 50%-ით გაიზარდა „თავდაცვის გადასახადებისა“ და „არმიისთვის ფუფუნების ხაჯნების გადასახადის“ გამო. თეატრებისა და კინოების უმრავლესობა ჯარალშია ჩავარდნილი, რადგან კვირაში ორჯერ ვალდებულნი არიან უფასოდ აჩვენონ ჯარისკაცებს სპექტაკლები და კინოსურათები, ხოლო გარკვეული რაოდენობის ადგილები ყოველდღე უფასოდ იჯავნება ოციერთა და „პრივილეგიებულ პირთათვის“.

**უნგრეთი**

**1798 წელს**

ვაზეთების ცნობით, შექსპირის პირველი დღეგმა უნგრეთში განხორციელდა 1798 წელს, როცა პეშტში წარმოდგენილი იქნა „რომეო და ჯულიეტა“.

**ახალი ფანტასტიკური რომანი**

მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია დიერძ ბოლიჩის ფანტასტიკურმა რომანმა — „თუ ბურუსი გაიფანტება...“. მოქმედება წარმოებს XXI საუკუნეში, როცა დედამიწიდან ვენერაზე მიემართება კოსმიური ხომალდი. მოგზაურები ამ პლანეტაზე აღმოაჩინენ აღამიანს, რომელიც ჭკვის ხანის დონეზე დგას.

ავტორს კონსულტაცია უწევდა ობიექტატორია „ფერადან“ დირექტორი დ-რი დიერძ კულინი და დ-რი ანტალ დუჟა. რომანი გადაშუშავებულია რადიო-პეხად, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მისი ეკრანიზაციის თაობაზე.

**ჩეხოსლოვაკია**

**სამრეწველი მუსიკის კომპლარტიზმი**

ჩეხოსლოვაკიაში ჩამოყალიბდა ახალი, ე. წ. „საგარამო-ფონო კლუბი“, რომელმაც მიზნად დაისახა ყოველ ოჯახსა, საქარხნო კლუბებსა, ქოსსამკითხველოებსა და კერძო მარგებში დანერგოს ხეროუსული მუსიკა. ამ კლუბის წევრობის ერთადერთი პირობა ანეთია: ყოველმა წევრმა წლის განმავლობაში კლუბის საწევრობა უნდა შეიძინოს ხუთი ხანგრძლივ-დამკვეთი ფირფიტა, რომელსაც თავისი სურვილისამებრ აირჩევს. არჩეული კი მდღარია— აქა ბეთმოფენი, შოსტაკოვიჩი, დეპუსი, ჩაიკოვსკი და სხვ. კლუბს უნდა, რომ ათი წლის შემდეგ მის ყოველ წევრს ჰქონდეს კლასიკური და თანამედროვე მუსიკის ძირი-

თავი ნაწარმოებები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია განათლებული ადამიანისთვის.

### შვიდეტი

#### კიდევ ერთი ნორჩი პოეტი

გამოვიდა თერთმეტი წლის მოსწავლე გოგონას გულრუნ იაკობსონის ლექსების წიგნაკი, რომელშიც დაბეჭდილია 20 ლექსი. კრიტიკოსები მეტად კარგ შეფასებას აძლევენ ნორჩი პოეტის ლექსებს.

### ზეშვარტად მრკმნული მსატარარი

ჩეხოსლოვაკელი ხალხი ემზადებოდა იმისათვის, რომ მთელს რესპუბლიკაში სიყვარულითა და მადლიერებით ჩატარებულიყო დიდი, მეტად თავისებური, ნამდვილად სახალხო ჩეხი მსატარის იოზეფ ლადას დაბადების 70 წლისთავის იუბილე. მაგრამ იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე ეს მთელი ხალხის საყვარელი მსატარარი გარდაიცვალა.

იოზეფ ლადამ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროიდან გაითქვა სახელი საბავშვო წიგნების ილუსტრაციებით. ჩეხი ბავშვების მრავალი თაობა მისი ორიგინალური, თავით ბოლომდე ეროვნული სურათებით გცნობოდა ქვეყნიერებას. მის ნახატებს მთელს ჩეხოსლოვაკიაში იცნობენ და უყვართ. არაა არც ერთი მიყრუებული სოფელი, სადაც მათ არ შეეტანათ სიხარული და სიამოვნება, ლადას ნახატები აღსავსეა მსუბუქი ჩეხური იუმორით და ღიმილით; უბრალონი და იშვიათნი ბრძანები, ისინი დასცინიან მუშაობას და ქებას ასხამენ უბრალო, ალალი გულის ადამიანის ბრძოლასა და გამარჯვებას. ამ ნახატებმა შეინარჩუნეს ჩეხური ხალხური ტრადიცია და ახალი უკვდავი ფურცელი ჩაწერეს ჩეხი ხალხის ეროვნულ ხელოვნებაში.

### შვიდეტი

#### შოონებარის ოპერა

მოდერნისტული მუსიკის ფესტივალზე ციურისში შესრულებული იქნა არნოლდ შონებერის ოპერა „მოსე და აარონი“, რომლის წერაც მან დაიწყო ჯერ კიდევ 1930-32 წლებში, მერე თავი მიანება და მხოლოდ 1949 წელს კვლავ დაუბრუნდა. მაგრამ კომპოზიტორმა ვერ მოასწრო უკანასკნელი მოქმედების დაწერა, რადგან 1951 წელს გარდაიცვალა. მისი სურვილის მიხედვით უკანასკნელ მოქმედებას ასრულებენ უმუსიკოდ, დრამატიული გაფორმებით. კრიტიკოსების აზრით, შონებერის ახალი ოპერა „ნამდვილი შედეგია, ისე მდიდარია მუსიკალურა სილამაზით“.

### კოსმოსის მომღმარალი

შედეგმა პოეტმა პარიზში მარტინსონმა ამას წინათ სახელი გაითქვა დასავლეთში თავისი ლირიკული ციკლით „ანიარა“. მაშინ კრიტიკამ მას „კოსმოსის პირველი ლირიკოსი“ უწოდა. მისი ლექსები კოსმოსს ეძღვნება. პოეტს სწამს, რომ ადამიანი ამოსხნის კოსმოსის ყველა ამოცანას, რათა, როგორც ამბობს ერთ-ერთ ლექსში, „ხვალისდღეი დღე შედ დაგვიღოს დღევანდელ, მომლოდინე ხელისგულზე“.

საბჭოთა კავშირის მიერ ხელოვნური თანამგზავრების წარმატებით გაშვების შემდეგ მარტინსონმა დაწერა ლიბრეტო ოპერისათვის „თანამგზავრი“, ლიბრეტოს ძირითადი თემა ატომური იარაღის წინააღმდეგ ბრძოლა, მთავარი იდეა კი ისაა, რომ მეცნიერებამ ადამიანს დაუახლოვა არა მხოლოდ ვარსკვლავები, არამედ მიწიერი ცხოვრების უბრალოებაცა და საყვარულიც. ამ ლიბრეტოზე ოპერას წერს თანამედროვე შეედური მუსიკის პიონერი, განთქმული კომპოზიტორი კარლ ბირგერ-ბლემალი. ოპერა ამ გაზაფხულზე დაიდგმება სტოკჰოლმში.

### ჩარლი ჩაპლინის მემუარები

უდიდესი მსახიობი ჩ. ჩაპლინი მუშაობს თავის მემუარებზე, რომელიც, შესაძლოა, 1960 წელს გამოქვეყნდეს. როგორც ამბობენ, ჩაპლინის მემუარების უკვე დაწერილი ნაწილი მანქანაზე გადაბეჭდილი ათასი გვერდია.

### ხუთი წლის პიანისტი

შვეიცარიის საკონცერტო დარბაზებში უკანასკნელი სენსაციია მსოფლიოს ყველაზე მატარა პიანისტი, ხუთი წლის რომბერტო კანელო, რომელიც დიდი წარმატებით ასრულებს ბეთოვენის, შოპენისა და შუპანის ნაწარმოებებს.





ახალი წიგნები

„ს ა ბ ზ ო ტ ა ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო“

- გ. კალანდაძე — ქართული ხალხური ბალადა. რედ. თ. გოგოლაძე, გვ. 161, ფასი 4 მან. 30 კაპ.
- ანასტასია ერისთავი-ხოშტარია — თხზულება. ტ. II, რედ. ვ. ხოშტარია, გვ. 354, ფასი 6 მან. 80 კაპ.
- გ. წილობაძე — კურორტი წყალტუბო, რედ. ს. საყვარელიძე, გვ. 100, ფასი 4 მან. 35 კაპ.
- გ. ნიშნაინძე — შემოქმედებითი გაწამაწმია, რედ. ი. არაბული, გვ. 11, ფასი 60 კაპ.
- შ. კვასხვაძე — გიორგი მაისურაძე, რედ. შ. მამალაძე, გვ. 190, ფასი 12 მან. 65 კაპ.
- მ. კომახიძე — ნ. ი. პიროგოვი (ცხოვრება და მოღვაწეობა), რედ. ნ. ჯავახიშვილი, გვ. 129, ფასი 5 მან. 30 კაპ.

ს ა ბ ლ ი ტ ბ ა მ ი


- გ. გვიტაძე — გადარჩენა. რედ. ა. შენგელია, გვ. 90, ფასი 2 მან. 50 კაპ.
- ვ. კახაძე — ბეჭედი და პეპელი. რედ. ქ. ქუჩუკაშვილი, გვ. 65, ფასი 2 მან. 25 კაპ.
- დ. ხუროძე — ოქროს ხელები. რედ. გ. კაჭახიძე, გვ. 82, ფასი 2 მან. 40 კაპ.
- ი. ურჯულშელაშვილი — დედისეულს საათი. რედ. გ. შატბერაშვილი, გვ. 155, ფასი 5 მან. 50 კაპ.
- ო. კუმარავა — მზე შინა და მზე გარედა. რედ. ვ. ძიძიგური, გვ. 52, ფასი 2 მან.
- დ. გაჩეჩილაძე — ტყუილს მოკლე ფეხი აქვს. რედ. მ. ქვექანიძე, გვ. 21, ფასი 2 მან. 30 კაპ.
- ალ. ჩხჩეჩელი — მზიან საინგილოში. რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 96, ფასი 3 მან.
- ა. თევზაძე — მოვდივართ, მოგვიხარია. რედ. ვ. ბეწუქელი, გვ. 73, ფასი 2 მან. 30 კაპ.
- მ. ჯავახიშვილი — მოთბრობები. რედ. ვ. ძიძიგური, გვ. 169, ფასი 10 მან. 50 კაპ.

ს ა ბ ზ ო ტ ა მ მ შ ი რ ა ლ ი

- ა. ლომიძე — ზღვისა და ხმელეთზე. რედ. გრ. აბაშიძე, გვ. 227, ფასი 7 მან. 40 კაპ.
- ს. ხიდისთაველი — მუშის სიმღერები. რედ. ა. თევზაძე, გვ. 62, ფასი 90 კაპ.
- დ. რამიშვილი — მიხეილ თუმანიშვილი. რედ. ქ. სიხარულიძე, გვ. 220, ფასი 6 მან. 50 კაპ.

ხ ე ლ ო მ ე ნ ე ბ ა

- ნ. ქეიშვილი — ვასო ყუშიტაშვილი. რედ. შ. აფხაიძე, გვ. 157, ფასი 8 მან.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III-58 წ ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 95.  
უე 01879. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბლოკგრაფიკამოცემლობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.